ბესიკ კეკელიძე

ბანკი

ბესიკ კეკელიძე

განუკითხავი

რომანი

თბილისი
2014

რედაქტორი	**ელზა მეტრეველი**
მხატვარი	**ზვიად ჯაფარიძე**
კორექტორი	**ნანი ჭულუხაძე**
დამკაბადონებელი	**თამარ ტყაბლაძე**

ISBN 978-9941-0-6819-5

თეოლოგიურ საკითხებში გაწეული დახმარებისთვის ავტორი მადლობას წირავს კლდის უბნის წმიდა გიორგის სახელობის ტაძრის წინამძღვარს, დეკანოზ მიქაელს (კაპანაძეს).

რომანის გამოცემაში გაწეული ფასდაუდებელი დახმარებისთვის ავტორი მადლობას უთვლის ბატონ გოგლა კეკელიძეს.

„განუკითხავი“ ბესიკ კეკელიძის პირველი რომანია. აქამდე მან მკითხველს თავი დაამახსოვრა თანამედროვე, ქართველი (და არამარტო) კაცისთვის ახლობელი, მტკივნეული თემებით გაჯერებული მცირე ფორმატის მოთხრობებითა თუ ნოველებით.

რომანი მკითხველთა ფართო ფენებისთვის არის განკუთვნილი. თემა ერთი შეხედვით ნაცნობია: მარადიული ბრძოლა კეთილსა და ბოროტს შორის, მაგრამ მწერალს თხრობა ოსტატურად მიყავს, დამაჯერებლად აღწერს დღევანდელი გლობალიზაციის ავს და კარგს, ხაზს უსვამს მის თანმხვედრ დამანგრეველ შედეგებს. რომანი მკითხველს უტოვებს საფიქრალს — საით მიექანება ღვთისგან დაშორებული კაცობრიობა.

თავს აღარ შეგაწყენთ, მკითხველო, თქვენთვის მოგვინდია ამ ნაწარმოების განსჯა და საკუთარ სულში ჩაღრმავება.

პატივისცემით: კლდის უბნის წმიდა
გიორგის სახელობის ტაძრის წინამძღვარი,
დეკანოზი მიქაელი (კაპანაძე)

I

ივნისის მზე დინჯად ეშვებოდა მთებს უკან.

ორღობეში მომავალ ნახირს ძროხა გამოეყო, ჭიშკარს მიაბღავლა. გაზქურასთან მოფუსფუსე ქალმა ქვაბს მოურია, ცეცხლს დაუწია და შვილიშვილს გასძახა:

— გელა, გელა! — არავის უპასუხია. ელისო სამზარეულოდან გამოვიდა, შვილიშვილის ოთახისკენ გაემართა.

გელა წიგნებით სავსე მაგიდას მიჯდომოდა, წინ მარკების ალბომი დაედო და ფურცლავდა. ბებიის ხმის გაგონებაზე მარკებს თავი ანება, ალბომი გვერდით გადადო, რომელიღაცა სქელი წიგნი აიღო, გადაშალა და თავი დაადო, ვითომ ეძინა.

— შვილო, ნაზიკო მოვიდა... — ოთახში შესულმა მოხუცმა სათქმელი აღარ დაამთავრა, — უი, ჩასძინებია, ბებია ენაცვალოს, — ლოყაზე ხელი იტკიცა, ოთახიდან ფეხაკრეფით გამოვიდა და ძროხის დასაბინავებლად ეზოსკენ გაემართა.

გელამ როდესაც იგუმანა, რომ მარტო დარჩა, თავი აწია, წიგნი გვერდით მიაგდო და ისევ მარკების კოლექციას დაუწყო კირკიტი.

კოჯორში კაცაძეების ოჯახი ერთ დროს საკმაოდ ღონიერ და წელში გამართულ კომლად ითვლებოდა — თავზე არ გადასდიოდათ, მაგრამ არც არაფერი აკლდათ; ავტოკატასტროფაში გელას მამის, თამაზის დაღუპვის შემდეგ ყველაფერი თავდაყირა დადგა, მთელს ქვეყანაზე გაგულისებული უბედურება და გაჭირვება კაცაძეების თავზეც აროხინებდა ულმობელ კევრს. გელას დედა, ნელი, წელებზე ფეხს იდგამდა, რა აღარ ცადა — ბინებს ალაგებდა, სხვების შვილებს უვლიდა, მაგრამ ოჯახს დიდი ვერაფრით ეხმარებოდა. აგერ, უკვე ხუთი წელი სრულდებოდა, რაც ქალი საბერძნეთში გადაიხვეწა და იქაურ შეძლებულ მოხუცს ემსახურებოდა. თავის ნაოფლარ გროშებს თვეში ერთხელ აგზავნიდა, რითიც გელას და ელისოს თავი გაჭირვებით გაქონდათ.

ელისო ზაფხულობით თბილისიდან ჩამოსულ დამსვენებლებზე ბინის მეორე სართულს აქირავებდა, რაც ბებია-შვილიშვილს დამატებით შემოსავალს აძლევდა. ამ პერიოდში ნაზიკოსაც ფასი ედებოდა, რძეზე და მაწონზე მოთხოვნილება გაცილებით იზრდებოდა, მით უმეტეს, ელისოს მაწონი მთელ კოჯორში განთქმული იყო.

ის იყო, ძროხა ბოსელში შეიყვანა, ქალს მეზობლის ხმა შემოესმა. ეზოში გაიხედა, ჭიშკართან თამარი იდგა.

— რაზე შეწუხებულხარ, მეზობელო? — მისკენ გააბიჯა დიასახლისმა.

— ელისო, მდგმურებს აიყვან? — კარებში თავი შემოჰყო თამარმა.

— ვინ არიან?

— ახალგაზრდა ოჯახია, თბილისიდან.

— ბინის ქირაობა რა ხნით უნდათ?

— მთელი სეზონით.

— ძალიან კარგი, — ჩაეღიმა ელისოს, — შენთან არიან?

— კი, — თავი დაუქნია თამარმა.

— მოიყვანე, ოთახებს დავათვალიერებინებ და, თუ მოეწონებათ, ფასზეც შევუთანხმდები.

თამარს აღარაფერი უპასუხია, თავისი სახლისკენ წავიდა და რამდენიმე წუთში ახალგაზრდა წყვილთან ერთად დაბრუნდა:

— შებრძანდით, ბინა ნახეთ და გადაწყვიტეთ, — ცოლ-ქმარს ეზოში შემოუძღვა.

ელისომ სტუმრები სახლში აიყვანა, ოთახები, აბაზანა, ტუალეტი და სამზარეულო მოატარა.

— როგორ მოგმართოთ? — იკითხა ახალგაზრდა, სიმპათიურმა ქალმა.

— ელისო, — თვალებში მიაჩერდა დიასახლისი.

— ქალბატონო ელისო, ბინა მოგვწონს. მეორეზე ვინმე სხვა ხომ არ იცხოვრებს?

— ამ სახლში მე და ჩემი ცხრამეტი წლის შვილიშვილი ვართ. ჩვენ ქვემოთ, პირველ სართულზე ვიქნებით და ყველა პირობას შეგიქმნით, რათა ნორმალურად დაისვენოთ.

— კარგია, — საუბარში ვაჟიც ჩაერთო, — ეზოც ძალიან მომწონს, — იქაურობას ხელი მოატარა. — კარგია, ცენტრალური გზიდან მოშორებით რომ ხართ.

— აქ იდეალური სიწყნარეა, შესანიშნავი ჰაერია, — დაეთანხმა ელისო, — რა ხნით აპირებთ დარჩენას?

— მე წავედი, ხელს აღარ შეგიშლით, — ჭიშკრისკენ გაემართა თამარი.

— მთელი სეზონით. წელს თბილისში უამრავი საქმე მაქვს, სერიოზულ ბიზნესს ვიწყებ და ცოლ-შვილს შორს ვერსად წავიყვან.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოს, შვილო, — მიუგო ელისომ, — თქვენი სახელი?

— მე კახა მქვია, ჩემს მეუღლეს — ლია.

— წამობრძანდით, ცაცხვის ქვეშ დავსხდეთ, — დიასახლისმა ცოლ-ქმარი ძელსკამისკენ გაიყოლა.

ცოტა ხნის საუბრის შემდეგ ფასზე შეთანხმდნენ. კახამ ჯიბიდან საფულე ამოიღო, ელისოს ბე დაუტოვა.

გელა თავის ოთახში ფანჯარასთან, ფარდის უკან გახევებულიყო და უცნობ ქალს მიშტერებოდა. თვალებით ქალის ლამაზ სახეს, ხორცსავსე მკერდსა და ნატიფ ფეხებს ისე დასწაფებოდა, როგორც მწყურვალი წყაროს. იგრძნო, როგორ აუხურდა ლოყები, გულს ბაგაბუგი გაჰქონდა, სისხლის ჭავლი შუბლზე მოაწვა: — „ასეთი ქალი ტელევიზორში თუ მინახავს, რა ლამაზია, რა ტან-ფეხი აქვს!“ — გონებაში აზრები მაჭარივით აუბუყბუყდა.

ელისო მომავალ მდგმურებს დაემშვიდობა და შვილიშვილის გასახარებლად სახლისკენ სწრაფი ნაბიჯით დაიძრა. გელა ადგილს მოსწყდა, ბებიას კართან შეეგება.

— რა ქენი, ხომ დათანხმდი? — დაძაბულმა იკითხა.

— კი, შვილო, — გაუღიმა მოხუცმა, — კარგი ხალხია და კარგ ფულსაც გვიხდიან. ასე რომ, შენი კოლეჯის პირველი კურსის გადასახდელი თანხა შეგვიგროვდება. მოიცა, — გამომცდელად შეაცქერდა გელას, — როდის გაიღვიძე?

— ჰო, ჩამძინებია, — ჩაეცინა ვაჟს, — თამარმა რომ დაგიძახა, მაშინ გამომეღვიძა. მდგმურები როდის ჩამოვლენ?

— ხვალიდან, — მიუგო ელისომ და ნაზიკოს მოსაწველად ბოსლისკენ წავიდა.

გელა ოთახში დაბრუნდა, სკამზე ჩამოჯდა, თავი ხელებში ჩარგო. უცნობი ქალის სახეს გონებიდან ვერ იცილებდა; ასე ღონივრად აქამდე არასდროს არავინ მოსწონებია, გულში ასე არავინ ჩასჭრია. აზრი ბებიას დაძახებამ დაუფანტა, წამოდგა და ელისოს მიუახლოვდა:

— რა იყო?

— საბუთები მოამზადე!

— ყველაფერი მზად მაქვს.

— მაშინ ვივახშმოთ, მერე მაწონს შევადედებ და ადრე დავწვეთ — დილით კოლეჯში ვართ წასასვლელი, — ქალმა რძით სავსე ვედრო სამზარეულოში შეიტანა, ჩაიდანი გაზქურაზე დადგა და ისევ რძეს მიუბრუნდა.

ბებიამ და შვილიშვილმა ისე ივახშმეს, რომ ერთმანეთისთვის ხმა აღარც გაუციათ — გონება საკუთარ ფიქრთა ორომტრიალისთვის დაეთმოთ. გელამ ჩაი დალია:

— ღამე მშვიდობისა, ბებია, — გადაულაპარაკა ელისოს, წამოდგა და თავისი ოთახისკენ გაემართა.

— ძილი ნებისა, შვილო, — სიტყვა დააწია მოხუცმა.

გელამ მთელი ღამე საწოლში იწრიალა, ოცნებებში წასული ლიას დაფოფინებდა, გონება ამღვრეოდა და საკუთარ „მეს“ ისე უჯიჯგნიდა, როგორც ტურა ლეშს. დილისკენ ჩაძინებული ბებიამ გამოაღვიძა.

— ცუდად გეძინა? — შვილიშვილს შეაცქერდა ელისო.

— ისე, რა, — უპასუხა გელამ და წამოდგა. სახელდახელოდ ჩაიცვა, პირი დაიბანა და გაწყობილ მაგიდას სასაუზმოდ მიუჯდა.

ერთი საათი არ იყო გასული, რომ სამარშრუტო ტაქსიდან ელისო და გელა კოლმეურნეობის მოედანზე ჩამოვიდნენ და იქვე განთავსებულ იურიდიულ კოლეჯში საბუთები შეიტანეს. ქალი სიხარულს ვეღარ მალავდა:

— ერთი წუთით დავსხდეთ, რაღაცა მინდა გითხრა, — ელისო სკვერში სკამზე ჩამოჯდა და ბიჭი გვერდით მოისვა, — შვილო, შენ ახლა ცხოვრების პირველ საფეხურზე შედექი. აქამდე ბავშვი იყავი და სერიოზული არაფერი მოგეთხოვებოდა, ახლა კი ყოველი ნაბიჯი უნდა აწონო, ყოველი ნაბიჯი უნდა გააანალიზო, რათა შენი გვარი, კაცაძეების ჯილაგი არ შეარცხვინო. პაპაშენს მთელი კოჯორი ხელისგულზე ატარებდა, საცოდავი მამაშენი უბედურმა შემთხვევამ შეიწირა, მათი სული იმ ქვეყნიდან გმფარველობს. ბებიკო, ვიცი, ბევრი რამე გაკლდა, მაგრამ ცხოვრება წინ გაქვს, ყველაფერს მიაღწევ, ოღონდ მთავარი ის არის, მიღწეული სიკეთე დააფასო, მალე არ მოიბეზრო და მის მიმართ გულარხეინად არ განეწყო, თორემ, ისე შემოგეკარგება, თვალის დახამხამებასაც ვერ მოასწრებ, — ქალი მოწყლიანებული თვალებით შეცქეროდა და თმაზე ეფერებოდა.

— კარგი, ისე მეფერები, თითქოს პატარა ვიყო, — თავი გააქნია გელამ.

— გაიგე, რაც გითხარი?

— ყველაფერი გასაგებია, წავედით, — ვაჟი წამოდგა, ბებიას ხელკავი გაუკეთა და წამოაყენა.

როდესაც კოჯორში დაბრუნდნენ, ჭიშკართან მანქანა იდგა.

— უი, მოსულან, — წამოიძახა ელისომ და ფეხს აუჩქარა.

მათი დანახვისას კახა და ლია მანქანიდან გადმოვიდნენ.

— დიდი ხანია, გველოდებით? — იკითხა დიასახლისმა.

— არც ისე, — გაუღიმა კახამ და საბარგულის გასაღებად გაეშურა.

— თბილისში ვიყავით, კოლეჯში საბუთები შევიტანეთ.

— რომელში? — მათკენ შემობრუნდა კახა.

— კოლმეურნეობის მოედანზე გაიხსნა იურიდიული კოლეჯი და იქ, — აუხსნა ელისომ.

— იურიდიულზე? — გაიკვირვა კახამ, — ჩვენი ქვეყანა ამდენ იურისტს ვერასოდეს დაასაქმებს, — დარწმუნებულმა ჩაილაპარაკა და გელას მიუბრუნდა, — შენი სახელი?..

— გელა, — მორცხვად უპასუხა ვაჟმა.

— ჩემო გელა, დამეხმარე, ბარგი შევიტანოთ და მერე დაგელაპარაკები, — საბარგული გახსნა კახამ და ბარგის ამოლაგებას შეუდგა.

— რამდენი ბავშვი გყავთ? — ლიას შეეკითხა ელისო.

— დიანა ოთხი წლისაა, გოგა — ორის, — მიუგო ლიამ და მანქანის სალონიდან დიდი ხელჩანთა ამოიღო, — ახლა ბარგს დავაბინავებთ, საწოლებს თეთრეულს გადავაკრავ და ბავშვებსაც ამოვიყვანთ.

— კი, გენაცვალე, — ჩაილაპარაკა ელისომ, ორი პატარა ჩანთა აიღო და ეზოში შევიდა.

გელამ და კახამ დანარჩენი ბარგი ბინაში აიტანეს, ლიას დავალებით ოთახებში გაანაწილეს და ეზოში ჩავიდნენ. კახამ გელას ხელი გადახვია და ელისოს მიუახლოვდა:

— იურიდიულზე სწავლას, მე გირჩევთ, ჩემი ძმის კოლეჯში, კვების პროდუქტების ტექნოლოგიურზე ჩავაბარებინოთ. ბიჭს სასწავლებელში პატრონი ეყოლება, არაფერი გაუჭირდება. მალე რძის პროდუქტების საწარმოს ვხსნი და სამსახურს ჩემთან დავაწყებინებ, მხარში ამოვუდგები, ყველაფერს ვასწავლი.

— რას ამბობ, შვილო, — გაიოცა ქალმა, — ამ სიკეთეს თუ მიზამ...

ელისოს საუბარი ლიას ხმამ გააწყვეტინა, კახას ეძახდა, მანქანაში ჩანთა დარჩენოდა.

— მე ავუტან, — გელა ადგილს მოსწყდა, თვალის დახამხამებაში ჩანთა დაიხელა და მეორეზე სირბილით ავიდა, — აი, ქალბატონო, ჩანთა მოგიტანეთ, — თვალებში შესცქეროდა ლიას.

— შვილო, კახა, — გელას არყოფნით ისარგებლა დიასახლისმა, — ჩემი შვილიშვილი ობოლი ბიჭია, ხუთი წლის იყო, მამა ავარიაში რომ დაეღუპა, დედა კი რამდენი წელია საბერძნეთშია გადაკარგული. საცოდავი ქალი წელებზე ფეხს იდგამს, ჩვენ რომ შეგვინახოს. თუ უპატრონებ, მადლია, ამაზე კარგს რას გამიკეთებ, შვილო, — ბედნიერი ესაუბრებოდა მდგმურს.

— ხვალვე გამოვიტანთ საბუთებს და ჩემი ძმის სასწავლებელში შევიტანთ, თან ამ კოლეჯში სწავლის ქირას არ გადაახდევინებენ — უცხოელები აფინანსებენ. ნუ დარდობთ, ყველაფერი კარგად იქნება, გელას ფეხზე დაყენებაში დაგეხმარებით.

— დიდება უფალს, — პირჯვარი გადაიწერა ელისომ და სახლში შევიდა. სიხარულისგან გული უფრიალებდა, კატაბალახას წვეთები მონახა, ოცდაათი წვეთი წყალში გააზავა და დალია, სკამი გამოიწია, ჩამოჯდა.

ოთახში გელამ თავი შემოყო:

— ბარგი დააბინავეს და ბავშვების მოსაყვანად წავიდნენ.

— მოდი აქ!

— რა იყო? — გაკვირვებული მიუახლოვდა ბიჭი.

— დაჯექი! — სკამზე ანიშნა ბებიამ, — ეს კაცი ღვთისნიერი ადამიანია, ნორმალურ სასწავლებელში მოგაწყობს და თავისთანაც გამუშავებს.

— სად?

— კვების პროდუქტების ტექნოლოგიურზე.

— მერე?

— სამუშაოდ თავის ფაბრიკაში მოგაწყობს.

— რისი ფაბრიკა აქვს?

— რძის ნაწარმის, — გაღიმებული სიყვარულით მისჩერებოდა შვილიშვილს. — როგორი წინადადებაა?

— გადასარევია, — წამოიძახა გელამ და კმაყოფილებისგან სახე გაებადრა, — მართალი გითხრა, იურისტობა მაინცდამაინც გულზე არ მეხატებოდა.

— ჰოდა, ბებიკო, ეს ადამიანი ღმერთმა გამოგვიგზავნა და ახლა შენ იცი.

— საბუთები თავიდან უნდა შევაგროვო?

— არა, ხვალ წაგიყვანს და ყველაფერს თვითონ მიხედავს.

— კარგია, — ჩაილაპარაკა გელამ და გახარებულმა ელისოს აკოცა.

საღამოხანს კახა ცოლ-შვილთან ერთად კოჯორში დაბრუნდა. როდესაც მანქანა ეზოში შემოაყენა, ელისო შეეგება, ხელში მაწვნის ქილა ეკავა:

— შვილო, ეს ჩემი შედედებული მაწონია, ბავშვებს აჭამე და, თუ მოგეწონათ, ყოველდღე მოგართმევთ. — გაზეთის ფურცლით თავმოკრული ქილა გაუწოდა.

— დიდი მადლობა, — კახამ მაწონი გამოართვა, — გელა დილით, ათი საათისთვის მზად იყოს და თბილისში ერთად წავალთ, — მეორე სართულზე ასასვლელი კიბისკენ გაემართა.

იღბლის ასეთი შემობრუნებისგან გელას თავგზა არეოდა. დასაძინებლად ისე დაწვა, არც უვახშმია. ლიას ხმა, რომელიც ბავშვებს აძინებდა, მეორე სართულიდან მკაფიოდ ესმოდა. მალე ბავშვების ჟრიამული შეწყდა, ქალის ნაბიჯის ხმა მოესმა, ლია მეუღლესთან გავიდა, ტელევიზორის საყურებლად მოკალათებულს გვერდით მიუჯდა. მათი საუბრის გარკვეული ფრაგმენტებიც ესმოდა. ერთ ადგილას გატრუნული, დაძაბული იწვა. ამ ყოფაში ჩაეძინა. დილაუთენია გამოეღვიძა. მისი ყურადღება საწოლის ჭრაჭუნმა, ლიას ვნებიანმა კრუტუნმა და კვნესამ მიიპყრო. გაისუსა, ცოლ-ქმრის სასიყვარულო ურთიერთობას ჟინმორეულმა, ვნებაწაკიდებულმა მიაყურადა, სახე აელეწა, თვალებზე ბინდი გადაკვროდა და მოზღვავებული გრძნობებისგან თავბრუ ეხვეოდა. რამდენიმე წუთში სიჩუმე ჩამოვარდა. გელა რეტდასხმულივით წამოდგა, ზოზინით ჩაიცვა და აბაზანაში შევიდა. ონკანი გახსნა, ცივი წყლის ჭავლს თავი შეუშვირა. ისე ესიამოვნა, თითქოს სხეულზე მოკიდებული ცეცხლი ჩაექროს. პირსახოცი ჩამოხსნა, თმა და სახე შეიმშრალა, ისაუზმა და ეზოში გასულმა ცაცხვის ძირში კახას დაუწყო ლოდინი.

ცოტა ხანში ღია აივანზე კახა გამოჩნდა:

— გელა, მზად ხარ? — ზემოდან გადმოსძახა.

— დიახ, — ვაჟი ფეხზე წამოდგა, — „ნასიამოვნები ჯეელი,“ ირონიულად გაიფიქრა.

კახამ ეზოში ჩამოირბინა. ელისოც გარეთ გამოვიდა, მდგმურს შეეგება:

— დილა მშვიდობისა, შვილო.

— სალამი, — გაუღიმა კახამ, — ქალბატონო, თქვენი მაწონი ბრწყინვალეა, ძალიან მომეწონა. სპეციალური რეცეპტით ხომ არ ამზადებთ?

— არა, — თავი გააქნია ელისომ, — მაწვნის სიკარგე რძეზე და დედაზეა დამოკიდებული.

— როდესაც მაწვნის საამქროს ავამუშავებ, აუცილებლად თქვენს დედას გამოვიყენებ, — კახა მანქანის საჭეს მიუჯდა.

გელამ ჭიშკარი გააღო, მანქანა გააყვანინა, შემდეგ კარი მიხურა და მძღოლის გვერდით, სავარძელზე მოკალათდა. კახამ მანქანა დაძრა, მობილური ამოიღო და ძმასთან დარეკა:

— დათო, მე ვარ, ის ბიჭი მომყავს, გუშინ რომ გელაპარაკე, ჰო, საბუთებს გამოვიტანთ და ნახევარ საათში შენთან ვიქნებით, — აპარატი გათიშა და პერანგის ჯიბეში ჩაიცურა, — გველოდება, — გელას გადაულაპარაკა და სიჩქარეს უმატა.

იურიდიულ კოლეჯში ყველა პრობლემა მოაგვარეს და დათოს სასწავლებლისკენ, დიდუბეში გაემართნენ. შეხვედრისას ძმები ერთმანეთს გადაეხვივნენ.

დათომ საბუთები გადაათვალიერა:

— ყველაფერია, — გელას გადახედა, — გილოცავ, — ხელი ჩამოართვა, — პირველ სექტემბერს გელოდები.

— უკაცრავად, სწავლის საფასური რამდენია? — მორიდებით იკითხა გელამ.

— არაფერი, ჩვენი კოლეჯი უცხოურ გრანტზეა, — აუხსნა დათომ.

— ჯარიდან იცავს?

— კი, სასწავლებელში სამხედრო კათედრაც გვაქვს, — დათომ სიგარეტს მოუკიდა.

ძმებმა ცოტა ხანს ისაუბრეს, შემდეგ ერთმანეთს დაემშვიდობნენ და დათომ სტუმრები დერეფნამდე მიაცილა.

— მოდი, ახლა შენი მომავალი სამსახურიც დავათვალიეროთ. კახამ მანქანა დაქოქა, გეზი დიღმისკენ აიღეს. ფეხბურთელთა საწვრთნელ ბაზასთან შეჩერდნენ.

— აი, ეს შენობაა, — კახამ ორსართულიანი შენობისკენ გაიშვირა ხელი და მანქანიდან გადავიდა.

გელა უკან გაჰყვა, შიგნით შევიდნენ. სარემონტო სამუშაოები დამთავრებული იყო. დიდ დარბაზებში დანადგარების დამონტაჟება მიმდინარეობდა.

მეორე სართულზე ახალგაზრდა მამაკაცი შეეგებათ.

— რეზოს გაუმარჯოს, — მიესალმა კახა, — გაიცანი, ეს ბიჭი ჩვენი მომავალი თანამშრომელია, — მთავარ ინჟინერს წარუდგინა გელა და კაბინეტში შევიდა, — აბა, საქმე როგორ მიდის?

— კარგად, კახა. ასეთი ტემპით თუ გავაგრძელეთ, ორ კვირაში პროდუქციასაც გამოვუშვებთ.

კახა კმაყოფილი ჩანდა:

— კარგია. რეკლამას არ მივხედოთ?

— აუცილებლად, ერთ კვირაში, ალბათ, საჭირო იქნება.

— რძის მოწოდებაზე რამდენ მეურნეობასთან გააფორმე ხელშეკრულება?

— ხუთთან, — მიუგო რეზომ, — მე მგონი, თავიდან საკმარისია, ყველაფერი მაინც რეალიზაციაზეა დამოკიდებული.

ამ დროს მთავარ ინჟინერს ქვემოდან დაუძახეს.

— კარგი, ჩემო რეზო, ჩადი და ჩამოვალ. სარეკლამო აგენტებთან დავრეკავ, მოველაპარაკები, რომ ერთ კვირაში ტელევიზიასა და პრესაში რეკლამა გაუშვან.

რეზო კაბინეტიდან გავიდა.

— ეს კაცი ჩემი მარჯვენა ხელია, ბავშვობის მეგობარი, ერთგული და სანდო ადამიანია, კარგი პროფესიონალი. აბა, შენ რას იზამ, წახვალ სახლში?

— დიახ.

— გზის ფული გაქვს?

— მაქვს, კოჯრამდე ჩავალ, — ვაჟმა ოთახი დატოვა, დერეფანი გაიარა, კიბეზე დაეშვა და ქუჩაში გავიდა. სამარშრუტო

ტაქსით კოლმეურნეობის მოედნამდე მივიდა, იქ კოჯრის მიკროავტობუსში გადაჯდა. შინ მისული ბებიას ყველაფერს წვრილ-წვრილად მოუყვა, ქალი აღტაცებული იყო, ღმერთმა ხელი მოუმართოსო, კახას ლოცავდა.

საღამოს, როდესაც კახა უკან დაბრუნდა, მოხუცი ეზოში მის შესახვედრად გავიდა:

— შვილო, ბავშვი ძალიან კმაყოფილია. რითი გადაგიხადო, აღარ ვიცი, — მადლიერი თვალებით მისჩერებოდა მდგმურს.

— რას ამბობთ, ქალბატონო ელისო, — მხარზე მიეფერა კახა, — ადამიანები ვართ და, თუ ვინმეს სიკეთეს გავუკეთებთ, მეტი რა უნდა ვინატროთ.

ამასობაში სახლიდან გელა გამოვიდა, ბებიამისს მხარში ამოუდგა. ქალმა წინსაფრის ჯიბიდან ასდოლარიანი ამოიღო და კახას გაუწოდა:

— ბინის ქირას აღარ გადაგახდევინებ. ამ ზაფხულსაც და სხვა დროსაც, როცა მოინდომებთ, მაშინ დაისვენეთ. ჩემთვის უმთავრესი გელას გზაზე დაყენებაა, თქვენი თავი ღმერთმა გამოგვიგზავნა, — ელისომ აღარ იცოდა, სიხარული როგორ გამოეხატა.

— არა, — კახამ თავი გააქნია, — მე რასაც ვაკეთებ, იმაში არაფერი მეხარჯება და თქვენ შემოსავალი რატომ უნდა მოგაკლოთ?

— შვილო, მე ეს თანხა გელას სწავლის საფასურად მჭირდებოდა და, რადგანაც უფასო კოლეჯში მოაწყვე, არაფერში მარგია. ასე რომ, ფულს არ ავიღებ, — გაჯიუტდა დიასახლისი, — თუ არ გამომართმევ, მეწყინება.

ქალი მდგმურს იმდენი ეჩიჩინა, სანამ არ დაიყაბულა, გელას ხელკავი გაუკეთა და სახლში შევიდნენ.

— მატრაკვეცა ქალი ხარ! — გესლიანად ჩაიდუდღუნა გელამ.

— რაა? — ელისოს ბედნიერების ღიმილი სახეზე შეეყინა.

— რა და, ფული უკან რატომ დაუბრუნე?! — ხმას აუწია ბიჭმა. — ფეხსაცმელი მე არ მაქვს და ტანსაცმელი, თბილისში ძონძებით ვიარო?!

— რას ამბობ, გელა?! — მოულოდნელობისა და გაოცებისგან მოხუცმა პირი დააღო, — ეგ თანხა ხომ სწავლისთვის გვჭირდებოდა და, თუ კაცმა ხელი ასე მოგვიმართა, ქირა როგორ, რა ნამუსით უნდა გამოვართვათ.

— ნამუსი არა, ისა, — გამწარებულმა გელამ ხელი აიქნია, — სიმდიდრე თავზე გადასდის. მაგათთვის ათასი დოლარი რესტორანში ერთი ქეიფია, — თავის ოთახში შევარდა და კარი მოიჯახუნა.

ელისო უკან მიჰყვა:

— ადამიანის ღირსება ის არის, რომ სიკეთე დააფასოს...

— გამანებე თავი! — კბილებიდან გამოცრა გელამ და ბებიას ისეთი ზიზღიანი მზერა ესროლა, თითქოს ქალს რამე დანაშაული ჩაედინოს.

— შვილო, შენ ასეთი არასდროს ყოფილხარ. ახლა რა მოგივიდა, რა ბუზმა გიკბინა? სრულიად უცნობი ადამიანი შემწედ მოგვევლინა და სირცხვილი არ იქნება, არ დავუნახოთ?!

— გამანებე თავი, შენი დარიგებები ყელში ამომივიდა! — სიბრაზისგან ძარღვებდაბერილ ყელზე თითები გაისვა ბიჭმა.

— ეჰ, შვილო, — ხელი ჩაიქნია მოხუცმა და კარისკენ გაემართა, — ჩემს მეტი ვინ გყავს, შე უბედურო! — ჩაიდუდღუნა და ოთახიდან გავიდა.

გელა მიხვდა, რომ გადაამლაშა, ბებიას გული ატკინა, მაგრამ ფულის დაკარგვას ვერაფრით ინელებდა, გულ-მუცელი ეწვოდა, ნერვულობისგან თავიც ასტკივდა. საწოლს გადასაფარებელი გადააძრო და გაუხდელად მიწვა. ზემოდან ბავშვების ჟრიამული, ცოლ-ქმრის სიცილი ესმოდა, რაც უფრო აღიზიანებდა და ნერვებს უწეწავდა:

— კარგად ცხოვრობთ, არა?! — ღვარძლიანად ჩაილაპარაკა, — სიკეთე გამიკეთა ვითომ! — ირონიულ ღიმილმა სახე მოუბრიცა. — მუშები სჭირდება და ერთ-ერთ ვირად მიმიღებს, თვითონ მილიონებს იშოვნის, მე კი კაპიკებს გადმომიყრის. მაგისი ძმის სასწავლებელში, ოღონდ ვინმემ ახლოს გაიაროს და, ყველას იღებენ. ეს ბებიაჩემი კი დაბერდა და სულ გამო-

პრუტუნდა, ფული როგორ დაუბრუნა, ჩემთვის მაინც ეკითხა, — უკმაყოფილომ თავი გააქნია, — უსმინე ახლა ამათ დალაღებულ ჟღურტულ-ფოფინს, მთელი ზაფხული ცოლი ჩემს თავზე უნდა ჟიმოს და აკრუსუნოს.

ბებიას ხმა შემოესმა, ლიას ეძახდა. ლიამ გამოხედა. ელისომ ეზოში იხმო, მაწონი მიაწოდა, ძილი ნებისა უსურვა და სახლში დაბრუნდა.

— მაგათი პატივისცემა არ დაგავიწყდეს, — გვერდულად მიწვა გელა და თავზე ბალიში დაიფარა, რათა ზემოდან ჩამოსული ხმები აღარ გაეგონა. ფიქრი მოეძალა, — „ზურასაც ხომ უნდა სადმე ჩაბარება, მოდი, ვეტყვი, ისეთ სასწავლებელში მოგაწყობ, სადაც სწავლის საფასური არ გექნება გადასახდელი, თან ჯარიდანაც დაგიცავს-მეთქი. ეს ყველაფერი სამასი დოლარი რომ დავუფასო, არ იძვირებს. აბა, ლამაზი თვალების გულისთვის ზურას ასეთ სასწავლებელში ვინ მიიღებს? კახას დილით სიტუაციას ავუხსნი, ჩემი ძმაკაცია-მეთქი ვეტყვი და ვთხოვ, იქნებ, დამეხმაროს?“ — ამ მოულოდნელ აზრით კმაყოფილი დარჩა, ბალიშიდან თავი ამოყო, — მე თუ არ გავინძერი, ისე არაფერი გამოვა, — წაიჩურჩულა და საწოლიდან წამოხტა. მაგიდის უჯრაში დამალული სიგარეტი აიღო, მოუკიდა და ფანჯარასთან მივიდა, — „მეგობარია, მერე რა? გაიკრას მამამისმა ჯიბეზე ხელი, არაფერი მოუვა, ყვავილებით უამრავი ფული იშოვნა,“ — სიგარეტს ხარბად ეწეოდა, თან აზრებს თავს უყრიდა, — „გაგებით ვერავინაც ვერ გაიგებს, არ დავიწვები. ფულსაც გამოვკრავ ხელს და ზურასაც საქმეს გავუკეთებ. ასეა, ბიძია, ამქვეყნად მუქთა მარტო ყველია სათაგურში,“ — სიგარეტი მოისროლა, გრილი ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა, ტანსაცმელი გაიხადა და საწოლში შეწვა, — შენ ლიას ეთომარე და აკრუსუნე, ჩემს საქმეს მე თვითონ მივხედავ, — კმაყოფილმა ჩაილაპარაკა და თხელი გადასაფარებელი წაიხურა.

ზემოდან ჩამოსული ნაბიჯების ხმამ გამოაღვიძა. გათენებულიყო. საათს შეხედა — ცხრა სრულდებოდა. სწრაფად ჩაიცვა და ოთახიდან გავიდა. ბებია ვერსად ნახა, აბაზანაში პირი

დაიბანა და ეზოში ჩავიდა. ელისო ბოსლიდან მოდიოდა, ხელში რძით სავსე ვედრო ეკავა.

— ბებია, დილა მშვიდობისა, — მოხუცს აკოცა, ვედრო გამოართვა, სამზარეულოში შეიტანა და გაზქურის გვერდით, მაგიდაზე დადგა, — გუშინ სისულელეები გითხარი, არ ვიცი, რა მომივიდა, — თავის გამართლება სცადა.

— შვილო, რა გჭირს, ასეთი აზრი როგორ მოგივიდა?!

— აბა, რა გითხრა? ვერ მოვზომე, — მიუახლოვდა ბებიას და ისევ აკოცა, — შევრიგდეთ, გაბუტვა არ გვინდა, — გაუღიმა.

— გასაბუტი რა გვჭირს, ბებია, მთავარია, შეცდომას მიხვდე და აღარ გაიმეორო.

ამ დროს ეზოში მანქანის ძრავის ხმა გაისმა. გელა გარეთ გავარდა და კახას მიუახლოვდა.

— ბატონო კახა, გამარჯობა.

— გაგიმარჯოს, გელა.

— იცით, რა მინდა, გთხოვოთ, — ვაჟი მთელი ტანით დაიძაბა.

— რა?

— თქვენი ძმის სასწავლებელში ჩემი მეგობარიც რომ ჩავრიცხოთ, შესაძლებელია? ერთად გავიზარდეთ, ძალიან კარგი ბიჭია.

კახამ მობილური ამოიღო, ძმას დაურეკა:

— დათო, მე ვარ. გუშინ შენთან რომ ბიჭი მყავდა, ის მოგიყვანს თავის მეგობარს და მიიღებ? ჰო, ძმაკაცები არიან, სწავლა ერთად უნდათ. როდემდე? კი, ორ დღეში მოასწრებენ და საბუთებს შემოიტანენ. კარგი, საღამოს გნახავ, — გათიშა მობილური, — გელა, საბუთების მიღების ვადა იწურება, ორი დღე გაქვთ, ყველაფერი შეაგროვეთ და დათოს მიუტანეთ, — კახამ მანქანის მინა აწია.

— დიდი მადლობა, — ეზოდან გამავალ მანქანას მიაძახა გელამ, ალაყაფის კარი მიხურა და სახლისკენ გაიქცა. — ბებია, მშია, — ამაღლებულ განწყობაზე მყოფი მაგიდას მიუჯდა, კმაყოფილებისგან ხელები მოიფშვნიტა. ნაჩქარევად ისაუზმა, — მე ზურასთან მივდივარ, — ელისოს გასძახა და გარეთ გავ-

იდა. მეგობრის სახლამდე სირბილით მივიდა, — ზურა, ზურა! — რამდენჯერმე დაუძახა.

— მოდი, გელა.

ბიჭი ეზოში შევიდა:

— ჩამოდი, საქმე მაქვს, — ხელი დაუქნია.

მეგობრებმა ერთმანეთი გადაკოცნეს.

— მოხდა რამე? — იკითხა ზურაბმა.

— ბიჭო, საბუთები კვების პროდუქტების ტექნოლოგიურზე შევიტანე. მშვენიერი კოლეჯია, სწავლა უფასოა, თან ჯარიდანაც იცავს. შენ არ გინდა?

— როგორ არ მინდა, — დაინტერესდა ზურაბი.

— საბუთების შესატანად ვადა ორი დღე გაქვს, შეგროვებას მოასწრებ?

— სურათებიღა დამრჩა გადასაღები, ისე ყველაფერი მზად მაქვს.

— დირექტორს სამასი დოლარი უნდა გადავუხადოთ და ყოველგვარი პრობლემის გარეშე მოგაწყობს.

— სურათებს დღესვე გადავიღებ, საღამოს კი მამაჩემს დაველაპარაკები და პასუხს შეგატყობინებ.

— ბიჭო, ლექციებზე ერთად ვივლით, თბილისში ვისეირნებთ, გოგონებში ვიცელქებთ, გავერთობით...

— ზურაბმა მეგობარს საუბარი გააწყვეტინა: — მამაჩემი ალბათ, უარს არ მეტყვის. დავითანხმებ.

— წავედი, სურათების გადაღება დააჩქარე, — გელა ეზოდან გავიდა და სახლის გზას გაუყვა.

მთელი დღე ადგილს ვერ პოულობდა, ზურას გამოჩენას გულისფანცქალით ელოდა. მისი ხმის გაგონებისას სახლიდან ისე გავარდა, თითქოს იქაურობას ცეცხლი ჰქონდა მოდებული. ღობესთან მდგარ მეგობარს სირბილით მიუახლოვდა:

— რა გადაწყვიტეთ? — აქოშინებულმა იკითხა.

— მამაჩემი თანახმაა, საბუთები ხვალვე შევიტანოთ, მაგრამ, რამდენად სანდოა, ფული ხომ არ დაიკარგება?

— რას ამბობ, ბიჭო! — შეიცხადა გელამ, — საორჭოფო საქმეს შენ როგორ გაგიკეთებ, შენი ხმალი — ჩემი კისერი, ძმები არა ვართ?! ყველაფერი ათიანზე იქნება, — დააიმედა აღელვებული მეგობარი, — ფული მოგცა?

— კი, — თავი დაუქნია ზურაბმა.

— მაშინ ცხრა საათზე გაჩერებასთან შევხვდეთ.

— კარგი, — დაეთანხმა კლასელი, დაემშვიდობა და სახლის გზას გაუყვა.

— გამოვიდა! — აღტაცებულმა წამოიძახა გელამ. წარმატებისგან თავბრუდახვეული ცაცხვის ძირში, ძელსკამზე ჩამოჯდა, — ახლა გემრიელად დავიზმანები, — ტუჩები ისე გაილოკა, თითქოს სანატრელი კერძი ეგემოს.

დილით მეგობრები კოლეჯს მიადგნენ, შენობაში შევიდნენ და მეორე სართულზე დირექტორის კაბინეტთან, დერეფანში შეჩერდნენ.

— საბუთები და ფული მომეცი, — გადაულაპარაკა გელამ.

ზურამ საქაღალდე მიაწოდა, ჯიბიდან სამი ტკიცინა ასდოლარიანი ამოიღო. გელამ ფული მალულად გამოართვა, შარვლის ჯიბეში ჩაიცურა, საქაღალდე იღლიაში ამოიჩარა, კარი შეაღო:

— ქალბატონო, ბატონი დავითი მოსულია? — მდივანს შეეკითხა.

— დიახ, — გაისმა მისაღებიდან.

— შენ აქ მომიცადე, — გადაულაპარაკა ზურაბს და კარებში გაუჩინარდა. რამდენიმე წუთში დერეფანში დაბრუნდა, — საბუთები დაიტოვა, მოწყობას გილოცავ, — მეგობარი გადაკოცნა, — წავიდეთ, — გასასვლელისკენ თავით ანიშნა.

— კი, მაგრამ მე არ უნდა შემოვსულიყავი? — გაკვირვებულმა იკითხა ზურაბმა.

— ბიჭო, ფულს შენი თანდასწრებით ხომ არ აიღებდა?! — გაიოცა გელამ, — საქმე გაკეთებულია, შენ ნურაფერზე დარდობ, ერთ ჯგუფში ვიქნებით, — მეტი დამაჯერებლობისთვის გაიღიმა, — ჰო, მართლა, ფულზე ნურავისთან იტყვი, დირექ-

ტორმა გამაფრთხილა — არავისთან წამოსცდეს, თორემ უსიამოვნებას გადავეყრებიო.

— რაზეა ლაპარაკი. მთავარია, ჩავირიცხე, — უპასუხა ზურაბმა.

ორივენი კოჯორში დაბრუნდნენ. გზის გასაყართან გელა მეგობარს დაემშვიდობა და სახლისკენ გაძუნძულდა. ჯიბეში, რომელშიც სამასი დოლარი ედო, ხელი ჩაეყო და თითებით ეფერებოდა:

— „გამოვიდა, ეს ჩემი პირველი წარმატებაა. მთავარია, მოინდომო, წაიჩალიჩო და ყველაფერს მიაღწევ,“ — უზომოდ ბედნიერი ფიქრობდა და ისე ჩქარა მიდიოდა, თითქოს მისდევდნენ. ერთი სული ჰქონდა, ოთახში შესულიყო, ფული ამოეღო და კარგად დაეთვალიერებინა. ეზოში ლიას და ბავშვებს გადაეყარა. მიუხედავად ამ ქალის მიმართ გაჩენილი სიმპათიისა, იმწუთას ვერც კი შეამჩნია, ანდა როგორ უნდა შეენიშნა, როდესაც გონებაში მარტო ერთი აზრი უბუყბუყებდა. არც სამზარეულოში მოფუსფუსე ელისოსთან შეჩერებულა, შურდულივით ჩაუქროლა, ოთახში შევარდა, კარი მიხურა და ზედ მიეყრდნო. დოლარები ამოიღო, ორივე ხელის საჩვენებელ და ცერა თითებში მოიქცია, კარგად გაჭიმა, ტუჩებთან მიიტანა. კუპიურებს რიგრიგობით კოცნიდა, — როგორ მიყვარხართ, ჩემო ძვირფასებო, ყველაფრის შემძლენო, ჩემო ჯადოქრებო, — ბედნიერი ჩურჩულებდა და კოცნიდა. როდესაც გული იჯერა, მაგიდას მიუსკუპდა, ლამპა აანთო და სამივე ცხვირწინ დაილაგა. ფულმა თითქოს დააჰიპნოზა — დაძაბული, გარინდებული და თვალებდაჭყეტილი დაჰყურებდა, თან ტუჩებზე შეყინული ღიმილი არ შორდებოდა. მერე სამივე კუპიურას აკოცა, მარკების ალბომში ჩადო და უჯრაში ღრმად შეინახა. საწოლზე წამოწვა, — „რა ვთქვა, ტანსაცმელი რითი ვიყიდე-მეთქი? რა მოვიგონო?“ — გონებაში აზრი მოაწვა, — „ვიპოვნე, ჰო, ქუჩაში ეგდო და ვიპოვნე-მეთქი. რა, ფულს არავინ კარგავს? ასეა ეს ცხოვრება, ზოგი კარგავს, ზოგიც პოულობს. კარგი იდეაა, მაგრამ ვიტყვი ასლარიანები ვიპოვნე-მეთქი. ბე-

ბიაჩემმა რამე არ იყნოსოს, თან ჯერ არ გამოვაჩენ, ცოტა დრო გავიდეს და მერე,“ — შვებით ამოისუნთქა, გვერდი იცვალა. ძილი როგორ წამოეპარა, აღარ გაუგია.

— გელა, გაიღვიძე; ეგრე ღრმად რამ ჩაგაძინა? — თავზე ელისო წამოდგომოდა.

— რა იყო? — ბიჭმა თვალი გაახილა.

— ადექი, სადილობის დროა; თანაც ლიას ბავშვების ტყეში გასეირნება უნდა და წაყევი, მარტონი ხომ არ წავლენ.

გელამ ისეთი სახე მიიღო, თითქოს ეზარებოდა, მაგრამ გულში ჩავარდნილ ქალთან სიახლოვეს არაფერი ერჩივნა:

— მე მაგათი ექსკურსიამძღოლი ვარ? — ზლაზვნით წამოდგა.

— შვილო... — რაღაცის თქმა დააპირა ელისომ.

— ვიცი, რაც უნდა მითხრა, — არ დაამთავრებინა შვილიშვილმა, მხრებზე ხელი მოხვია, — წამოდი, ვისადილოთ, — ბებია ოთახიდან გაიყვანა.

ქალმა სამზარეულოს ფანჯრიდან თავი გაყო:

— ლია, შვილო, გელას ვასადილებ და რამდენიმე წუთში წამოგყვებათ.

— კარგი, ქალბატონო ელისო, ველოდებით.

გელამ ჩიხირთმის წვენი შეხვრიპა, ქათმის ხორცი გაგლიჯგამოგლიჯა, ხელ-პირი დაიბანა და მდგმურებთან ერთად ტყისკენ გაეშურა. საუბარ-საუბრით მონასტერს მიადგნენ.

ლიამ პირჯვარი გადაიწერა:

— დიდება შენდა, ღმერთო, დიდება შენდა! — რამდენჯერმე ჩაიჩურჩულა, — სანთლები არ დავანთოთ? — გელას გადახედა.

— როგორც გენებოთ, — უღიმღამოდ მიუგო ვაჟმა.

ლიას მისი უკმაყოფილო მიმიკა არ გამოპარვია:

— გელა, ტაძარში დადიხარ?

— არა, მონათლულიც არ ვარ, — დამნაშავესავით წაიდუდღუნა.

— როგორ, ამხელა ბიჭი რატომ არა ხარ მონათლული? — გაოცება ვერ დამალა ქალმა.

— ჩემს მოსანათლად არავის ეცალა. რაც მამა გარდამეცვალა, უპატრონოდ ვარ დარჩენილი. ოჯახმა თავი როგორ გავიტანოთ, მარტო მაგასღა ვფიქრობთ.

— მე ელისოს დაველაპარაკები. აუცილებლად უნდა მოინათლო!

— არც მინდა და არც სურვილი მაქვს. ღმერთის არსებობის არ მჯერა, ჩემთვის ეს ყველაფერი, უბრალოდ, რიტუალია, რომელსაც ადამიანები ერთმანეთის დასანახად ატარებენ...

— არა, გელა, არა, — ხელი გაასავსავა ლიამ, — ამქვეყნად ყველაფერი ღვთის ნებაა, მის გარეშე არაფერი ხდება.

— ტყუილია! — წამოიძახა ვაჟმა. ნერვული დაძაბულობისგან კისრის ძარღვები დაებერა, სახეზე წითლად დაფოთლა, — ამდენი მშიერ-მწყურვალი, ამდენი ღატაკი, ამდენი ბედის ანაბარა მიგდებული ადამიანი ღვთის ნების შედეგია?! — ხმას აუწია, — აწეწილ-დაწეწილი საქართველო ღვთის ნების შედეგია?!

ქალი პირდაღებული შეყურებდა, მთელ ტანში ჟრუანტელმა დაუარა, მაგრამ ყოველგვარი აღელვების გარეშე მიუგო:

— საქართველო და ქართველები საერთოდ რომ არ გადაშენდნენ, არ აღიგავნენ პირისაგან მიწისა, აი, ეს არის ღვთის ნება, თორემ დანარჩენი ჩვენი, თითოეული ჩვენგანის ბრალია — რაც დავთესეთ, იმას ვიმკით, — მშვიდად გაუღიმა, — წამოდი, სანთლები დავანთოთ. ბავშვებო, მოდით აქ! — ქალ-ვაჟს დაუძახა და გვერდით ამოიყენა.

მონასტრის ეზოში შეაბიჯეს. გელას ნაბიჯის გადადგმა უჭირდა, თითქოს ფეხებში ტყვია ჩაესხათ, ისე დამძიმებოდა ტერფები. რაც უფრო უახლოვდებოდნენ ღვთისმშობლის მიძინების ტაძარს, მხრებზე ისეთი ძალა აწვებოდა, ლამის წაქცეულიყო და მიწაზე პირქვე გართხმულიყო. თავი ასტკივდა, ყურებს ისეთი ბაგაბუგი გაუდიოდა, თითქოს თავში დოლი ჩაედგათ და მონოტონურად უბრახუნებდნენ.

— არა, მე არ შემოვალ! — რომ არ წაქცეულიყო, ხელით ხეს მიეყრდნო, — გარეთ მოგიცდით, — ლიას პასუხს არც დალოდებია, ტაძარს ზურგი აქცია და მონასტრის ეზოდან გაზოზ-

ინდა. ჭიშკარს გასცდა თუ არა, ყველაფერმა გაუარა, შვებით ამოისუნთქა.

გაკვირვებულმა ქალმა თვალით გააცილა, პირჯვარი მექანიკურად გადაიწერა და ბავშვებთან ერთად ტაძარში შევიდა.

ხელებში თავჩარგული გელა ქუჩაში, ბორდიურზე იჯდა. მდგმურები თავს ისე წამოადგნენ, ვერც გაიგო.

— გელა ბიძია, მოვედით, — თმაზე ხელი გადაუსვა დიანამ.

ვაჟმა თავი აწია, გაუღიმა:

— ტყეში წავიდეთ?

— წავიდეთ, — დაეთანხმა გოგონა.

— გელა, როგორ ხარ? — შეეკითხა ლია.

— კარგად, — ისე დამაჯერებლად მიუგო, თითქოს რამდენიმე წუთის წინათ არაფერი მომხდარიყოს.

ლიამ გზადაგზა მშობლების შესახებ გამოჰკითხა, ბიჭის წარსულით დაინტერესდა. გელა თავის ამბავს ისეთ მუქ ფერებში მოუყვა, ისეთი დამწუხრებული ხმით ლაპარაკობდა, ქალს გული დაუმძიმდა, სასაუბრო თემა შეცვალა.

ტყეში ლიამ მწვანე მოლზე გადასაფარებელი გაშალა, ბავშვების სათამაშოები ჩანთიდან ამოალაგა:

— დიანა, გოგა, ახლოს ითამაშეთ, შორს არ წახვიდეთ! — დაუძახა აქეთ-იქეთ მორბენალ პატარებს, თვითონ კი გადასაფარებელზე წამოწვა, ხელები თავსუკან გადაყარა, თვალები დახუჭა, — რა კარგი ჰაერია, — ღრმად ჩაისუნთქა.

შორიახლოს გაჩერებული გელა ქალის უნაკლო სილამაზეს გახევებული მიშტერებოდა. ლიას სხეულის ყველა ასოს თვალებით ნთქავდა. ხან სახის ნაკვთებს უთვალიერებდა, ხანაც ლიფში გამონასკულ მკერდზე უშეშდებოდა მზერა და ტანში სასიამოვნოდ ბურძგლავდა.

სიამოვნებისგან თავბრუდახვეული გოგას ტირილმა გამოაფხიზლა. ლიამაც თვალი გაახილა, უნდოდა, ბიჭუნასთვის შეეხედა, რომ გელას ალეწილი სახე შემოეფეთა. ქალმა თავი უხერხულად იგრძნო, გასწორდა:

— „რა მგელივით მიყურებს,“ — ძალაუნებურად გაიფიქრა, — დედიკო, რამე ხომ არ იტკინე? — წამოდგა და ბალახში წაკოტრიალებული ბიჭუნა ხელში აიტატა, მიწიანი ხელისგულები გაუწმინდა, ჩაეხუტა, — გელა, სახლში წავიდეთ, ბავშვების ძილის დროა.

— დიახ, — გონს საბოლოოდ მოეგო, დიანას ხელი ჩაჰკიდა და სახლისკენ გაემართნენ.

გელამ მდგმურები კიბემდე მიაცილა, დროებითო, მიაძახა და შინ შევიდა. ტახტზე მიწოლილ, მძინარე ელისოს გვერდით ჩაუარა, თავის ოთახში განმარტოვდა, საწერ მაგიდას მიუჯდა, მარკების ალბომი ამოიღო და ასდოლარიანები ამოაძვრინა. კუპიურებს სიყვარულით დააცქერდა, სასწაული ძალის მოზღვავება იგრძნო:

— თქვენ ყოვლისშემძლე ქმნილებები ხართ, — გადაუჩურჩულა და თითები ნაზად გადაუსვა, — ისე ლამაზად გამოიყურებით, როგორც ჩემი მდგმური ლია. ზღვის ქვიშასავით გაგამრავლებთ, ბევრი მეყოლებით, ბევრი, — ისევ მიეფერა, ალბომში სათუთად ჩააწყო. სიგარეტი ამოიღო, ფანჯარასთან მივიდა და გააბოლა. ზემოდან ლიას ნაბიჯების ხმა შემოესმა. რამდენიმე ნაფაზი ზედიზედ დაარტყა, სიგარეტი ეზოში მოისროლა, მარკების ალბომი უჯრაში შეინახა და გარეთ გავიდა. ცაცხვის ძირში, სკამზე ჩამოჯდა. მეორე სართულის აივანზე ლია სარეცხს ფენდა. ვაჟმა თავი ხეს მიაყრდნო და საზაფხულო ხალათმოცმულ ქალს მზერა გაუხევა. მის შემხედვარეს ტანში სასიამოვნოდ ბურძგლავდა და ყურებში ქმრის მკლავებში მოქცეული ლიას ვნებააშლილი კვნესა-ვიში ჩაესმოდა. თვალები მილულა და ოცნებებში ჩაიძირა...

ის დღე იყო და ის, ოღონდაც გელა ლიასთან ახლოს ყოფილიყო, სულ მუდამ ბავშვებთან ტრიალებდა, ეთამაშებოდა, ეალერსებოდა, ასეირნებდა. პატარებიც შეეჩვივნენ, გამუდმებით ეძახდნენ, თავიანთ ოთახში აჰყავდათ და სათამაშოებს უჩვენებდნენ. გელამ ყველასა და ყველაფრის მიმართ ინტერესი დაკარგა. მეგობრები, მათ შორის ზურაც, ხშირად საყვედურობდ-

ნენ, მაგრამ ბიჭი ათას რამეს იმიზეზებდა და უხერხული მდგომარეობიდან თავს იძვრენდა.

ივნისის ბოლოს კახამ თავისი საწარმო აამუშავა. ერთ საღამოს გელა თავისთან იხმო:

— დაჯექი, — სკამი გამოუწია და ღია აივანზე გვერდით მოისვა.

— დიახ, — ვაჟი სმენად იქცა.

— გელა, რძის კომბინატი ავამუშავეთ. ჩემთან მუშაობა ხომ არ გადაგიფიქრებია?

— რა თქმა უნდა, არა, — არც დაფიქრებულა, ისე უპასუხა გელამ.

— მაწვნის საამქროში მუშად გაგაფორმებ, საქმეში ნელ-ნელა გაერკვევი, სექტემბრიდან სწავლასაც დაიწყებ, ცოდნას გაიღრმავებ, წარმოების ნიუანსებს დაეუფლები და მეც დაგაწინაურებ. კარგი ბიჭი ხარ და მინდა, რასაც შევძლებ, ხელი გაგიმართო. — მშვიდად ესაუბრებოდა კახა.

— არ დაგაღალატებთ, ბატონო კახა, ჩემი იმედი იქონიეთ.

— კარგი, გადავწყვიტეთ. ხვალ თბილისში წამომყევი, თან პირადობის მოწმობა იქონიე.

— დიახ, — გახარებული გელა კიბეზე დაეშვა.

II

მაწვნის საამქრო ვეება დარბაზში განეთავსებინათ. ისეთი სისუფთავე იყო, იქაურობა ბზინავდა. სამ უზარმაზარ ქვაბში სპეციალური მილებით რძეს ასხამდნენ და მაწვნის დედასა და სხვა კომპონენტებს ამატებდნენ. მიღებულ ხსნარს დიდი მიქსერით რამდენიმე წუთს ურევდნენ, ორი-სამი საათი ასე აჩერებდნენ, შემდეგ ქვაბების შიგთავსი კონვეიერზე ჩამწკრივებულ პლასტმასის ქილებში ისხმებოდა, იხუფებოდა და იარლიყმიწებებულს კონტეინერებში ხელით აწყობდნენ. ყოველ კონტეინერს მაცივრებში ერთმანეთზე აკოკოლავებდნენ.

მეორე დილით მაწონი მზად იყო. მთელი პროდუქცია სატვირთო მანქანებით სარეალიზაციო პუნქტებში ნაწილდებოდა.

კახამ გელა საამქროს უფროსს, ბიძინას ჩააბარა და სთხოვა, ბიჭისთვის მიეხედა. ბიძინა ორმოცდაათს გადაცილებული კაცი იყო. კომუნისტების დროს „თბილრძეში“ მუშაობდა და საკმაოდ კარგ სპეციალისტად მიიჩნევდნენ. ერთადერთი ვაჟიშვილი აფხაზეთის ომში დაეღუპა. შვილდაკარგულ მამას დარდისა და სულიერი ტკივილისგან თმა თოვლივით გათეთრებოდა. ისეთი ნაღვლიანი, დაბეჩავებული მზერა ჰქონდა, რომ თვალებში შეხედვას ყველა ერიდებოდა. ძალიან ცოტას ლაპარაკობდა, თუ რამეს იტყოდა, ისეთ როხროხა ხმას ამოუშვებდა, დანადგარების გრუხუნი ჩურჩულად მოგეჩვენებოდათ.

საამქროში ორცვლიანი სამუშაო იყო. აქ გელას გარდა ხუთი ქალი მუშაობდა. სამი მათგანი ერთ ცვლაში იყო, დანარჩენი ორი, გელასთან ერთად, შემდეგ დღეს ენაცვლებოდა. ასე რომ, გელას სამსახურში დღეგამოშვებით უწევდა სიარული, ხელფასი სამას ორმოცდაათი ლარი დაუნიშნეს.

ბიძინა გელას მიმართ დიდ ყურადღებას იჩენდა. საქმის ირგვლივ ყველაფერი ზედმიწევნით საფუძვლიანად აუხსნა და შეასწავლა. ვაჟი საამქროს უფროსის დარიგებას გულისყურით ეკიდებოდა და სულ რაღაც ერთ თვეში აქ თავს ისე გრძნობდა, როგორც თევზი წყალში.

გელას თავისი ცვლის ქალებთან ურთიერთობის გაბმა არ გასჭირვებია. შედარებით ასაკოვანს ეთერი ერქვა, ახალგაზრდას — ნატო. ცხადია, მეტ ინტერესს ნატოს მიმართ იჩენდა, ქალის ასაკისა და კოხტა გარეგნობის გამო.

ერთხელ სამსახურში დილით ადრე მოუწია მისვლა. ცარიელ საამქროში ტრიალს დაცვის ბიჭებთან საუბარი არჩია და ჰოლში შეყოვნდა. ქუჩაში შენობისკენ მომავალი ნატო დალანდა. ქალს ყვავილებიანი მოკლე სარაფანი ეცვა. მოხდენილ ფეხებს ჭრელი სანდლები უმშვენებდა. წაბლისფერი თმა ლამაზად დაევარცხნა. ჰოლში შემოვიდა, გასახდელში საკიდიდან ხალათი ჩამოხსნა, ჩაიცვა და საამქროსკენ გაემართა.

— თეთრი ხალათი როგორ გიხდება, ექიმი მგონიხარ, — შეეგება გელა.

ნატომ გაბრწყინებული მწვანე თვალებით შეხედა, გაუღიმა და გზა განაგრძო.

— ექიმობა ძალიან მოგიხდებოდა — წამოეწია გელა.

— ექიმობის რა გითხრა, მაგრამ მუსიკოსი ვარ. ამ ცხოვრებას რა ვუთხარი, თორემ აქ რა მინდოდა, — ხელი ჩაიქნია ქალმა.

— მუსიკოსი? — გაკვირვებულმა ჰკითხა გელამ.

— ჰო, კონსერვატორია, ფორტეპიანოს კლასი მაქვს დამთავრებული.

— დღეს განსაკუთრებით სიმპათიური ხარ, — თემა შეცვალა ვაჟმა და ქალი თხემიდან ტერფამდე კიდევ ერთხელ შეათვალიერა.

— მიზეზიც მაქვს, — დერეფანში შეჩერდა და გაღიმებულმა მიუგო, — იუბილარი ვარ, ოცდათორმეტის გავხდი.

— „აუ, რა ბებერია," — გონებაში გაუელვა გელას, მაგრამ არაფერი შეიმჩნია, — გილოცავ, მრავალს დაესწარი. არ ვიცოდი, თორემ ხელცარიელი ნამდვილად არ დაგხვდებოდი. საჩუქარი ჩემზე იყოს.

— სამსახურის შემდეგ ჩემთან გეპატიჟები, ოღონდ ბიძინასთან და ეთერისთან არაფერი წამოგცდეს, მარტო ჩემი დაქალები მეყოლება, დიდი რია-რიას თავი არა მაქვს.

— რაზეა საუბარი, — საამქროს კარი შეუღო გელამ.

ცოტა ხანში ეთერიც გამოჩნდა. გელას ინიციატივით სამივე ქვაბი რძით გაავსეს, კედელთან მიდგმულ გრძელ სკამზე ჩამოსხდნენ და საამქროს უფროსს, ბიძინას დაუწყეს ლოდინი. ის რატომღაც იგვიანებდა, არადა, ბიძინას გარეშე რძეში მაწვნის შესადედებელი კომპონენტების შეზავების უფლება არ ჰქონდათ. თითქმის ერთსაათიანი ლოდინის შემდეგ გამოჩნდა.

— გამარჯობა, — თანამშრომლებს მსხვილი ხმით მიესალმა, — ქვაბებში რძე ჩაასხით! — განკარგულება გასცა, თვითონ კი სკამზე მძიმედ დაეშვა.

— სამივე სავსეა, — უპასუხა გელამ და მიუახლოვდა, — ცუდად ხომ არ ხართ?

— თავი მტკივა, — მიუგო მამაკაცმა და პირიდან ნაბახუსევის საშინელი მხუთრი სუნი ამოუშვა.

გელას სახე მოებრიცა, აღარაფერი უპასუხია, რამდენიმე ნაბიჯით უკან გაიწია.

— რძის ჩასხმის შემდეგ რა დრო გავიდა? — ბიძინა საფეთქლებს თითებით იზელდა.

— დაახლოებით ერთი საათი, — სკამიდან წამოდგა ეთერი.

— ბევრია, ამ სიცხეში რძე არ გაგვიფუჭდეს, — ბიძინა მაცივარს გაჭირვებით მიუახლოვდა, რამდენიმე ქილა გამოიღო და შიგთავსი სპეციალური მენზურით ქვაბებში გადაანაწილა, — გელა, მიქსერები ჩართე! — დრო დაინიშნა, მძიმე ნაბიჯით სკამთან მივიდა, ჩამოჯდა და თავი მაგიდაზე ჩამოდო.

მიქსერების ხმაურმა იქაურობა გააყრუა. გელა ქალებს მიუახლოვდა.

— რა სჭირს? — ეთერმა საამქროს უფროსისკენ თავით ანიშნა.

— მე მგონი, მთვრალია.

— მთვრალი? — გაიკვირვა ნატომ.

— ჰო, — თავი დაუქნია გელამ და გვერდით მიუჯდა.

— ამ ადრიანად სად მოასწრო? — წამოდგა ეთერი და კონვეიერში პლასტმასის ქილების ჩაწყობას შეუდგა.

თხუთმეტ წუთში გელამ მიქსერები გამორთო. საამქროში სიჩუმემ დაისადგურა. მაგიდაზე თავჩამოდებულ ბიძინას ჩასძინებოდა. ძილში პერიოდულად ისე ამოიოხრებდა, თითქოს გული ამოაყოლაო. მამაკაცს სამივე თანამშრომელი დაძაბული შეჰყურებდა. ორი საათის შემდეგ ეთერმა გამოაღვიძა:

— ბატონო ბიძინა, ქილებში ჩასხმა დავიწყოთ?

— ჰო, ჰო, — ნამძინარევმა მამაკაცმა თავი დაუქნია.

— წნევა ხომ არ გაქვთ? — შეწუხებული შეაჩერდა ქალი.

— ეჰ, ჩემო ეთერ, გუშინ ჩემი ბიჭის დაღუპვის დღე იყო... წნევა კი არა, ცოცხალი რატომ ვარ, — ბიძინა წამოდგა და სიგარეტის მოსაწევად დერეფნისკენ გაემართა.

ეთერს აღარაფერი უპასუხია, დარდით სავსე კაცს ჩუმად გამოეცალა, კონვეიერის სტარტის ღილაკი ჩართო და საქმეს შეუდგა. როდესაც სავსე ქილები მაცივარში დააბინავეს, გელა საამქროდან გამოვიდა და მეორე სართულზე, კახას კაბინეტისკენ გაემართა. მისაღების კარი უკითხავად შეაღო. შიგნით მდივანი არ დახვედრია. დირექტორის კაბინეტიდან ქალის სიცილის ხმა ისმოდა. ვაჟმა დააკაკუნა. სიცილი შეწყდა.

— მობრძანდით, — გაისმა დირექტორის ხმა.

— შეიძლება, ბატონო კახა? — გელამ ოთახში შეაბიჯა.

— მოდი, გელა, — სავარძელზე გასწორდა კახა, — რაზე შეწუხებულხარ?

დირექტორის წინ მდივანი ქალი, მანანა იჯდა. მაგიდაზე ორი ყავის ფინჯანი იდგა.

— „ერთმანეთს ეკურკურებით?“ — გაიფიქრა ვაჟმა, — ბატონო კახა, თუ შეიძლება ლიასთან დარეკეთ და უთხარით, ბებიაჩემს გადასცეს, რომ მეგობრის დაბადების დღეზე მივდივარ და ცოტა შემაგვიანდება, არ ინერვიულოს.

კახამ მაგიდიდან მობილური აიღო, ნომერი აკრიფა და გელას მიაწოდა:

— შენ თვითონ უთხარი, — ყავა მოსვა.

გელა მობილურის ეკრანზე დაწერილ ნომერს დააკვირდა.

— გისმენ, კახა, — გაისმა ლიას ხმა.

სასურველი ქალის ხმის გაგონებაზე ვაჟს ტანში გასცრა:

— ქალბატონო ლია, გელა ვარ.

— გელა? — თავიდან ვერ გაერკვია ლია.

— დიახ, გელა...

— ააა, — წამოიძახა ქალმა, — გისმენ.

— ქალბატონო ლია, ბებიას გადაეცით, დღეს შემაგვიანდება და არ ინერვიულოს.

— კარგი, გელა.

სანამ ტელეფონს გათიშავდა, ნომერს კიდევ დახედა:

— დიდი მადლობა, ბატონო კახა, — გამორთო მობილური და გაუწოდა.

— არაფერს, ბევრი არ დალიო, — ღიმილით მიუგო დირექტორმა.

გელა კაბინეტიდან გამოვიდა, მისაღებში მდივნის ცარიელ მაგიდას მიუახლოვდა, ფურცელი და კალამი აიღო და ლიას მობილურის ნომერი ჩაიწერა. ქაღალდი რამდენჯერმე გადაკეცა, ხალათი გაიწია და შარვლის უკანა ჯიბეში ჩაიცურა. საამქროში დაბრუნდა. ეთერმა აუწყა, რომ ხელფასები იყო და ბუღალტერი გელოდებაო.

— პირველი ხელფასი, — გახარებულმა წამოიძახა და სწრაფი ნაბიჯით ბუღალტერიისკენ გაემართა. როდესაც რიგმა უწია, სარკმელში თავი შეყო, — მაწვნის საამქრო, კაცაძე, — აუხსნა მოლარეს.

ქალმა უწყისი მიაწოდა. გელამ, სანამ თავის გვარს მონახავდა, ფურცელს თვალი გადაავლო. ბიძინას ათას ორასი ლარი ჰქონდა გამოწერილი, დანარჩენებს — სამას ორმოცდაათ-სამას ორმოცდაათი.

— „შეხედე, ამ ლოთბაზარას რამხელა ხელფასი ჰქონია," — ხარბი თვალით დააცქერდა საამქროს უფროსის გრაფას და თავისი გვარის გასწვრივ ისეთმა გამწარებულმა მოაწერა ხელი, თითქოს მისთვის რამე წაერთმიათ. ფული იქვე გადათვალა და საამქროში დაბრუნდა. ბიძინა იქ აღარ დახვედრია, ქალები ერთმანეთს ესაუბრებოდნენ.

— ჩვენი უფროსის დღევანდელი მდგომარეობის მიზეზი გაიგე? — შეეკითხა ნატო.

— არა, — გელამ თავი გააქნია.

— გუშინ მაგისი შვილის გარდაცვალების დღე ყოფილა, — ნაღვლიანად აუხსნა ქალმა.

— ჰოი, — ვაჟმა ამოძახილით გაიზიარა ბიძინას მდგომარეობა, — სამუშაო მოვრჩით, არ წავიდეთ? — სკამზე გუგულებივით მიმსხდარ ქალებს გადახედა.

— წავიდეთ, წავიდეთ, — დაეთანხმნენ თანამშრომლები და საამქროდან გამოვიდნენ.

ნატო და გელა ავტობუსის გაჩერებისკენ ტროტუარს ერთად გაუყვნენ.

— ახლა ექვსია, რვისთვის გელოდები, — იუბილარმა მათკენ მომავალი ავტობუსი შენიშნა.

— მისამართი მითხარი.

— ჰო, მართლა, — წამოიძახა ნატომ, ჩანთა გახსნა, ბლოკნოტიდან ცარიელი გვერდი ამოხია, ზედ მისამართი დაწერა და გელას მიაწოდა.

— გლდანის მასივი, მესამე მიკრორაიონი, მეხუთე კორპუსი, ბინა ორას ცხრამეტი, — მისამართი ხმამაღლა გადაიკითხა გელამ.

— არ დაიგვიანო, — ავტობუსის კიბიდან მოაძახა ნატომ.

— არა, არ დავიგვიანებ, — გელამ „დინამოს“ სტადიონისკენ მიმავალ სამარშრუტო ტაქსის ხელი დაუქნია. როდესაც მიკროავტობუსში ჩაჯდა, ფანჯრიდან კახა შეამჩნია. დირექტორს გვერდით მდივანი ქალი ეჯდა, რაღაცას ელაპარაკებოდა, თან ხელს იშველიებდა. — „ამ ვაჟბატონს დამიხედეთ, არაფერს იკლებს!“ — გაიფიქრა და სწრაფად მიმავალ „ბე.ემ.ვეს“ თვალი გააყოლა, — „ამ ნიანგში გაცვალე, ლია?“ — მოღალატე ქმრის ხელში ჩავარდნილი ლიას საცოდაობით გულ-მუცელი ამოეწვა, თან, სამსახურის გადამკიდე, ყოველდღე რომ ვეღარ ხვდებოდა, საშინლად განიცდიდა, — „არ ხარ შენ ლიას ღირსი!“ — გამწარებულმა თავი გააქნია. შემდეგ მისი გონება საამქროს უფროსზე გადაერთო, — „ეგ კაცი ასე თუ მიუშვეს, იქაურობას დააქცევს. ვიღაცა ლოთს ამხელა ხელფასს რაში უხდიან?“ — სტადიონთან ჩამოვიდა და ბაზრობისკენ გაემართა, — „ამ ნატოს კიდევ რა ვუყიდო? მე მგონი, საათი არ უკეთია, ჰოდა, საათს დავითრევ,“ — დახლებს გაუყვა და საათების გამყიდველთან შეჩერდა. არჩევანის მრავალფეროვნება თვალს ჭრიდა, ვერც ერთი ვერ შეიგულა.

— როგორ საათს ეძებ? — ჰკითხა გამყიდველმა.

— ქალისას, — ისე უპასუხა გელამ, რომ დახლისთვის თვალი არ მოუშორებია.

— აქეთ ძვირიანი საქონელია, — მამაკაცმა საათებს ხელი მოატარა.

— რა ღირებულებისაა?

— ორმოცდაათი ლარიდან და ზემოთ.

— ოჰ, ასეთი არ მინდა. იაფიანი რა გაქვთ?

— იაფიანი საათები ქვედა რიგშია.

გელამ არჩია, არჩია, გამყიდველს ბევრიც ევაჭრა და ბოლოს ოთხ ლარად შეიძინა:

— „საკმარისია, მეტი არ ეკუთვნის," — სექციას გასცდა და თავისთვის ფეხსაცმელების თვალიერებასა და ფასებში გათვითცნობიერებას შეუდგა. რაც მოსწონდა, ყველა უსაშველოდ ძვირი ეჩვენებოდა. ფეხსაცმელებიდან შარვლებზე გადავიდა, შემდეგ პერანგები დააფასებინა. ყველაზე მეტი დრო მობილურებთან დაჰყო და ბაზრობიდან ისეთ ხასიათზე გამოვიდა, დანა პირს არ უხსნიდა, — ნამუსი სულ დაკარგეს, ყველაფერს კატასტროფული ფასი აქვს. ოჰ, თქვენი! — მეტროში ბურდღუნით შევიდა და გლდანისკენ მიმავალ მატარებელს გაჰყვა. კითხვა-კითხვით ნატოს კორპუსს მიადგა, ბინაც ადვილად იპოვნა. შესასვლელი კარიდან ქალების სიცილი და ხმამაღალი ლაპარაკი მოესმა, ზარი დარეკა. სტუმარს იუბილარი შეეგება.

— მოხვედი? — გაუღიმა და დიდი ხნის ნაცნობივით გადაკოცნა, — შემოდი, — ბინაში შეიპატიჟა.

— ეს შენ, დაბადების დღეს გილოცავ, — ნატოს საჩუქარი გაუწოდა.

— დედაა, რა კარგი საათია, როგორ მომწონს, — გოგონამ ისევ აკოცა.

— „ვერ არის მატორზე, რა აქვს ამ საათს კარგი, ან რა კოცნა აუტყდა?" სახეზე ღიმილი მოირგო და სასტუმრო ოთახში შეჰყვა.

— გოგოებო, ეს ჩემი თანამშრომელი გელაა, — ნატომ თავის სამ დაქალს ვაჟი წარუდგინა.

გელა სავარძელზე მოკალათდა, ოთახს თვალი მოატარა, შემდეგ ნატოს მეგობრები შეათვალიერა. იგი ასეთ სიტუა-

ციაში არასოდეს ყოფილა, ამის გამო თავს მეტად უხერხულად გრძნობდა, გაქვავებულივით იჯდა და, პირში თითქოს ცხელი კარტოფილი ედო, ხმას არ იღებდა.

— მეტს არავის ველოდებით, დავსხდეთ, — სამზარეულოდან იუბილარი გამოვიდა, ხელში თეფში ეკავა, რომელზეც ახლად გამომცხვარი, ცხელ-ცხელი ხაჭაპური ეწყო.

მაგიდას მიუსხდნენ. ნატო მასპინძლის ამპლუაში მეტად აქტიურობდა, სტუმრებს ხან ერთ კერძს სთავაზობდა, ხან მეორეს, შემდეგ ლიქიორი ჩამოასხა:

— გოგოებო, გელას გაუმარჯოს, კარგი დრო გაგვატარებინოს.

თამადა ყველამ ადღეგრძელა. ვაჟი შეიშმუშნა, მისთვის ეს იმდენად უცხო ხილი იყო, რომ დაძაბულობისგან ოფლმა დაასხა. თავს ძალა დაატანა, გაიღიმა, ლიქიორიანი სირჩა ასწია, სადღეგრძელოს თქმა დააპირა, მაგრამ ნატომ შეაჩერა:

— არაყიც მაქვს, ის ხომ არ გირჩევნია?

— აბა რა, კაცური დასალევი ჯობია, — თამადას სახეზე ღიმილი ნიღაბივით აკვროდა.

თავისი ცხრამეტი წლის განმავლობაში ერთი-ორჯერ რამდენიმე ჭიქა ღვინო ჰქონდა დალეული, ისიც მაინცდამაინც არ ეპიტნავებოდა. არაყზე და მისი ზემოქმედების უნარზე საერთოდ წარმოდგენა არ ჰქონდა, თამადობის გამოცდილებაზე რომ არაფერი ვთქვათ. პირველი სადღეგრძელო ნატოს მიუძღვნა, ერთი თვის ნაცნობობის შესახებ ბევრი ისაუბრა, ქალი ისე დაახასიათა, უფრო ანგელოზი გეგონებოდათ და არაყით სავსე სირჩა მოიყუდა. ორნახადმა ჭაჭამ ყელი ისე ჩაუწვა, თითქოს ცეცხლმოკიდებული ნავთი დაელიოს, ამოსუნთქვა გაუჭირდა, ლიმონათი მიაყოლა, ყელი ჩაიწმინდა. ხაჭაპურის ნაჭერი გადმოიღო, ჩაკბიჩა. როგორც იქნა, სული მოითქვა და მასპინძელს ტუჩები ყურთან მიუტანა, — შენზე არაფერი ვიცი, იქით გავიდეთ, ორი სიტყვით მითხარი, თორემ შემდეგ სადღეგრძელოებს თქმა ხომ უნდა, — ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო, მოუკიდა.

— გოგოებო, ახლავე მოვალთ, — ნატომ თამადა სამზარეულოში გაიყვანა, — ჩემი მშობლები კასპში ცხოვრობენ, ჩემი გოგონაც იმათთან არის.

— ვინ? — გააწყვეტინა გელამ.

— ჰო, გათხოვილი ვიყავი. ერთი წელია, რაც გავშორდით, მყავს სამი წლის ქალიშვილი მზია, ასევე უფროსი დაც მყავს, რომელიც საზღვარგარეთ მუშაობს. ეგ არის და ეგ, დანარჩენს სუფრასთან გეტყვი, თორემ გოგოები მოიწყენენ.

— „შეხედე ამას, რამდენი მოუსწრია," — გელამ სიგარეტი ჩააქრო და შემდეგი სადღეგრძელოსთვის არაყი შეივსო. ნატოს მშობლები, ასეთი კარგი შვილის გაზრდისთვის, აქო და ადიდა. სასმისის შიგთავსი ერთ ყლუპად შესვა. ყელი ისევ ჩაეწვა, არაფერი შეიმჩნია, ლიმონათი მიაყოლა და სიგარეტის ახალ ღერს მოუკიდა.

ნატო პიანინოსთან გადაჯდა:

— რა დავუკრა? — იკითხა.

— რამე ვალსი, — უპასუხეს დაქალებმა.

იუბილარმა ინსტრუმენტზე შტრაუსი ააჟღერა. გელას გვერდით მჯდომმა ქალმა ცეკვა შესთავაზა. ვაჟს უარი არ უთქვამს, წამოდგა, მეწყვილე შუა ოთახში გაიყვანა, წელზე ხელები მოხვია და ისე, როგორც ტელევიზორში ჰქონდა ნანახი, ცეკვა დაიწყო. თავბრუსხვევა იგრძნო, მაქსიმალურად შეეცადა, თავი ხელში აეყვანა, ცეკვა გაჭირვებით ჩაამთავრა და სასწრაფოდ თავის სკამს დაუბრუნდა. ნატომაც შეწყვიტა დაკვრა და თამადას მიუახლოვდა:

— ფერი დაკარგე, ცუდად ხომ არ ხარ? — ყურში ჩასჩურჩულა.

— არა, რას ამბობ, — შეიცხადა ვაჟმა, — უბრალოდ, გადაღლილი ვარ. — სასმისი ახალი სადღეგრძელოსთვის შეავსო და ნატოს პატარა გოგონას დღეგრძელობისა შესვა. კიდევ რამდენიმე სირჩამ მოუწია, შემდეგ სტუმრები წამოიშალნენ. იუბილარი პიანინოს მიუჯდა. გელა სავარძელში ჩაეშვა. მთელ სხეულში ძალა გამოცლოდა, თვალის გახელის თავიც არ ჰქონ-

და, მისავათებული გაუნძრევლად ეგდო. გონება ჩვეულებრივად მუშაობდა, სმენითაც ყველაფერი ესმოდა, მაგრამ განძრევის თავი არ ჰქონდა.

შეწუხებული ნატო გვერდით მიუცუცქდა:

— გელა, გელა! — რამდენჯერმე შეანჯღრია.

— ჰა? — შიგადაშიგ პასუხად წამოიძახებდა ხოლმე ვაჟი.

— გოგო, ეგ რა სამჭიქიანი თამადა მოგვიყვანე, — იუბილარს მიმართა სიცილისგან ჩაბჟირებულმა დაქალმა, — რომ იძახი მომწონსო, კარგი ბიჭი ჩანს, მაგრამ სუფრის ხელმძღვანელობაში ორიანს ვუწერთ.

— ჩჩჩ! — ტუჩებზე თითი აიფარა ნატომ.

გოგონებმა ცოტა ხანს კიდევ იხმაურეს, იცეკვეს, ნამცხვარი მიირთვეს და მასპინძელს დაემშვიდობნენ. ნატომ მეგობრები გააცილა, სასტუმრო ოთახში ვენტილატორი გამოიტანა, ჩართო და ღონემიხდილი გელასკენ მიმართა, თვითონ კი სუფრის ალაგებას შეუდგა. ჰაერის ცივმა ჭავლმა თავისი ქნა და ორ საათში ვაჟი ამქვეყნად მოაბრუნა. თვალი გაახილა, ჩაბნელებულ ოთახში მიმოიხედა, აღიდგინა, რომ ნატოსთან სახლში იმყოფებოდა. სამზარეულოდან ჭურჭლის რეცხვისა და წკრიალის ხმა შემოესმა.

— ნატო! — გასძახა დიასახლისს.

— მოვდივარ, გელა, — ნატო წინსაფარზე ხელების მშრალებით სამზარეულოდან გამოვიდა, სინათლე აანთო და დივანზე წინ ჩამოუჯდა, — მდგომარეობიდან გამოხვედი?

— რა საშინელება იყო, თავი გამისკდა, — გაჭირვებით ამოღერღა გელამ.

— მამაჩემის გამოხდილი არაყია, ვიცი, რომ სუფთაა და, შენზე ასე რატომ იმოქმედა, ვერ გამიგია.

— არაყი ცხოვრებაში პირველად დავლიე, სკოლის დამთავრების შემდეგ რამდენჯერმე ღვინის გასინჯვამ მომიწია... — ლუღლუღებდა ვაჟი.

— კი, მაგრამ სკოლა როდის დაამთავრე? — ცოტა არ იყოს, გაკვირვებით იკითხა იუბილარმა.

— შარშან.

— რამდენი წლის ხარ? — გაოცებისგან თვალები გაუფართოვდა ნატოს.

— ცხრამეტის, ოცის სექტემბერში ვხდები.

— არ მჯერა, — ნატომ სიგარეტს მოუკიდა.

— „ვისაც გვჯერა, გაგვატარეთ," — მექანიკურად გაუელვა გელას, — კაცი ვკვდები, ახლა ამას უმტკიცე რამდენი წლის ვარ, ან რაში აინტერესებს, ნაღდად ვერ არის მატორზე.

— ისეთი გარეგნობა გაქვს, ოცდაათი წლის მაინც მეგონე, ცხრამეტ წელს ნამდვილად არავინ მოგცემს, — ჩაუწვავი სიგარეტი საფერფლეზე ჩამოდო, — ერთსაც დაგისხამ, უფრო გიშველის, — წამოხტა და სამზარეულოსკენ სწრაფი ნაბიჯით გაეშურა.

— არა, არ გინდა, — სიტყვა კი დააწია გელამ, მაგრამ უშედეგოდ, — „აჰა, ხომ ვამბობდი, ვერ არის-მეთქი".

ქალი პატარა ლანგრით ხელში დაბრუნდა, სტუმარს სავარძლის წინ, ჟურნალების მაგიდაზე დაუდო. არაყიანი სირჩის დანახვაზე გელას ტანში გასცრა:

— მომკლავს, — სახე დაეღმიჯა.

— არა, რას ამბობ, დამიჯერე, დალიე, — ნატომ სასმისი მიაწოდა.

გელამ გმირობის ტოლფასი მოქმედება ჩაიდინა, სირჩა გამოართვა, ერთი ღრმად ჩაისუნთქა, თვალები დახუჭა და გადაკრა. ამოსუნთქული არ ჰქონდა, ლიმონათი მიაყოლა, ყელი ჩაიწმინდა და გაიღიმა:

— წავიდა, ხომ იცი, — სიტყვებს ჰაერი ამოაყოლა, სიგარეტს მოუკიდა. საათს დახედა, — უი, რა დრო გასულა, პირველის ნახევარია, — წამოსადგომად წამოიწია.

— ამ შუაღამეს კოჯორში რითი ახვალ? — ნატომ მაჯაში ხელი ჩაავლო, ისევ დასვა.

— ტაქსით.

— დარჩი, — თვალებში შეაშტერდა იუბილარი.

— უხერხულია, თან ბებიას შეეშინდება, ინერვიულებს, — მიუგო გელამ, — „იდიოტი ვარ, რას ვჩქარობ?!“ — საკუთარი თავი გონებაში დატუქსა.

— მარტონი ვართ, უხერხული ვისთან უნდა იყოს, მაგრამ, ბებია თუ ინერვიულებს... — სიტყვა გაუგრძელდა ნატოს, თან თვალს არ აშორებდა, დაძაბულობისგან ლოყებიც შეუწითლდა.

გელა წინ გადაიხარა, მუხლისთავზე ხელი დაადო:

— „გოგოების პირით გავიგე, რომ მოვწონვარ, ესე იგი, დამითრევია და ეგ არის. დღეს მაგისი დაბადების დღეა თუ ჩემი, ვერ გამიგია,“ — გაიფიქრა. — ნატო, მართალი გითხრა, მთელი თვე გაკვირდები, გსწავლობ და ძალიან მომწონხარ, — სიტუაციით ისარგებლა და ქალს მოეხვია.

— მეც, გელა, მაგრამ, ასეთი პატარა თუ იყავი, ნამდვილად არ მეგონა, — ნაღვლიანად უპასუხა ნატომ.

ვაჟი წამოდგა, დიასახლისი წამოაყენა, მთელი ძალით ჩაიკრა და ყურში ჩასჩურჩულა:

— ასაკს რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია, რომ ერთმანეთი მოგვწონს. დღეს წავალ კოჯორში, ხვალ დასვენების დღე გვაქვს და, თუ მიმიღებ, გესტუმრები, — ქალი განიზიდა და თვალებში ჩააშტერდა.

— კარგი, ეგრე იყოს. რომელი საათისთვის გელოდო?

— თორმეტზე შენთან ვიქნები.

ნატომ თმაში ხელი შეუცურა:

— გელოდები, — ნაღვლიანად მიუგო და გელა კარებამდე მიაცილა.

ღამის ორი სრულდებოდა, როდესაც ტაქსით კოლმეურნეობის მოედანზე მივიდა. სამარშრუტო ტაქსები აღარ იდგნენ. ღამის სიწყნარე მანქანის ძლიერი ძრავის ბრდღვინმამ დაარღვია, ფურცელაძის დაღმართზე, ლამპიონის ძირში, შავ-წითელი, არაჩვეულებრივი დიზაინის სპორტული მანქანა გაჩერდა. მინები იმდენად მუქად დაებურათ, რომ ვერაფრით გაარჩევდი, სალონში ვინ იჯდა. გელა გაოცებული, პირდაღე-

ბული შეჰყურებდა ავტომობილს. მძღოლის კარი გაიღო, ქალი გადმოვიდა და ვაჟისკენ გამოემართა.

ნაბიჯის გადადგმისას მუხლში მოხრილ ფეხს წინ ღონივრად ისროდა, რაც ყოველ მოდუნებულ კუნთს უთანთქარებდა. მუხლამდე აჩაჩულ-ჩაჩაჩული, მაღალქუსლიანი, შავი ჩექმები თითქოს მიწას არ ეხებოდა, ჰაერში მილივლივებდა. ტანზე შემოტკეცილი, გიშრისფერი მინიქვედაბოლო რიგრიგობით მოქნეულ ხორცსავსე თეძოებს მიმზიდველობასა და ეშხს მატებდა. ისეთი მოკლე, შემოწუთხული თალხი მაისური ეცვა, რომ მუცლის პრესში ჩამალული ჭიპი ყველას დასანახად გადმოჰფენოდა. დეკოლტეს დიდ ჭრილში მოქცეული მკერდი გამომწვევად უცახცახებდა. გრძელსახელურიანი შავი, პატარა ხელჩანთა მხარზე გადაეკიდა, მარცხენა ხელის მაჯა ზედ ჩამოედო, მტევანი ძალადაცლილივით ჩამოეკონწიალებინა და ხასხასა წითელმანიკურიანი ლამაზი, თლილი თითები გაეშალა. სიარულში სხეულის ყველა ასო ისე სინქრონულად, ისე აწყობილად მონაწილეობდა, თითქოს რაღაც მექანიზმი გადაადგილდებაო. მაღალ, მოღერებულ ყელს რამდენიმერიგად შემოვლებული მარგალიტის მძივი უმშვენებდა. შავი თმა მოკლეზე ჰქონდა შეკრეჭილი. სამ ადგილას გახვრეტილ მარცხენა ყურის ბიბილოზე ბრილიანტის თვლები უბრწყინავდა, მარჯვენაზე კი ლალის ორი საყურე უციმციმებდა. ყვრიმალებზე წითელი ტონი წაესვა. თვალის კონტური შავი ფანქრით შემოეხატა. კოხტად გამობზუებული ტუჩები მანიკურის ფერი პომადით დაეფარა. სახეზე არაფრისმთქმელი, გახევებული მიმიკა შეყინვოდა. მოდიოდა და უზადო სილამაზის სხეულს სამუზეუმო ექსპონატივით მოანარნარებდა. გელას წინ შეჩერდა. პაუზა ჩამოვარდა, პაუზა, რომელიც რამდენიმე წამი გრძელდება, მაგრამ საუკუნედ გეჩვენება. მწვანე ფერის კატასავით თვალები ვაჟის სხეულს მზერით ნთქავდა.

ბოლოს უცნობმა გაიღიმა:

— გელა, სახლში მიდიხარ? — წკრიალა, თითქმის არაბუნებრივი ხმა ამოუშვა.

— ბა...ბატ...ბატონო? — ძლივს ამოღერღა დაბნეულმა.

— სახლში მიდიხარ?

— დიახ, დიახ, — თითქოს ტყვედ იყო ჩავარდნილი, თავი მექანიკურად დაიქნია.

— მაშინ წავედით, — ხელკავი გაუკეთა უცნობმა და მანქანისკენ წაიყოლა.

— საიდან მიცნობთ? — თავის თავს არ ეკუთვნოდა, ძლივს შეჰბედა ვაჟმა.

— მანქანაში დაჯექი და ყველაფერს აგიხსნი, — კარი გაუღო ქალმა, დაელოდა, ვიდრე სავარძელზე დაჯდებოდა, კარი მიუხურა, მანქანას შემოუარა და საჭესთან დაჯდა.

— საიდან მიცნობთ? — კითხვა გაიმეორა გელამ.

— შენ მთელი ცხოვრება მაწონი გინდა აკეთო? — კითხვაზე კითხვით უპასუხა ქალმა და ჩაიცინა.

— ბატონო? — გაოცებული ვაჟი მთელი ტანით უცნობისკენ შემობრუნდა.

— ჰო, მთელი ცხოვრება მემაწვნეობას აპირებ?

— არა, არა, — თავი გააქნია გელამ. მისი სახე, რომელზეც მიტკლის ფერი ედო, დიდ კითხვის ნიშანს გამოხატავდა.

— ნუ ნერვიულობ, დამშვიდდი, — თავზე ხელი გადაუსვა.

— საიდან მიცნობთ და, საერთოდ, ვინ ხართ ან რა გნებავთ?

— შვილო ჩემო, შენ გზის გასაყარზე ხარ! — ქალს თვალები სასწაულად უკიაფებდა.

— რომელი გზის გასაყარზე? — ძალა მოიკრიბა, ისე იკითხა გელამ.

ქალმა ტუჩებზე ხელი მიადო:

— ჩჩჩ! ნუ მაწყვეტინებ, ყურადღებით მომისმინე!

— დიახ, — გაყუჩდა ვაჟი.

— შენ რჩეული ხარ, მრავალთა შორის აგირჩიეთ, ოღონდ, სანამ დაგელაპარაკები, ერთ კითხვაზე უნდა მიპასუხო.

— გისმენთ, — გულში გამბედაობამ იმატა.

— არჩევანი უნდა გააკეთო: რა გიჯობს, ამქვეყნად იყო კარგად თუ იმ ქვეყნად?

— რასაკვირველია ამქვეყნად. რადგან არ ვიცი, ის ქვეყანა არსებობს? ან იქ კარგად როგორ უნდა იყო, რას ნიშნავს იქ კარგად ყოფნა?

— ის ქვეყანა არსებობს, — სევდიანად ამოაწკრიალა უცნობმა, — მაგრამ ამოირჩიე — აქ თუ იქ? დაფიქრდი და მიპასუხე.

— კარგად აქ მინდა ვიყო, ცხრამეტი წლის ასაკში ამდენმა უბედურებამ და გაჭირვებამ დროზე ადრე დამაბერა და სიცოცხლე მომაყირჭა.

— ჰმ, — ჩაეღიმა ქალს, — მალე მაწვნის საამქროს უფროსად დაგნიშნავენ. შენთვის საკმარისია თვეში ათას ორასი ლარი და გამუდმებით რძეში ხელების ფათური?

— სულ არაფერს ჯობს. ერთი თვის წინათ შემოსავალი ლარიც არ მქონდა. თუ ასე მოხდა, უკმაყოფილო რითი უნდა ვიყო? და საერთოდ, საიდან იცით, საამქროს უფროსად დამნიშნავენ თუ დირექტორად? თქვენ რა, წინასწარმეტყველი ხართ?

— არა, მე მისიას ვასრულებ, მრავალი წელი შებორკილი ვიყავი და ახლა გავთავისუფლდი, საქმე ბოლომდე მაქვს მისაყვანი. შენ შენს პატარა ქვეყანაში ხარ რჩეული, რათა ხალხის ბრბო მართო!

გელას ყელში ნერწყვი ჩაეხირა, ძლივს გადაყლაპა:

— შეიძლება მოვწიო?

— მოწიე, — მანქანაში სიგარეტის კვამლის სუნი დატრიალდა, — სასწავლებელს როცა დაამთავრებ, დიდ ბიზნესში ჩაერთვები. იქამდე ნიადაგი გაქვს მოსამზადებელი, გონებით უნდა შეიარაღდე და მოქმედების დრო და ხერხები შეარჩიო — დიდ ბიზნესს სხვანაირად ვერ წარმართავ.

— რა ბიზნესს?

— პოლიტიკას, გელა, პოლიტიკას! — კბილებიდან გამოცრა უცნობმა, — ამაზე საჩვენო და სარფიანი საქმე ჯერ არ მოუგონიათ. ამ დაუნახავ და დაუფასებელ კაცუნა-დედაკაცუნათა ბრბო უნდა მართო, იყიდო — გაყიდო, გაყიდო — იყიდო, დატუქსო — გაუცინო, გაუცინო — დატუქსო, წელში წაკუზო და ჟიმო და ჟიმო, ისე, როგორც ხვალ ნატოს უპირებ გა-

ფორმებას. ჰო, მართლა, რაც შეეხება ნატოს და ზოგადად ქალებს, იცოდე, ყველანი უნდა მიიღო ნივთად, რაღაც გასართობ ნივთად, რომელიც მალევე უნდა მოიბეზრო და გაფუჭებული სათამაშოსავით მიაგდო. მრავალი და მრავალი. გზა ხსნილი გაქვს, შენი გზა რჩეულთა ხვედრია და რჩეულებს ბევრი პატარა გელა სჭირდებათ. ამ საცოდავ არსებებს, ქალებს, დაჰპირდი ყველაფერს, თვალთ დაუბნელე და, ურთიერთობას წერტილი ისე დაუსვი, რომ გაღიმებული დატოვო. არავითარი ცოლი, ოჯახი, მეგობარი, შენ მისია გაკისრია და არავინ გჭირდება.

სმენად ქცეული ვაჟი გახევებული იჯდა. სიგარეტის ფერფლი შარვალზე დაეყარა, აზრზე მოვიდა:

— კი, მაგრამ ხალხი როგორ უნდა ვმართო? ჩემგან რა პოლიტიკოსი უნდა გამოვიდეს? განათლება მე არა მაქვს, არც ერთი უცხო ენა არ ვიცი, არანაირი კავშირი არ გამაჩნია. როგორ, როგორ უნდა მივაღწიო ამას?!

ქალმა ხმამაღლა გადაიხარხარა, მწვანე თვალები უფრო აუკიაფდა:

— დამშვიდდი, პატარავ, შენ მისია გაკისრია და კოდიც ჩადებული გაქვს. ამ ოთხ წელიწადში, სანამ სასწავლებელს დაამთავრებ, ყველაფერი გეცოდინება და საკმაო კავშირებიც გექნება. იცოდე, ერში მცხოვრები ადამიანი არ შეიძლება იყოს სამართლიანი, ესე იგი, ადამიანი, ზოგადად, უსამართლოა, უსამართლობა კი სამართალს ვერასდროს აღასრულებს. ჭეშმარიტი სამართალი ობიექტურობის ზე-ნიშნულია, მაგრამ ადამის მოდგმა, რომელიც ესოდენ სუბიექტურია, მხოლოდ თამაშობს ობიექტურობას, მას არც უნდა და არც შეუძლია იყოს ობიექტური.

— რატომ? — მხრები აიჩეჩა გელამ.

— ადამიანო, ნუ მაწყვეტინებ! — მკაცრად მიმართა ქალმა. — ერთ მაგალითს მოგიყვან, თქვენთვის კაცის კვლა ხომ ცოდვაა?

— ალბათ, — თავი დაუქნია გელამ.

— ჰოდა, მომისმინე: ვინმე ბრეივიკმა სამოცდაათზე მეტი ადამიანი ამოჟუჟა, იმ ქვეყნის კანონებით მაქსიმუმი, ოც-

დაერთი წელი მიუსაჯეს. ახლა მეორეს გეტყვი: ერთ ქალაქში სარკინიგზო კატასტროფა მოხდა, მატარებელი მოსახვევში რელსებიდან გადავიდა და სამოცდაათზე მეტი ადამიანი შეიწირა. დამნაშავე მემანქანეა, რომელსაც გაუფრთხილებლობითი დანაშაულისთვის შვიდი წელი მიუსაჯეს. ბოლოს მესამე შემთხვევა: ერაყის ომის დროს ერთ-ერთი ქვეყნის ჯარისკაცმა მტრის, ანუ ერაყელების სამოცდაათზე მეტი მებრძოლი გაანადგურა. იგი გმირად შერაცხეს, პატივი და ჩინ-მედლები არ დაიშურეს, ლამის ხელისგულზე ატარებენ.

ახლა მითხარი, რითი განსხვავდება ზემოთ ჩამოთვლილი სამი შემთხვევა ერთმანეთისგან? მე მგონი, არაფრით, და რა გამოვიდა? ქოთანს, საიდანაც გინდა, იქიდან მიაბამ ყურს. აი, ეს არის ადამიანთა ობიექტურობა. ამ სამყაროში ობიექტური მხოლოდ ის არის, ის! — საჩვენებელი თითი ზეცისკენ აიშვირა, — ბრბოს მართვა ცხენის ჭენებას ჰგავს, აღვირი მუდამ შენკენ უნდა გქონდეს მოქაჩული, არჩევნების წინ ოდნავ მოუშვებ, ამოასუნთქებ, დააბოლებ და მიზნის მიღწევისთანავე უფრო მოჭიმავ აღვირს. სუბიექტური ბრბო არასდროს არაფერს დაგიფასებს, გინდ წინ გიქნია და გინდ უკან, მაგრამ, თუ ერთი ფეხი წამოჰკარი, ერთი შეცდომა დაუშვი, ისე გადაგივლიან და გაგთელავენ, რომ თვალის დახამხამებასაც ვერ მოასწრებ. ამიტომ ბრმათა ჯოგი მუდამ მოჭიმული უნდა გყავდეს და ჟიმო და ჟიმო!

პოლიტიკოსობა ყველას ხვედრი არ არის. ვინც ვერ გაუძლო, თამაშიდან გავიდა, თუმცა ძალიან ძნელად, ან გააგორეს, უბრალოდ, თვალსაწიერიდან გააქრეს. იყო პოლიტიკოსი, ეს რჩეულთა საქმეა. აი, ასეთი რჩეული ხარ შენ.

უცნობი გაჩუმდა. გელამ ისევ სიგარეტს მოუკიდა:

— ამისთვის მე რა უნდა ვქნა?

— არაფერი, — ღიმილი გადაეფინა ქალს, — ყველაფერი თავისით მოხდება, ოღონდაც ის სამასი დოლარი არასდროს დახარჯო, შეინახე და გახსოვდეს, რომ შენი ბედი მაგ სამმა კუპიურამ გადაწყვიტა, — ხელჩანთა გახსნა, კონვერტი ამოიღო

და ვაჟს გაუწოდა, — აქ „აი.დი.“ ბარათი, საბანკო პლასტიკური ბარათი და შენს სახელზე გაფორმებული ნომრიანი მობილურია. იცხოვრე ჩვეულებრივად და ამ სამყაროდან ყველაფერი შეისრუტე, ყველაფერი შეირგე, მაგრამ თამაშში მუდმივი არავინ იყოლიო, ყველა და ყველაფერი ცხვირსახოცივით იცვალე. ანგარიშზე თანხა იმდენი გექნება, რამდენიც დაგჭირდება. ეკონომია არ გააკეთო: ჩაიცვი, დაიხურე, ისეირნე და დრო ატარე, უნდა ბრწყინავდე, რათა ბრწყინვალედ მიგიღონ. მე მუდმივად შენი თანამდევი ვარ და ვიცი, როდის რა არის საჭირო.

გელამ კონვერტი გამოართვა, სიგარეტი საფერფლეში ჩაჭყლიტა. ქალმა მანქანის წინა პანელის უჯრა გადმოხსნა, ოქროს სასმისი ამოიღო და ვაჟს მიაწოდა:

— შვილო ჩემო, შესვი, რათა დაინიშნო.

გელამ სასმისი დაიხელა და რამდენიმე ყლუპი მოსვა, ღვინის გემო ჰქონდა. უცნობმა სასმისი გამოართვა და უჯრაში შეინახა. მარჯვენა ხელის ცერა თითი შუბლზე დაადო:

— აი, ახლა დანიშნული ხარ, გზას დაგილოცავ, შვილო! — მანქანის გასაღები გადაატრიალა და გამეფებული სიჩუმე ძრავის ღმუილმა შთანთქა. გაოგნებული გელა რამდენიმე წუთში უკვე სახლთან იყო. — ნურაფერზე ნერვიულობ, მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო, — ვაჟისკენ გადაიწია, მისი სახე ორივე ხელში მოიქცია და ტუჩებზე დაეკონა, — არაფრის შეგეშინდეს, შენ უხილავი გარსით ხარ დაცული. ყველასთვის სანატრელი და სასურველი გახდები, მაგრამ მხოლოდ იმასთან გექნება ურთიერთობა, ვინც იმ მომენტში გჭირდება, დანარჩენი ყველა არის ის მასა, რომელიც უნდა გემსახურებოდეს, ამიტომ ყველა და ყველაფერი დაიკიდე... — ქალმა გელას ხელები გაუშვა, სავარძელში გასწორდა.

— ჩვენ როდის შევხვდებით? — ჩურჩულით იკითხა ვაჟმა.

— შევხვდებით! როდესაც მობილურის მონაცემებში გაერკვევი, იქ ჩემს ნომერსაც ნახავ.

— კარგი, ნახვამდის, — გაოგნებული ბიჭი მანქანიდან გადავიდა.

III

ჭიშკართან შეჩერდა, გაჩახჩახებულ-გაბრდღვიალებული მანქანა თვალით გააცილა და ეზოს მიაშურა. სახლში ქურდულად შეიპარა, მაგრამ ზურგს უკან ელისოს ხმა მოესმა:

— ოთხის ნახევარზე მოსვლა რა წესია?! — ქალი ოთახიდან დერეფანში გამოვიდა.

— რა ვქნა, ქვეყნის ბოლოში ვცხოვრობთ და ღამე აქ მოსვლა ადვილი არ არის, — თავი იმართლა შვილიშვილმა, ჯიბეში ხელი ჩაიყო, ფული ამოიღო, — დღეს ჩემი შრომის საფასური მომცეს. ეს ასლარიანი გამომართვი.

მოხუცმა ფული გამოართვა. ეტყობოდა, რომ გული მოულბა და გელას ცხოვრების ასეთი შემოტრიალებით ამაყი და უზომოდ კმაყოფილი ჩანდა. ვაჟი მშობლად ქცეულ ბებიას მოეხვია, ლოყაზე აკოცა და თავის ოთახში საქმიანად შეაბიჯა.

საწერ მაგიდას მიუახლოვდა, სანათი აანთო, სკამი გამოიწია, ჩამოჯდა და ფიქრს მიეცა: — „რა იყო დღეს, ბედმა როგორ გამიღიმა? ეს რამხელა ფუნქცია დამკისრებია და არა მცოდნია“. რჩეული, რჩეული ვარ! — ჩაიჩურჩულა. პერანგის გულის ჯიბიდან კონვერტი ამოაცურა, წინ დაიდო, გაშეთებული დაშტერებოდა. რამდენიმე წუთის შემდეგ გახსნა. „აი. დი.“ ბარათი ამოიღო, ყველაფერი გულდასმით გადაიკითხა, თავის გაღიმებულ სურათს დიდხანს დასცქეროდა. შემდეგ პლასტიკური ბარათის დალუქული კონვერტი გახსნა, პინკოდის ოთხივე ციფრი დაიზეპირა, განმარტებითი ბარათი წვრილ-წვრილად დააქუცმაცა, საფერფლეში ჩაყარა და ცეცხლი წაუკიდა. ჯერი მობილზე მიდგა. „სამსუნგის“ ფირმის ძალიან თხელი აპარატი ხელში მოიქცია, ჩართო. მენიუს ალღო უცბადვე აუღო. კონტაქტებში შევიდა, გაოცდა, როდესაც — უსახელო ნომრის გვერდით ლიას ნომერი აღმოაჩინა. გაახსენდა, რომ შარვლის უკანა ჯიბეში სანატრელი ქალის მობილურის ნომერი ჰქონდა შენახული. ქაღალდი ამოიღო, ციფრებს დახედა, ჩაეღიმა: აპარატსა და ფურცელზე ერთნაირი ნომრები ეწერა, — „ნეტა, ჩემი რა ნომე-

რია?“ — ფიქრი დამთავრებული არ ჰქონდა, რომ ტელეფონმა დარეკა. — გისმენთ, — აპარატი ყურზე მიიბჯინა.

— შენი ნომრის თქმა დამავიწყდა, — ნაცნობი, წკრიალა, არაბუნებრივი ხმა ჩაესმა.

— დიახ, — ვაჟი სმენად იქცა.

— სუყველა ხუთიანია, ბოლო სამი ციფრი კი ექვსიანებია. სადაც უნდა დარეკო, შენი ნომერი ყოველთვის დაფარულია, ვერავინ დააფიქსირებს.

— გასაგებია.

— დღეს, სანამ ნატოსთან მიხვალ, კოლმეურნეობაზე „ჯი. თი.სი-ში“ გაიარე და თავით ფეხამდე დაიშმოტკე. ძველმანებში აღარ დაგინახო!

— დიახ, — მიუგო და მობილური ტელეფონი გათიშა.

კონვერტიდან ტელეფონის სატენიც ამოიღო, მაგიდის უჯრა გამოსწია და ყველაფერი შიგ დააბინავა, შემდეგ მარკების ალბომი მოინახულა, დიდი მოწიწებით გადაშალა იქ, სადაც სამი ჯადოსნური კუპიურა ეგულებოდა. კარგახანს დასცქეროდა სანატრელ დოლარებს.

ექვსი სრულდებოდა. უკვე ირიჟრაჟა. საწოლზე გულაღმა გადაწვა. მომხდარის გაანალიზება უნდოდა, მაგრამ გონება მის ნებას არ მიჰყვებოდა, არ ემორჩილებოდა. აზრს ვერ იკრებდა. მეორე სართულიდან ფეხის ხმა მოესმა, ბიჭმა კახას ნაბიჯები ამოიცნო — ტუალეტისკენ მიდიოდა. რამდენიმე წუთში უკან მობრუნდა და ლიას რაღაცა უთხრა. მალე საწოლის ჭრაჭუნის ხმა მოესმა, რასაც ქალის ვნებიანი, საკმაოდ ხმამაღალი, გაბმული კვნესა მოჰყვა, რომელიც არა და არ მთავრდებოდა.

— გამაგიჟებენ ეს შობელძაღლები! — საწოლიდან წამოენთო გელა. სიგარეტი კოლოფიდან ამოაძვრინა, მოუკიდა, რამდენიმე ნაფაზი ხარბად ჩაყლაპა და ფანჯრიდან მოისროლა. ტუმბოდან დიდი პირსახოცი აიღო, ტანთ გაიხადა და საცვლების ამარა აბაზანისკენ წავიდა. თბილი შხაპის ქვეშ შეძვრა, დიდხანს გაუნძრევლად იდგა, წყალი უზომოდ სიამოვნებდა.

ნეტარი მდგომარეობიდან კარზე კაკუნმა გამოიყვანა, — რა იყო? — გასძახა ბებიას.

— ცუდად ხომ არა ხარ?

— არა, — ჩაეღიმა ვაჟს, — ვბანაობ, პირსაც გავიპარსავ და გამოვალ. რამე ხომ არ გინდა?

— შემეშინდა, რა ამბავია ამდენხანს აბაზანაში ყოფნა.

— მსიამოვნებს ბებო; რომელი საათია?

— ცხრა დაიწყო.

— ჰოო, მალე გამოვალ, — დაამშვიდა მოხუცი.

ტანი კიდევ დაისაპნა, ჩამოიბანა და წყალი დაკეტა. გაიმშრალა, სუფთა საცვლები ჩაიცვა და შეორთქლილი სარკე გაწმინდა. ახლად ამოსული ღინღლი ძველი საპარსით მალევე მოიშორა, პირი ცივი წყლით დაიბანა და თავის ოთახს მიაშურა. დაფხრეწის პირას მისული ჯინსის შარვალში ფეხები ფრთხილად გაუყარა, ძველი, გაცრეცილი პერანგი ჩაიცვა და სამზარეულოში გავიდა:

— ელისო, მაჭმევ რამეს?

— კი, შვილო, დაჯექი და ახლავე, — მიუგო დიდედამ.

თერთმეტი საათისთვის გელა „ჯი.თი.სის“ ესტუმრა. ტანსაცმლის არჩევანი დიდი იყო, მაგრამ ნატოსთან ეჩქარებოდა, ამიტომ ერთ-ერთი მანეკენი გაახდევინა და მოიზომა. ყველაფერი მოერგო. ფეხსაცმელიც აირჩია. სალარო აპარატში პლასტიკური ბარათის გატარებით ანგარიში გაასწორა. ძველი ტანსაცმელი და სპორტული ფეხსაცმელი პოლიეთილენის პარკში ჩატენა და გარეთ გასულმა ნაგვის ურნაში გადაუძახა. პირველ სართულზე, „გუდვილში“ შეიარა, სამი ბოთლი შამპანური, ხილი და ტკბილეულობა შეიძინა, ტაქსი გააჩერა და გეზი გლდანისკენ აიღო.

— გელა, რა ლამაზი ხარ, — აღფრთოვანება ვერ დამალა ნატომ.

— ახლა შევიძინე, მოგწონს?

— ძალიან, ძალიან, ყველაფერი გიხდება, გხატავს პირდაპირ.

— შემომიშვებ თუ სადარბაზოში ვიდგე?

— მოდი, მოდი, — გზა დაუთმო დიასახლისმა.

გელამ პირდაპირ სამზარეულოს მიაშურა, პარკები მაგიდაზე დააწყო.

— ამდენი რამე რად გინდოდა, რა საჭირო იყო?

— მინდა, დღევანდელი დღე გემრიელად აღვნიშნოთ, — სიგარეტს მოუკიდა ვაჟმა.

— აღვნიშნოთ, — დაეთანხმა ნატო და პარკების დაცლას შეუდგა, — უი, ანანასი? ცხოვრებაში არ გამისინჯავს.

— არც მე, მაგრამ, ხომ იცი, პირველი ყველაფერი გემრიელია. — შამპანურის ბოთლს საცობი ამოაძრო გელამ, — ბოკლები მომეცი.

დიასახლისმა ხილი გარეცხა, ლანგარზე დააწყო, ნამცხვრები თეფშზე დააწყო.

— სად დავსხდეთ? — თვალებაციმციმებული შეჰყურებდა სტუმარს.

— აქ ვიყოთ, სამზარეულოში.

— კარგი, — ნატომ კარადიდან ორი ბოკალი გამოიღო.

გელამ სასმისები შეავსო, ერთი ასწია:

— მოდი, შენ გაგიმარჯოს, ნატო, ძალიან მომწონხარ, — მიუჭახუნა და შუშხუნა სითხე გამოცალა, — კარგი შამპანურია, — ჩაილაპარაკა.

— დიდი მადლობა, — თავი მორცხვად დახარა ქალმა, — შეიძლება, ერთი მეც ვთქვა?

— თქვი, გისმენ.

— გელა, სიმარტოვემ ისე გამომღრღნა, როგორც ძაღლმძვალი. ძალიან დავიღალე, — ნატომ მოყოლა სუსტი ხმით, ჩაფიქრებულმა დაიწყო, — ასე მგონია, დავბერდი და სული სიმარტოვეში მხდება. საშინლად მოსაბეზრებელია. ეს ერთი თვეა, რაც გაგიცანი, რატომღაც ჩემს იმედად იქეცი. მხიბლავს შენი შრომისმოყვარეობა, წესიერება, გარეგნობა.

— „რა კარგი ვყოფილვარ,“ — გაუელვა გელას, — მერე?

— მერე ის, რომ გადავწყვიტე, დაბადების დღეზე დამეპატიჟე და საკუთარ გრძნობებში გამოგტყდომოდი. ახლა დავიბენი,

ველარ ვაანალიზებ, ცუდი გავაკეთე თუ კარგი? — ნატომ თავი მორცხვად ჩახარა და მაგიდას მიაშტერდა.

— ნუ ნერვიულობ, — მკლავზე მიეფერა ვაჟი, — მეც ძალიან მომწონხარ...

— შენი ასაკი ნამდვილად არ ვიცოდი, — გააწყვეტინა მასპინძელმა.

— მეც ძალიან მომწონხარ, — განაგრძო გელამ, — მაგრამ გამოტყდომას ვერ გიბედავდი. ალბათ, ჩემი გამოუცდელობის ბრალია, — ჩაეცინა.

— გაგიმარჯოს, — ნატომ სასმისი მიუჭახუნა და ბოკალი ბაგესთან მიიტანა.

— მოიცა! — გელამ შეაჩერა, — ჩემი დღეგრძელობა არაფერ შუაშია, სხვა რამე მინდა გითხრა, — ნერწყვი გადაყლაპა, — ქალთან არასდროს ვყოფილვარ ან როდის უნდა მომესწრო, ჰოდა, დღეს ჩემთვის ისტორიული დღეა. მე შენ არასოდეს დაგივიწყებ, — ანანასის ნაჭერი ორ თითში მოიქცია და ნატოს ტუჩებთან მიუტანა. ქალმა მოკბიჩა, მეორე ნახევარი გელამ დაიგემოვნა, ბოკალი მოიყუდა და თვალის დახამხამებაში გამოცალა.

— რა პატარა ხარ, — მიეფერა მასპინძელი.

— „სამაგიეროდ შენ ხარ ბებერი," — გაიფიქრა და საპასუხოდ გაუღიმა.

— სახის ასეთი დახვეწილი ნაკვთები, შუბლზე ლამაზად გაზოლილი ნაოჭები, ამხელა მხარბეჭი ყველას შეცდომაში შეიყვანს, — თავის გამართლება სცადა ნატომ, — მაგრამ რაც არის, არის, გაგვიმარჯოს, — ბედნიერი სახით წარმოთქვა და შამპანური შესვა.

ორი ბოთლი შუშხუნა სითხე თვალსა და ხელს შუა შემოელიათ. გელას წინა ღამის ნაბახუსევი შეუბრუნდა, თავს მშვენივრად გრძნობდა.

— ახლა აბაზანაში შევალ. წყალს უცბად გადავივლებ, მერე შენც გაგრილდი, გაგისწორდება, — დიასახლისი სამზარეულოდან გავიდა.

გელა კედელს მიეყრდნო, სიგარეტი გააბოლა:

— „ისე, არა უშავს, კარგი ტან-ფეხი აქვს. გადასარევია ქალაქში, ყველა ნატვრა ხელმისაწვდომია“.

აზრი ნატომ დაუფანტა:

— არ მოიწყინო, — ქალი თავს წამოსდგომოდა, ლოყაზე ხელი მოუთათუნა და აბაზანაში შევიდა.

გელამ თვალით გააცილა და მაშინღა შენიშნა, რომ ნატოს ყველაფერი გაეხადა და ისეთივე ხალათი მოეცვა, როგორიც ლიაზე ნახა. ძალაუნებურად სანატრელ მდგმურზე გადაერთო, ქალები ერთმანეთს შეადარა და უპირატესობა ლიას მიანიჭა.

მასპინძელი აბაზანიდან მალე გამოვიდა:

— რა კარგია, იცი? სანამ ლოგინს გავშლი, შენ წყალი გადაივლე, — შხაპთან მიიყვანა. მაჯა წყალს შეუშვირა, — მე მგონი, კარგია. ეს პირსახოცი იხმარე, ჩუსტები აგერაა, — მიუთითა და საწოლი ოთახისკენ გაემართა.

გელას ნელთბილი წყალი ესიამოვნა, მაგრამ ჭყუმპალაობის დრო არ იყო, მას თავისი ცხოვრების პირველი ქალი ელოდა. ტანი სწრაფად შეიმშრალა, პირსახოცი შემოიხვია, ჩუსტებში ფეხი გაყო და ნატოსკენ წაფლატუნდა:

— შხაპმა დაგლიჯა, — საწოლში განაბულ ქალს გადახედა. თავი სიზმარში ეგონა — მისთვის ეს ყველაფერი არარეალურს უფრო ჰგავდა.

ნატო საწოლიდან წამოიწია, მკერდზე პირსახოცის გადასაფარებელი აიფარა:

— გელა, მართლა მოგწონვარ?

— „იმდენად მაინტერესებს ქალთან ყოფნა, რომ აბსოლუტურად სულერთია, მახინჯი ხარ თუ ლამაზი,“ — გაუღიმა, — მომწონხარ, ძალიან მომწონხარ, — საწოლზე ჩამოუჯდა, გადასაფარებელი ჩამოდღლიზა და ქალის მკერდს ვნებით დააცხრა.

გელას სექსუალურმა მონაცემებმა ნატო განაცვიფრა, რაღაც მანქანად ქცეული ვაჟი აღარ ჩერდებოდა:

— გელა, დავიღალე, ბიჭო, დამასვენე! — შეევედრა ქალი, — ვინ ყოფილხარ? სად გაქვს ამდენი ენერგია?

— ერთიც და მორჩა, — პროცესს ვერ წყვეტდა გელა.

— ყველაფერი მტკივა, ხვალ გავაგრძელოთ...

— ერთიც-მეთქი და მორჩა! — ხმას აუწია და საქმე განაგრძო.

ექვსი სრულდებოდა, როდესაც საწოლიდან ადგნენ. დიასახლისმა ხალათი ძლივს ჩაიცვა, სასტუმრო ოთახში ხვნეშით გავიდა და სავარძელში ჩაენარცხა:

— გელა, — გაოცებული შეაცქერდა გაღიმებულ, დოინჯშემორტყმულ ვაჟს, რომელიც ისე იდგა, თითქოს ჟიურის შეფასებას ელოდა, — ასეთი მაგარი თუ იყავი, ნამდვილად არ წარმომედგინა. კაცი ვარო, შენ უნდა დაიკვეხნო, მაგარი ხარ, მაგარი!

— ნუ მაქებ, თორემ კიდევ იქ აღმოვჩნდებით, — თითი საძინებლისკენ გაიშვირა.

— არა, არა, არა, — ხელი გაასავსავა ნატომ — ხვალ იყოს. ახლა აღარ შემიძლია, ყველაფერი მტკივა.

— კარგი, — დაეთანხმა სტუმარი, — წყალს გადავივლებ და წავედი.

— კი, შენი ჭირიმე, მე ადგომის თავი არა მაქვს...

— არ მინდა, იჯექი, — აბაზანაში შევიდა, რამდენიმე წუთში დიასახლისს წინ ედგა და ტანსაცმელს იცვამდა, — რა კარგი ხარ. ეს დღე არასდროს დამავიწყდება.

— მართლა? — ახედა გაუნძრევლად მჯდომმა ნატომ, — ახლა მითხარი, ჩემზე რას ფიქრობ?

— „ბოზის მეტი ერთი თვის გაცნობილ კაცს საწოლში ვინ ჩაუგორდება, სხვა რა უნდა ვიფიქრო?“ — ვაჟს არაფერი უპასუხია, მხრები აიჩეჩა, მიუახლოვდა და ჩაეკრა, — ჩემო პირველო ქალო, დიდი მადლობა, სიამოვნება ამას ჰქვია. როდის მოვიდე კიდევ? — ეჩურჩულებოდა და სახეს ულოშნიდა.

— დღეს აღარ და დანარჩენი, როცა გინდა, ჩემი სახლის კარები შენთვის ყოველთვის ღიაა, — სახეზე მიეფერა ნატო.

— წავედი, წავედი, — გელა კარისკენ გაემართა.

— ხვალამდე. ხვალ სამსახურში შევხვდებით, ბოდიში, რომ ვერ გაცილებ, — ხელი დაუქნია დიასახლისმა.

გელა საფეხურებს ჩაუყვა:

— „ლია უფრო ეშხიანად კვნესოდა, ის უფრო მაგარი ქალი იქნება, ნაღდად, — სადარბაზოდან გავიდა, ტაქსი გააჩერა და კოლმეურნეობის მოედნისკენ გაემგზავრა. გაჩერებაზე ზურა შეხვდა, მიკროავტობუსში ერთად ჩასხდნენ.

— სად იყავი? — შეეკითხა ზურაბი.

— ქალს გავუსინჯე გემო, — სიამაყით მიუგო მეგობარმა.

— ვაა, — წამოიძახა ზურაბმა, — ვინ გაგაბედნიერა?

— არ იცნობ, — გელამ აქეთ-იქით გაიხედა, აგრძნობინა — ხალხი გვისმენსო, — როცა ჩავალთ, სახლში მოდი და მოგიყვები. შენ სად იყავი?

— სასწავლებელში, ჩარიცხულთა სიები შევამოწმე.

— მერე?

— გვერდიგვერდ ვწერივართ.

— კარგია, — ჩაეღიმა გელას.

სამარშრუტო ტაქსი კოჯორში გაჩერდა. ბიჭები ჩამოვიდნენ, ერთმანეთს დროებით დაემშვიდობნენ და თავიანთი სახლებისკენ გაუყვნენ. ეზოში შესული არ იყო, ლიას მოჰკრა თვალი — ქალს ბავშვები ჰამაკში ჩაესვა და აქანავებდა:

— კუდრაჭებო, — პატარებს გაუღიმა, მიეფერა. ლიას მიესალმა და სახლისკენ გაეშურა.

ბებიას მისი ახალი ჩაცმულობა არ გამოპარვია:

— შვილო, მშვიდობაში, — ბედნიერი შეჰყურებდა შვილიშვილს.

თავიდან ვერც კი მიხვდა, რას ულოცავდა დიდედა:

— ჰო, შემეტყო პირველი ხელფასი, — ბებიას აკოცა და თავის ოთახს მიაშურა. საწერ მაგიდას მიუჯდა, მარკების ალბომიდან დოლარები ამოიღო, — გამარჯობა, ჩემო პატარებო, უჩემოდ ხომ არ მოიწყინეთ? — ჩაუჩურჩულა, მიეფერა და ისევ შეინახა. რატომღაც ნატო გაახსენდა, — კარგი იყო, — ჩაილაპარაკა და კედელთან მიდგმულ დიდ სარკეს მიუახლოვდა. საკუთარ სახეს დაკვირვებით შეაცქერდა, — დახვეწილი ნა-

კვთები, — ნატოს სიტყვები გაიმეორა, ლოყაზე ხელი მოისვა, თითებით ცხვირი მოისრისა, — ლამაზი ნაოჭები, — შუბლზე ჩამოყრილი ქოჩორი გადაიწია, — რა ხნულები მაქვს, — კმაყოფილებას ვერ მალავდა, შემდეგ თავი მიატრიალა და პროფილიც შეითვალიერა, — მოკლედ, კარგი ბიჭი ვარ. — პერანგი გაიძრო, ათლეტივით დადგა, — ისეთი მხარბეჭი მაქვს, შვარცნეგერისთვის მიმიფურთხებია, — როდესაც თავისი გარეგნობით ტკბობას მორჩა, მაისური გადაიცვა, სპორტულ შარვალში გამოეწყო, თასმებშეკრულ სპორტულ ფეხსაცმელში შიშველი ფეხი წადგა და საწოლზე გულაღმა გაიშოტა.

ეზოდან ზურას ძახილი შემოესმა, წამოხტა და ფანჯარასთან მივიდა:

— ზურა, მოდი, — ხელი დაუქნია.

ვაჟი მეგობარს ოთახში ესტუმრა:

— აბა, მიამბე შენი თავგადასავალი, — ზურაბს ცნობისმოყვარეობისგან თვალები გაფართოებოდა.

— მოკლედ, ჩემთან მუშაობს, კარგი ნაშაა. გუშინ დაბადების დღე ჰქონდა, დღეს კი საჩუქარი გამიკეთა, გავაფორმე, — გელა სიამაყით უყვებოდა.

— ბოზია?

— არა, პიონერია, — ჩაეცინა, — ქმარგაცილებულია. ბოზია, აბა, რა არის! — დარწმუნებული ყვებოდა, — ვითომ ვუყვარვარ და მაგ მიზეზით ჩამიკოტრიალდა. ისე მაგარია, ნაღდი პროფესიონალია, — დიდი გამოცდილების მქონესავით საუბრობდა.

— ჩემთვის არავინ ჰყავს? — მორცხვად იკითხა ზურაბმა.

— სამი დაქალი გამაცნო...

— კარგი ნაშები არიან? — მოუთმენლობისგან ზურა სიტყვაში ჩაეხირა.

— მაგ საქმისთვის ივარგებენ, — გელამ ნატოს მეგობრები შეაფასა.

— ჰო, მართლა, რამდენი წლის გახდა?

— ოცდათორმეტის.

— აუ, — ზურაბმა ხელისგულები ერთმანეთს შემოკრა.

— აბა, ბიჭო, ჩვენხელა გოგოსთან, თუ სახლში ცოლად არ დაისვი, არაფერი გამოგივა.

— მართალია, — თავი დაუკრა მეგობარმა, — ჩვენკბილას უნდა სდიო, კაფე-კაფე ატარო, კინოებსა და თეატრებში ეპატიჟო, ერთი მანქანის ფული უნდა დაახარჯო და ეს ყველაფერი რისკის ფასად: ან გამოგივა რამე, ან არა.

— ნაღდი ხარ, — გელამ სიგარეტი გააბოლა, — იმას „პლომბი“ ახსნილი აქვს და მიდი-მოვდივარ — იჯლაგუნე, პრობლემა არ არის.

— ერთი მეც მომაწევინე.

— „გამაგიჟებს ეს კაცი, მაგის ჯიბეში სიგარეტი არასდროს მინახავს, ჩემსას კარგად უქშუტუნებს,“ — გაიფიქრა გელამ და კოლოფი მიაწოდა.

ზურაბმა მოუკიდა:

— მეგობარი ხარ თუ არა? ახლა ჩემთვის იჩალიჩე, იქნებ, რამე გამიკვარახჭინო.

— რაზეა საუბარი. ცოტა მადროვე და რაღაცას ვიზამ, — გელა წამოდგა, სიგარეტის ნამწვი ფანჯარაში მოისროლა, — დღეს ადრე მინდა დავიძინო, დავიღალე. ზურა, ჯერ სწავლა დაგვეწყოს, თბილისში წავიდეთ და მერე მე ვიცი, — მეგობარს დამაიმედებელი სიტყვა ესროლა.

— კარგი, წავედი, — წამოდგა სტუმარი.

გელამ მეგობარი ჭიშკრამდე მიაცილა. სახლში არ იყო შესული, რომ კახამ დაუძახა, ამოდიო. გელამ კიბე აირბინა და დირექტორს მიუახლოვდა:

— გამარჯობა, ბატონო კახა, — წინ დაუდგა.

— გაგიმარჯოს, — ცალყბად მიესალმა მდგმური, — მაწონი გუშინ ვინ შეადედა?

გელა საუბრის არსს სწრაფად ჩაწვდა:

— ბიძინამ.

— როგორ, კაცო, თუ ბიძინამ შეადედა, მაწვნის ორმოცდაათი პროცენტი უკან რატომ დააბრუნეს? საწარმომ სამი ათას ლარზე მეტი იზარალა, — გამწარებული ჩანდა კახა.

— არ იყო შედედებული?

— რაღაც წყალ-წყალა სითხე ესხა. ამ გამოცდილ კაცს ასეთი რამ როგორ მოუვიდა? დღეს სამსახურში არ გამოცხადდა, ვურეკავ, მობილი გამორთული აქვს.

— ბატონო კახა, ჩემი საქმე არ არის, მაგრამ ბიძინას დალევა უყვარს. გუშინაც მთვრალი იყო, ერთი საათით გვიან მოვიდა. არადა, როგორც ყოველთვის, რძე მისვლისთანავე ქვაბებში ჩავასხი, აბა, რა ვიცოდი, ასე თუ დაიგვიანებდა.

— რძე იქვე რატომ არ შეაზავე, პროპორცია არ იცოდი?

— როგორ არა, რამდენი რა სჭირდება, თვალდახუჭული გეტყვით, მაგრამ უფროსი კაცია, თავზე არ გადავახტი. როდესაც მოვიდა, თვითონვე შეაზავა. ეტყობა, სიცხეში დიდი ხნით გაჩერებისგან რძე აიჭრა და მაწონი იმიტომაც არ შედედდა.

— სამსახურში მაგისი მიღება ახლობელმა მთხოვა. ეცი ასეთ კაცს პატივი! — კახამ სიგარეტი ამოიღო, მოუკიდა.

— „ქონება თავზე გადაგდის და სამი ათას ლარზე წუწუნებ,“ — გელას ღვარძლიანმა აზრმა თავში გაკრა, — ბატონო კახა, მე თქვენ პატივისცემას ვერ დავივიწყებ, ვალდებულიც ვიყავი, რომ ეს ყველაფერი მეთქვა, მაგრამ ძალიან გთხოვთ, ჩემი სიტყვები წინ არ დამიხვდეს, — ვაჟი დირექტორს გამომცდელად შეაცქერდა.

— არა, ჩემო გელა, მაგაზე არ იფიქრო, პირიქით, მადლობელი ვარ. ხვალ სამსახურში არ დაიგვიანო, — ხელი ჩამოართვა და დაემშვიდობა.

— მე არასდროს ვიგვიანებ, — მიუგო ვაჟმა და კიბეზე დაეშვა.

ამდენი ემოციისგან გადაღლილს მთელი ღამე გათიშულს ეძინა. ცხრა არ იყო შესრულებული, სამსახურში გამოცხადდა. დაცვის ბიჭებმა შეატყობინეს, რომ საამქროში ბიძინა იყო მოსული.

— „დღეს ადრე მობრძანებულა,“ — გაიფიქრა, თეთრი ხალათი გადაიცვა და დერეფანს გაუყვა. ბიძინა მაგიდასთან იჯდა, თავი ხელებზე დაეყრდნო და რაღაცას დაჰყურებდა, — გამარჯობა, ბატონო ბიძინა, — კარიდანვე მიესალმა გელა და მიუახლოვდა.

მამაკაცმა თავი ასწია, ვაჟს შეხედა:

— გაგიმარჯოს, შვილო, — გაუღიმა.

გელამ მაშინღა შენიშნა მაგიდაზე დადებული სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ახალგაზრდის ფოტო:

— თქვენი შვილია?

— ჩემი ლევანია, — ბიძინას პასუხი უფრო ოხვრა იყო, ვიდრე სიტყვები, — ნახე, როგორ ჰგავხარ, — სურათი გაუწოდა.

გელამ ფოტო გამოართვა, დახედა:

— „გარეკა ამ კაცმა, მგავს არა, ისა," — გაიფიქრა, — კი, რაღაცით მგავს, — გულდამწვარ მამას მზერა ესროლა, — დღეს როგორ ხართ? — სხვათა შორის შეეკითხა და ფოტო მაგიდაზე დააბრუნა.

— გუშინ გულის შეტევა მქონდა, კარდიოლოგიურში სასწრაფოთი გადამიყვანეს, რაღაც ნემსები გამიკეთეს, ახლა თითქოს უკეთ ვარ...

— „მეტი დალიე და უფრო უკეთ გახდები," — თვალებში შეჰყურებდა, — კარგია, — ჩაილაპარაკა და სკამზე ჩამოჯდა.

— ჰოდა, ჩემო გელა, ამ ერთი თვის განმავლობაში ჩემი ლევანივით შემიყვარდი. სახლში შენს დაპატიჟებასაც ვაპირებდი, მინდოდა, მეუღლეს ენახე, მაგრამ მივხვდი, გული უფრო ეტკინებოდა და თავი შევიკავე, — კაცი სიყვარულით მისჩერებოდა.

გელამ არ იცოდა, რა ეთქვა ან რა ექნა, ბიძინას გულამაჩუყებელი საუბარი საერთოდ არ აინტერესებდა, თავს ისე გრძნობდა, თითქოს სკამის მაგივრად ეკლებზე იჯდა. ერთადერთი, რაც მოახერხა:

— ეჰ, — ამოიოხრა და წამოდგა, — რძე ჩავასხათ თუ ჯერ ქალებს დაველოდოთ?

— დაველოდოთ, — მიუგო საამქროს უფროსმა.

— მაშინ დაცვის ბიჭებთან ვიქნები, — გელამ იქაურობა მიატოვა.

ჰოლში გასული ნატოს გადაეყარა. დაუძახა, ქალი ხალათს იცვამდა. ვაჟმა სახეზე ღიმილი მოირგო:

— ნატო, სიცოცხლევ, როგორ მომენატრე, — სწრაფად მიუახლოვდა, ლოყაზე აკოცა.

— მეც მომენატრე, გელა. — ქალს თვალები გაბრწყინებოდა, — ნახე, როგორ მიხდება, ჩემთვის ეს ყველაზე ძვირფასი საჩუქარია, — მაჯა ახლოს მიუტანა.

— გხატავს, — დაეთანხმა ვაჟი, ხალათის საყელო გაუსწორა, — ტკივილებმა გაგიარა?

— ფორმაში ვარ. დღეს ჩემთან წამოხვალ?

— აუცილებლად, მაგაზე უარს როგორ გეტყვი.

— კიდევ მექნება გიჟური სექსი, — ქალმა ბედნიერმა ჩაილაპარაკა.

გელამ მანქანების სადგომზე კახა შეამჩნია:

— დირექტორი მოდის, საამქროში შევიდეთ, — ნატოს ხელკავი გაუკეთა და საამქროსკენ წაიყვანა, — გუშინდელი დღე არასდროს დამავიწყდება, — ყურში უჩურჩულა.

ახალგაზრდებმა ქვაბებში რძე ჩაასხეს, ბიძინამ მაწვნის კომპონენტები შეაზავა და მიქსერები ჩართო. ეთერი კონვეიერზე ქილების ჩამორიგებას შეუდგა. როდესაც მიქსერები გამორთეს, საამქროში კახას მდივანი, მანანა შემოვიდა:

— ბატონო ბიძინა, დირექტორი გიბარებთ.

— მოვდივარ, — დაიროხროხა მამაკაცმა და ქალს გაჰყვა.

გელას ჩაეღიმა, წელში მოხრილ ბიძინას თვალი გააყოლა, გრძნობდა, რომ მისი დაწინაურების საკითხი წყდებოდა. ნახევარ საათში საამქროს უფროსი დაბრუნდა, სახეზე მიტკლის ფერი ედო:

— სამსახურიდან გამათავისუფლეს, — თანამშრომლების გასაგონად ჩაიბურტყუნა.

— „აბა, ეს წარმოება ნინიას ბაღი გეგონა?“ — გელა პირველი მიეჭრა, — რატომ? — საშინლად შეწუხებული გამომეტყველებით თანაგრძნობას გამოხატავდა.

— ჩემი ლოთობისა და სამუშაო რეჟიმის დარღვევის გამო, — მამაკაცმა ხალათი გაიხადა, სკამზე ჩამოჯდა.

— ყველანი ავალთ დირექტორთან და ავუხსნით, რომ გაუგებრობას აქვს ადგილი, — საუბარში ეთერი ჩაერთო.

— გუშინწინდელი მაწონი სულ დაუბრაკავთ. გუშინაც გულის შეტევა მქონდა და სამსახური გავაცდინე, — ბიძინამ ხელი ჩაიქნია. — ჩემი ბრალია, — წამოდგა, კეპი დაიხურა, — არა უშავს, სანთელ-საკმეველი გზას არ დაჰკარგავს. კარგად იყავით, — იქ მყოფთ დაემშვიდობა და საამქრო დატოვა.

— საცოდავი კაცი, — ეთერმა სინანულით ჩაილაპარაკა და თვალზე მომდგარი ცრემლი თითით შეიმშრალა.

— ძალიან შემეცოდა, — გელამ მხარი აუბა.

— რა ვქნათ, იქნებ, დირექტორთან ავიდეთ და ვთხოვოთ, დააბრუნოს, — თანამშრომლებს ნატოც აყვა.

სიჩუმე ჩამოვარდა. ვერაფერი გადაეწყვიტათ... გელამ კონვეიერი ჩართო, ქალები მაწვნის ქილებს თავსახურებს ახურავდნენ და ყუთებში აწყობდნენ. ვაჟი ტარას ერთმანეთზე აკოკოლავებდა და პატარა სატვირთო მანქანით მაცივრებში აბინავებდა.

დღის ბოლოს საამქროში კახა და საწარმოს მთავარი ინჟინერი შემოვიდნენ, მაგიდას მიუსხდნენ და გელას უხმეს. გელამდე მათთან ეთერი მივიდა:

— ბატონო კახა, თუ შეიძლება ბიძინას აპატიეთ, კაცს შვილის დაღუპვის დღე ჰქონდა და ეს ყველაფერი იმიტომაც მოუვიდა...

— ამის შესახებ თქვენგან პირველად მესმის.

— როგორ, ბიძინამ არ გითხრათ?

— ჩემთვის არაფერი უთქვამს. მაგ კაი კაცს გავეფრთხილებინე, გავათავისუფლებდი და საქმეც არ გაფუჭდებოდა. საწარმომ ერთ დღეში სამი ათასი ლარი დაკარგა. მითხარით, ვინ აანაზღაურებს?! — დირექტორმა ხმას აუწია, — დღეს სხვა დროა, ეს ჩემი კომბინატია და ჯიბეში ხელის ფათურის უფლებას ვერავის მივცემ.

— გასაგებია, — დაეთანხმა ეთერი, — იქნებ, ვადროვოთ და ზარალი ხელფასიდან აანაზღაუროს.

— ქალბატონო! — კახამ სიბრაზისგან ფერი დაკარგა, — თქვენს საქმეს მიხედეთ, ბიძინა აქ აღარ დაბრუნდება! — სი-

გარეტს მოუკიდა, — გელა, დაჯექი! — სკამზე მიუთითა, — მე და რეზომ ბევრი ვიფიქრეთ და ამ ეტაპზე შენზე უკეთესი კანდიდატურა ვერ შევარჩიეთ. საქმე იცი, ყველაფერს რეზოს კონტროლის ქვეშ გააკეთებ. მე მგონი, გაქაჩავ.

ვაჟმა ჩაახველა:

— ბატონო კახა, შეძლებით როგორ ვერ შევძლებ, მაგრამ ერთ თვეში სწავლა მეწყება და ორივეს შეთავსებას ფიზიკურად ვერ მოვახერხებ.

— მართალი ხარ, მაგრამ ერთ თვეში ვიღაცას მოვნახავ, — დირექტორმა სიგარეტი ჩააქრო, — რეზო, ხვალიდან შენი სამსახური მაწვნის საამქროდან დაიწყება!

— გასაგებია, კახა, — დაეთანხმა მთავარი ინჟინერი, — ყველაფერი იდეალურად იქნება.

— გადაწყდა! ბრძანება დღესვე დაწერე, — კახა წამოდგა, — გელა, აბა შენ იცი, — მხარზე ხელი წამოარტყა და მთავარ ინჟინერთან ერთად საამქროდან გავიდა.

გელას სიხარულისგან მთელ ხმაზე დაყვირება უნდოდა, მაგრამ თავი შეიკავა, შუბლზე ხელი გაისვა.

გვერდით ნატო მიუჯდა:

— საქმე მოსალოცად გაქვს, რაღაზე ნერვიულობ?

— ბიძინას გათავისუფლება მეწყინა, უსამართლოდ გაუშვეს, — ასეთი ტყუილის დაბრეხვება თავში საიდან მოუვიდა, თვითონაც არ იცოდა, — ასეთი არაფერი მინდა, სულაც წავალ აქედან...

— არა, შვილო, ეს არ იფიქრო, — მონოლოგი ეთერმა გააწყვეტინა, — ბიძინას გაშვებაში შენ რა შუაში ხარ?

— მართალია, — ნატომაც მხარი აუბა.

გელას უცოდველი კრავის ინსცენირება ისე მშვენივრად გამოუვიდა, რომ თავადაც გაკვირვებული დარჩა. ნატოს სახლისკენ მიმავალ გზაზე ხმა არ ამოუღია, ავტობუსის სკამზე გასუსული იჯდა:

— „ადამიანი მარტივი არსებაა, რაღაცის ან ვიღაცის მიმართ ნაშენებ წარმოდგენას ისე ადვილად დაუნგრევ, დაულეწავ და

გაუცამტვერებ, როგორც ქარიშხალი ხუხულას. სწორად უნდა გათვალო და დაუყოვნებლივ იმოქმედო. არ გამოგივა?! სხვა გზიდან უნდა მოუარო. მთავარია, მოჭადრაკესავით ჭკვიანი სვლები აკეთო და ყველაფერს, აბსოლუტურად ყველაფერს მიაღწევ. პირველად სუსტი წერტილი უნდა უნახო, რამეში გამოიჭირო, შემდეგ რაც გინდა მიამატე, გაბერე, გაბუქე და შედეგიც სახეზე იქნება. მაგარი ვარ...“

— გელა, ასეთი მოწყენილი რატომ ხარ? — ფიქრი ნატომ შეაწყვეტინა.

— „ამან ხომ ტვინი გამიხვრიტა,“ — გადახედა ქალს, — ჩემო სიცოცხლევ, ცხოვრების უსამართლობაზე ვფიქრობ, ბიძინა მებრალება. ის გააგდეს — მე დამნიშნეს, — თავი საცოდავად ჩაქინდრა.

— შენ არა, სხვას დანიშნავდნენ, შეუცვლელი არავინ არის. ამაზე არ იდარდო, — ნატომ დამშვიდება სცადა, — შემდეგ გაჩერებაზე ჩავდივართ, — გელას ხელი ჩაჰკიდა და წინა კარებისკენ გზის გაკვლევას შეეცადა.

ბინაში შევიდნენ თუ არა, ვაჟმა ქალი თავისკენ მიიზიდა, ტუჩებზე დააცხრა, საკინძე შეუხსნა და ყურძნის მტევანივით მკვრივ მკერდში ხელი ჩაუყო. ნატოს სხეულში ვნების ალი აუგიზგიზდა, აკრუსუნდა, აკვნესდა და მთელი ტანით მიეკრა:

— მოიცა, ნუ გადამრიე, ჩემო სიყვარულო, მოიცა, — წყალი მაინც გადავივლო და მერე, — ეჩურჩულებოდა და სახეს უკოცნიდა.

— კარგი ხარ, ძალიან მომწონხარ, — ბუტბუტებდა გელა. პერანგი გახადა, ბუსჰალტერი ვერ გაუხსნა, ზემოთ აუცურა, ხელები ააწევინა და გადააძრო, — ასე იყავი, არაფერი ჩაიცვა, — გადაულაპარაკა სახეალეწილ ქალს.

— ასე არ შემიძლია, — ხელიდან დაუსხლტა ნატო, — ამ სიცხეში მთელი დღის ნამუშევარმა წყალი თუ არ გადავივლე, არ შემიძლია, — ქალი აბაზანისკენ წავიდა.

გელა სკამზე ჩამოჯდა, სიგარეტი ამოიღო და მოუკიდა. რამდენიმე წუთში დიასახლისი აბაზანიდან გამოვიდა.

— წელსზევით არაფერი ჩაიცვა! — ისევ გააფრთხილა ვაჟმა, — არაყი გაქვს?

— რამე ვჭამოთ და არაყიც მაქვს. წავალ, ხალათს ჩავიცმევ, თორემ მეუხერხულება, — სახეზე სიწითლემ გადაჰკრა ნატოს.

— ხომ გითხარი, ასე იყავი-მეთქი! — გელამ ხმა დაიბოხა, — სასირცხვილო რა არის?

— რა ვიცი? — მხრები აიჩეჩა მასპინძელმა, — ერბო-კვერცხს შეჭამ?

— კი, — მიუგო სტუმარმა. წელსზემოთ შიშველ ნატოს მშიერი აფთარივით შეაცქერდა, — „დედაკაცს არაფერი ჯობია," — თავი კედელს მიაყრდნო და, როდესაც დიასახლისი მათლაფაში კვერცხის თქვეფას შეუდგა, სიგარეტის ახალ ღერს მოუკიდა, — „ქალი სხეულის შიგნიდან მოზღვავებული, ასაფეთქებლად გამზადებული, სურვილ-ვნებათა დამაცხრობელი არსებაა. ნახე, ძუძუები როგორ უთახთახებენ, მეძახიან — მოდი, მოგვეფერეო. რა მაგარია!" — აღფრთოვანებულმა გაიფიქრა, პასიურად ჯდომას ვეღარ გაუძლო, ზურგიდან ეცა, ჩაეხუტა, ქალის მკერდი ხელებში მოიქცია, — ხომ არ გიშლი? — სიგარეტგაჩრილი ტუჩებიდან ამოღერღა.

— არა, — ნატომ თავი მისკენ შეატრიალა, აკოცა, — ასე თუ გააგრძელე, მშიერი დარჩები.

— მე შენი შეჭმა მინდა. არაყი სად გაქვს, დამალევინებ თუ არა?

ქალმა მკლავები გააშვებინა, კედელზე ჩამოკიდებული კარადიდან გრაფინი აიღო, ორი სირჩა ხელს გამოაყოლა და მაგიდას მიუახლოვდა;

— პირველ სადღეგრძელოს მე ვიტყვი, — თმააბურძგნილ ვაჟს გაუღიმა და არაყი ჩამოასხა, — შენს დაწინაურებას გაუმარჯოს, — სულმოუთქმელად გადაჰკრა, მოკიდებული სიგარეტი თითებიდან ამოაცალა და რამდენიმე ნაფაზი დაარტყა.

— რა დროს ეგეთებია, — გელამ არაყი გადახუხა. არ ესიამოვნა, დაიჯღანა.

ნატომ წყალი მიაყოლებინა:

— სამსახურში როგორ მოგმართოთ, ბატონობით? — სიცილით შეეკითხა.

— მოიცა, რა, — ახალ ღერს მოუკიდა, — შენი დაქალებიდან ერთ-ერთი ჩემს მეგობარს რომ დავაჯახოთ, ხომ შეიძლება?

— ისე, მარინაც განათხოვარია, — ჩაფიქრებულმა უპასუხა დიასახლისმა, — გუშინ, როცა წახვედი, ისეთი ბედნიერი ვიყავი, ისეთი, რომ მინდოდა, აივანზე დავმდგარიყავი და მთელი სამყაროს გასაგონად მეყვირა. ველარ მოვითმინე, მარინასთან დავრეკე და ყველაფერს მოვუყევი...

— მერე? — დაინტერესდა გელა.

— ქალი ყურებს არ უჯერებდა, გაოცებული დარჩა...

— ჰოდა, — არ დაასრულებინა სტუმარმა, — მაგარ ბიჭს დავაჯახოთ.

— ვინ არის?

— ჩემი კლასელია, ვმეგობრობთ. მარინა დათანხმდება?

— რა ვიცი, ჩვენ ერთმანეთი გავაცნოთ და მერე თავის საქმეს თვითონ მიხედონ, — იღიმებოდა მასპინძელი. ერბოკვერცხი ტაფიდან მაგიდაზე გადმოდგა, პური დაჭრა, წინა დღის ტკბილეულობა და ხილი მაცივრიდან გამოიღო, — შენ რომ მყავხარ, მე ბედნიერი ქალი ვარ და ამას სრულყოფილად შევიგრძნობ. ჩვენს გრძნობას გაუმარჯოს, — სასმისი გამოცალა, კვერცხი დანით შუაზე გაყო, ნახევარი გელას გადაუღო, ნახევარი თავის თეფშზე დადო.

გელას არაფერი უთქვამს, სირჩა გადახუხა, ანანასის ნაჭერი აიღო და ჩაკბიჩა:

— დიდი არაფერია. გუშინ მაინტერესებდა, დღეს კი ჩვეულებრივი რამეა, — ჩაფიქრდა, — ნატო, დალევა გიყვარს?

— უარს იშვიათად ვამბობ, მთვრალი თავს უკეთ ვგრძნობ, — გაუღიმა ქალმა.

წყვილმა ისადილა. არაყით სავსე გრაფინი გაანახევრეს და საწოლში ვნებების დაცლას აბაზანაში შხაპის ქვეშ ალერსი ამჯობინეს. ვაჟის წასვლის წინ მობილურების ნომრები გაცვალეს და ერთმანეთს დროებით დაემშვიდობნენ.

ბნელდებოდა, როდესაც გელა სახლში მივიდა. ელისო განერვიულებული დაუხვდა.

— მოხდა რამე? — შეეკითხა შვილიშვილი.

— ყოველდღე უნდა დაიგვიანო? — მოხუცი წინ დაუდგა.

— ბებია, კახამ დამაწინაურა, მაწვნის საამქრო მე ჩამაბარა, ხელფასი დიდი, ათას ორასი ლარი მექნება, შენ კი დაგვიანებაზე მეწუწუნები? — გელამ თავი იმართლა.

— რაო? — ქალმა ყურებს არ დაუჯერა.

— მაწვნის საამქროს უფროსად დამნიშნა, — გაუმეორა შვილიშვილმა.

— რა კარგი ადამიანია კახა, — ფანჯარაში გაიხედა, ეზოში მდგმურის მანქანა დაინახა თუ არა, ახლავე მოვალო ბიჭს მიაძახა და გარეთ გაენთო.

გელა ოთახში შევიდა. ზემოდან ელისოს მადლობები და კახას ოჯახის ლოცვა-კურთხევა ესმოდა.

— ამ ქალმა გააჭირა საქმე, რა ფეხქვეშ ეგება, — გაბრაზებულმა წაიდუდღუნა და უჯრიდან მარკების ალბომი ამოიღო, გადაშალა. სამივე კუპიურას მიეფერა, აკოცა და ისევ თავის ადგილზე დააბინავა. ეზოდან ზურაბის ხმა შემოესმა, — მოვდივარ, — გასძახა და მეგობართან გავიდა.

— ნახე?

— ვინ?

— ის ქალი ნახე?

— ააა, — გელა აზრზე მოვიდა, — ვნახე კი არა, ახლახან ვიჟიმავეთ, — სიამაყით მიუგო.

— დაქალის შესახებ ელაპარაკე?

— კი და მე მგონი, დავითრევთ, — დასამშვიდებლად მხარზე ხელი წაარტყა, — სამსახური გინდა?

— სად?

— მე საამქროს უფროსად დამნიშნეს და ჩემ ძველ ადგილს გთავაზობ. იმუშავებ?

— რატომაც არა.

— მაშინ დირექტორს დაველაპარაკები.

— ძმაო, ქალზე იჩალიჩე, თუ საჭიროა, პურ-მარილსაც ვიკისრებ.

— ბიჭო, შვიდთვიანი ხომ არ ხარ, დამაცადე და ყველაფერი იქნება. ახლა აქ დამელოდე, დაველაპარაკები და დავბრუნდები.

— კარგი, — დასთანხმდა ზურაბი.

გელამ მდგმურებთან აირბინა. ღია აივანზე ელისო ცოლქმართან ერთად ჩაის მიირთმევდა.

— ბატონო კახა, — ვაჟი მიუახლოვდა.

— მოდი, გელა, — მდგმურმა სკამი გამოუწია, — ჩაის დალევ?

— არა, გმადლობთ. ბატონო კახა, ჩემს ყოფილ ადგილზე მეგობარი რომ მოვიყვანო, შეიძლება?

— თუ შენსავით კარგი ბიჭია, მოიყვანე.

— ბებო, ზურიკოზე ეუბნები?

— კი.

— ნამდვილად კარგი ბიჭია, ბავშვობიდან ერთად გაიზარდნენ, — ელისომ ზურაბი შეაქო.

— ცვლა როდის უწევს? — იკითხა კახამ.

— ზეგ, — ვაჟის თვალს ლიას დიდი დეკოლტე არ გამოჰპარვია, — „ეს ჩამაგდებინა ხელში და არაფერი მინდა“.

— მაშინ ზეგ მოიყვანე, პირადობის მოწმობა თან იქონიოს.

— დიდი მადლობა. ეზოში მიცდის, ჩავალ, გავახარებ, — კიბეზე ჩაირბინა, — მაყარიჩი შენზეა, — მეგობარს მიუახლოვდა, — ხელფასი სამას ორმოცდაათი ლარი გექნება.

— შენ გენაცვალე, ნაღდი ძმა ხარ, — ზურაბი მოეხვია, — ერთი სიგარეტი მომაწევინე.

— მუქთა სიგარეტის გაბოლებას არ უნდა გადაეჩვიო? — სიცილით უთხრა და კოლოფი გაუწოდა.

— როდიდან ვიწყებ?

— ზეგ წამომყვები, პირადობის მოწმობა თან იქონიე, საღამოს კი ჩემს ქალთან ავიდეთ, ისიც შენს ცვლაში მუშაობს, შეიძლება დაქალიც დაგაჯახოს თან შენი სამსახურის დაწყება აღვნიშნოთ.

— მოსულა, — ზურას სახეზე ბედნიერების ღიმილი ედო, — გავიქცევი, ჩემებს ვეტყვი. მამაჩემი სიხარულისგან ჭკუიდან შეიშლება, — უკანმოუხედავად გაიქცა.

IV

გელა თავისი მოვალეობის შესრულებას მთელი სერიოზულობით შეუდგა. დილით საამქროში ყველაზე ადრე მივიდა. დამლაგებლებს შენიშვნები დააყარა, იქაურობა დააწკრიალებინა და თანამშრომლების მოსვლამდე მაწვნის კომპონენტები შეამოწმა. დანომრილი ფაქტურების ნუმერაცია გადათვალა, მაგიდა თავის ნებაზე მიალაგა და მუშების მოლოდინში სიგარეტს მოუკიდა.

ათის ნახევარზე ცვლაში მომუშავეებთან ერთად საამქროში მთავარი ინჟინერიც შემოვიდა.

— ბატონო რეზო, ყველაფერი მზად არის, რძე გავუშვათ?

— გაავსეთ ქვაბები! — რეზო მაგიდას მიუჯდა.

პირველმა დღემ საამქროს უფროსის რანგში მშვენივრად ჩაიარა. სამუშაოს შემდეგ, როდესაც გელა მარტო დარჩა, მაცივრებში ჩალაგებული მაწვნის ქილების რაოდენობა კიდევ ერთხელ გადათვალა, ფაქტურა შეავსო და ბუღალტერიისკენ გაემართა.

მეორე სართულზე ასულს დირექტორის მდივანი შეეგება:

— გელა, შენთან მოვდიოდი. ათ წუთში საამქროების უფროსების თათბირია, შენც უნდა დაესწრო.

— მანანა, ბუღალტერიაში შევირბენ და ახლავე შემოვალ, — მიუგო ვაჟმა. მისაღების კარში გაჩერებულ ქალს, რომელსაც თხელი მატერიის ქვედაბოლო სარჩულის გარეშე ეცვა და ხორცშესხმული ფეხები მკაფიოდ უჩანდა, თვალი შეავლო, — „კახა მაგარ ქალებშია გაჩითული,“ — ბუღალტერიაში შევიდა, — საამქროს დღევანდელი ფაქტურა ვის ჩავაბარო? — კალკულატორის ჩხაკუნში გართულ ქალებს გადახედა.

— ჩემთან ჩააბარეთ, — ფანჯარასთან მჯდომმა ახალგაზრდა ქალმა დაუძახა.

გელა მიუახლოვდა, ქაღალდი მაგიდაზე დაუდო:

— თავისუფალი ვარ?

— ერთი წუთით, — ბუღალტერმა ჟურნალი გადაშალა, — დაბრძანდით.

ვაჟი ჩამოჯდა.

— ბიძინას ნაცვლად თქვენ ხართ?

გელას ცხოვრებაში პირველად თქვენობით მიმართეს, სიამაყის გრძნობით აღივსო:

— დიახ, მე დამნიშნეს.

— თქვენი სახელი?

— გელა კაცაძე.

— მე ეკა მქვია, — გაეცნო ბუღალტერი. ქალმა ფაქტურა გადაათვალიერა, ჟურნალში რაოდენობა ჩაიწერა და გელას ხელი მოაწერინა.

ვაჟი თათბირს დაესწრო, შემდეგ გადაწყვიტა, ბაზრობაზე წასულიყო და თავისთვის ტანსაცმელი შეეთვალიერებინა. სამარშრუტო ტაქსიდან დინამოს სტადიონთან ჩამოვიდა. რამდენიმე ნაბიჯი ჰქონდა გავლილი, რომ ვიღაცამ დაუძახა. გელამ მიმოიხედა და ბუღალტერიაში გაცნობილი ეკა შენიშნა, რომელიც მისკენ მოაბიჯებდა.

— „ნახე, რა აშხვართული ნაშა ყოფილა,“ — ქალი შეათვალიერა და შესახვედრად ნაბიჯი გადადგა, — ეკა, აქ რა გინდათ?

— აქვე ვცხოვრობ.

— გეჩქარებათ?

— არა, — თავი გაიქნია ქალმა.

— კაფეში შევიდეთ, ჩვენი გაცნობა და ჩემი დაწინაურება აღვნიშნოთ, — ბიჭს ქალის მიტოვება იმდენად არ უნდოდა, რომ მზად იყო, ქვეყნის ბოლოში წაეყვანა.

— სიამოვნებით, — ეკას გიშრისფერი თვალები გაუბრწყინდა.

გელამ ტაქსი გააჩერა და აღმაშენებელზე რომელიმე კაფესთან მიგვიყვანეო, სთხოვა. სულ რაღაც ათ წუთში წყვილი მაგიდას მიუჯდა.

— რა შევუკვეთოთ? — მენიუს ჩაკირკიტებდა გელა.

ეკამ მხრები აიჩეჩა. ვაჟმა ოფიციანტს უხმო, ხაჭაპური, სალათი, საუზმე, მწვადი, ხილი და შამპანური შეუკვეთა. ქალმა ჩანთიდან სიგარეტი ამოიღო და მოუკიდა. გელამაც არ დააყოვნა, სასწრაფოდ გააბოლა.

— „ქალაქელი გოგოები სულ გადაგვარდნენ, ყველა საბერველივით უქშუტუნებს," — ეკას ლამაზ, თლილ თითებს დააკვირდა, — შენს კოხტა თითებს სიგარეტი უხდება.

— ეჰ, ეგ არ ვიცი, მაგრამ ძალიან მამშვიდებს.

— დასამშვიდებელი რა გჭირს?

— დიდი ისტორიაა, ბევრ დროს წაიღებს, — ეკამ ხელი გაასავსავა.

— მოკლედ მომიყევი, — გელა ინტერესით შეაცქერდა.

— სამი წლის წინათ მამა გარდამეცვალა, — ქალმა ამოიოხრა.

— მეც ობოლი ვარ, — მხარი აუბა ვაჟმა.

— იქამდე ერთ ნაძირალაზე გავთხოვდი, ჩემი დედ-მამის სახლში ვცხოვრობდით. საცოდავ მამაჩემს იმან მოუსწრაფა სიცოცხლე.

— როგორ?

— იმდენი ცუდი გაგვიკეთა, რომ გახსენება აღარ მინდა. მამა ნერვიულობას გადაყვა.

ამასობაში ოფიციანტმა მაგიდა შეავსო. გელამ შამპანურის ბოთლი გახსნა და ფუჟერებში ჩამოასხა.

— კი, მაგრამ, თუ ასეთი ცუდი ადამიანი იყო, ცოლად რატომ გაყევი?

— სამწუხაროდ, თავიდან ნიღბით დაიარებოდა, კარგი ბიჭის როლს ასრულებდა, მერე დრომ ნიღაბი ჩამოგლიჯა და მისი ჭეშმარიტი სახე დამანახა. თავი შემაზიზღა, დღეს კიდევ სამსახურში დამირეკა, შევრიგდეთო. ამდენი ტკივილი ისევ

თვალწინ დამიდგა, ყველაფერი გამახსენდა, — ქალს სახე შეეცვალა.

— შვილი გყავს?

— არა, მაგას შვილს როგორ გავუჩენდი?! — ეკამ სიგარეტი ზედიზედ მოქაჩა და ნამწვი საფერფლეზე მიაგდო.

— „დამაყარა თავისი პრობლემები, რაში მჭირდება," — თავი გაიქნია გელამ, — „ისე, ამასაც პლომბი ახსნილი აქვს, შესანიშნავია," — ბედნიერმა გაიფიქრა, — მოდი, ამ თემაზე აღარ გვინდა საუბარი, — ფუჟერი აწია, — ჩვენს გაცნობას გაუმარჯოს, — მიუჭახუნა.

— გაუმარჯოს, — ჩაფიქრებულმა ეკამ შუშხუნა სითხე ყლუპ-ყლუპით დალია, — ამ სიცხეში ცივ შამპანურს არაფერი ჯობს, — შეორთქლილი სასმისი მაგიდაზე დადგა, — დღის ბოლოს ჩვენს ოთახში რეზო შემოვიდა და მთავარ ბუღალტერთან იმდენი გაქო, იმდენი, რომ კაცი შენით აღფრთოვანებულია, — ეკამ სალათი გადაიღო.

— „გენაცვალე, შენ როდისღა აღგაფრთოვანო?" — გელა მუშტრის თვალით შეყურებდა ქალს, — მართლა? — გაკვირვებული სახით იკითხა და შამპანური კიდევ ჩამოასხა.

— დაწინაურებას გილოცავ, — ეკამ გაუღიმა და ფუჟერი დაცალა.

— „თანამედროვე ნაშები გალოთებულები არიან, რამდენს სვამენ," — სასმისი ასწია, — დიდი მადლობა, — შამპანური ოდნავ მოწრუპა.

ერთ ბოთლს მეორე მოჰყვა. გელას თითქმის არ დაულევია, ეკას კი სასმელი მოეკიდა. ლოყები საყვარლად აუალდა, თვალები სიმთვრალისგან აუციმციმდა.

— ახლოს როცა ხარ, გაცილებით სიმპათიური მეჩვენები, — ბახუსმოკიდებულმა ქალმა ვაჟი შეაქო.

— „მალე ამასაც გავაფორმებ," — გელამ გაიღიმა, — შენც ძალიან ლამაზი ხარ.

როდესაც კაფედან გამოვიდნენ, ეკამ ხელკავი გაუკეთა, საუბარ-საუბრით გაუყვნენ აღმაშენებლის გამზირს. გზაში

ტელეფონის ნომრები გაცვალეს. კოჯორში ჩასვლისთანავე გელამ ზურაბი მოინახულა, დილისთვის წასვლაზე შეუთანხმდა და სახლს მიაშურა. ელისოს მიესიყვარულა და თავის ოთახში განმარტოვდა.

— „ყოველი შემთხვევისთვის, პროდუქციის აღრიცხვის წიგნაკი ჩემთვისაც უნდა გავხსნა და ყოველდღიური მონაცემები შევიტანო. რა იცი, რა ხდება?“ — საწოლზე წამოგორებული ფიქრს მიეცა, — „რაც შეეხება ნატოს, მაგას ზურას გადავაბარებ, მარინაც მაინტერესებს, როგორია, ისე, არც ეკაზე ჩალიჩი იქნება ურიგო, ნატოსაც ჯობს და მარინასაც,“ — ზემოდან ლიას ხმა შემოესმა, — „ეს ხომ ჩემპიონია, მაგრამ ჯერ-ჯერობით მიუწვდომელია, არა უშავს, ეგ დროც დადგება,“ — სიგარეტს მოუკიდა, მაგიდის უჯრიდან პატარა ბლოკნოტი ამოიღო, ფურცლები გადაათვალიერა, — ივარგებს, — ჩაილაპარაკა და მაგიდაზე დადო. მარკების ალბომიც მოინახულა, დოლარებს მიუალერსა.

მეორე დილით ბიჭები სამსახურში ერთად მივიდნენ. გელამ ზურაბს თავისი საქმიანობის დეტალები აუხსნა, განცხადება დააწერინა და კადრების განყოფილებაში აიყვანა. ზურაბი საამქროში მუშად გააფორმეს.

— გილოცავ, — გელამ მეგობარი გადაკოცნა, — საქმე სამაყარიჩოდ გაქვს.

— მე მზად ვარ, მამაჩემმა დამაფინანსა და, სადაც იტყვი, იქ აღვნიშნოთ.

— ნატო ხომ მოგწონს? — გელამ გამომცდელად მოჭუტა თვალები, — ჰოდა ვეტყვი და საღამოს მაგასთან ვიგრიალოთ. შეიძლება დაგათრევინო კიდეც.

— როგორ, ეგ ხომ შენი ნაშაა? — გაიკვირვა ზურაბმა.

— ეგ ჩემთვის არავის უჩუქებია, შენც გაუსინჯე გემო, მრიცხველი კი არ უყენია. — გელას ჩაეცინა, — დაქალიც უნდა ამოიყვანოს და მაგათი მოვალეობაც ეგ არის — ჩვენნაირი კარგი ბიჭები უნდა დააპურონ, სხვა რაში გვარგიან.

— უარი რომ გვითხრას?

— უარი არა ისა, ბოზი ბოზია, მისაღები უნდა მივიღოთ! — დარწმუნებით მიუგო გელამ.

საამქროში მუშაობა გაჩაღდა. გელამ მომენტი ნახა და ნატო დაიმარტოვა:

— ჩემო სიცოცხლევ, როგორ ხარ?

— კარგად, გელა. მომენატრე.

— დღეს საღამოს ზურიკო რომ ამოვიყვანო და წავუქეიფოთ, რას იტყვი?

— როგორ არა, ოღონდ საჭმელი ბევრი არაფერი მაქვს.

— ყველაფერს ჩვენ ამოვიტანთ, ზურა მოწყობის მაყარიჩს კისრულობს.

— კარგია. სამსახურის შემდეგ გელოდებით.

— ჰო, მართლა, მარინასაც დაურეკე, თუ სურვილი აქვს, დავაჯახოთ ზურა.

— დავურეკავ, — დაეთანხმა ნატო.

— მოვილაპარაკეთ. ჩემო სიცოცხლევ, დღეს განსაკუთრებით ლამაზი ხარ.

— მე შენთვის ვცდილობ, მინდა, რომ სულ მოგწონდე.

— მოკლედ, საღამოს ვქეიფობთ, — საამქროს უფროსმა კონვეიერი ჩართო.

სამუშაოს შემდეგ გელამ ფაქტურა შეავსო, ბლოკნოტში აგვისტოს თვის გვერდი გამოყო და ორი დღის პროდუქციის რაოდენობა შეიტანა:

— ზურა, აქ დამელოდე. ამ ქაღალდს ბუღალტერიაში ჩავაბარებ, დირექტორთან თათბირს დავესწრები და წავიდეთ, ნატო გველოდება. — მეორე სართულზე აირბინა, — ეკა, გამარჯობა, ფაქტურა მოგიტანე.

— როგორ ხარ? — დაბალ ხმაზე შეეკითხა ეკა.

ბიჭს არაფერი უპასუხია, მხრები აიჩეჩა. ქალმა ჟურნალი გადაფურცლა, ფაქტურის მონაცემი გაატარა და ხელის მოსაწერად გაუწოდა. გელამ გამოართვა, მექანიკურად წინა დღის გრაფას შეხედა და გაკვირვებისგან სახე შეეცვალა, დამზადე-

ბული მაწვნის რაოდენობა ხუთასი ცალით იყო შემცირებული. ხელი მოაწერა და ჩაფიქრებული დერეფანში გავიდა.

ეკა უკან გამოჰყვა:

— გელა, გუშინ როგორ დავთვერი.

— ეგ არაფერი, შინ ცუდად ხომ არ გახდი?

— არა, გაუნძრევლად მეძინა, სიზმარში გნახე.

— როგორ მნახე?

— რაღაც ლავასავით მოედინებოდა, ცეცხლი ეკიდა. შენ შიგნით იდექი, არ იწვებოდი, ხარხარებდი, მუჭებით ლავას იღებდი და ტანზე ისვამდი. მე შორიახლოს ვიდექი, გიყურებდი. საიდანღაც ცხონებული მამაჩემი გამომეცხადა, ხელი ჩამჭიდა და იქაურობას გამარიდა. მე ვეწინააღმდეგებოდი, შენკენ ვიწევდი, მაგრამ წინ გადამეღობა და აღარ მიშვებდა. შენ ყველაფერს ხედავდი, მაგრამ რეაქცია არ გქონდა — შენთვის სულ ერთი იყო, მოვიდოდი თუ არა...

— ხედავ, რა ცეცხლოვანი ბიჭი ვარ, — სიცილით მიუგო.

— შენ კი ხარ ცეცხლოვანი, მაგრამ მამაჩემს სიზმარში იშვიათად ვხედავ, როცა მიჭირს, მაშინ მესიზმრება ხოლმე.

— ჩემთან მიმართებაში რა გიჭირს? — იკითხა გაოცებულმა ვაჟმა.

— რა ვიცი, — ეკა ბეღურასავით მოიბუზა.

— კარგი, არ მოიწყინო, — ქალის დამშვიდებას შეეცადა გელა, — ახლა თათბირზე გავიქეცი. დაგირეკავ, არ მოიწყინო, — გაუღიმა და დირექტორის კაბინეტისკენ გაემართა, — „მაწვნის რაოდენობა რატომ შეამცირეს, რას უნდა ნიშნავდეს?“ — ფიქრარეული მოსაცდელში შევიდა, — მანანა, გამარჯობა, — გამომწვევად ჩაცმულ მდივანს მიესალმა და კახას კაბინეტში შეაბიჯა.

თათბირის შემდეგ ბიჭებმა ბაზარი მოითავეს, ტაქსი გააჩერეს და გლდანში გაყვანა სთხოვეს. ზურაბს ეტყობოდა, რომ ნერვიულობდა:

— ბიჭო, რომ არ გამოვიდეს?

— რა არ უნდა გამოვიდეს, — გაიოცა გელამ, — სასმელს ისე ეტანება, როგორც ფისო კატაბალახას. გემრიელად გავაბრუ-ჟოთ, გამოვაქლიავოთ, მერე მიდი-მოვდივარ, — თავდაჯერებულმა დაამშვიდა მეგობარი.

ნატოსთან მივიდნენ. სასმელი, ნამცხვარი და ნესვი მაცივარში შეაწყეს და დიასახლისს კერძების მომზადებაში მიეშველნენ. სასტუმრო ოთახში სუფრა გააწყვეს და საპურმარილოდ მიუსხდნენ.

— მარინა რატომ არ მოვიდა? — იკითხა გელამ.

— მოვა, ცოტა შეაგვიანდება, — მიუგო ნატომ.

— ძალიან კარგი, — გელამ ზურას თვალი ჩაუკრა. — რა დავლიოთ, არაყი თუ შამპანური?

— მე შამპანურს დავლევ, ისიც ცოტას, რაღაც ვერ ვარ კარგად. — ნატომ არაყი იუარა.

გელამ შამპანურის ორი ბოთლი და არაყი გახსნა. მაღალფეხიან ჭიქებში შუშხუნა სითხე ჩამოასხა:

— მე ვითამადო? — თანამესუფრეებს გადახედა. პირველი სადღეგრძელო შეკრებისა შესვა და მწვადის ნაჭერი გადმოიღო, — ნატო, სამზარეულოში სიგარეტი დამრჩა, გთხოვ, გამომიტანე, — მასპინძელს გადაულაპარაკა. როგორც კი ნატო ოთახიდან გავიდა, ცარიელ ჭიქებში შამპანური ჩამოასხა, ქალის სასმისში არაყიც ჩაუმატა.

გელამ სიგარეტს მოუკიდა, სასმისი ასწია და ზურაბს მიუჭახუნა:

— ძმაო, მოდი, ჩვენი დიასახლისი ვადღეგრძელოთ. ვუსურვებ, სულ ასეთი ლამაზი, ეშხიანი და კარგი ყოფილიყოს, — შამპანური შესვა და ბოკალი სუფრაზე გადმობრუნებული დადგა, — ასე მტერი დაგეცალოს! ამ სადღეგრძელოს ყველანი ბოლომდე სვამთ! — გასცა ბრძანება.

ზურაბმა ორი სიტყვით ადღეგრძელა ქალი და სასმისი გადმოაბრუნა.

— დიდი მადლობა, — ბედნიერი იყო დიასახლისი. ბოკალი მანაც გამოცალა, — რა კარგი შამპანურია, — კმაყოფილმა ჩაილაპარაკა.

— „მიდი, მიდი, საწოლში დროზე გაიშოტე,“ — გელამ თვალებგაბრწყინებულ ქალს ისე გადახედა, როგორც ზვარაკად შესაწირ ბატკანს, — მოგწონს, სიცოცხლევ?

— ძალიან, თითქოს გამოვკეთდი, თან გუნებაზეც მომიყვანა, — უპასუხა ნატომ და გელას კოლოფიდან სიგარეტი ამოიღო.

— „ახლა ამან დაიწყო ჩემი სიგარეტის გაფუილება,“ — გაიფიქრა ღვარძლიანად.

ტელეფონმა დარეკა, დიასახლისმა ყურმილი აიღო:

— ბიჭებო, მარინაა, ერთ საათში აქ იქნება.

გელამ მომენტი ხელიდან არ გაუშვა და შამპანურიან ბოკალში არაყი ახლა უფრო მეტი ჩაუმატა. თამადამ ხან სანთებელა ვერ იპოვნა და მასპინძელს ასანთი მოატანინა, ხან საფერფლე დააცლევინა, ხანაც განსხვავებული სასმისი აძებნინა და, ისე დაათრო, ქალი თვალებს ძლივსღა ახელდა.

— წამოწოლა ხომ არ გინდა? — შეეკითხა გელა.

ქალი ისე იყო მისავათებული, ხმას ვერ იღებდა.

— ზურა, მომეხმარე, საწოლში გადავაწვინოთ.

ბიჭებმა ნატო დიდი გაჭირვებით წამოაყენეს, აქეთ-იქიდან ამოუდგნენ და საძინებელ ოთახში შეიყვანეს. დიასახლისი რაღაც მელოდიას კი არ ღიღინებდა, უფრო ღმუოდა, უაზრო ფრაზებს ისროდა. საწოლზე გულაღმა დააწვინეს. გელა პერანგის ღილების გახსნას შეუდგა. ქალი უაზროდ ამოიღმუვლებდა ხოლმე და ისევ მოეშვებოდა.

— ბიჭო, ცუდად არის, არ მოკვდეს, — კედელთან ატუზული ზურაბი მეგობარს ფერდაკარგული შესცქეროდა.

— ჩჩ, — ტუჩებთან თითი მიიდო გელამ. ქალს ჯერ ცალი სახელოდან გამოუძვრინა ხელი, შემდეგ მეორედანაც. ლიფის შესაკრავი გაუხსნა და გვერდზე მიაგდო. — შეხედე, რა მკერდი აქვს, — გადაულაპარაკა ზურაბს და ქალს ძუძუები დაუსრისა. სანდლები გააძრო, ქვედაბოლოს ღილი შეუხსნა, ელვა ჩაუწია და ფეხებზე ქვემოთ ჩაუცურა. ბიკინიც ფეხებს ჩააყოლა, და ზურაბს სახეში ესროლა. წამოდგა, გაოფლილ შუბლზე ხელი გაისვა, — როგორია? — სიამაყით ჰკითხა. სასტუმრო ოთახში

გავიდა, მობილური მოიტანა და ქალის შიშველ სხეულს რამდენიმე ფოტო გადაუღო, — სამახსოვროდ დამრჩება, — კმაყოფილმა ჩაილაპარაკა.

— ბიჭო, არ მოკვდეს. გათიშულია, ვერ ხედავ?

— ძაღლი კოჭლობით არ კვდება, — ანუგეშა გელამ, — ჯერ მე მივალ, მერე შენ.

ზურა ოთახიდან გავიდა.

რამდენიმე წუთში სახეგაბადრული გელა მეგობართან დაბრუნდა:

— ისეა გათიშული, მაგასთან გინდა მე და შენ და გინდა მთელი ბატალიონი მისულა. მიდი, რაღას უცდი!

ზურაბი საძინებლისკენ გაემართა. ამ დროს კარზე ზარის ხმა გაისმა, გელამ სწრაფად გააღო და მარინას შეეგება.

— ნატო სად არის? — იკითხა სტუმარმა. — ქალს ეტყობოდა, რომ ბახუსმოკიდებული იყო.

— გელოდა, გელოდა, ცოტა შეგვითვრა და ზურასთან ერთად საძინებელშია, ერთობიან, — აუხსნა ვაჟმა. ქალი შეათვალიერა, მისი მზერა ოქროს ძეწკვზე ჩამოკიდებულ ჯვარს შეეფეთა. გააკანკალა, ყურებში წუილის ხმა ჩაესმა, თავბრუ დაეხვა, ხელით კედელს მიეყრდნო.

— რა მოგივიდა? — გაიკვირვა მარინამ.

გელამ ჯვრის შიშით თვალები დახუჭა, — ალბათ, სასმელის ბრალია, — ძლივს ამოილუღლუღა.

სტუმარმა ხელი მოჰკიდა, სასტუმრო ოთახში გაიყვანა, სკამი გამოუწია და მაგიდასთან დასვა. ვაჟს თავის აწევა ვერ გაებედა, ენაჩაყლაპული მუნჯივით იჯდა.

— არა, სამჭიქიანი რომ ხარ, ამაში დავრწმუნდი, — მარინამ დამცინავად უთხრა, — თუ ასე ცუდად გხდის, რას სვამ?

გელამ პასუხად მხრები აიჩეჩა. ორივეს ყურადღება საძინებლიდან გამოსულმა ხმებმა მიიპყრო. ვნებაატანილი ნატო ყვირილსა და კვნესას ერთმანეთში ურევდა.

— ამ ჩემმა დაქალმა გარეკა, შენ როგორ დაგთმო? — სიცილი აუტყდა მარინას. შამპანური ჩამოისხა, სულმოუთქმელად

დალია, პირველს მეორე ბოკალი მიაყოლა. სახე აუხურდა. — ასე ვისხდეთ? — ირონიული ღიმილით გახედა დასჯილივით თავჩაქინდრულ ვაჟს.

— ლოჯში გავიდეთ! — სკამიდან წამოფრინდა გელა, ქალის ხელი ჩაბღუჯა და თან წაიყოლა. კარი მიხურა, მარინა სავარძლის საზურგეზე მიაგდო. მინიქვედაბოლო წელზე ააფარა, საცვალი ჩააძრო, შარვალი შეიხსნა და...

— ნატომ მითხრა, ძალიან მაგარიაო. მიდი, მიდი, მიჩვენე, რა შეგიძლია, — ჩასჩურჩულებდა დედაკაცი.

გელამ დრო იხელთა, ძეწკვი გაუხსნა და ძირს დააგდო, ჯვარს ფეხებით შედგა.

— აი, ახლა გადმობრუნდი, — სათამაშოსავით მოიტრიალა, გავეშებული შეაცქერდა, — მოგწონს?! — კბილებიდან გამოცრა.

— ძალიან, ძალიან, ნუ ჩერდები, მიდი!

გელამ ისევ შეაბრუნა, ზურგზე ხელი ჰკრა, რათა საზურგეზე გადამხობილიყო და თავის საქმეს მეტი გაცხოველებით შეუდგა:

— „ჯვარს ფეხით ვთელავ და ღვთის მორწმუნეს ვჟიმავ. მეტის ღირსები ხართ, თქვე ბოზანდარებო!“ — სიამაყით ფიქრობდა და გრძნობდა, როგორი არაადამიანური ძალა ეძლეოდა. უკვე გაისისხლხორცა, მისთვის სიამოვნება მოვალეობაში გადაზრდილიყო.

ზურაბი თავს ისე წამოადგა, ვერც გაიგო.

— რას შვრები?

— რომ გითხრა, ლექსს ვწერ-მეთქი, დამიჯერებ? — გადაიხარხა, — ვჟიმაობ, შე ჩემა, ვერ ხედავ?!

ქალს აღარც ზურასი ერიდებოდა:

— მიდი, გელა, არ გაჩერდე, — შეეხვეწა.

ცოტა ხანში ლოჯში ხალათმოცმული ნატოც გამოვიდა:

— ვაიმე, — აღმოხდა და სახეში ხელი იტკიცა.

გელა, ისე, რომ თავისი საქმე არ შეუწყვეტია, დიასახლისისკენ შემობრუნდა:

— რა იყო, შენ რა, სხვა რამეს აკეთებდი?! ზურასთან არ იჟიმავე? თუ დამისაკუთრე და სხვისთვის აღარ გემეტები, შე ნაბოზარო!

— გაგვანებეთ თავი! — საცოდავად შეევედრა მარინა, — ცოტა ხანს გვაცადეთ! ხალხი არა ხართ?!

ნატო ატირდა, სახეზე ხელები აიფარა, გრძნობდა, რომ გელამ, როგორც უკანასკნელი ვიგინდარა მასხრად აიგდო. ზურამ ლოჯიდან გაიყვანა და სასტუმრო ოთახში, დივანზე დასვა. მთელ ბინაში მარინასი და გელას აღვირახსნილი ოხვრა-ვიში ისმოდა.

ასე კარგა ხანს გაგრძელდა. ბოლოს ქალმა გაკვირვებულმა იკითხა:

— გელა, რა გჭირს, ადამიანი ხარ თუ მანქანა, აღარ უნდა მორჩე?

— მოკეტე, შე ჩათლახო, შენი გაისწორე და მე აღარ მაცდი?! — დუნდულაზე ტყლაშანის ხმა გაისმა.

— დავიღალე, გავთავდი ქალი, — შეევედრა მარინა.

— მე არ დავღლილვარ. რაც გინდოდა, ხომ მიიღე, შე წაკლავ! — გაშლილი ხელი მთელი ძალით დასცხო მეორე დუნდულაზე. — მაცადე და ენა გააჩერე!

— რატომ მირტყამ? — წინააღმდეგობის გაწევა სცადა ქალმა, მაგრამ ვაჟს სავარძლის საზურგეზე ისე ჰყავდა მიკუჭული, რომ განძრევას ვერ ახერხებდა. ბედს დანებდა და ისევ გაჩუმება არჩია.

ნატოს ბინა გელას ხმამაღალმა ხარხარმა გაავსო. ქალს მოშორდა, შარვალი აიწია, ქამარი შეიკრა. მარინა სავარძელზე გადასვენებული, ძალაგაცლილი ჩვარივით ეგდო. ნასიამოვნები, სახეგაბადრული ვაჟი სასტუმრო ოთახში გავიდა, მობილური აიღო და მარინას სხვადასხვა პოზაში ფოტოები გადაუღო.

დიასახლისი დივანზე თავდახრილი იჯდა და სლუკუნებდა, ზურა გვერდით მიცუცქოდა, ამშვიდებდა.

— წავედით! — გელამ მეგობარს ცალყბად გადაულაპარაკა და დერეფანში გავიდა.

ზურაბი ზლაზვნით წამოდგა:

— ნატო, თუ გინდა, დავრჩები? — მორიდებით შეეკითხა ატირებულ დიასახლისს.

ქალმა ცრემლით დანამული, ამღვრეული თვალებით შეხედა. მისი გამომეტყველება მხოლოდ ერთს — უსაზღვრო შეურაცხყოფას გამოხატავდა. ხმა არ ამოუღია, უარის ნიშნად თავი ოდნავ გააქნია.

— რამე თუ გაწყენინეთ, მე მაპატიე, — საჩვენებელი თითით სახიდან ცრემლი მოწმინდა.

ქალი მუნჯივით იჯდა, გაოგნებულს აღარაფრის თავი აღარ ჰქონდა.

— მოდიხარ, ბიჭო, თუ არა?! — დერეფანში სარკის წინ თმას ივარცხნიდა გელა, — წაკლებმა იწაკლეს, ბიჭები დაგვაპურეს! — ღიღინებდა და საკუთარ ორეულს, თითქოს პირველად ხედავდა, ბედნიერი გამომეტყველებით შეჰყურებდა, — ისე, ნატო, მარინას შენ ჯობიხარ. დიდი ვერაფერია შენი დაქალი.

— აქედან მომაშორე ეგ ნაძირალა, — ზურაბს შეევედრა მასპინძელი.

ვაჟს აღარაფერი უპასუხია, დერეფანში გავიდა. კიბეს ჩაუყვნენ, ლიფტი გამოიძახეს. გელა რაღაცა მელოდიას ღიღინებდა.

— ბიჭო, ეს რატომ გააკეთე?! — გაოცებულმა იკითხა ზურაბმა.

— რა გავაკეთე? — გაიკვირვა გელამ.

— ქალს სულში ჩააფურთხე!

— სულში არა, გულში, — ხელი აიქნია, — შე გამოქინძებულო, შენთვის ვიჩალიჩე, ქალი დაგათრევინე და მადლობის მაგიერია?! — სიგარეტს მოუკიდა.

— ასე არ ხდება, არაკაცურად მოვიქეცით.

— როცა ჟიმაობდი, მაგაზე მაშინ უნდა გეფიქრა, ბიჭო! — ხმას აუწია გელამ.

ზურაბი ჩაფიქრდა:

— ნატოს თვალებში ვეღარ შევხედავ.

— თვალებში თუ ვერ შეხედავ, ტრაკზე უყურე, გაიგე?! — გადაიხარხარა და ქუჩაში მიმავალ ტაქსის ხელი დაუქნია, კოჯორში აყვანის საფასურზე მოელაპარაკა, — მოდი, წმინდანო,

დაჯექი, თორემ ჩვენები ინერვიულებენ, — წინა სავარძელზე მოკალათდა.

ღამის ორი საათი ხდებოდა, შინ რომ დაბრუნდნენ. ელისოს არ ეძინა, ტელევიზორთან იჯდა და რაღაცას ქსოვდა:

— გელა, სადაც არის, გათენდება, — მოხუცმა საქსოვი ჩხირები და ძაფის გორგალი მაგიდაზე დადო, შვილიშვილს მიუბრუნდა, — კახამ მითხრა, შვიდი საათის შემდეგ სამსახურში საქმე აღარა აქვსო, — ქალი ფეხზე წამოდგა, — სად ხარ ამდენი ხანი?

— შენ რა, გინდა, რომ სამსახური-სახლის მეტი არსად ვიარო, მატარებელი ხომ არ ვარ?

— ზურას მამა იყო მოსული, იკითხა სად არიან ამდენი ხანიო?

— მაგათ რაღა უნდათ? — გაწიწმატდა გელა, — თუ შვილის სახლში ჯდომა უნდოდათ, მაშინ ყვავილების მოვლა ესწავლებინათ, თბილისში რაღას უშვებდნენ?!

— თუ თბილისში მუშაობ ან სწავლობ, სახლში აღარ უნდა მოხვიდე, უკეთეს შემთხვევაში ღამის ორზე შემობრძანდე?! — ქალი აღშფოთებას ვეღარ მალავდა.

— მაშინ სპირტით სავსე ქილაში ჩაგესვით, თავი კარგად მოგეხუფათ და სულ სახლში ვიქნებოდი. მოგენატრებოდით? ქილას შეატრიალ-შემოატრიალებდით, მნახავდით და ეგ არის, სულ გვერდით გეყოლებოდით, — ირონიულად უპასუხა გელამ.

— ცხონებული პაპაშენი და მამაშენი უწესიერესი ადამიანები იყვნენ, შენ ასეთი ვის დაემსგავსე.

— მეზობელს, — მიუგო გელამ და თავისი ოთახისკენ წავიდა.

— შვილო, რა მოგდის?! — მიაძახა გაოგნებულმა ელისომ.

— აი, უწესიერესები რომ იყვნენ, იმიტომაც თავზე გადამდის და საცოდავი დედაჩემიც ვიღაც ახვარ ბერძენს უვლის! — დაიღრიალა და ოთახის კარი მოაჯახუნა.

— „ბებია მოგიკვდეს,“ — გაიფიქრა ქალმა. ტელევიზორი გამორთო, გაიხადა და საწოლში შეწვა, — „მთელი ბავშვობა ობლობასა და გაჭირვებაში გაიზარდე, ყველაფერი გენატრებოდა. რაც სამსახური დაიწყო, როგორ უცბად დამიკაცდა,

ბებია ენაცვალოს, ცუდს ნუ გააკეთებს და გაერთოს, ნახოს ცხოვრება,“ — გვერდზე გადაბრუნდა, თვალები მილულა.

გელა საწერ მაგიდას მიჯდომოდა, წინ დოლარები დაეწყო და ეჩურჩულებოდა:

— ქალივით ლამაზები და კარგები ხართ და, რაც მთავარია, უენოები და ბევრის გამკეთებლები, თქვენ ნაღდი სიყვარულით მიყვარხართ, ჩემო პატარებო, ძალიან მიყვარხართ. — ალერსით გული იჯერა, ალბომი შეინახა და უჯრაში ჩაკეტა. წამოდგა, საწოლს გადასაფარებელი გადააძრო, ტანსაცმელი გაიხადა და გულაღმა დაწვა, — „რამდენი ხანია, ლია არ მინახავს, ჩემი ოცნების დედაკაცი. როგორ მომენატრა,“ — ყურადღება მეორე სართულისკენ გადაიტანა. ზემოდან ჩამიჩუმი არ ისმოდა, — „სძინავთ. ცოლი აღარ უნდა ვაჟბატონს, მანანასთან ერთობა. ეტყობა, თვალები გაქირავებული აქვს, სად ლია და სად ის მიხატულ-მოხატული, ნახევრად შიშველი მანანა. არა, ისიც კარგია, მაგრამ ლიას ფრჩხილის ფასიც არ არის. ლია, რომ ჩემი იყოს, ალბათ, საწოლში დავაკვდებოდი. როგორ შეიძლება, მაგ ქალს ალერსი მოაკლო? ეგ ხომ საფერებლად არის დაბადებული“.

ახალი ჩაძინებული ტელეფონის ზარმა გამოაღვიძა, ტუმბოს გადასწვდა, ტელეფონი აიღო:

— გისმენთ.

— გელა, მე ვარ, — ქალის ნაცნობი, წკრიალა ხმა შემოესმა.

— გამარჯობა, — საწოლზე წამოჯდა ვაჟი.

— შენს ჭიშკართან ვარ. გამოდი.

— ახლავე, ჩავიცვამ და მოვდივარ, — წამოდგა, ტანზე სახელდახელოდ გადაიცვა და ფეხაკრეფით ეზოში გავიდა, — გამარჯობა.

— მანქანაში ჩაჯექი. კარგად მიდიხარ. შენით ყველანი კმაყოფილნი არიან, — ქალი გაღიმებული, მშვიდი სახით ესაუბრებოდა, — მაგრამ თავს უნდა სძლიო, ტაძარშიც უნდა გამოჩნდე, ლოცვას დაესწრო და ჯვრის დანახვისას თვალთ არ უნდა გიბნელდებოდეს...

— არ შემიძლია, — გააწყვეტინა გელამ.

ქალმა ჩანთა გახსნა, მსხვილ ოქროს ძეწკვზე ჩამოკონწიალებული კუპონი ამოიღო. რომელიღაცა გეომეტრიული ფიგურის ფორმის კუპონი ძვირფასი თვლებით იყო მოჭედილი.

— შვილო ჩემო, მაგ უბედურებისგან ეს გიხსნის, — კისერზე დაკიდა, — აქ სპეციალური ლოცვაა, რომელიც გაგაძლიერებს. არასოდეს მოიხსნა და პრობლემა, რომელიც გექმნება, თავისით გაქრება. ოღონდაც დაიმახსოვრე, კუპონის გახსნა არ შეიძლება, თორემ ზემოქმედების უნარს დაკარგავს.

გელამ ოქროს კუპონი ხელისგულში მოიქცია, რამდენჯერმე აკოცა:

— მსიამოვნებს, ვგრძნობ მის ძალას, — ბედნიერმა აუწყა.

— ძალიან კარგი, — გაუღიმა ქალმა, — ახლა ყურადღებით მომისმინე! წინ დიდი გზა გაქვს გასავლელი. ეს დიდების გზაა, რომელიც უზარმაზარ მონდომებასა და შრომას მოითხოვს. სექტემბერში სწავლა დაგეწყება, ამიტომ შენი დირექტორი წინასწარ შეამზადე, რომ შემცვლელზე იზრუნოს. რამდენიმე თვეში სასწავლებელსაც შეელევი შენ სულ სხვა რამ გევალება, სხვაგან უნდა გაემგზავრო, სრული კურსი გაიარო და ბოლომდე დაიხვეწო.

— მაპატიეთ, მაგრამ, თუ შეიძლება, თქვენი სახელი მითხარით. როგორ მოგმართოთ?

— სანა დამიძახე, — თავზე ხელი გადაუსვა, უკანა სავარძლისკენ გადაიხარა და თხელი ყუთი აიღო, — აქ ლეპტოპია, ინტერნეტი ჩართულია, ინსტრუქცია ყუთშია. იცოდე, კომპიუტერი ზედმიწევნით უნდა ისწავლო. დღეს ამის გარეშე ნული ხარ; გამიგე?

— დიახ, — დაეთანხმა გელა. ყუთი მექანიკურად გამოართვა და მუხლებზე დაიდო, — მითხარით, სად უნდა გამამგზავროთ?

— შტატებში, ჩემო ბიჭუნავ, შტატებში. იქ, საიდანაც ეს საცოდავი მსოფლიო იმართება.

— ქალბატონო სანა...

— ქალბატონოთი მეტი აღარ მომმართო, მე სანა მქვია!

— სანა, მე რისი მართვის უნარი მაქვს. ციცქნა მაწვნის საამქროს ძლივს ვუძღვები, — შეიცხადა ვაჟმა.

— ნუ დარდობ, ყველაფერს შეგასწავლიან, დაიხვეწები და ისეთი დიპლომით ჩამოხვალ, ქვას გახეთქავს, შეუძლებელს შეძლებ...

— მაპატიეთ, მაგრამ მთლიანობაში რა ფუნქცია მაკისრია? — სიტყვაში ჩაეხირა გელა.

სანამ ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა, ერთხანს იყუჩა.

— ახლა კარგად მომისმინე და არ გამაწყვეტინო, თუ გეძინება, სხვა დროისთვის გადავდოთ...

— არა, არა, გისმენთ, — ადგილზე გახევდა ვაჟი.

— დავიწყებ იმით, რომ მსოფლიო უნდა გაერთიანდეს. ევროკავშირი და აფრიკის კავშირი უკვე შექმნილია, მალე გაჩნდება ამერიკისა და აზიის კავშირებიც. ეს არის მსოფლიო გლობალიზაცია, რომელიც არ ცნობს ეროვნებას, ქვეყნების ტერიტორიულ მთლიანობას, რელიგიას. ევროპის გაერთიანებით დაიბადა ერთიანი ვალუტა — ევრო, გაუქმდა საზღვრები, აირ-დაირია სახელმწიფოთა ეროვნული ფასეულობები. ეს ექსპერიმენტი ბრწყინვალედ განხორციელდა. ამის შემდეგ მთელი მსოფლიო უნდა გაერთიანდეს და შეიქმნას ერთიანი მსოფლიო ვალუტა, რათა ეს სამყარო ერთმა ძალამ განაგოს.

მიმდინარეობს ადვილად სამართავი ადამიანის ჩამოყალიბების პროცესი. თანამედროვე ადამიანი უნდა გადაიქცეს, ზომბად, დათრგუნვილ არსებად, რომელიც მუდმივი შიშის ქვეშ იცხოვრებს და ეს შიში — ტერორიზმია.

ეს სიტყვა, როგორც მასობრივი ჰიპნოზი, გადმოიღვრება ტელევიზორებიდან, რადიოებიდან, კომპიუტერებიდან და პრესის ფურცლებიდან. ზომბებმა გაუთავებლად უნდა ისმინონ ტერორისტებისა და ტერორისტული აქტების კოშმარული ისტორიები. ტერორიზმი — ეს არის მუდმივი ომი, რომელიც არასდროს დამთავრდება, რათა ყველამ გამუდმებით შიშში

იცხოვროს — დაშინებული და დათრგუნვილი მოქალაქე ვერასდროს იქნება თავისუფალი...

— კი მაგრამ, ტერაქტები ხომ ხდება მართლა? — გელამ ვეღარ გაძლო, მაინც იკითხა.

— ძალიან ცოტა, დაახლოებით ხუთი პროცენტი, დანარჩენს სახელმწიფო თავის ხალხს თვითონ უწყობს. მართალია, შენ მაშინ პატარა იყავი, მაგრამ გემახსოვრება თერთმეტი სექტემბრის გრანდიოზული ტერაქტი, სადაც სამი ათასზე მეტი ადამიანი დაიღუპა...

— როგორ არ მახსოვს, — თავი დაიქნია გელამ, — ორ ცათამბჯენს თვითმფრინავები რომ შეასკდნენ, არა?

— კი, მაგრამ მთელი მუღამი არის ის, რომ ვითომ ტერორისტები, რომლებიც მხოლოდ საკანცელარიო დანებით იყვნენ შეიარაღებულნი, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე იტაცებენ ოთხ თვითმფრინავს და ეჯახებიან მსოფლიო სავაჭრო ცენტრსა და პენტაგონს...

— შეჯახება ხომ მართლა მოხდა? ტელევიზორში ბევრჯერ მაქვს ნანახი.

— როგორ არა, — დაეთანხმა სანა, — მაგრამ შენობები შეჯახების შედეგად არ დანგრეულა. ეს იყო დეტალურად მომზადებული და იდეალურად დადგმული სპექტაკლი, ფარსი. ის ორი შენობა ლითონის მზიდ კოჭებზე იყო აგებული. მრავალ ადგილას ეს კოჭები წინასწარ ცერად ჩაჭრეს, რათა კონსტრუქციას სათანადო მდგრადობა არ ჰქონოდა. ეფექტი იმის, რომ ცათამბჯენი თვითმფრინავის შეჯახებამ დაანგრია, გამოიწვია ორი წამით ადრე განხორციელებულმა წერტილოვანმა აფეთქებებმა და ისედაც დასუსტებული კონსტრუქციის მზიდუნარიანობა საბოლოოდ გაქრა, ნაგებობები ისე დაიშალა, როგორც ბანქოსგან აგებული სახლი. რაც შეეხება პენტაგონს, მას არავითარი თვითმფრინავი არ შეჯახებია, იქ მხოლოდ სპეციალური აფეთქება მოხდა.

— ვის რაში სჭირდებოდა ეს სპექტაკლი? — გელამ გაოცებულმა იკითხა.

— ჰმ, — ჩაეღიმა სანას, — ამ ცრუ ტერაქტით ბუშმა, რომ-ლის რეიტინგი იმ მომენტისთვის უპრეცედენტოდ დაბალი იყო, შეძლო, ერთ მუშტად შეეკრა ამერიკელი ხალხი, ყველა პოლიტიკური პარტია, ყველა საზოგადოებრივი გაერთიანება და მთელი მსოფლიოც კი. მან მწვანე შუქი აინთო, რათა უპ-რობლემოდ განეხორციელებინა ერაყზე თავდასხმა, ებრძოლა სადამ ჰუსეინის დასამარცხებლად. ამისთვის სამი ათასზე მეტი ადამიანის სიცოცხლე არაფერია, ჩიტი ბრდღვნად ღირს.

— ბუშს ერაყის წინააღმდეგ ომი რაში სჭირდებოდა, ამით რა მოიგო?

— პოლიტიკა დიდი ბიზნესია, ხოლო მსოფლიო პოლიტიკა გრანდიოზული, ზე-ბიზნესია. ამ საქმეში ყველაზე მომგებიანი კი ომის წარმოებაა. შენს ქვეყანაში შარშანდელი, ხუთდღიანი ომი გახსოვს?

— დიახ, — თავი მორჩილად დააქნია გელამ.

— ჰოდა, ჩემო კარგო, ამ ხუთ დღეში შენი ქვეყნის პოლი-ტიკოსების ელიტამ ხუთი მილიარდი იშოვნა, ხოლო რუსეთმა მიიღო ის, რასაც სიზმარშიც ვერ ეღირსებოდა — აფხაზეთს კოდორი მიუერთა, სამაჩაბლოს კი ახალგორი.

ამერიკას რუსეთის განაწყენება არც შეუძლია და არც სურ-ვილი აქვს, მაგრამ თავისი სამხედრო ბაზების საქართველოში განლაგება ძალიან უნდა, რათა აკონტროლოს აზია და თავად რუსეთიც. ამისთვის ქვეყნის ნატოში გაწევრიანებაა საჭირო, რასაც, პრინციპში, თქვენი პოლიტიკოსები ეთანხმებიან კი-დეც, ოღონდაც გასარკვევი დარჩა, რა ტერიტორიის ფარგ-ლებში გახდება საქართველო ნატოს წევრი, — ქალს სიცილი აუტყდა, — შენ ხომ ნატო იხმარე, ზუსტად ასე ხმარობს ნატო საქართველოს, ტერიტორიულობის საკითხის გარკვევამდე.

საქართველოსთვის ნატო, იცი, რას ჰგავს? — სანას ისევ ჩა-ეღიმა, — ჰორიზონტის ხაზს, რომელსაც, რამდენითაც მიუახ-ლოვდები, იმდენითვე გშორდება.

ამიტომ საქართველომ უარი უნდა თქვას, აფხაზეთსა და სამა-ჩაბლოზე. როგორც კი ამ „ქვეყნების“ დამოუკიდებლობას აღი-

არებთ, ერთ თვეში ნატოს წევრებიც გახდებით. ასეთია მარტივი ლოგიკა, რომელსაც მსოფლიო მმართველები მხარს უჭერენ.

მე გითხარი, რომ პოლიტიკა დიდი ბიზნესია, ხოლო მსოფლიო პოლიტიკა ზე-ბიზნესი, რომელიც კულისებიდან იმართება, მმართველებს არავინ იცნობს, ხოლო პრეზიდენტები მარიონეტული სათამაშოები არიან, რომელნიც ავანსცენაზე დგანან და მმართველთა მარიონეტები არიან.

დაზომბილი ადამიანების დათრგუნვის მეორე ფაქტორი საბანკო სისტემაა. უკვე შექმნილია მუდმივი მევალის ინსტიტუტი. ადამიანთა დიდი ნაწილი ბანკებზე ეზოს ძაღლებივით არის მიბმული. მსოფლიოს ცენტრალურ ბანკებზე დამოკიდებულია უკვე თვით სახელმწიფოებიც. მმართველებს უნდათ, რომ ხალხი მაქსიმალურად გაღატაკდეს და მთელი ქონების კონცენტრაცია საბანკო სფეროში მოხდეს.

გარდა ამისა, მთელს მსოფლიოში მკვეთრად ეცემა განათლების დონე და უფრო უნდა დაეცეს. ეს დათრგუნვის არა, ეს მართვის მშვენიერი მეთოდია. მოსახლეობის სამ პროცენტზე ნაკლები კითხულობს წიგნებს, თხუთმეტ პროცენტამდე — ეცნობა პრესას. ზომბებს ჭეშმარიტება არ აინტერესებთ, სამაგიეროდ ტელევიზორსა და კომპიუტერზე არიან მიჯაჭვულები. ამდენი უაზრო შოუები, ამდენი მდარე და უგემოვნო სანახაობა, ამდენი ძალადობა, სექსი, ნარკოტიკები, ალკოჰოლი, სერიალები, კაზინოები და ტოტალიზატორები ტვინის გამორეცხვის უალტერნატივო მეთოდია. მსოფლიოს მმართველებს არ უნდათ, რომ ახალი თაობა განათლებული იყოს, მათ არ უნდათ, რომ ზომბებმა იაზროვნონ, ამიტომ ახლებსა და ძველებს შორის ყველა ხიდი უნდა ჩაინგრეს და ძველი თაობა უნდა ჩაირეცხოს, სარბიელიდან გაქრეს, ყველა საინფორმაციო გადაცემა იწყება იმით, რომ სხვაგან, სხვა ქვეყანაში ამოხეთქა ვულკანმა, სხვაგან მოხდა მიწისძვრა, იქით თვითმფრინავი ჩამოვარდა, უფრო იქით ცუნამმა გაანადგურა ქალაქები, ხოლო აქ, ჩვენთან ყველაფერი კარგად არის, დიდი-დიდი, მანქანა მანქანას დაეჯახოს, თორემ

ეკონომიკა ვითარდება, ქვეყანა წინ მიდის... ბანკზე მიბმული ზომბები მშვიდდებიან, მარტო იმაზე ფიქრობენ, არ გახდნენ ტერორისტების მსხვერპლნი და დროულად დაფარონ კრედიტი, სხვა სადარდებელი მათ აღარ აქვთ. არ გახსოვს, რუსთაველზე წაგებულ ომს რა ცუმპა-რამპათი აღნიშნავდა თქვენი პრეზიდენტი და იძახდა — გავიმარჯვეთო? ბედნიერი იყო, მან ხომ მართლა გაიმარჯვა და ხუთი მილიარდი იშოვა. სწორედ ამიტომ იმართება ბრწყინვალე კონცერტები, თეატრებში პრემიერების კასკადია, და გაუნათლებელი, მაგრამ ილუზიაში მყოფი ზომბები მშვიდდებიან, უყურებენ სერიალებს, მილიონებად ნაყიდი ფეხბურთელების თამაშს, ათასნაირ მარაზმატიკულ შოუს და თვალებზე ბინდი ეკვრებათ, რათა რეალურ სინამდვილეს არ შეხედონ. დათრგუნვილი და ვალებში ჩაფლული უვიცი, მაგრამ თავისი საქმის კარგად მცოდნე მეწაღე, მიმტანი, მძღოლი, დალაქი, ხაბაზი, მეთუნუქე, მალიარი და მომსახურების სფეროს უამრავი მუშაკი დილით ბედნიერი გაიღვიძებს, გაემართება სამსახურში, უმწიკვლოდ შეასრულებს თავის მოვალეობას, ხოლო საღამოს ტელევიზორს ან კომპიუტერს მიუჯდება, ან ილოთებს, ან იბოზებს, ან კაზინოში ითამაშებს და ასე შემდეგ, მას პრეტენზია აღარაფერზე ექნება. ტელევიზორი და კომპიუტერის მონიტორი სახარებად გადააქციეს. ეს სასწაულმოქმედი ეკრანები ახდენენ რევოლუციებს, ამხობენ პრეზიდენტებს, თეთრს შავად ისე დამაჯერებლად წარმოგიდგენენ, რომ ეჭვიც არ შეგეპარება. ტელევიზორიდან ასწავლიან ჩაცმას, კერძის კეთებას, ქცევის ეტიკეტს, სექსს, სიყვარულის ფსიქოლოგიას...

და ბოლოს, ამ აჯაფსანდალივით არეულ-დარეულ ქვეყნებს, ერთმანეთისადმი აგრესიულად განწყობილ ზომბებს სჭირდება კონტროლი. უნდა არსებობდეს ყოველწამიერი ინფორმაცია თუ ვინ სად იმყოფება, რითი სუნთქავს. ამის აღნუსხვა პირველ ეტაპზე ჩიპიანი პასპორტებით მოხდება, ხოლო შემდეგ ამ ჩიპებს თითოეულს სხეულში ჩაუნერგავენ. ეს პროცესი

უკვე დაწყებულია და წარმატებით მიმდინარეობს, მსოფლიო კონტროლს ვერავინ შეეწინააღმდეგება.

შენი ქვეყანა, გეოგრაფიული მდებარეობის გამო, რუსეთისა და ამერიკის ინტერესების სფეროს წარმოადგენს. რუსეთმა თავისი უკვე მიიღო. მალე შესრულდება მისიის ის ნაწილი, რომელიც გულისხმობს იმას, რომ შტატებმა ატომური იარაღი რუსეთის საზღვარზე განალაგოს და მსოფლიო გლობალიზაციის მტერი ჩიხში მოაქციოს, პარალელურად მთელი აზია უპრობლემოდ აკონტროლოს და არეგულიროს.

რამდენიმე სიტყვით ხელის შემშლელ ფაქტორებზეც მინდა გითხრა. პირველი და ძირითადი ეს სარწმუნოებაა, რომელმაც ეს ციცქნა ქვეყანა დღემდე მოიყვანა, ამიტომ რელიგიურ ტოლერანტობას ხაზი უნდა გადაესვას, მუსლიმებმა ქრისტიანებთან დაპირისპირება გაამძაფრონ, მოსახლეობა ერთმანეთს რწმენის გამო უნდა დაუპირისპირდეს და, რაც მეტი იქნება დუღილის ტემპერატურა, რაც მეტი სისხლი დაიღვრება, მით უკეთესია.

გარეგნულად უნდა აშენდეს, შინაგანად კი განადგურდეს და დაინგრეს ეროვნულ ფასეულობათა ერთობლიობა. ენა უნდა გაუფასურდეს და თანდათან უნდა მოხდეს მისი ჩანაცვლება ჩვენი, მსოფლიო ენით.

ფართო გზა ლესბოსელებს, პედერასტებს, ტრანსსექსუალებსა და ადამიანის ყოველგვარ ატავიზმს. საჭიროა ბევრი მშიერი, უპატრონო, გამათხოვრებული და გადაგვარებული ბავშვი; უამრავი დანგრეული ოჯახი; უნდა გაწყდეს ყველა ძაფი მშობლებსა და შვილებს შორის.

თითოეული შენი მოქალაქე უნდა მიერთდეს კეთილდღეობის იმედზე, გინდა მოუმატებ, გინდა დაუკლებ, ისე უნდა ათამაშო, როგორც კატა ერთობა წრუწუნათი.

— სანა, მაპატიე, მაგრამ მე რა უნდა გავაკეთო? — დაბნეული ჩანდა გელა.

— ყველაფერს იქ აგიხსნიან, დაგაკვალიანებენ და სწორ გზაზე დაგაყენებენ. — საათს დახედა, — ძალიან გვიანია,

წადი, დაიძინე, სამსახურში არ დაიგვიანო, — ქალი ბიჭისკენ გადაიხარა, ლოყაზე აკოცა.

— კარგად იყავით, — გელა მანქანიდან გადავიდა და სახლისკენ გაემართა, იღლიაში კომპიუტერი ჰქონდა ამოჩრილი.

მეორე დღეს საამქროში ყველაზე ადრე მივიდა, ქაღალდები მოაწესრიგა, მაგიდა მიალაგა და მუშებს დაუწყო ლოდინი. შესვენების შემდეგ თანამშრომლებს დავალებები დააყარა და დირექტორის სანახავად გაემართა. მდივანი, როგორც ყოველთვის, ადგილზე არ დაუხვდა, კახას კაბინეტიდან მანანას ხმამაღალი კისკისი ისმოდა.

— „ვაი თქვენს პატრონს," — გაიფიქრა და კარზე დააკაკუნა, — შეიძლება, ბატონო კახა? — ოთახში თავი შეჰყო.

მდივანი ქალი კახას კალთაში ეჯდა. მანანას სახე შეეცვალა, წამოდგა და კარისკენ წავიდა:

— კახა, როგორც მოვილაპარაკეთ, — მამაკაცს მრავალმნიშვნელოვნად გადაულაპარაკა, კაბინეტში შემავალ გელას გზა დაუთმო და ოთახიდან გავიდა.

— გელა, რაზე შეწუხებულხარ?

— ბატონო კახა, სექტემბერში სწავლა მეწყება, მინდა, რომ მთელი სერიოზულობით მოვეკიდო, ამიტომ გადავწყვიტე, სწავლის დაწყებისთანავე სამსახურს თავი გავანებო...

— რატომ? — შეიცხადა დირექტორმა, — მე ყველაფერში ხელს შეგიწყობ, რათა სამსახური და სასწავლებელი ერთმანეთს შეუთავსო, ჩემი ძმაც დაგეხმარება...

— არა, ბატონო კახა, — შეაწყვეტინა გელამ, — ორი კურდღლის დამჭერი, ვერც ერთს დავიჭერ.

— ჰო, სადღაც მართალი ხარ, — დირექტორი აღარ შეწინააღმდეგებია, გელას მონდომებითა და შემართებით კმაყოფილმა გაიღიმა, — მომწონს შენი მიზანსწრაფულობა, მაგრამ შენნაირი კარგი თანამშრომლის დაკარგვა მიჭირს.

— ბატონო კახა, ერთი რამეც მინდა გითხრათ, — ვაჟი უხერხულად შეიშმუშნა.

— გისმენ.

— ჩემთან საამქროში ნატო რომ მუშაობს, თქვენი ახლობელი ხომ არ არის?

— არა, — თავი გაიქნია დირექტორმა, — რა იყო, მოხდა რამე?

— მერიდება ამაზე საუბარი, მაგრამ ვალდებული ვარ გითხრათ...

— სათქმელი უნდა მითხრა, იმიტომაც ხარ ჩემიანი, — დაიძაბა კახა.

— მაგ ქალმა იმდენი ქნა, სანამ ლოგინში არ შემიტყუა...

— ოჰო! — წამოიძახა დირექტორმა და სიგარეტს მოუკიდა.

— ჰოდა, ვენერიულითაც დამასაჩუქრა. ასეთ ადამიანს პროდუქციასთან შეხების უფლება არ უნდა ჰქონდეს, საშიშია, — გელა დამაჯერებლად საუბრობდა.

— რას ამბობ?! — აღშფოთდა კახა, — დღესვე გავუშვებ სამსახურიდან, — ტელეფონის ყურმილი აიღო, კადრებში დარეკა. აღმოჩნდა, რომ ქალს დილითვე დაეწერა განცხადება და სამსახურიდან წასულიყო. კახამ მთავარ ინჟინერთან დარეკა, — რეზო, ჩვენს თანამშრომლებს, ვისაც პროდუქციასთან აქვს შეხება, ვენერიული გამოკვლევა ჩატარებული აქვთ? ჰოდა, ძმაო! — ხმას აუწია დირექტორმა, — ერთ კვირაში ყველას ჯანმრთელობის ცნობა მაგიდაზე მედოს, გაიგე?! კარგი, — ყურმილი დაკიდა. ვაჟს მიაჩერდა, — გელა, შემცვლელის ძებნას დავიწყებ. არ მემეტები, მაგრამ რა ვქნა, — გაუღიმა.

— ნახვამდის, ბატონო კახა, — გელა წამოდგა და ოთახიდან გავიდა. მისაღებში ყური მოჰკრა, მანანა ვიღაცას ტელეფონზე გახარებული ეუბნებოდა, დღეს საღამოს კახასთან ერთად მივდივარო. — „ძალიან კარგი!“ — მრავალმნიშვნელოვნად გაიფიქრა, — „აი ასე, ჩემს დაკრულზე უნდა გაცეკვოთ ყველა,“ — გაიცინა, — „ანეკდოტია, აბა რა არის. ახლა ესენი ყველანი, მათ შორის ზურიკოც, ვენეროლოგთან მიცუნცულდებიან, სასქესო ორგანოებს გადმოყრიან, აიღებენ ანალიზებს... მაგარი ვარ, მაგარი,“ — საამქროში კმაყოფილი დაბრუნდა.

დღის ბოლოს ფაქტურა შეავსო და ბუღალტერიაში ავიდა:

— საღამო მშვიდობისა, — ყველას მიესალმა და ეკას საქმიანად მიუახლოვდა, — როგორ ხარ?

— კარგად, გელა, შენ? — გაუღიმა ქალმა.

— ისე, რა, — ფაქტურა წინ დაუდო, — ამდენი მუშაობით დავიღალე, — წაიწუწუნა და სკამზე ჩამოჯდა, — ხვალ თეატრში ხომ არ წავიდეთ?

— სიამოვნებით, რამდენი ხანია კარგი სპექტაკლი არ მინახავს.

— ხვალ საღამოს არაფერი დაგეგმო, ბილეთებს დღესვე ავიღებ.

— კარგი, — ქალმა ფაქტურა ახლოს მიიწია და ჟურნალში მონაცემების გადატანას შეუდგა.

გელას თვალს ხუთასი ცალით შემცირებული წინა დღის რაოდენობა არ გამოპარვია, არ შეიმჩნია, ჟურნალში ხელი მოაწერა და დირექტორის კაბინეტისკენ წავიდა. მანანა სარკეში თავისი თავის ცქერაში იყო ჩაფლული, ვერავის და ვერაფერს ამჩნევდა.

თათბირის შემდეგ კინომსახიობთა თეატრში შეიარა, მეორე დღისთვის ორი ბილეთი შეიძინა და ტაქსის გასაჩერებლად გზის პირას დადგა. ქაოსურად მოძრავ მანქანებში კახას „ბე.ემ.ვე.“ შეამჩნია, წინ მდივანი ქალი ეჯდა. სასწრაფოდ ტაქსი გააჩერა და უკან გაყვა. კახამ მანქანა „ივერიის“ ავტოსადგომზე გააჩერა და მეწყვილესთან ერთად შენობაში შევიდა. გელა მანქანიდან გადმოვიდა, რამდენიმე წუთით ქუჩაში შეყოვნდა, სიგარეტი გააბოლა, — „ცოლ-ქმარს შორის შავი კატა ჩავასეირნო?“ — რამდენიმე ნაფაზი ხარბად ჩაისუნთქა, სიგარეტი მოისროლა, — „დროა, დროა ლიას დათრევაზე ვიჩალიჩო!“ — ჩაიცინა და სასტუმროს ვესტიბიულში შევიდა. იქაურობა დაკვირვებით შეათვალიერა, როდესაც კახა და მანანა ვერსად დალანდა, ადმინისტრატორს მიუახლოვდა:

— გამარჯობა, ქალბატონო, თქვენთან ნომრის ქირაობა შეიძლება? — თან დახლს იქით გაშლილ ჟურნალს შეავლო თვალი, კახას გვარი იპოვა, ოთახის ნომერიც ამოიკითხა.

— როგორ არა, პასპორტია საჭირო და არავითარი პრობ-ლემა, თავისუფალი ნომერი ბევრი გვაქვს.

— დიდი მადლობა, — კმაყოფილმა გაუღიმა, დაემშვიდობა, ქუჩაში გავიდა, ტაქსი გააჩერა და კოჯრისკენ გაემგზავრა. მანქანიდან ზურას სახლთან ჩამოვიდა, სანამ მეგობარს დაუ-ძახებდა, მობილური ამოიღო და ლიასთან დარეკა, — ლია ბრძანდებით? თქვენი ქმარი თავის მდივანთან გღალატობთ, ახლაც სასტუმრო „ივერიაში“ არიან, ათას მეათე ნომერში, — ქალს ისეთი შეცვლილი ხმით აუწყა, რომ თავადაც გაოცებული დარჩა, აპარატი გათიშა, — ზურა, ზურა! — ხმამაღლა შესძახა მეგობარს.

— გელა, შენ ხარ? — გამოეპასუხა ზურაბი.

— მოდი, რაღაცა მინდა გითხრა.

— რა იყო? — ხელი ჩამოართვა ზურაბმა.

— ჩემთან წამოდი, კონიაკი დავლიოთ, დაღლილი ვარ და ცო-ტათი შემეხიდება.

— კარგი, თან სალაპარაკოც მაქვს, — ზურაბმა თავისიანებს გასძახა, რომ გელასთან ვიქნებიო და ქუჩას გაუყვნენ. გელამ მაღაზიაში კონიაკი „სარაჯიშვილი“ და სურსათი შეიძინა.

— წმინდანო, შენ რაღაც გუნებაზე ვერ ხარ?

— ნატოსთან მაგრა ჩავიჭერით, არაკაცურად მოვექეცით... ქალი ისეთი შეურაცხყოფილი იყო, რომ განცხადება დაწერა და სამსახურიდან წავიდა.

— შენ რა იცი? — გაიკვირვა გელამ.

— დღეს მასთან ვიყავი, ბოდიში მინდოდა მომეხადა...

— გაჟიმე?

— ეჰ, — ზურამ ხელი ჩაიქნია, — თავში სულ სიბინძურე როგორ უნდა გიტრიალებდეს?

— ძმაო, ეგ ქალი სხვა არაფრისთვის გამოდგება, ბოზია და ბოზისგან სხვა სიკეთეს რას უნდა ელოდო?! წავიდა და ცხრა მთას იქით გზა ჰქონია. დღეს ქალი იმდენია, რომ ვედრო სამი ლარიც არ ღირს, — სიცილი აუტყდა.

— მარინასგან რაღა გინდოდა?

— მარინასგან? — ჩაფიქრდა გელა, — ბიჭო, შენ და ის წაკ-ლა ისეთ ხმებს უშვებდით, ქალი გადაირია და რა უნდა მექნა?! თუ ის მეთქვა, მართალია, შენს დაქალს ზურა ჟიმავს, მაგრამ მე მაინც ნატოს ერთგული ვრჩები-მეთქი. ცხოვრება ასეა, მისაღები უნდა მიიღო, გაიგე?! და ძალიან გთხოვ, იმ ბოზან-დარაზე აღარ მელაპარაკო!

ხმამაღალი საუბრით გელას ეზოში შევიდნენ. ლია და ბავშ-ვები ელისოსთან ისხდნენ. ქალს ნამტირალევი სახე ჰქონდა, დანა პირს არ უხსნიდა.

— მოხდა რამე? — იკითხა გელამ, ლიას სახეს დააკვირდა, შეწუხებული გამომეტყველება მიიღო, გულში კი ზეიმობდა.

— არაფერი, — უპასუხა დიდედამ, — დღეს რა ბზიკმა გიკ-ბინა, ასე ადრე რომ მოხვედი?

— სამაგიეროდ, ხვალ დავიგვიანებ, თეატრში მივდივარ...

— გელა, — ლიამ დაუძახა, — დღეს კახა ბოლოს როდის ნახე?

გელა მდგმურისკენ შემობრუნდა, ნამტირალევ თვალებში შეაცქერდა:

— საღამოს თათბირი ჩაატარა, მერე მე წამოვედი. რა იყო? — სახეზე გაურკვეველი გამომეტყველება აიკრა.

— არაფერი, — ქალმა მზერა აარიდა.

ბიჭებმა ორ საათში კონიაკს ბოლო მოუღეს. ზურა მასპინ-ძელს ნასუფრალის მილაგებაში შეეშველა, დაემშვიდობა და სახლში წავიდა. პირველი სრულდებოდა, როდესაც კახამ მან-ქანა ეზოში შემოიყვანა და მეორეზე ავიდა.

— „მიდი, ვაჟბატონო, სიურპრიზი გელოდება,“ — გელა სა-წოლში ყურდაცქვეტილი გაიტრუნა.

ცოლ-ქმარი კარგა ხანს არკვევდა ურთიერთობას, კახა დამრეკს გამუდმებით აგინებდა და იძახდა, ვიღაცა შანტაჟს მიწყობსო. იფიცებოდა, შენს მეტი არავინ მყავსო. გელას ყველაფერი გარკვევით ესმოდა, მაშ, მტყუანისო — გულში კახას შეუკურთხა, გვერდი იცვალა და კმაყოფილი ღრმა ძილს მიეცა.

V

მეორე დილით მეგობრები სამსახურის გზას ერთად გაუდგნენ.

— წმინდანო, ნატო ხომ არ შეგიყვარდა? — ხუმრობით იკითხა გელამ.

— სახუმარო არ არის, ის ქალი ასეთ მოპყრობას არ იმსახურებდა, უსინდისოდ მოვექეცით.

— კარგი, რა, — ხელი აიქნია გელამ, — ადამიანთა მოდგმა ასეთია, ღრუბელივით არის, როცა მშრალია, უნდა დაასველო, ისე დაასველო, რომ გაიჯირჯვლოს და როცა სველია უნდა გაწურო, არაფერი შეარჩინო. ნატო იმ დღეს წურვაში მოხვდა, გაიგე, ანგელოზო?!

— შენ რა, ადამიანთა მოდგმას არ ეკუთვნი?

— არა, მე უფრო მაღლა ვდგავარ, — სიცილით მიუგო ვაჟმა.

— მაღლა მდგომო, ტაძარში რატომ არ დადიხარ, წირვა-ლოცვაზე არასდროს მინახიხარ.

— რას ლაპარაკობ, ანგელოზო, შენ რომ დადიხარ, იმიტომ იმრუშე? მიპასუხე, იმიტომ იმრუშე? — ხმაში ბრაზი შეერია გელას.

— შეცდომა ყველას მოსდის, — თავის მართლება სცადა ზურაბმა. — შენ კი მონანიებაც არ გინდა. მაინც რატომ არ დადიხარ ტაძარში?

— ჯერ ერთი, მონათლული არ ვარ...

— რას ამბობ? — შეიცხადა ზურაბმა, — რატომ, ბიჭო?

— რატომ და, როცა ჩვენ დავიბადეთ, ქვეყანას დედა აღარ ჰყავდა, ხუთი წლისას კი მამაც გარდამეცვალა. თან აფხაზეთის ომი იყო. სოკოსავით ნაწვიმარზე გავიზარდე. თან მაგ თქვენი მღვდლების ვერაფერი ვირწმუნე. ჩემმა ნათესავმა მითხრა, ქუთაისში ჯვრისწერაში ორასი ლარი გამოგვართვესო. ტარიფებია, ბიჭო დაწესებული. ასე მგონია, მღვდლები ოფიციანტები არიან და მენიუთი დაიარებიან: მწვადი-ნათლობა ამდენი ღირს, ხინკალი-ჯვრისწერა — ამდენი, ქაბაბი-პანაშვიდი — ამდენი, აღსარება-აჯაფსანდალი — ამდენი, ამი-

ტომ შენს კაფეტერია-ტაძარში მე არ დავდივარ, სიაბანდია ეგ ყველაფერი.

ეგეც არ იყოს, ღმერთის არა მწამს. ღმერთი რომ არსებობდეს, ეს ხალხი ასე გადაგვარებული არ იქნებოდა, ადამიანში სიყვარულის, ოღონდ ჭეშმარიტი სიყვარულის უნარი და შეგრძნება დაკარგულია, ხოლო უსიყვარულო სხეული ნივთია, სხვა არაფერი. ზოგი ნივთი ოქროსია და მას ბევრი ნივთუკები ეხვევა გარს იმიტომ, რომ სჭირდებათ, ხოლო ჩვეულებრივი ნივთი უვარგისია, გამოუყენებელი და ყველას ქინძზე ჰკიდია. გაიგე, ბიძია?!

— ზურაბი მეგობარს შეშფოთებული უსმენდა. — შენ მართლა ვერა ხარ. მონათვლის მეტი ვერაფერი გიშველის. გინდა, მე მოგნათლავ?

— არა, ჩემო წმინდანო, ვერ შემაცდენ.

ამ ლაპარაკით შენობაში შევიდნენ. ნატოს ფუნქცია გელამ იტვირთა, მთელი პროცესი ეთერთან და ზურაბთან ერთად ჩაატარა. საღამოს ფაქტურები ნაჩქარევად შეავსო და ეკასთან აირბინა.

— გამარჯობა, — ოთახში მსხდომთ მიესალმა, — ეკა, სპექტაკლი შვიდზე იწყება, — ფაქტურა მაგიდაზე დადო, — ვიჩქაროთ, არ დაგვაგვიანდეს.

— ხელი მომიწერე, — ჟურნალი მიაწოდა ეკამ.

გელამ თავის გრაფაში აღნიშვნა გააკეთა, წინა დღის მონაცემს შეხედა — ისევ ხუთასით იყო შემცირებული.

— მე დირექტორს თათბირიდან გავენთავისუფლები; შენ ქვემოთ დამხვდი და წავედით, — ბუღალტერიიდან გავიდა.

რამდენიმე წუთში ქალ-ვაჟი ტაქსიში იჯდა და კინომსახიობთა თეატრისკენ მიემართებოდა. გელამ სპექტაკლის დაწყებისთანავე ეკას მტევანი მაჯაში მოიქცია, გამუდმებით თითებზე ეფერებოდა. ქალს აშკარად სიამოვნებდა ასეთი ურთიერთობა, პერიოდულად ნეტარი მზერით გადმოხედავდა და უღიმოდა. ვაჟი წარმოდგენით ძალიან მოიხიბლა. მართალია, თეატრში სულ ორჯერ იყო ნამყოფი, ბავშვობისას — თოჯინების და მეხ-

უთე კლასში — მოზარდში, მაგრამ ახლა, დონ ჟუანის შემხედვარე, აღფრთოვანებას ვერ მალავდა. სპექტაკლის შემდეგ აღმაშენებლის გამზირს სტადიონისკენ ფეხით გაუყვნენ.

— ეკა, თუ არ გეჩქარება, წამოდი, რესტორანში ვივახშმოთ.

ქალს არაფერი უპასუხია, გაღიმებულმა შეხედა.

— წავიდეთ? — თვალებში შეაცქერდა გელა, სიგარეტი ამოიღო, მოუკიდა და პასუხის მოლოდინში გაირინდა.

თითქოს მეტყველების უნარი დაჰკარგვოდა, პასუხად ქალმა თავი დაუქნია, ხელკავი გაუკეთა და ტანზე მიეკრა.

ვაჟმა მანქანა გააჩერა, დიღომში, რესტორან „წისქვილში“ გაგვიყვანეო უთხრა და უკანა კარი გამოხსნა. ქალი მანქანაში დასვა, თვითონაც გვერდით მიუჯდა, მარცხენა ხელი გადახვია და მთელი ძალით მიიზიდა.

გელა ამ რესტორანში არასდროს ყოფილა, მაგრამ კახასგან ყურმოკვრით იცოდა, რომ იქ საუკეთესო კერძებს ამზადებდნენ და ყოველთვის კარგი გასართობი პროგრამა ჰქონდათ. მთელი გზა ეკას გელას მხარზე ჰქონდა თავი ჩამოდებული, თვალები დაეხუჭა და კნუტივით გატრუნულიყო.

რესტორნის ეზოში ვაჟმა დირექტორის „ბე.ემ.ვე“. დალანდა — კახა მდივანთან ერთად მანქანიდან გადმოვიდა. ხელიხელჩაკიდებულები შენობისკენ წავიდნენ.

— „შეხედე ამ ცუცურაკს. გუშინ ცოლმა კარგად ვერ დაურხია ან, ეტყობა, ფეხებზე ჰკიდია და აღარც ანაღვლებს,“ — ჩაეღიმა, — „ყოფას გიტირებ, შენ თუ არ გინდა ლია, მე მინდა, ბიძია, და მივხედავ კიდეც, მაგ ქალის მოცდენა არაფრით გამოვა,“ — სიგარეტს ისევ მოუკიდა, — აქ არ გაგვიჩერო, გადავიფიქრეთ. სადმე სხვა რესტორანთან მიგვიყვანე.

— „ფაეტონთან“ გინდათ? — იკითხა მძღოლმა.

— იყოს „ფაეტონი,“ — დასთანხმდა გელა.

ეზოში შესულებს მიმტანი შეეგებათ, დარბაზში შეიყვანა, მაგიდა ამოარჩევინა და მენიუ წინ დაუდო.

— ეკა, ერთი, ტუალეტში შევალ, ხელებს დავიბან, შენ ამასობაში მენიუს გადახედე, მოიფიქრე, რა შევუკვეთოთ და მეც

ახლავე მოვალ, — რესტორნის ეზოში გავიდა, ჯიბიდან მობილური ამოიღო, ერთი ჩაახველა, ხმა დაიყენა და ლიასთან დარეკა, — ქალბატონო, თქვენი ქმარი თავის მდივანთან ერთად არის. შეგიძლიათ, რესტორან „წისქვილში“ ნახოთ. — ტელეფონი გათიშა და ტუალეტში შევიდა.

— რა შეარჩიე? — დარბაზში გაღიმებული შევიდა, სკამი გამოიწია და ქალს გვერდით ჩამოუჯდა.

— აქ ისეთი ფასებია, მე ვერაფერს ამოვირჩევ, — ეკა უხერხულად შეიშმუშნა.

ვაჟმა მენიუ აიღო და გვერდით გადადო:

— ფასი ჩვენ არ გვაინტერესებს, მთავარია, კერძი გემრიელი იყოს, — შორიახლოს მდგომ ოფიციანტს ხელით ანიშნა, მოდიო.

— დიახ, — წინსაფრიდან ბლოკნოტი და საწერკალამი ამოიღო მიმტანმა.

— ცივი კერძები მოგვიტანეთ, ორი მწვადი, აფხაზურა და წიწილა შქმერულად...

— გელა, ამდენი რამე რად გინდა?

— მგელივით მშია. რა დავლიოთ?

— შამპანური.

— კარგი, — დაეთანხმა ვაჟი, — ორი ბოთლი ცივი შამპანური მოგვიტანეთ, დანარჩენი მერე ვნახოთ. — მობილურმა დაურეკა, ამოიღო, ნომერს დახედა, — ზურა, გისმენ.

— სად ხარ?

— ახლობელთან ვარ, რა არის?

— ბიჭო, შენი მდგმური ლია რომ არის...

— ჰო, — დაიძაბა გელა.

— სასწრაფოდ თბილისში უნდა ჩამოსვლა და რა ვქნა?

— რა ვიცი, რა უნდა ქნა, ბირჟაზე ტაქსი ნახე და გამოუშვი...

— ბიჭო, სულ ტირის, ძალიან აღელვებულია და მარტო როგორ გამოვუშვა?

— ბავშვებიც მოჰყავს?

— არა, ბავშვებს ელისოს უტოვებს.

— წამოყევი, მე ჯერ ვერ ამოვალ.

— კარგი, წამოვყვები, — გათიშა ზურამ მობილური.

— მოხდა რამე? — იკითხა ეკამ.

— არა, არაფერი, — შამპანური ჩამოასხა გელამ, ფუჟერი ასწია, — გაგვიმარჯოს.

ოფიციანტმა მაგიდა კერძებით შეავსო. გელა საკმაოდ ამაღლებულ განწყობაზე იყო. ქალს მრავალი ტკბილი და თბილი სადღეგრძელო მიუძღვნა, რამდენჯერმე საცეკვაოდაც გაიწვია. ეკასთან ურთიერთობა სიამოვნებდა, თან ამ სიამოვნებას ცოლქმარს შორის ჩამოვარდნილი უთანხმოებაც უათმაგებდა.

თორმეტი ხდებოდა, როდესაც წყვილი რესტორნიდან გამოვიდა.

— მშვენიერი საღამოსთვის დიდი მადლობა, — გაუღიმა ეკამ, ხელკავი გაუკეთა, — თუ არ გეჩქარება, ცოტა ფეხით გავისეირნოთ, — სასმელისგან სახე აწითლებოდა, თვალები საყვარლად უბრწყინავდა.

— სიამოვნებით, — გელამ ქალს ხელი გადახვია, ქუჩას დაუყვნენ.

— გელა, მოგწონვარ? — ჩურჩულით იკითხა ქალმა.

— აბა, რას მეუბნები, რომ არ მომწონდე, აქ რა მინდოდა?

— ჩემი წარსულიდან გამომდინარე, ყველაფრის მეშინია...

— ჩვენს ურთიერთობაში საშიშს რას ხედავ? — ვაჟმა გაიღიმა, — „ეფიცე ახლა ამას ერთგულება“.

— რა ვიცი? — მხრები აიჩეჩა, — ის სიზმარიც არ ამომდის თავიდან, თან შენთან ყოფნა რაღაც მოთხოვნილებად მექცა, სულ მენატრები და, როცა გხედავ, ჩემ გულისნადებს ვერ გიმალავ.

— აბა, ის არის კარგი, ერთი იფიქრო და მეორე აკეთო? — გააწყვეტინა გელამ.

— რასაკვირველია არა, მაგრამ, მიუხედავად ასეთი ხანმოკლე დროისა, რაც გაგიცანი, სულ შენზე ვფიქრობ, მინდა თუ არ მინდა.

— შენი მესმის, ვიცი, რომ წარსულში გული გატკინეს, რომ შენი მეხსიერება საშინელი მოგონებებით არის გაჯერებული,

მაგრამ განვლილი დრო, რომელიც აღარასოდეს განმეორდება, გვერდით უნდა გადადო, თუ დაივიწყებ, უფრო უკეთესი იქნება.

— რას ამბობ? — შეიცხადა ეკამ, — ჩემი წარსული წლები კოშმარად მექცა. თან მარტოობამ გამომღრღნა, დავიღალე, მეც მინდა, რომ გვერდით მამაკაცი მყავდეს, მაგრამ ახალი ურთიერთობის დაწყების ძალიან მეშინია.

— სიფრთხილეს თავი არ სტკივა, — სიგარეტს მოუკიდა გელამ, — რა ვქნათ, სად წავიდეთ?

— სახლებში, — ჩაფიქრებულმა უპასუხა ქალმა.

— სახლებში თუ... — გელას აშკარად შეეტყო, რომ პასუხმა არ დააკმაყოფილა.

— ჰო, სახლებში, თავს კარგად ვერ ვგრძნობ.

— კარგი, ეკა, — ტაქსის ხელი დაუქნია გელამ.

ეკა სახლში დატოვა და კოჯორში, პირდაპირ ზურას სახლისკენ აიღო გეზი. მობილურით დაურეკა.

— რა ქენი? — შეეკითხა ეზოში გამოსულს.

— დიღომში, რესტორან „წისქვილში“ მივიდა. ქმარი, ჩვენი დირექტორი, თავის მდივანთან ერთად გამოიჭირა...

— მერე?

— შიგნით რა მოხდა, არ ვიცი, მანქანაში დაბრუნდა და კოჯორში ამოვედით.

— საიდან გაიგო, რომ კახა რესტორანში ქალთან ერთად იყო?

— ვიღაცა ატყობინებს, ამქვეყნად ბოროტს რა გამოლევს?

— საინტერესოა, — მრავალმნიშვნელოვნად ჩაილაპარაკა, — ღამე მშვიდობისა, ანგელოზო, — ზურას დაემშვიდობა და სახლის გზას გაუყვა, — „ჩემი ნომერი უნდა გამოვაჩინო, როცა დამჭირდება — დავფარავ, როცა არა და ნახონ, ვინ რეკავს. კახამ კიდევ გაიჯეჯილა, მაყუთი აქვს და ჭკუაზე არ არის. გავიყოთ ბიძია: მანანა შენ, ლია მე,“ — ჩაეცინა. ეზოში კახას მანქანა არ დახვედრია, ფეხს აუჩქარა.

ელისო ტელევიზორს უყურებდა:

— შვილო, ასე გვიან მოსვლა იქნება? — უსაყვედურა შვილიშვილს.

— ხომ გითხარი, თეატრში მივდივარ-მეთქი, იქიდან კიდევ მეგობართან გავიარე...

მოხუცმა ხელი ჩაიქნია:

— კახასი და ლიას ოჯახური მდგომარეობა აირია. ქალს დღესაც შეატყობინეს, შენი ქმარი სხვასთან დადისო...

— ვინ ატყობინებს? — მიამიტურად იკითხა გელამ.

— ნაძირალას მეტი ვინ იზამს ამას?! — გაწიწმატდა ელისო, — გოგო მთელი საღამო აქ მყავდა, ვამშვიდებდი, მაგრამ არაფერი გამომივიდა. ზურა წაიყოლა და კახას იმ კახპასთან ერთად რესტორანში თავზე დაადგა.

— ახლა სად არიან?

— მამამისს დაურეკა, ყველაფერი უამბო, ხვალ მოაკითხავს და თბილისში წაიყვანს.

— ცუდია, — ჩაილაპარაკა გელამ, — ისე, მთელი სამსახური ლაპარაკობს კახას და იმ მანანას ურთიერთობაზე.

— მაგ კაი კაცს ანგელოზივით ცოლ-შვილი ჰყავს, მეტი რა უნდა. ამ კაცებს ჭკუა საერთოდ არ აქვთ, გადაეყრებიან ვიღაცა ტუტრუცანას და ოჯახს ფეხებზე იკიდებენ.

— კარგი, ბებო, წავალ, დავწვები.

— არ გშია?

— არა, დავიღალე, მეძინება, — გელა ოთახში შევიდა, საწერ მაგიდას მიუჯდა. მარკების ალბომიდან დოლარები ამოიღო, წინ დაილაგა, — „თქვენში სამყაროს გამგებლობის საიდუმლო დევს. ხელში როცა მიკავიხართ, ისე მგონია, თითქოს მთელი სააქაო მიჭირავს. დიდია ის ძალა, რაც თქვენშია დავანებული, მმართეთ და ვმართავ ყველას და ყველაფერს. ამ ციცქნა გლობუსზე მაცხოვრებელ მატლთა ფუსფუსს თქვენი ყოვლისშემძლე საცეცები არეგულირებენ და აწესრიგებენ,“ — აზრი მობილურის ზარმა დაუფანტა, მწვანე კუპიურები ალბომში ჩადო, უჯრაში შეინახა. ტელეფონს დახედა, — გისმენ, ეკა.

— გელა, ხომ არ გაგაღვიძე?

— არა, ახლა ვაპირებდი დაწოლას. გისმენ.

— გელა, დღეს თავი ქალად ვიგრძენი, ბედნიერი ვარ...

— „გუშინ თავს კაცად გრძნობდი?“ — ჩაეღიმა, — მართლა?

— ჰო, ახლა დავწექი და შენზე ვფიქრობდი, მშვენიერი საღამო იყო...

— რომ გაგვეგრძელებინა, უკეთესი იქნებოდა.

— ალბათ, მაგრამ რაღაცა მაჩერებს. შენთან ყოფნა მინდა, მაგრამ არ შემიძლია...

— „ამის მინდა-არ მინდა დედაც...“ — გაიფიქრა ვაჟმა, — ნება შენია, მართალი გითხრა, ძალიან მომწონხარ, ეკაკო, ყველაფერი შენი გადასაწყვეტია, — მეორე სართულზე ლიას ფეხის ხმა შემოესმა, ქალს რაღაცა დაუვარდა, დაემსხვრა...

— მართალი ხარ, — დაეთანხმა ქალი, — შენს ჩემდამი დამოკიდებულებას სულ ვგრძნობ, მინდა, რომ შეცდომა აღარ დავუშვა. ასეთი კარგი საღამოსთვის უღრმესი მადლობა. იცი, დღეს რამდენი ქალია ისეთი, ვისაც არც თეატრში, არც კაფეში და, მით უმეტეს, რესტორანში არავინ ეპატიჟება.

— გასაგებია, — სიგარეტს მოუკიდა ვაჟმა, — თავს მიტოვებულად ვგრძნობ, შენთან ერთად მინდა ვიყო და არ გამომდის, ისე მგონია, თითქოს ჩემთვის მიუწვდომელი ქალი ხარ, — საკუთარ ბრძნულ გამონათქვამზე ჩაეღიმა და პასუხის მოლოდინში გაირინდა, თან მეორე სართულიდან ჩამომავალ ხმაურს აყურადებდა — გაიგონა, მდგმურმა ფეხით რამდენჯერმე დააბრახუნა, სასიკეთოდ ენიშნა.

— არა, გელა, ასე არ არის. შენთან ყოფნა ძალიან მსიამოვნებს, მაგრამ ბოლომდე ვერ ვიხსნები. ესენინის ლექსი მახსენდება — „რატომ უნდა გიყვარდეს, რატომ უნდა იტანჯო, თუ ყველა გზა საწოლში მიდის?“ აი, ურთიერთობის ეს ბოლო საფეხური მაშინებს და, ჩინური კედელივით, რაღაც გადაულახავ წინააღმდეგობად გადამქცევია. ჩემთვის სექსი ერთ სხეულად გარდაქმნის სიმბოლიკაა, სადაც გრძნობათა საერთო დიდი კონა იკვრება იმ ძაფით, რომელსაც სიყვარული ჰქვია. მე ველოდები, შენთან მიმართებაში როდის შევიგრძნობ ამას და მაშინ ბოლო საფეხურზეც დავდგები.

— „აუ, რა მამალი ფილოსოფოსია?“ — გაიფიქრა გელამ, — ბოლო საფეხურის იქით რაღაა?

— იმის იქით უსასრულობაა, რომლის აღქმის უნარი ყველას არა აქვს. იქ თუ მოხვდები, ბედნიერი ხარ, ჩათვლი, რომ სწორად გიცხოვრია, თუ არადა, დარჩები ჭეშმარიტების შეგრძნების გარეშე. როცა გათხოვილი ვიყავი, სულ ვცდილობდი, აღმექვა ეს გრძნობა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ იმ ბოლო საფეხურიდან უსასრულობაში კი არა, ხრამში გადავეშვი. ჩემი ცხოვრების ოცდამეოთხე წელს იმიტომაც ვარ ასე შეშინებული.

— ეკა, ყველა ერთნაირი ხომ არ არის. თავს ისე ვიმართლებ, თითქოს შენთან დამნაშავე მე ვიყო, — გელას ზემოდან ფეხის დაბრახუნების ხმა კიდევ შემოესმა.

— არა, გელა, საქმე შენში არ არის. ცხოვრებამ დამაკომპლექსა, ირგვლივ სულ ცუდი მესმის. ჩემს შორიახლოს ყველას ოჯახში სერიოზული პრობლემები აქვთ, ცხოვრება ბედნიერებად კი არა, რაღაცა ყოფიერების დონეზე გაეყინათ და ერთმანეთს სულიერად, ბევრი კი ფიზიკურადაც დაშორდა.

— რას იზამ? დროა ასეთი, გინდა და არ გამოდის, ამის ახსნა არც ისე ადვილია, — გელამ საათს დახედა, — „ამან ტვინი დიდხანს უნდა მიბურღოს?“ — გაიფიქრა და ხმამაღლა ამოიოხრა.

— კარგი, შეგაწუხე, თუ რამე გაწყენინე, მაპატიე, — სევდიანად მოუბოდიშა ქალმა.

— არაფერია, ვეცადოთ ურთიერთობა დავალაგოთ. ეკა, ღამე მშვიდობისა, ხვალ გნახავ, — ვაჟმა ტელეფონი გათიშა.

მეორე სართულიდან ფეხის ხმა ისევ მოესმა. ლიას სილუეტი რამდენიმე წამში ფანჯრიდან ეზოში დალანდა. წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა, ფარდა ოდნავ გადაწია და გაიხედა. ქალს საზაფხულო ხალათი მოეცვა, ხელში ბოთლი ეკავა და ძელსკამისკენ ბარბაცით მიდიოდა. ფარდა ბოლომდე გახსნა, ფანჯრის ორივე ფრთა გამოხსნა და სიგარეტს მოუკიდა.

ლიამ შეამჩნია, ხელი დაუქნია, თავისთან იხმო. გელამ სიგარეტი და სანთებელა აიღო და ფანჯრიდან ეზოში ისკუპა.

— ვისკის დალევ? — მდგმურმა ბოთლი გაუწოდა.

გელამ გამოართვა, რამდენიმე ყლუპი მოსვა, გვერდით მიუჯდა.

— ბებიამ მითხრა, თქვენსა და კახას შორის რაღაცა ცუდი მომხდარა...

— შემომხედე! — ქალმა თავი სახესთან ახლოს მიუტანა, — რქები ამომივიდა?! — გამწარებულმა ვაჟის მაჯა ჩაბღუჯა და თავზე რამდენჯერმე გადაასმევინა, — რქებს გრძნობ?! — ისევ ჩაეღიმა.

— არა, — გელამ თავი უაზროდ გაიქნია, სიგარეტი ფილტრამდე დაიყვანა და მოისროლა.

— ახლა მე ვანახებ მაგას, როგორ უნდა რქების დადგმა! — ქალმა ბოთლი მოიყუდა ყლუპს ყლუპი დააწია; ხალათის ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო, გელამ სანთებელა აანთო და მოუკიდა, — შენი ხმა მესმოდა, ტელეფონზე ლაპარაკობდი. რამდენჯერმე ფეხით დაგიკაკუნე კიდეც, მინდოდა ამოსულიყავი, მაგრამ ვერ გაგაგებინე.

— რომ გავიგე, ეზოში იმიტომაც გამოვედი, — ვაჟმა თავი იმართლა.

— დალიე, არ გინდა? — ბოთლი ისევ გაუწოდა ლიამ.

— არა, გმადლობთ, დილით სამსახურში ვარ წასასვლელი.

— დილამდე ჯერ ბევრი დროა, — ჩაეცინა ქალს, — სამსახური და სამსახური, — მრავალმნიშვნელოვნად ჩაილაპარაკა, — მამაჩემის ფულებით აიწყო ყველაფერი, კაცად გავხადეთ, ფეხზე დავაყენეთ და მადლობის მაგიერ სულში ჩამაფურთხა. ყოფას ვუტირებ მაგ ნაძირალას! — ღვარძლიანად ამოღერღა და გელასთან ახლოს მიიწია, ხელი შარვლის უბეში ჩაუცურა, — ვიცი, რომ მოგწონვარ. გონებიდან არ ამომდის, იქ, მინდორში, როგორ მომშტერებოდი. ჰოდა, წამოდი, პატარავ, მიიღე ჩემი სხეული და დამეხმარე, რომ კახას რქები დავადგა! — ხელს უბეში მოუსვენრად უფათურებდა, — ეს რამხელა გქონია, ბიჭო! — მოკუმული ტუჩებიდან გამოცრა, სიგარეტი ზურგსუკან მოისროლა, — წავიდეთ! — ისევ ამოიჩურჩულა და თვალები მილულა, ვნებათა ქარაშოტმა ჩაითრია.

გელა დაბნეული იჯდა. არ იცოდა, რა ეპასუხა, იმას კი აშკარად გრძნობდა, რომ ნატვრა ხელშესახებ რეალობად გადაქცევას აპირებდა:

— კახამ იმდენი პატივი მცა, რომ ძალიან მერიდება...

— დაიკიდე ეგ შენი კახა! პატივი მაგან კი არა გცა, მამაჩემის მაყუთმა გააკეთა ყველაფერი. იმ საცოდავმა ვერ დაინახა?! დავანახებ, კარგად დავანახებ! წავედით! — შარვლიდან ხელი ამოუცურა ლიამ და წამოდგა.

გელა უკან გაჰყვა. კიბე აიარეს, ბავშვების ოთახს ჩუმად ჩაუარეს და საძინებელში შევიდნენ. თითქმის ცარიელი ვისკის ბოთლი ლიამ მაგიდაზე დადგა, ვაჟისკენ შემობრუნდა, ხალათის ქამარი შეიხსნა, გაიძრო და დედიშობილა წინ დაუდგა. მისი სხეულის ყოველი ნაკვთი იმდენად დახვეწილი, იმდენად მომხიბვლელი და ლამაზი იყო, რომ გელა გაოცებული შეჰყურებდა. ვაჟის თვალები ქალის სრულყოფილებას გველეშაპივით შეექცეოდა. მას ასეთი დასრულებული ტან-ფეხისა და მშვენების ქალი ტელევიზორშიც არ ჰყავდა ნანახი. ყურძნის მტევნებივით დაბერილ ძუძუებს შუა ოქროს ჯვარმა გაიბრწყინა. ვაჟმა ხელი გულსაკიდისკენ წაიღო, მუჭში მოიქცია და იგრძნო, როგორ მოეშვა.

— გელაკუდა, მოგწონვარ? როგორი ქალი ვარ, ჰა?! მე იმის ღირსი ვარ, რომ რქები დამადგან?! — ირონიულად იღიმოდა, — მითხარი, როგორი ქალი ვარ?!

— სასწაული ხარ, ლია, სასწაული! — ხელები მთელი ძალით მოხვია, გულში ჩაიკრა.

— ჰოდა, ახლა მეცი პატივი, რათა კახას თავზე რქების ტყე ამოუვიდეს!

— ლიამ პერანგი თითქმის შემოახია, ქამარს დაეჯაჯგურა, შეუხსნა, — დროზე!

ზაფხულის მოკლე ღამე პეშვში დაგროვილი წყალივით შემოელიათ. გელა განუზომელი ძალების მოზღვავებას გრძნობდა და თავისი ასრულებული ოცნების რეალობად ქცევის ჟამის დამთავრება არაფრით უნდოდა. მის ხელში ლიას სხეული რა-

ღაც სათამაშოდ ქცეულიყო, რომელსაც თავისი ნება-სურ-ვილით აქეთ-იქით ატრიალებდა. მისდა გასაოცრად, ქალს ვნება უფრო და უფრო ეძალებოდა და მათი ტანდემი რაღაც არაამქვეყნიურ მანქანად ქცეულიყო.

— შენ ვინ ყოფილხარ, გელაკუნავ, ჩემო გადარეულო; მიდი, არ გაჩერდე, თორემ ისეთს დავიყვირებ, მთელი კოჯორი ფეხზე დადგება, მიდი, დამანგრიე, რათა იმ სირს თვალებში ისე შევხედო, როგორც გამარჯვებულმა და არა როგორც საცოდავმა და მეორეხარისხოვანმა ქალმა. კახა, ამოგდის რქათა კორომები?! — ვნებაანთებული ჩურჩულებდა, გელას სახე ხელებში მოექცია და ლოშნიდა.

— ლია, მოვრჩეთ, თორემ დაგვათენდა. ელისოს, ალბათ, უკვე ღვიძავს, ბავშვებიც მალე გაიღვიძებენ და ამ სიამოვნებას წყალში ნუ ჩავყრით, — სიფრთხილე გამოიჩინა გელამ.

— დღეს მე თბილისში აღარ მივდივარ! ზაფხულის ბოლომდე აქ ვიქნები. ჩემი უშენოდ ყოფნა დანაშაულია! — დარწმუნებულმა ჩაილაპარაკა და ვაჟს მკერდზე ორივე ხელი ჰკრა, — მართალი ხარ, ადექი. იცოდე, დღეიდან შენი ვარ — მჟიმე, ისიამოვნე და მასიამოვნე!

გელა წამოდგა, ტანსაცმელი ჩაიცვა. საწოლში გატრუნულ, თვალმილულ ქალს გადახედა:

— მითხარი, თუ მეორე ლოყის მიშვერა არ შეგიძლია, ტაძარში რატომ დადიხარ?

ლია გონს მოეგო, თვალი გაახილა:

— ტაძარში საჩემო წამალი ვერ ვნახე, ამიტომაც, ჩემო გელაკუდავ, კბილი კბილის წილ. შენ ყოფილხარ ჩემი სულიერი ფარმაცევტი. ახლა თავს, იცი, როგორ ვგრძნობ?

— როგორ?

— როგორ და ბედნიერი ვარ. კახამ რომ მიღალატა, მშვენიერი საბაბი მომცა, რათა ნეტარების უმაღლეს მწვერვალზე ავსულიყავი, განმეცადა ის, რასაც ჭეშმარიტი სექსი ჰქვია. ბავშვებს რა ვუყო, თორემ ეგ შენი კახა საერთოდ აღარ მაინტერესებს. ვიცი, თავისი ფეხით მოეთრევა და ბოდიშებს

ჩამოარიგებს, მაგრამ მივიღებ რო?! ამ ზაფხულის დარჩენილ დღეებს შენთან ერთად მოვუღებ ბოლოს, მერე ვითომ ვაპატიებ, თბილისში დავბრუნდები და ურთიერთობას იქაც გავაგრძელებთ. მე რასაც გადავწყვეტ, ძნელად თუ ვინმე გადამაფიქრებინებს.

— არა, ლია, კახა უნდა მიიღო, მაინც შენი შვილების მამა და მეუღლეა.

— მეუღლე არა ტოლმა, იქ, სადაც ღალატია — უღელი ტყდება და ჭაპანს ორივენი ცალ-ცალკე ექაჩებიან. გელა, ახლა წადი, საქმეს მიხედე, ამ სასწაული ღამისთვის უღრმესი მადლობა. კაცი ვარო, შენ უნდა თქვა.

ვაჟი საწოლზე დაიხარა, ქალს ეამბორა და ფეხაკრეფით ეზოში ჩაირბინა. ღია ფანჯარაში გადაძვრა, ტანსაცმელი გაიხადა, შხაპი მიიღო, მძიმე ღამის შემდეგ გემრიელად ისაუზმა, პირი გაიპარსა, ბებიას მოეფერა, ბევრიც ეხუმრა და ბედნიერებისგან ჭკუაარეული სახლიდან გავიდა.

ქუჩაში ზურაბი შემოხვდა:

— წმინდანო, საით გაგიწევია, დღეს ხომ ისვენებ? — გადაკოცნა მეგობარი.

— სამებაში მივდივარ...

— საად? — გაიოცა გელამ.

— ჰო, რა იყო, სამებაში მივდივარ, მოძღვარი უნდა ვნახო...

— რომელი მოძღვარი? აქ, ჩვენს ეკლესიაში, მღვდლები არ არიან? — სიგარეტს მოუკიდა.

— გუშინ სასწაული ხილვა მქონდა. მინდა, მამა ანთიმოზს დაველაპარაკო...

— ასეთი რა ხილვა გქონდა, არ მეტყვი? — გელა ცნობისმოყვარედ შესცქეროდა, — ეჰ, ჩემთან ისეთი ამბავი ხდება, დედა შვილს არ აიყვანს ხელში, კახასა და ლიას შორის სერიოზული უთანხმოება ჩამოვარდა. სამსახურის შემდეგ დროზე უნდა ამოვიდე, რამე არ მოხდეს, — გელამ მოახლოებულ მიკროავტობუსს ხელი აუქნია. ბიჭები გვერდიგვერდ დასხდნენ, — არ იტყვი, რა ნახე ამისთანა?

— ხომ გითხარი, საღამოს გეტყვი-მეთქი. გელა, ლიასთან რატომ დარეკე, რატომ უთხარი ქმარი გღალატობსო...

— ეე, ბიჭო! შენ ხომ არ გარეკე, დავურეკე არა ისა, რატომ უნდა დამერეკა ან საიდან ვიცოდი, კახა ვისთან ერთად და სად იყო?! რაებს როშავ! — გელა შეეცადა, გაოგნება აღშფოთებით გადაეფარა.

ზურაბმა ერთი გადახედა. მისი მშვიდ, გაწონასწორებულ, მრავლისმეტყველ მზერას ვერ გაუძლო, თვალი აარიდა. თბილისში ისე ჩამოვიდნენ, ერთმანეთისთვის ხმა აღარ გაუციათ. კოლმეურნეობის მოედანზე გელა ცალყბად დაემშვიდობა, ტაქსი გააჩერა და გეზი სამსახურისკენ აიღო.

დღემ უღიმღამოდ ჩაიარა. საამქროს უფროსი იქ იყო და თან არ იყო. თავის მოვალეობას რობოტივით ასრულებდა. სამუშაო საათების შემდეგ მუშებს დაემშვიდობა, ფაქტურა შეავსო, მაწვნის რაოდენობა ბლოკნოტში აღინიშნა და ბუღალტერიისკენ გაემართა.

— გამარჯობა, — ოთახში საერთო მისალმება ისროლა, სკამი გამოიწია და ეკას წინ ჩამოუჯდა, — როგორ ხარ? — შეკითხვით კი შეეკითხა, მაგრამ იგრძნო, რომ ამ ქალის მიმართ გრძნობა გაუსულერთდა, აღარც აინტერესებდა.

— კარგად, გელა, — გაუღიმა ეკამ, — მაპატიე, გუშინ ისე გვიან რომ დაგირეკე. უბრალოდ, შენთან საუბარი ძალიან მინდოდა.

— გაიხარე, — მიუგო ვაჟმა და ფაქტურა მიაწოდა.

ბუღალტერმა მონაცემები ჟურნალში გადაიტანა. უკვე შეჩვეულ ხუთასით შემცირებულ ციფრს გელამ თვალი შეავლო, არაფერი უთქვამს, თავი გაიქნია.

— დღეს რას აკეთებ? — შეეკითხა ეკა.

— რა ვიცი, თათბირს უნდა დავესწრო, შემდეგ კოჯორში ვბრუნდები, გუშინ ბებიაჩემს წნევა ჰქონდა, არ იყო კარგად, — მოატყუა ვაჟმა და წამოდგა.

ბუღალტერი დერეფანში გამოჰყვა.

— გელა, ამ დღეებში დედაჩემი სოფელში აპირებს წასვლას და ერთი ვახშამი ჩემთან მოვაწყოთ, გეპატიჟები...

— გუშინ არ იყო, რომ მითხარი, ყველაფრისა მეშინიაო...

— ეჰ, — ქალმა ხელი ჩაიქნია, — ამ სიფრთხილესა და შიშში გავიდა ცხოვრება. აღარ მინდა ასეთი ყოფა, — ნაღვლიანად საუბრობდა.

— კარგი, დამშვიდდი, ყველაფერი კარგად იქნება, — ვაჟმა აქეთ-იქით გაიხედა, ვინმე ხომ არ მოდისო, ეკასთან ახლოს მიიწია და ლოყაზე აკოცა, — თათბირზე წავედი, საღამოს დაგირეკავ, — დირექტორის კაბინეტისკენ გააბიჯა, — „რა არის, წებო მისვია? მართალია, ლიას ფრჩხილის ღირსი არც ერთი არა ხართ, მაგრამ გულს როგორ დაგწყვეტთ. ჩემი მოვალეობაც ეგ არის, ქრისტიანები უნდა ვჟიმო და ვჟიმო“. — მისაღებში ჩაფიქრებული შევიდა. მდივანი ოთახში არ იყო. კარზე დააკაკუნა და თავი შეყო, — ბატონო კახა, შეიძლება?

— მოდი, გელა, მოდი, — ხელით ანიშნა დირექტორმა.

— „რქიანთა საზოგადოება,“ — დამცინავად გაიფიქრა, გრძელ მაგიდას მიუახლოვდა და კუთხეში მოკალათდა.

კახამ თათბირის შემდეგ მთავარი ინჟინერი და გელა ოთახში დაიტოვა:

— გელა, გუშინ სახლში რა ხდებოდა?

— არაფერი, მე გვიან ავედი. სიმშვიდე იყო, — დამაჯერებლად მიუგო გელამ.

— მე და რეზო კოჯორში მივდივართ. წამოხვალ?

— დიახ, — დაეთანხმა ვაჟი და წამოდგა.

გზაში კახამ ბავშვებისთვის უამრავი ტკბილეული და სათამაშოები შეიძინა. ჩქარობდა, ერთი სული ჰქონდა, ცოლ-შვილთან როდის მივიდოდა. ჭიშკართან გელა მანქანიდან გადავიდა, კარი გააღო და ეზოში შეუშვა. ლია ბავშვებს ჰამაკში არწევდა, ელისო ძელსკამზე იჯდა და ქსოვდა. კახამ საჩუქრები დაიხელა და ბავშვებისკენ გაემართა. პატარები ჰამაკიდან ჩამოხტნენ და მამის შესაგებებლად გამოიქცნენ. ლიას არაფერი უთქვამს, ისე დატოვა იქაურობა და მეორე სართულზე ავიდა.

კახასთან ელისო მივიდა:

— შვილო, დღეს მამამისი იყო ჩამოსული, მაგრამ გოგო, ბავშვების გულისთვის, თბილისში არ წაჰყვა. შენზე ძალიან ნაწყენია, მიდი, მოუბოდიშე, ცოტა დაუყვავე და ქალის გული ხომ იცი... მოულბება, ყველაფერს გაპატიებს...

— ქალბატონო ელისო, საბოდიშო რა გავაკეთე? — კახას ეტყობოდა, რომ ნერვიულობდა — სიგარეტი ამოიღო, კოლოფიდან ერთი ღერი ძლივს ამოაძვრინა და მოუკიდა, — დღეს მამამისიც მელაპარაკა და პატარა ბიჭივით შემჯორა...

— აბა, რა უნდა ექნა, შვილო? — გაიკვირვა ქალმა.

— გუშინ საქმიან შეხვედრაზე ვიყავი, პროდუქციის რეალიზატორებს უნდა შევხვედროდი, ჩემს მთავარ ინჟინერს, რეზოს უნდა მოეყვანა და, სანამ შევიკრიბებოდით, ჩემს მდივანთან რესტორანში თავზე წამომადგა. ერთი ამბავი ამიტეხა, მთელ ქალაქში თავი მომჭრა.

გელას ყველაფერი ესმოდა. სახეზე გაურკვევლობის ნიღაბი აკვროდა, მაგრამ მისი გული მთელ ზარზეიმში იყო — ყოველგვარი ზედმეტი ჩალიჩის გარეშე დაითრია სანატრელი ქალი და მიაღწია იმას, რასაც სიზმარშიც ვერ ნახავდა.

— შვილო, ადი, ყველაფერი აუხსენი, დაამშვიდე და ისიც გაგიგებს, ხომ იცი, ქალებს ცოტა ყოფნით. მიდი, მიდი, ბავშვები მე მეყოლება, — მოხუცმა დიანასა და გოგას ხელი ჩაჰკიდა და სახლისკენ წავიდა.

რეზო და კახა მეორე სართულზე ავიდნენ.

გელა თავის ოთახში შევიდა, საწოლზე წამოწვა და სეირის მოლოდინში გაისუსა. გარკვევით ესმოდა, როგორ უხსნიდა კახა ცოლს თუ რატომ იყო რესტორანში მდივანთან ერთად, როგორ იცავდა რეზო მეგობარსა და დირექტორს, მაგრამ ყველაზე მეტად ლიას სიტყვებმა გაახალისა: ქალი თავის ქმარს სულ რქიანს ეძახდა და ეუბნებოდა, მე გაჩვენებ, ღალატი როგორ უნდაო. ერთსაათიანმა საუბარმა შედეგი არ გამოიღო. ლიამ მოსაფიქრებლად კახას გარეშე ცხოვრება ისურვა და უთხრა, რომ ზაფხულის ბოლომდე მისგან დასვენება უნდოდა,

შემდეგ გადაწყვეტდა თუ როგორ მოიქცეოდა. კახა საშინლად გაბრაზდა, კარი გამოიჯახუნა სახლიდან ნაჩქარევად გავიდა.

კიბეზე როცა ეშვებოდნენ, ლიამ შუშაბანდიდან თავი გამოჰყო:

— ეი, რქიანო, ჭკვიანად იყავი, თორემ ყველაფერს დაკარგავ! — ფანჯარა მიაჯახუნა და ოთახში შებრუნდა.

გელა ოთახიდან გამოვიდა, ბებიას მიაძახა, ზურასთან გადავალ და მალე მოვბრუნდებიო და ეზოდან გავიდა.

ზურაბი შინ დახვდა. მაგიდასთან იჯდა და ბიბლიას კითხულობდა. ოთახში უჩვეულოდ სასიამოვნო სურნელი იგრძნო:

— რას შვრები, წმინდანო? — გაღიმებული თავს წამოადგა.

— ბიბლიას ვკითხულობ, — ზურაბმა წიგნში სანიშნე ჩადო და დახურა.

— ერთი მომიყევი, ღამე რა ნახე, — გელა სავარძელზე ჩამოჯდა.

ზურაბი მისკენ შემობრუნდა:

— ბიჭო, გუშინ ღვთისმშობელი გამომეცხადა...

— ღვთისმშობელი არა ისა, შენ ხომ არ გაუბერე?

— თუ გაინტერესებს, მომისმინე.

— გისმენ, — დაიძაბა გელა, სიგარეტი ამოიღო.

— არ მოუკიდო, დღეიდან აღარ ვეწევი და, საერთოდ, სახლში მოწევა ყველას ავუკრძალე. მწეველებმა ეზოში აბოლეთ!

— კარგი, — კოლოფი ჯიბეში ჩაიდო გელამ, — გისმენ.

— როგორც შენ გხედავ, ასევე ცხადად ვნახე წმიდა მარიამი. გამაღვიძა, საწოლზე ჩამომიჯდა და უფლის ლოცვა წამიკითხა. მერე საუბარი დამიწყო, მითხრა, რომ ჩემზე ღვთის მადლი იწყებს გადმოსვლას. ეს ყველაფერი ნელ-ნელა მოხდება, თანდათან მომეცემა ხედვისა და განჭვრეტის უნარი. უნდა ხალხის სამსახურში ჩავდგე, განვკურნო და ჭეშმარიტ გზაზე დავაყენო...

— კარგი, რა, — ხელი აიქნია გელამ, — რა ზღაპრებს მიყვები?!

— აღარ გაინტერესებს?

— არ მჯერა, ბიჭო! ერთი მითხარი, რა ენაზე საუბრობდით?

— არ ვიცი, მე იმისი მესმოდა, მას კი ჩემი. ოთახში სუნს გრძნობ?

— როგორ არა, — თავი დაუქნია მეგობარმა, — რამე მოაფრქვიე?

— არაფერი, ასეთი სურნელი დატოვა. ფანჯარაც ღია იყო, მაგრამ არ გადის. ისიც მითხრა, სამებაში მამა ანთიმოზთან მიდი და ის დაგარიგებს, შემდგომში როგორ უნდა იცხოვროო. აქაურ მღვდლებთან იმიტომაც არ მივსულვარ, თორემ მამა ანთიმოზს საერთოდ არ ვიცნობდი და, იცი, თურმე ისიც მელოდებოდა, ხილვა მასაც ჰქონია.

— ბიბლიას იმიტომ კითხულობ?

— ჰო, — მოკლედ მოუჭრა ზურაბმა, — რაღაცებს უკვე ვხედავ. ისიც კი ვნახე, ლიასთან როგორ დარეკე...

— შენა, ძმაო, გაგირეკია. ლიასთან არა, ჟუჟუნასთან დავრეკე, რაებს იგონებ?! — აღშფოთდა გელა.

— მე ჩემი გითხარი, შენი საქმისა შენ იცი, — მშვიდად მიუგო ზურაბმა.

— თუ მართლა ასე მოხდა, საშიში კაცი შეიქმნები...

— პირიქით, გელა, პრიქით!

გელა წამოდგა, თავს იმდენად არაკომფორტულად გრძნობდა, რომ ერჩივნა სახლში წასულიყო:

— წავედი, ანგელოზო, ბევრი არ იკითხო. ხვალ სამსახურში ერთად მივდივართ.

— ვიცი, — მიუგო მასპინძელმა, წამოდგა და ჭიშკრამდე მიაცილა.

ლია ბავშვებთან ერთად ეზოში დაუხვდა. პატარებს მიუახლოვდა, გოგა ხელში აიყვანა. თვალი ქალისკენ გაექცა, მას სახეზე გამარჯვებულის იერი დაღივით აჯდა, ზედმეტად თავისუფალი იყო, სულ იცინოდა და ბავშვებს ეხუმრებოდა.

— გელა, ერთი შენი მობილის ნომერი ჩამაწერინე, — ქალმა ტელეფონი ამოიღო.

ვაჟმა ციფრები უკარნახა და სახლისკენ გაემართა. ოთახში შესული არ იყო, ჯიბეში ტელეფონი აუწკრიალდა:

— გისმენთ, — ლიას ნომერი ეკრანზე დაიწერა, მაგრამ ისეთი ხმით უპასუხა ვითომ ვერ მიხვდა, ვინ ურეკავდა.

— ლია ვარ.

— ჰო, ლია.

— ცოტა ხანში ბავშვებს მივაძინებ და დღეს ღამეც გავიგიჟოთ თავები.

— მოსულა, — კმაყოფილს ჩაეღიმა, — სასმელი ამოვიტანო?

— არა, ყველაფერი მაქვს. ელისო როცა დაიძინებს, დამირეკე.

— კარგი, გელამ ტელეფონი გათიშა, მაგიდაზე მიაგდო, ტანსაცმელი გაიხადა და აბაზანაში შევიდა. ნელთბილი წყლის ჭავლის ქვეშ დიდხანს ინებივრა, შემდეგ ტანი გაიმშრალა და ოთახში დაბრუნდა. თავის სამ კუპიურას დიდი მოწიწებით ეფერა, მერე კომპიუტერს მიუჯდა და სხვადასხვა გვერდებს თვალი გადაავლო. მობილურმა დაურეკა:

— სანა, გამარჯობა.

— გელა, ხვალ საღამოს შენი სამსახურის წინ ვიდგები, უნდა გნახო, საქმე მაქვს და არაფერი დაგეგმო.

— დიახ, — ვაჟმა მორჩილად მიუგო.

— როგორია ნატვრის რეალობად ქცევა? — იცინოდა სანა.

— გადასარევია, — სიგარეტს მოუკიდა გელამ, — ყველაზე მაგარი ის არის, როცა არ ელოდები და ყველაფერი თავისით ხდება.

— ჯერ სად ხარ, შვილო?! მოკლედ, ხვალ ვხვდებით.

— კარგი, ხვალამდე, — ისევ კომპიუტერს მიუბრუნდა გელა.

პირველი ხდებოდა, როდესაც ელისო დასაძინებლად დაწვა. ვაჟმა ნახევარ საათში ლიას დაურეკა, ფანჯრიდან ეზოში გადაძვრა და მდგმურთან ავიდა. ქალს მაგიდა კახას ჩამოტანილი ტკბილეულითა და ხილით გაეწყო. სუფრის შუაში ვისკის ახალი ბოთლი იდგა.

— მოდი, გელა, — ლიამ სკამზე მიუთითა და გასახსნელად ბოთლი გაუწოდა.

ვაჟმა თავსახური მოხსნა და განიერ ფუჟერებში ვისკი ჩამოასხა:

— დღეს კახა შემეცოდა.

— გუშინ? — ქალმა ირონიულად იკითხა, — მე ასე ადვილად პატიება არ შემიძლია. იმისი ღირსი არ ვარ, რომ ასე უსამართლოდ რქები მადგან...

— უკაცრავად, მაგრამ, თუ პატიება არ შეგიძლია, ეკლესიაში რატომ დადიხარ, სანთლებს რისთვის ანთებ და ღმერთს რას შესთხოვ?

— ვაღიარებ, რომ ძალიან ცუდი ქრისტიანი ვარ. როცა სულში მაფურთხებენ, ყველაფერი მავიწყდება. იქ, სადაც წესიერება მთავრდება, იწყება შეურაცხყოფის მონელების პროცესი. არ უნდოდა ერთგულება?! ახლა მიიღოს გემრიელად ნაჟიმი ცოლი, მთელი ცხოვრება რქიანმა იაროს და იამაყოს. ამ ზაფხულის ბოლომდე ვისიამოვნებ, მერე სიტუაცია მიჩვენებს.

— როგორ, თბილისში აღარ შევხვდებით?

— არ ვიცი, თუ კახა გონზე მოვა, ალბათ, აღარ შევხვდებით.

— ესე იგი, მე რაღაც ნივთი ვარ?! გამომიყენე და, როცა გინდა, მომისვრი?

— არა, გელა, ნუ მიბრაზდები. ჩემი შინაგანი სამყარო დედისერთას პრინციპზეა აგებული. მთელი ცხოვრება მამაჩემი მანებივრებდა, ყველა სურვილს მისრულებდა და მომავალში რა იქნება, რას და როგორ გადავწყვეტ, წინასწარ ვერ გეტყვი. ახლა ერთად ვართ და ძვირფას დროს ნუ ვკარგავთ, — ფუჟერი აწია, მიუჭახუნა და სულმოუთქმელად გამოცალა.

ვაჟმა სიგარეტს მოუკიდა, პასუხი, ცოტა არ იყოს, არ მოეწონა, მაგრამ არაფერი შეიმჩნია. ოციოდე წუთში ვისკი ძირამდე დაიყვანეს.

— ძალიან მომწონხარ, მაგარი ქალი ხარ.

— მე ორმა მშობიარობამ დამანგრია, თორემ გათხოვებამდე უნდა გენახე, რა გოგო ვიყავი. ვის არ უნდოდა ჩემი ცოლად შერთვა... — სკამიდან წამოდგა და გახდას შეუდგა.

გელამ დრო იხელთა, მობილურის კამერა ჩართო და მაგიდაზე ისე დადგა, რომ ყველაფერი გადაეღო. დაელოდა, სანამ ლია

გაიხდიდა, თვითონაც გაშიშვლდა და ქალი მკლავებში მოიქცია, ღონივრად ჩაიკრა...

ამჟამადაც თავს დაათენდათ. გელას მონაცემებით ლია აღფრთოვანებული იყო, რაღაც მანქანად ქცეული ვაჟისგან განთავისუფლების სურვილი არ ჰქონდა:

— ბიჭო, რამხელა ენერგიის პატრონი ხარ? სექსი არ გბეზრდება?

— არა, — ღიმილმორეულმა ვაჟმა თავი გააქნია, — ამაზე დიდი სიამოვნება არ არსებობს, ჩემთვის სექსი ყველაზე გემრიელი ხელოვნებაა. ქალი ისე უნდა დააკმაყოფილო, რომ არასოდეს დაავიწყდე. შენ კი მეუბნები, თბილისში აღარ შეგხვდებიო, — საწოლიდან წამოდგა.

— ვნახოთ, გელა, მომავალი გვიჩვენებს. ახლა წადი, ცოტას დავიძინებ. შენსავით დაუღლელი და უცვეთელი კი არ ვარ, ისე მგონია, თითქოს ამ ორ ღამეში მთელი წლის სიამოვნება მივიღე. ჩემპიონი ხარ, ბიჭო!

გელა ფანჯრიდან თავის ოთახში დაბრუნდა. საათს დახედა, ექვსი სრულდებოდა.

მობილური ამოიღო და გადაღებული კადრები, რომელთა ხანგრძლივობა ოც წუთს შეადგენდა, თავიდან ბოლომდე ნახა.

— კარგია, — ჩაილაპარაკა. სპორტული ფორმა გაიხადა და აბაზანის კარი შეაღო.

ერთ საათში ზურაბმა გამოუარა.

— მოვდივარ, ზური, — ბებიას დაემშვიდობა და სახლიდან გავიდა.

— სამსახურს თავს ვანებებ, გათავისუფლების განცხადების დასაწერად მოვდივარ, — აუწყა მეგობარმა.

— რატომ? — გაოცდა გელა.

— არ არის ეგ ჩემი საქმე.

— აბა, რა უნდა აკეთო? — სახეში შეაცქერდა. ზურაბს უჩვეულოდ მშვიდი გამომეტყველება ჰქონდა. სულ რაღაც ორ დღეში მისი ასეთი გარდაქმნა გელაზე უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენდა, გაოცებულიც კი იყო.

— ჩემს ეზოში წყალი ვიპოვე...

— რას ჰქვია, იპოვე?

— კოჯორში წყლის მუდმივი პრობლემა რომ გვაქვს, აგერ უფალმა უამრავი მიწისქვეშა მდინარით დაგვაჯილდოვა და დღეს მკაფიოდ დავინახე...

— რა დაინახე? — სიგარეტი ამოიღო გელამ, მეგობარს გაშტერებული შეჰყურებდა.

— რა და, სულ რაღაც სამნახევარი მეტრის სიღრმეზე მოედინება ღონიერი ნაკადი. მამაჩემს ვუთხარი და დღესვე იმ ადგილზე ჭაბურღილს დაარტყმევინებს.

— მერე?

— მერე ის, რომ წყალი მუდამ გვექნება. შენს ეზოშიც ვხედავ წყალს...

— ძალიან კარგი, — გაეღიმა გელას, — ჯერ შენთან იპოვონ და მერე ჩემთანაც გავაკეთებინებ, მაგრამ, მართალი გითხრა, არ მჯერა.

— რა გიყო? — მხრები აიჩეჩა ზურაბმა, — საღამოს გამომიარე და შენი თვალით ნახავ.

— მალე სწავლაც გვეწყება და რას აპირებ?

— არაფერს, ეგ საქმე სრულიად არ მაინტერესებს.

— აბა, ფული ტყუილად გადაყარე?

— ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს, — ჩაეღიმა ზურაბს. — მაგრამ ნამეტანი ნუ ელოლიავები და ნუ ეფერები. ფულის გაღმერთება გაგონილა...

— ბიჭო, რას ამბობ? — შეცბა გელა, მაგრამ იმწამსვე მიხვდა, რომ შეწინააღმდეგებას აზრი არ ჰქონდა, თავი ჩაქინდრა, რამდენიმე ნაფაზი ზედიზედ ჩაისუნთქა და ფილტრი მოისროლა, — ველოლიავები არა, ისა, — ამოიბურტყუნა.

— ის უხამსობები, რაც ტელეფონში გაქვს ჩაწერილი, წაშალე, არაფერში გამოიყენო. მაგ ქალებს თავიანთი ცოდვებიც ეყოფათ, შენ ნულარ დაუმძიმებ...

— ვინ ქალებს? — თავის დასაცავად იკითხა გელამ.

— თუ გინდა ლია, შენი მდგმური. დღესვე წაშალე და ეგ კადრები დაივიწყე...

— აუ, შენ რა საშიშ ადამიანად ყალიბდები!

— მე შენი მეგობარი ვარ და ამ მეგობრობას ბოლომდე არ დავთმობ, — უაღრესად მშვიდად საუბრობდა ზურაბი, — როდის მოგნათლო?

— ჩემი აზრი გარკვევით გითხარი და ნათლობას თავს ძალით ნუ მახვევ! — გელას ხმაში ბრაზი შეერია.

— კარგი, ჩემო მეგობარო, — წყნარად მიუგო ზურაბმა.

ბიჭებმა სამარშრუტო ტაქსი გააჩერეს, ჩასხდნენ და თბილისისკენ გამოემგზავრნენ. კოლმეურნეობის მოედანზე რამდენიმე უცხოელი ტურისტი შეხვდათ:

— ნარიყალაზე როგორ მოვხვდებით? — ინგლისურად იკითხა ერთ-ერთმა.

გელამ კითხვის შინაარსი ვერ გაიგო.

ზურაბმა თავისუფლების მოედნისკენ მიუთითა:

— ახვალთ მოედანზე, შემდეგ დადიანის ქუჩას გაუყვებით ასათიანამდე, იქ იკითხეთ და დაგაკვალიანებენ, — ქართულად უპასუხა ვაჟმა.

უცხოელმა მამაკაცმა ქუჩების დასახელებები ფურცელზე ინგლისურად ჩაიწერა:

— დიდი მადლობა, — ბიჭებს ინგლისურადვე მიმართა და გაუღიმა.

— ბიჭო, ინგლისური ასე კარგად როდის ისწავლე? — გაოცდა გელა.

— საერთოდ არ ვიცი.

— აბა, როგორ ხვდებოდი, რას გეკითხებოდნენ?

— შენ იმათ ჰკითხე, ქართულად ახსნილი როგორ გაიგეს, — ზურაბი სიცილს ვერ იკავებდა, — ქუჩის სახელებიც კი ჩაიწერეს.

— ძმაო, სასწაულმოქმედი გამხდარხარ.

— არა, გელა, არა. ეს ყველაფერი ღვთის მადლია, სხვა არაფერი.

— დაა, — გაოცებულმა გელამ ხელები ერთმანეთს შემოარტყა.

VI

საწარმოდან გამოსულმა გელამ სანას მანქანა შეამჩნია, ნაბიჯს უჩქარა და წინა კარი გამოხსნა:

— გამარჯობა, — სავარძელში მოთავსდა.

— გაგიმარჯოს, — ქალმა გაუღიმა, გადაკოცნა და მანქანა ბრდღვინვა-ბრდღვინვით ადგილიდან მოწყვიტა. სოლოლაკში, ასათიანის ქუჩაზე, ერთ-ერთი ძველი შენობის წინ გაჩერდნენ. სახლის სარდაფში ჩამავალი კიბე ნათურებით იყო გაჩახჩახებული, ხოლო თავზე ინგლისურად „როკკლუბი“ ეწერა. აბრა შავ და წითელ ფერებში იყო განათებული და მიმზიდველად ციმციმებდა, — ეს ჩვენი ბარია, შეკრებისა და გადაწყვეტილებების მიღების ადგილი, — ქალმა ვაჟს კარი გაუღო და გზა დაუთმო.

ძველი ქართული აგურით მოპირკეთებულ დიდ დარბაზში მოხვდნენ. უკრავდა მძიმე როკი. ყველაფერი წითელსა და შავში იყო გადაწყვეტილი. დარბაზს მარცხნივ, მთელ სიგრძეზე თაღოვანი კოლონადა გასდევდა, თითოეული თაღის ქვეშ მაგიდა იდგა. შუა თაღი ბარის დახლისთვის დაეთმოთ, რომლის თაროებზე სხვადასხვა სასმელის ბოთლები ლამაზად განელაგებინათ. დარბაზის ცენტრში ასამდე ახალგაზრდა ცეკვავდა, უფრო სწორად, ბორგავდა, თითქოს რაღაც რიტუალურ მოძრაობებს ასრულებდნენ. ყველაზე მეტად მათი იერსახე იყო გასაოცარი. ქალები ნახევრად შიშვლები, სახისა და სხეულის სხვადასხვა ნაწილებზე პირსინგასხმულები, არაფრის მთქმელი გამომეტყველებითა და კისერზე ტატუებით, იკლაკნებოდნენ, შფოთავდნენ და ფუსფუსებდნენ როგორც მატლები. ბიჭებიც არაფრით გამოირჩეოდნენ. თმა ასწეწვოდათ, ყურის ბიბილოებზე საყურეები უციმციმებდათ და სხეულის ყველა ნაწილი, რაც უჩანდათ, ტატუებით ჰქონდათ დაფარული. უმრავლესობას თხასავით ბლანჟე მოეშვა.

სანას გამოჩენისას მუსიკა შეწყდა. მბორგავთა მასა შეჩერდა, შუაზე გაიყო და გზა დაუთმო. ყველამ მოწიწებით თავი დახარა. დარბაზის ბოლოში, ოთახში შევიდნენ.

— მოდი, გელა, — ქალმა ხელჩანთა დივანზე მიაგდო, ჩამოჯდა, — დალევ რამეს?

— ცოტა ვისკი.

სანამ ბარმენი იხმო, ვისკი მოატანინა, ხელჩანთიდან პატარა შავი ყუთი ამოიღო, გახსნა და მაგიდაზე დადგა. ყუთში თეთრი ფხვნილი ეყარა. მაგიდაზე ფხვნილის ორი ბილიკი მოაბნია. ასდოლარიანი, ტკიცინა კუპიურით გაასწორა, შემდეგ მწვანე ქაღალდი მილივით დაახვია და ცხვირის ნესტოსთან მიიტანა. ჩასუნთქვისას ჯერ ერთ ბილიკს ააატარა დახვეული კუპიურა, მერე მეორე ნესტოსთან გადაიტანა და მეორე ბილიკიც შეისრუტა. ფხვნილით სავსე ყუთში ცერა თითი ჩაჰყო და კბილებზე რამდენჯერმე გაისვა.

— კარგია, — ძლივს ამოღერღა და დივანის საზურგეს მიეყრდნო. რამდენიმე წამში აზრზე მოვიდა, გელას მიუბრუნდა, — გასინჯავ?

— თუ კარგია, რატომაც არა.

სანამ მაგიდაზე ფხვნილის ორი ბილიკი ისევ მოყარა, ახალი ასდოლარიანით გაასწორა, კუპიურა დაახვია და გელას მიაწოდა.

ვაჟმა კოკაინი იყნოსა. იგრძნო, როგორ მოემატა ენერგია, როგორ შეეცვალა შინაგანი მდგომარეობა და ამქვეყნად ყოფნის საზრისი. რაღაცა უხილავი, არამიწიერი სიამოვნება მის სხეულში მოდიოდა და მოდიოდა, როგორც წყალდიდობისას წყალი, და მისი სხეულის თითოეულ უჯრედსა და თითოეულ თმის ღერსაც კი იპყრობდა. საზურგეზე მიესვენა, თვალები დახუჭა და მომნუსხველ შეგრძნებათა ტყვეობაში შეცურა.

სანამ ოთახის სარკმელი გამოხსნა, რათა როკის აღვირახსნილი მელოდია შემოეშვა:

— როგორია?

— ძალიან მაგარია, არ ვიცი, როკი უხდება ამას თუ ეს როკს, მაგრამ ორივე ერთად სხვა სამყაროა. ასეთი ძლიერი არასდროს ვყოფილვარ, თითქოს ქვაბში ჩასხმული წყალი ვარ და ვდუღვარ, ვბუყბუყებ, შხეფებს ვისვრი და ბედნიერების იმ სიმაღლეზე ვიმყოფები, რომელიც სხვებისთვის მიუწვდომე-

ლია. აქ ვარ და არა ვარ, სხვაგან ვნეტარებ, იქაც ვარ და მაინც კიდევ სხვაგან ვარ, ყველგან და ყველაფერში ვარ, — წამოდგა და ნელი, აუჩქარებელი მოძრაობებით აცეკვდა. ადგილზე იდგა და ბორგავდა.

— კარგი ხარ! — შეაქო სანამ. დივანიდან წამოდგა, ოთახში სინათლე ჩააქრო, ფანჯარასთან, რომელიც დარბაზში გადიოდა, მივიდა და ფარდა გადაწია, — აი, ესენი, — მოცეკვავე მასისკენ მიუთითა, — შენი მონები არიან. მათი მიზანი შენი მსახურებაა...

— სანა, ასეთი პატივი რითი დავიმსახურე?

— ესენი ოდესღაც მოინათლნენ, ქრისტიანები არიან, შენ კი, ჩემო შვილო, სუფთა ხარ და იმსახურებ, რათა მათზე მაღალ რეგისტრში მოიხსენიებოდე. ყველა ქალი, რომელიც გაჟიმე, ასევე ქრისტიანია და, რაც უფრო მეტს მოიხმარ, მით უფრო ზედა საფეხურზე ახვალ. მოდი, დაჯექი, — დივანისკენ გაემართა, ვაჟი გვერდით მოისვა, — დღეს „მორწმუნე“ მასხარათა აღლუმია — ცალი ხელით პირჯვარს იწერენ, მეორეთი ჩვენ გვემსახურებიან. მათ იმიტომ უყვართ, რომ სახარებაში წერია ასე, თორემ თამაშობენ სიყვარულს. იციან ყველაფრის ჭეშმარიტი ფასი: სამშობლოსი, ოჯახის, სანათესაოსი, სამეგობროსი, მაგრამ არაფერს აფასებენ, ამიტომაც დღეს მორწმუნე, ოღონდ ბრჭყალებში, ცინიკოსთა ლაშქრად ჩამოყალიბდნენ პატრიოტიზმს, კაცობას, წესიერებასა და სიყვარულს ამოფარებულნი. ჭეშმარიტება დაივიწყეს და ცინიკოს მორწმუნეთა მართვა კი ძალიან ადვილია.

— მართალი ხარ, — სიგარეტს მოუკიდა გელამ, — ლიამ ბოლოს აღიარა, ცუდი ქრისტიანი ვარო, არაფრის პატიება არ შემიძლიაო.

— ჩვენც ეგ გვინდა, — სანამ პაუზა ჩამოაგდო, ჩაფიქრდა. ვაჟს შეხედა და სინანულით განაგრძო, — მე როცა ვაღიარე, რომ სხვებზე მეტად ვბრწყინავდი, ამპარტავნობისთვის დასიდან გამომაძევეს, ერთი სიტყვა არ მაპატიეს, ამათ კი, სირი საშოში და სული სამოთხეში უნდათ, — გულიანად გადაიკისკისა. —

ახლა საქმეზე გადავიდეთ, — სიგარეტს მოუკიდა, — რამდენიმე დღეში ლია თბილისში დაბრუნდება. მაგ ქალს დროებით შეეშვები, შენს ბუღალტერ ეკაზე გადადი, გასართობად ისიც გეყოფა. სამსახურიდან გათავისუფლდები და სექტემბრის შუა რიცხვებში შტატებში მიემგზავრები. დრო აჩქარებულია, შენს სწავლაში დროს ვერ დავკარგავთ. იქ ერთ წელიწადს დაყოფ და საერთაშორისო სამართლის მაგისტრად დაგვიბრუნდები, — ქალმა ხელჩანთიდან კონვერტი ამოიღო, — აქ ვიზაჩარტყმული შენი პასპორტი, მართვის მოწმობა და სახლის გასაღებია.

— რომელი სახლის? — გაოცდა გელა.

— შენი სახლის, კუს ტბის ასახვევთან, სამოთახიანი ბინის...

— მერე რა ვთქვა, საიდან მაქვსო? — გაკვირვება ვეღარ დამალა.

— არავინ გკითხავს მის წარმომავლობას, დამშვიდდი, — სანამ მხარზე ხელი მოუთათუნა, — ავტოფარეხში წითელი, ხასხასა „მერსედესიც“ გელოდება. ამ ქვეყანაში, თუ გინდა, რომ რაღაცას წარმოადგენდე, ზურგს სიმდიდრე უნდა გიმაგრებდეს. აქ ქონებით წონიან და არა ღირსებით. სიმდიდრე და ღირსება ძნელად თუ შეუთავსდება ერთმანეთს, მაგრამ, რაც მეტი გაქვს, მიწაზე მით უფრო მყარად დგახარ და არანაირი რყევის არ გეშინია. ყველაფერი ხელმისაწვდომია და სხვათა თვალში მუდამ სანატრელი რჩები. ყველასთვის საჭირო ხარ და მონებივით ფეხქვეშ გეგებიან. მათ სულებს იპყრობ და წინ მიიწევ, შენს სრბოლას სიკვდილის მეტი ვერაფერი შეაჩერებს...

— მერე, მერე რა იქნება?

— როდესაც შტატებიდან დაგვიბრუნდები, შენთვის ყველა ეთერი ღია იქნება, ყოველი შოუსა თუ გადაცემის სანუკვარი სტუმარი შეიქმნები. ხალხს ისე შეუყვარდები, შენ მზეს დაიფიცებენ. გაწევრიანდები „ახალ დემოკრატ-ქრისტიანთა“ პარტიაში, მათი ერთ-ერთი პარლამენტარი გარდაიცვლება და მისი კვოტით ახალგაზრდა დეპუტატი გახდები, თავს საკანონმდებლო ორგანოში ამოყოფ...

— კი, მაგრამ ეს ქრისტიანული სახელი რა ბედენაა?

სანამ გადაიხარხარა:

— შვილო ჩემო, ჩვენი ბედნიერება ის არის, რომ ქრისტიანობის სახელს ამოფარებული აკეთებ შენს საქმეს, ამ შემთხვევაში — მსოფლიო საქმეს. ბევრჯერ გნახავ ტაძარში სანთლებით ხელში, მაგრამ ეგ არაფერია. ამ ცინიკოს ყეყეჩთა ბრბომ უნდა დაგაფიქსიროს საკურთხევლის ამბიონზე დამდგარი, ხელში დიდი კელაპტრებით. რას იზამ, ასეა საჭირო. სამაგიეროდ, შენს მოვალეობას მშვიდად შეასრულებ. საქართველო ნატოსა და ბებერი, ბოზანდარა ევროპის წევრი უნდა გახდეს. უმტკივნეულოდ, ყოველგვარი ხმაურის გარეშე უნდა გაფართოვდეს თვითმმართველობები, ქვეყანა ავტონომიურ რესპუბლიკებად დაიშლება, რათა რუსეთისთვის მირთმეული აფხაზეთი და ოსეთის რეგიონი თვალთახედვიდან გაუჩინარდნენ. ეს იქნება იმ ჯაჭვის ერთი რგოლი, რომელსაც საქართველოს აღგვა მიწისაგან პირისა ჰქვია და შენს მისიას წარმოადგენს.

ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა, თუ არ ჩავთვლით სარკმლიდან შემოჭრილი როკის ბობოქრობას. გელამ თავი გაიქნია:

— ბებია მეცოდება, მარტო როგორ დავტოვო?

— ბებიაშენი ზამთარში აღესრულება, — გაუღიმა სანამ, — მამაშენისა და ბაბუაშენის სულებს შეუერთდება. შენ ამაზე არ ინერვიულო, მოსახდენი უნდა მოხდეს.

— დედაჩემიც დამეკარგა, თვეზე მეტია აღარ დაურეკავს.

— დედაშენი გათხოვდა. ისე, გენატრება?

გელამ მხრები აიჩეჩა:

— დამავიწყდა, როგორია, რაღაც გამიუცხოვდა. მისი ამქვეყნად არსებობა გამოგზავნილი ფული იყო, რომლითაც მე და ელისო ვსულდგმულობდით. დედის სიყვარულს სამყარო თუ ასე გაიწოვდა, არაფრით წარმომედგინა. გაქრა, იყო და აღარ არის.

ქალმა მაგიდაზე ისევ მოაბნია ფხვნილი.

— აუ, რა მაგარია, — გელა დივანზე გადაწვა, თვალები დახუჭა და შეუცნობადში ჩაიძირა.

სივრცე მძიმე როკმა დაიპყრო. ხალხის მასა ისე ძაგძაგებდა, ისე ფართხალებდა, როგორც ანკესზე წამოგებული თევზი. ზოგი სასმელს მიტანებოდა, ზოგი „ექსტაზს“ სვამდა. რამდენიმე ქალი მაგიდაზე ამხტარიყო და სტრიპტიზს ცეკვავდა, მათ ირგვლივ ვაჟები შეკრებილიყვნენ და შეძახილებით ამხნევებდნენ. ერთ კუთხეში ცისფერებს მოეწყოთ ორგია, მეორეში ლესბოსელები ჩაჰკვროდნენ ერთმანეთს. სანა ფანჯრიდან გადაჰყურებდა დარბაზს.

— გელა, მოდი!

— ბატონო? — ვაჟი დივანიდან მძიმედ წამოდგა.

— შეხედე ამ ცინიკოს არსებებს, ძალით ქრისტიანებს, — ღიმილით საუბრობდა, — მე მათი შემყურე ბედნიერი ვარ. უნდა ნახო, აქედან გასული, თითოეული მათგანი როგორი ამბიციურია, ბუზს არ დაისვამს. ამ კლუბში კი თავისუფლები არიან და მათი თავისუფლებაც ეგ არის, თორემ ჭეშმარიტებას ნაზიარები ადამიანი ვერასდროს იქნება თავისუფალი, ის ყოველთვის დოგმათა ჩარჩოებშია მოქცეული...

— ჩვენ რა, ჭეშმარიტება არა ვართ?

— არა, შვილო ჩემო, ჭეშმარიტება მხოლოდ იქ არის, იქ, — საჩვენებელი თითი ჭერისკენ აღაპყრო, მის ხმაში სინანული ხმოვანებდა, — რაც არ უნდა თქვა, მე დაცემული ვარ და ჩემი ყოფიერებით სამყაროს შემოქმედს სამაგიეროს ვუხდი.

ანატომიური აგებულებით ადამიანები, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ერთნაირები არიან, მაგრამ ორი მსგავსი მაინც არ არსებობს. ამისთვის თითის ანაბეჭდებიც საკმარისია, შეგნებაზე რომ არაფერი ვთქვათ.

ერთად ეს მასა დიდი ძალაა, მაგრამ თავის პრობლემებში ჩაძირული, დამარტოხელებული თითოეული მათგანი რობოტივით იოლი სამართავია. გათითოკაცებული, ღირსებააყრილი, ნამუსწაბილწული ქართველი უსუსურია. მან თავისი ადგილი ძაღლივით უნდა იცოდეს, როცა დაგჭირდება — აუშვებ, როცა არა — ჯაჭვზე მიაბამ. ეს პროცესი, დიდი ხანია, დაიწყო და ბრწყინვალედ ხორციელდება. ხალხი ბებერი ხორცივით უნდა

ხარშო და არასდროს მოხარშო, დუღილის ტემპერატურა მაღალი უნდა იყოს, მაგრამ არა ასი გრადუსი. აი, ასეთ ბრბოს ისე იხმარ, როგორც შენს ნებისმიერ ნაშას.

— ეს საცოდავები არ გებრალებიან?

— ჰმ, — ჩაეღიმა სანას, — პირველ რიგში, ჩემი თავი მეცოდება. ეგენი ამას არ იმსახურებენ, კეისარს კეისრისა და იღებენ კეისრისას და არა უფლისას. დღეს ორი ნათლობა უნდა ჩავატარო, თუ გაინტერესებს, დაესწარი.

— ნათლობა?

— ორი მაძიებელი მყავს მოსანათლი.

— სიამოვნებით, — ვაჟს ინტერესისგან თვალები გაუფართოვდა.

— მაშინ ჩვენს ტაძარში შევიდეთ, ყველაფერს აგიხსნი, — ქალმა ხელი ჩაჭიდა და ოთახიდან გავიდნენ. მათი გამოჩენისას მუსიკა შეწყდა, ხალხი ერთად შეიკრიბა, თავები მოწიწებით დახარეს. ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, ბუზის გაფრენას გაიგონებდით. დარბაზის შუაში ხის უზარმაზარ ორფრთიან კარს მიუახლოვდნენ. სანამ ხელი აღმართა და ორივე ფრთა მძიმე მძიმედ გაიხსნა. შიგნით შეაბიჯეს და მათ ზურგსუკან კარები თავისით მოიხურა. წყვილი ორ უზარმაზარ კოლონას შორის მოხვდა, — ეს ჩვენი საკურთხევლის კარია, მაძიებელთათვის სამყაროში გასასვლელია, იგივეა, რაც იერუსალიმის ტაძრის კოლონები. ჩრდილოეთ კოლონა სიმბოლოა პირველყოფილი ქაოსისა, ნგრევისა, — ხელი აატარა მარმარილოს სვეტს, — ხოლო სამხრეთი კოლონა შინაგანი მოწესრიგებულობისა და ურთიერთკავშირის სისტემაა. ეს დედამიწა და კოსმოსია. ამ ორ კოლონას შორის მდგარ მაძიებელს ვაფრთხილებ: შენ თუ ადამიანური წარმატებებისა და სიკეთის სურვილი გამოძრავებს, წადი, აქაურობას გაეცალე, მას აქ ვერ იპოვი! მერე ხელში აიყვანენ, საკურთხევლის ზღურბლს გადმოაკვეთინებენ, — ორივემ გაიარა კოლონებს შორის. ჭადრაკული წყობის შავ და წითელუჯრებიან მარმარილოს იატაკზე შედგნენ, — შავი ფერი ჩვენი საქმიანობის შესაბამისია, ხოლო წითელი —

გზაა იმ ქმედებისკენ, რისთვისაც ვარსებობთ, ეს მორწმუნეთა ცდომილებები და სისხლია, — სანამ ისე ხმამაღლა გადაიხარხარა, რომ კისერზე ყველა ძარღვი დაებერა, — ეს ჩემი და შენი ტაძარია, ყველაზე ბედნიერი აქ ვარ. როცა მაძიებელს ვნათლავ, — ქრისტიანია, მუსულმანი თუ სხვა რელიგიის წარმომადგენელი, ამას მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია, მაძიებელი მოინათლოს და ჩვენს სამსახურში ჩავაყენოთ — აი, ამ მაგიდაზე ვაწვენთ, — დარბაზის შუაში მდგომი შავი მარმარილოს მაგიდისკენ ხელი გაიშვირა, — ეს მაგიდა ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ, ანუ კოლონების შემაერთებელი ღერძის პარალელურია. სამხრეთით, ანუ ფეხებთან დევს პირველყოფილი ბუნებრივი ქვის ლოდი, მაძიებელი ამ ტაძარში ასეთი გაუთლელი, დაუსრულებელი შემოდის, ხოლო ჩრდილოეთით, ანუ თავთან, აბსოლუტურად მოწესრიგებული კუბის ფორმის ქვა...

— რას ნიშნავს? — ამდენი უცნაურობისგან გელას პირი დაეღო.

— მაძიებელი აქ მოსვლამდე, ანუ კურთხევამდე იყო გაუთლელი, მშენებლობისთვის უვარგისი ქვა, ხოლო კურთხევის შემდეგ გადაიქცევა იმ კედლის საშენ ქვად, რომლითაც ჩვენი ტაძარი აღიმართება. მონათვლამდე ყველას პროფანი ეწოდება, რაც ტაძრის გარეშე მყოფს ნიშნავს. დღეს მოსანათლი პროფანები ქრისტიანები არიან, ამიტომ მაგიდის გვერდით მდგომ კათედრაზე დაიდება გადაშლილი ბიბლია, რომელზეც განლაგდება ფარგალი და გონიო. ამ შემთხვევაში პროფანები აგვყავს პირველ გრადუსში, რისთვისაც გაშლილი ფარგლის ბოლოები გონიოს ქვეშ განთავსდება. ფარგალსა და გონიოს შუაში ლათინური ასო „ჟ“-ეა გამოსახული, რაც „გეომეტრს“ ნიშნავს. მაძიებელი პროფანი აიყვანება „გეომეტრის“ პირველ გრადუსში.

— „გეომეტრი“ რა არის?

— ეს ზემდგომი სულის, ჩვენი ღმერთის სახელია. „გეომეტრის“ მეორე გრადუსში მაძიებელი მეორე ნათლობი-

სას აგვყავს, ამას დამსახურება უნდა. ამ შემთხვევაში გაშლილი ფარგლის ერთი ბოლო ექცევა გონიოს ზემოდან და მესამე, მათთვის უმაღლესი გრადუსი, ეს მესამე ნათლობაა, რომლის დროსაც ფარგლის ბოლოები გონიოზე ზემოდან იდება.

მაძიებელი ნათლობისას დებს ფიცს, რომ ემსახურება „გეომეტრის“ ჭეშმარიტებას, შემდეგ მას ეძლევა საჭრისი და ურო. საჭრისი მიღებულ გადაწყვეტილებას ნიშნავს, ხოლო ურო მათი განხორციელების ნებას. ნათლობის რიტუალის შესრულებისას ნახავ, პროფანი როგორ მოიხმარს ორივე ინსტრუმენტს.

აღმოსავლეთით, — სანამ ხელი გაიშვირა, — დგას ჩემი ტახტრევანი. შენ, შვილო ჩემო, როგორც ერთ-ერთი რჩეული, მხარს დამიმშვენებ. კედელზე, ტახტის ზემოთ, სხივმოსილი დელტაა გამოსახული...

— უკაცრავად, რომ გაწყვეტინებთ, რჩეულები ბევრი გყავთ?

— პარლამენტართა უმრავლესობა, მთავრობის მაღალი ეშელონები და შემოქმედთა ნაწილი ჩვენს რჩეულებს წარმოადგენენ, ხოლო მონათლული პროფანები — მოსამსახურეთა არმიას. ახლა მომისმინე, ნუ მაწყვეტინებ! სხივმოსილი დელტა ჩვენი ტაძრის უმნიშვნელოვანესი ხატია. სხვათა შორის, ეგ ნიშანი ჩვენს კუპიურაზე, დოლარზეც არის ამობეჭდილი. დელტის სამხრეთით, — სანამ კედელზე მიუთითა, — მზეა გამოსახული, ხოლო ჩრდილოეთით — მთვარე. გაცისკროვნებული დელტა, როგორც ხედავ, სამკუთხედია, რომელშიც ყველგანმყოფი და ყველაფრისმხედველი თვალია მოთავსებული. ეს ხატი გვახსენებს, რომ ყოველ ჩვენგანს საკუთარი ვარსკვლავი აქვს, რომელიც საქმიანობისას გვინათებს და ახალი ქმედებების მიმართულებას გვაძლევს.

როგორც ხედავ, ტახტზე დევს წმინდა ჩაქუჩი და ცეცხლოვანი ხმალი, რომელიც რიტუალის შესრულებისას აგიზგიზდება. ჩაქუჩი — ეს მიწიერი ძლევამოსილების სიმბოლოა, ხოლო ხმალი სულიერებისა. წმინდა ჩაქუჩის რტყმევით ვე-

ლური, გაუთლელი ლოდისგან ვიღებ ტაძრის ფუნდამენტის ან კედლისთვის საჭირო კეთილშობილ ქვას, რომელიც გეომეტრიულად კუბს წარმოადგენს. მშენებლობისთვის მხოლოდ ასეთი ქვაა ვარგისი, რათა ჩვენი სანუკვარი ტაძარი აიგოს, ხოლო ხმლით დაშანთული სხეული აღწევს სულიერ ძლევამოსილებას. კარგი, ახლა მოვემზადოთ და ნათლობის რიტუალი დავიწყოთ, — სანა ტახტრევანისკენ გაემართა, გელა ნაბიჯ-ნაბიჯ უკან მიჰყვა, — შენ აქ მომიცადე, — ჩვეული წკრიალა ხმით მიმართა ქალმა და ტახტის უკან, კარში გაუჩინარდა. რამდენიმე წუთში უკან მობრუნდა. შიშველ ტანზე ჩითის შავი, გამჭვირვალე, კოჭებამდე გრძელი კაბა ეცვა. მისი ქათქათა თეთრი, უნაკლო სხეულის ყოველი ნაკვთი სამოსელში მკაფიოდ ჩანდა. ფეხზე მაღალქუსლიანი, ასევე შავი ფეხსაცმელი ეცვა. თავზე ოქროს გვირგვინი ედგა. გვირგვინის შუაში ბრილიანტებით მოჭედილი გაცისკროვნებული დელტა იყო ამოტვიფრული. სამკუთხედში მოთავსებულ ყველაფრისმხედველ თვალს გუგის ნაცვლად დიდი წითელი ბრილიანტი ამშვენებდა.

გელა მაშინღა მიხვდა, რომ ის გეომეტრიული ფიგურა, რომლიც სანამ მას გულზე დაჰკიდა, სხივმოსილი დელტა იყო. ძალაუნებურად მარჯვენა ხელი გულსაბნევისკენ გაექცა, პერანგში შეიცურა და მაჯაში მოიქცია. კუპონს, რომლის ძალას გამუდმებით გრძნობდა, თითებით მიეფერა.

ქალმა ტახტრევანზე თავისი ადგილი დაიკავა. მარჯვენაში ხმალი, ხოლო მარცხენაში წმინდა ჩაქუჩი ჩაბღუჯა, თავი მკერდამდე ჩაჰკიდა და ვაჟისთვის გაუგონარ ენაზე მონოტონური ბუტბუტი დაიწყო. მთელი დარბაზი ნისლში გაეხვია. ისე აცივდა, როგორც მაცივრის საყინულეში. შემოსასვლელმა კარმა ნელ-ნელა გახსნა დაიწყო. როდესაც ორივე ფრთა ბოლომდე გაიღო, ზღურბლზე დედიშობილა, ახალგაზრდა ქალი გამოტანტალდა. მან ნაბიჯი წინ გადმოდგა და ორ კოლონას შორის, საკურთხევლის წინ შეჩერდა. მის ზურგს უკან უამრავი ახალ-

გაზრდა იყო შეკრებილი. ვაჟებსაც და ქალებსაც შიშველ სხეულზე კოჭებამდე შავი, გამჭვირვალე ჩითის კაბები ემოსათ.

სამარისებური სიჩუმე იდგა. სანამ თავი აწია, პროფანს შეხედა:

— შენ თუ ადამიანური წარმატებების სურვილი გამოძრავებს, წადი, გაეცალე აქაურობას, მას აქ ვერ იპოვი! — მისმა წკრიალა ხმამ დარბაზი შეაზანზარა. ქალის მწვანე თვალები ფოსფორივით ანათებდა.

მაძიებელი მუხლებზე დაეცა, ხელები ცისკენ აღაპყრო, კედელზე გამოსახულ სხივმოსილ დელტას შეაცქერდა და ჩუმი, ცივი ხმით წარმოთქვა:

— მიმიფურთხებია ადამიანური წარმატებებისთვის. მზად ვარ, ვემსახურო ტაძრის მშენებლობას და ერთ-ერთ სამშენებლო ქვად ვიქცე!

ფეხზე წამოდგა. ათიოდე შავკაბიანმა იგი ხელში აიტაცა, ჰაერშივე ჰორიზონტალურად გადაიწვინეს და ნელი სვლით დარბაზის ცენტრში მდგომი შავი მარმარილოს მაგიდისკენ წაიყვანეს. ქალი მაგიდაზე ისე დააწვინეს, რომ ფეხები ბუნებრივი, გაუთლელი ქვისკენ ჰქონდა, ხოლო თავი — იდეალურად გათლილი კუბისკენ. მაგიდის გვერდით, კათედრაზე ბიბლია გადაეშალათ, რომლის შუაშიც ფარგალი და გონიო მოეთავსებინათ. ფარგლის ორივე წვერი გონიოში შეეძვრინათ. მათ ცენტრში ლათინური „ჟ“ ასო იდო.

სანა ტახტიდან წამოდგა, მაძიებელს ისე მიუახლოვდა, იატაკს თითქმის არც შეხებია, თითქოს ჰაერში მილივლივებდა. წმინდაჩაქუჩიანი ხელი მაღლა აღმართა:

— ჯვარო, მიიღე ჩვენგან სანაცვლოდ! — დაიღრიალა და მთელი ძალით ფეხის ტერფში სდრუზა, — ჯვარო, მიიღე ჩვენგან სანაცვლოდ! — ახლა მეორე ტერფში უთავაზა. ტერფებიდან სისხლმა იხუვლა. შავკაბოსნებმა ოქროს ორი დიდი ფიალა დაიხელეს და სისხლს შეუდგეს. სანამ იგივე მოქმედება ხელის ორივე მაჯაზე გაიმეორა. აქედან მოთქრიალე სისხლიც ფიალებში ჩაწურეს. სანა ტახტრევანს დაუბრუნდა. ერთ-ერთმა შავკაბოსანმა ცხელ-ცხელი წითელი სითხით სავსე ორივე ჭურ-

ჭელი ახლოს მიუტანა. ერთი გელას, მეორე სანას გაუწოდა, — შვილო ჩემო, დალიე მონათლულის სისხლი, გაგაძლიერებს, — ვაჟს გადაულაპარაკა და ოქროს ფიალა სულმოუთქმელად გამოცალა. გელამაც შესვა, სისხლი უზომოდ ესიამოვნა, — კარგია, — ქალმა ხელი ტუჩებზე გაისვა. ფიალა ტახტის გვერდით, მაგიდაზე გადადო. ხმლიანი მარჯვენა მაძიებლის მიმართულებით გაიშვირა. ქვის მაგიდაზე მწოლიარე ქალმა ორივე ძუძუ ხელებში მოიქცია და ისე გადაიწია, რომ მკერდის ძვალი გამოჩენილიყო. ხმლიდან და ტახტრევანის ზემოდან, სხივმოსილი დელტისგან ორი სხივი დაეშვა, გაერთიანდა და მაძიებლის მკერდზე გაცისკროვნებული დელტა ამოიშანთა.

სიჩუმე როკის აგუგუნებამ დაარღვია. მონათლული, ვითომც არაფერი მომხდარიყოს, მაგიდიდან წამოდგა და მოცეკვავე, მბორგავ მასას შეუერთდა. შავი, ჩითის გრძელი კაბა მისთვისაც მოიტანეს და ჩააცვეს. რამდენიმე წუთის შემდეგ დარბაზიდან ყველა გაიხვეტა და ნათლობის ახალი რიტუალი შედგა.

როდესაც სანა და გელა მარტონი დარჩნენ, ქალი ტახტიდან წამოდგა, შემობრუნდა, ხელები ყველაფრისმხედველი თვალისკენ აღმართა:

— ჩემო მბრძანებელო, ჩაიბარე კედლის ორი ქვა! ვიდრე შენ ჩემთან ხარ, კიდევ მრავალს ჩაგაბარებ და ჩვენს ტაძარს ავაშენებთ! — გელას გაუღიმა, — მოგეწონა?

— ძალიან, — ვაჟი კმაყოფილებას ვერ მალავდა.

— შვილო ჩემო, დავიღალე, მაგრამ უაღრესად ბედნიერი ვარ. ყოველი ნათლობა ჩვენ უზომოდ გვაძლიერებს. ცოტა ხნის წინ მაძიებელი სანთლით საძებარი გვყავდა, დღეს კიდევ მოსანათლთა რიგი გვიდგას. ამიტომ ვიძახი, დრო აჩქარებულია-მეთქი. ყველაფერი წერილ არს — ჩვენი ტაძარი აიგება, გამშვენდება და გეომეტრის მადლით გაბრწყინდება.

— შემდეგ რა იქნება?

— ჰმ, შემდეგ იწყება დიდი ბრძოლა, — ირონიულად ჩაეღიმა, — ამაზე საუბარი აღარ გვინდა, — ვაჟს ხელი ჩაავლო და

ტახტის უკან, ოთახში შეიყვანა. ქალმა პერანგი გაიძრო, აბსოლუტური სრულყოფილება გელას წარუდგა, — ლიას, შენს ასრულებულ ოცნებას, ვჯობივარ? — ცალყბად ეღიმებოდა.

— შენი ფრჩხილის ღირსი არ არის, — ვაჟმა აღფრთოვანება ვერ დამალა.

— შვილო ჩემო, გარეგნული იერსახე შინაგანს ვერ ამეტყველებს. ძალიან ბევრი სილამაზეს გამოკიდებია და ხელში სიცარიელე შერჩენია. ჩვეულებრივ მოკვდავთათვის სილამაზე და მისი ფენომენი წარმავალია. გარეგნობა, როგორც შემოდგომის ფოთოლი, ჭკნება, ხმება და, რაც მთავარია, ფუნქციას კარგავს. ფოთოლი გაზაფხულზეა დიდებული, მის სიქორფეს მტვერიც კი არ ადევს; ზაფხულში უხეშდება, ჭუჭყი ედება, იცვითება, როგორც ყველაფერი ამქვეყნად, მაგრამ ცდილობს, გარეგნობა შეინარჩუნოს; შემოდგომით იჭმუჭნება, ყავისფრდება და ქარის ნებაზეა — მოწყდება თუ არა, მაგრამ გარდაუვალი ზამთარი მიწაზე გაართხმევს და მის ყოფილ სილამაზეს სამუდამოდ აღგვის პირისაგან მიწისა. ზუსტად ასეა ადამიანი, იბადება და კვდება, ვინც დაიბადა — უცილობლად გარდაიცვლება. სიცოცხლის გზა გაზაფხულიდან ზამთრამდეა, ხოლო შინაგანი, ანუ სული მუდმივი განზომილებაა, რომელიც დედის მუცლიდან დაწყებული ზამთრის ჩათვლით, გამოცდას აბარებს. მისი შემდგომი სიცოცხლე და მდგომარეობა გამოცდის ნიშანზეა დამოკიდებული.

შენ რა გგონია, მე ჭეშმარიტებას ასე რომ ვბილწავ, მსიამოვნებს? ამქვეყნად ჩემზე უკეთ არავინ უწყის თუ სად იწყება და სად მთავრდება უზენაესის ნება-სურვილი. დღემდე მე მისი უსაყვარლესი ანგელოზი ვარ, საკმარისია, ლოცვად დავდგე და ვთქვა: „წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკვდავო შეგვიწყალენ ჩვენ,“ რომ აბსოლუტურად ყველაფერი მომეტევება, მაგრამ ჩემი განვლილი გზა ამის უფლებას არ მაძლევს, ყოველი ნათლობის რიტუალი ჩემთვის გაძლიერებისა და უკვდავების წყაროა.

— მე რაღა მეშველება? — გელამ შეცბუნებულმა იკითხა.

— შენ სუფთა ხარ, მოუნათლავი და, რაც მთავარია, ზურა გყავს. მას მესამე თვალი მიეცა, ყველაფერს ისე ჭვრეტს, როგორც იქ სურთ, — თითი ჭერისკენ აიშვირა, — აი, ახლა ჩავიცვამ და დარბაზში გავიდეთ, შენი თვალით ნახავ ნათლულთა წესიერებას, — კმაყოფილმა ჩაიცინა და შემოსვას შეუდგა. სარკეში თავი მოიწესრიგა, — კაბინეტში საიდუმლო გასასვლელით გავიდეთ, თორემ დარბაზში თუ შეგვამჩნიეს, ყველაფერი მორჩება, — სანა თაღოვან გვირაბში შევიდა და ვაჟი თან გაიყოლა.

კაბინეტში ორივემ კოკაინი იყნოსა. ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ მცირე ხანს დივანზე იყვნენ მიწოლილები, შემდეგ ვისკი მოწრუპეს.

— ახლა მოდი აქ, — ქალმა თითი დაუქნია და ფანჯარასთან მივიდა, — შეხედე, — კმაყოფილმა თავით ანიშნა. გელას არ წარმოედგინა თუ ცხოვრებაში ასეთ სურათს ოდესმე ნახავდა. ქალები და მამაკაცები ერთმანეთში ისე იყვნენ აზელილ-ათქვეფილები, როგორც ჯამში ჩაყრილი მატლები. ერთმანეთზე გადახლართულ-ჩახლართულ მასად ქცეულიყვნენ და მათი კონცენტრაცია მხოლოდ საკუთარი სხეულის ვნებათა თუხთუხზე იყო მიმართული. არაადამიანური ღრიალი, კვნესა, მოთქმა ერთმანეთში აღრეულიყო და როკზე უფრო მედგრად გუგუნებდა. ზოგნი საჭრისს და ურროს ერთმანეთს უკაკუნებდნენ.

— ესენი ხორცის ერთი მთლიანი ნაჭრის ნაწილები არიან, უბრალოდ, ფარშს წარმოადგენენ და ერთმანეთში ასე ამიტომაც არიან ასრესილები. მე მათი ყასაბი ვარ და მათ შინაგან, ყველასთვის შეუცნობად სურვილთა აღმძვრელ-განმახორციელებელი.

— რა არის ეს, რას ჰგვანან ეს ჭიაყელები?! — აღშფოთდა გელა.

— აქ ნიღაბი ყველას ჩამოგლეჯილი აქვს და სხვის როლს არავინ თამაშობს, — სანამ სიგარეტს მოუკიდა, — მათში ამგვარი საქციელის სურვილი, ოღონდაც დაფარულად, ყოველთ-

ვის არსებობდა, სხვაგან ამას ვერაფრით ახორციელებდნენ, ჩემთან კი ხელთათმანივით ამოტრიალდნენ და ვნებათა დოღი მოაწყვეს. თითოეული მათგანი სახელმწიფო სტრუქტურაში ან არასამთავრობო ორგანიზაციაში იღვწის და ქვეყნის მშენებლობას ეწევა, — გადაიხარხარა, — შვილო ჩემო, ყველანი ჩემს ბრჭყალებში არიან მოქცეული. შეხედე იმ გოგოს, სამ კაცს ერთდროულად რომ ანაყრებს, ადამიანთა უფლებებისა და თავისუფლების დამცველია. ხედავ, საკუთარ თავისუფლებას როგორ იცავს? ერთი ტელევიზორში განახა, როგორ დემაგოგობს და ყველგან და ყველაფერში მართლის როლს ასრულებს. აი, ის ბიჭი, ცისფერებს რომ მიდგომია, ციხეში ზედამხედველად მუშაობს და წარმოიდგინე, პატიმრებს რაღას უზამს? — სანას ჩაეცინა, — ნებისმიერ მათგანს რომ ჰკითხო, მართლები არიან და მათი სიმართლე, იცი, რას ჰგავს?

— რას? — გელა დარბაზში გაოგნებული იყურებოდა.

— საკუთარ განავალს სუნი რომ არ აქვს, აი, ასეთი სიმართლის მატარებლები არიან. ნურაფერი გიკვირს, ყოველი მათგანი გეომეტრის რომელიმე გრადუსშია აყვანილი და ჩვენი უღალატო მონაა. ეს ჩემი შრომის, დაუღალავი შრომის შედეგია. ადამიანს რწმენას როცა წაართმევ, გაუსულერთებ და ჭეშმარიტებას ჩამოაშორებ, მიიღებ ჩვენი ტაძრის სამშენებლო ქვას. შვილო ჩემო, ჩვენი გამარჯვებაც ეგ არის.

წავიდეთ, რა, — შეეხვეწა გელა, — ამათ შემხედვარეს გული მერევა, ადამიანი საბოლოოდ შემზიზღდა.

— უზენაესის ცდომილებებს ხედავ? — სანამ ისევ გადაიხარხარა, — არადა, ადამიანი სულ სხვა მიზნისთვის შეიქმნა. ამ ფარშის ყურება გვეყო, — ვაჟისკენ შემობრუნდა, — ახლა წავიდეთ, შენი ბინა და მანქანა უნდა განახო.

ორივენი მეორე გასასვლელით ქუჩაში გავიდნენ, სანას მანქანაში ჩასხდნენ და გეზი ბაგებისკენ აიღეს. გზაში გელას მობილური აწკრიალდა. ვაჟმა ნომერს დახედა:

— ლია მირეკავს, — სანას გასაგონად ჩაილაპარაკა.

— ეტყობა, მოენატრე.

— გისმენ, ლია, — ვაჟმა აპარატი ყურზე მიიბჯინა, — არა, შეხვედრაზე ვიყავი, კი, აუცილებლად ჩამოვალ, ალბათ, ერთ სააათში. კარგი, დამელოდე, — მობილური გათიშა და ქალს მიუბრუნდა, — ამ ჩემისამ თავის საკუთრებად გამომაცხადა, ვიდრე თბილისში დაბრუნდება, ბოლომდე უნდა გამომიყენოს და მერე ნაგავში მომისროლოს.

— ნუ დარდობ, ეგ ქალი ჩემს კლუბში შეკრებილებისგან არაფრით განსხვავდება, იგივე წარმოშობის ხორცია და მისგან რას უნდა ელოდო? მიხვდი, რომ მარტო გარეგნობა არაფერია. კახამაც იმიტომ უღალატა, რათა სხვა ქალში ეპოვა ის, რაც ლიასთან ურთიერთობაში აკლდა. შენ რომ იცოდე, ლიას გარეგნობისა და მამიკოს ფულების მეტი არაფერი აბადია, შინაგანად ცარიელია და მხოლოდ ცხოველური ინსტინქტებით სულდგმულობს.

როდესაც სახლს მიუახლოვდნენ, სანამ პულტით ავტოფარეხის კარი გახსნა და მანქანა შიგნით ჩაიყვანა. წითელ „მერსედესთან“ გაჩერდნენ:

— მოგწონს? — ვაჟს გადახედა.

— აუ, რა მაგარია, — გელა მანქანიდან გადავიდა და „მერსედესს“ მიუახლოვდა. კონვერტიდან გასაღები ამოიღო და სიგნალიზაცია გოჭივით დააჭყვიტინა. კარი გამოხსნა, თავი სალონში შეყო, — ყველა სავარძელი ცელოფნებგადაკრულია. სულ ახალია? — გვერდით მდგომ, გაღიმებულ ქალს შეაცქერდა.

— ერთი თვის წინ ჩამოიღეს კონვეიერიდან.

ვაჟი წინა სავარძელზე, საჭესთან მოკალათდა, მანქანა დაქოქა. ძრავი ისე მუშაობდა, ხმა საერთოდ არ ისმოდა:

— რა კარგია ახალი მანქანის სუნი, — ბედნიერმა ჩაილაპარაკა და სანას შეხედა, — კი, მაგრამ ერთ თვეში თუ მივემგზავრები, ამისი უქმად დატოვება ცოდო არ არის?

— შვილო ჩემო, — სანას ეცინებოდა, — ამაზე ნუ დარდობ, როცა ჩამოხვალ, უკეთეს მანქანას დაგახვედრებ. ახლა წამოდი, ბინაც გაჩვენო.

ვაჟმა მანქანა გამორთო, პულტით კარები ჩაკეტა და ქალს ლიფტისკენ გაჰყვა. მესამეზე ავიდნენ. ბინაში შესულმა გაოცებისგან პირი დააღო — რემონტი მოდის ბოლო სიტყვას პასუხობდა, ხოლო ავეჯი ისეთი იდგა, თავი მუზეუმში ეგონა.

— შვილო ჩემო, სასტუმრო ოთახში მთელი ტექნიკა იაპონურია, საძინებელში კარადა შენი ზომის ტანსაცმლით არის გამოტენილი...

— რად გინდოდათ? — შეიცხადა ვაჟმა.

— იმიტომ, რომ შენთვის არაფერს ყიდულობ. ჩაიცვი, დაიხურე, ამ სამყაროდან ყველაფერი ისე შეიწოვე, როგორც მტვერსასრუტმა. შეირგე, ვინაიდან გეკუთვნის, — სანამ მთელი ბინა შემოატარა, ყველა კუთხე-კუნჭულთან მიიყვანა, აუხსნა და დაარიგა, — ხვალ, სამსახურის შემდეგ აქ მოდი და კარგად გაერკვიე თუ სად რა არის, რა როგორ მუშაობს. გაიგე?

— დიახ, დიახ, — ვაჟმა თავი დაუქნია, — ჩემთვის ცოტა ფხვნილი არა გაქვთ?

— როგორ არა, — ქალმა ჯიბიდან პარკი ამოიღო და გაუწოდა, — ლიასაც გაასინჯე და კოკას ხათრით მაგ ქალს თითის დაქნევაზე იხმობ. ახლა წავედით, სახლში აგიყვან, მე კიდევ ქვეყანა საქმე მაქვს.

— ჩემი მანქანით წავალ.

— წადი, — ქალმა გელას კარის გასახსნელი პულტი გადასცა;

გელა ავტოფარეხიდან გამოვიდა, პულტით კარი ჩაკეტა და წყნეთის გავლით კოჯრისკენ გაემგზავრა. ავტომობილი ეზოში შეიყვანა, ჭიშკარი დაკეტა, შემობრუნდა და თავისი სახლი შეათვალიერა. სინათლე მარტო ლიას ფანჯრიდან გამოდიოდა:

— მელოდები? — ჩაიჩურჩულა, — „ამ ჩემს ძველ სახლს ეს „მერსედესი“ არ უხდება,“ — გაფიქრება ვერ მოასწრო, რომ მობილურმა დაურეკა, — დიახ, სანა.

— შვილო ჩემო, შტატებიდან როცა დაბრუნდები, მაგ შენს სახლს ვერ იცნობ, თანამედროვე ვილას დაგახვედრებ, — ანუგეშა წკრიალა ხმამ, — ახლა შენს ტურფას მიხედე, თორემ გადაირია ქალი.

გელა სახლში შევიდა, ელისოს ღრმად ეძინა. თავისი ოთახიდან ლიას დაურეკა:

— არ გძინავს?

— მძინავს კი არა, რაც ჟურნალები მქონდა, ზეპირად ვისწავლე. დროზე ამოდი!

— წყალს გადავივლებ და თხუთმეტ წუთში შენთან ვარ, — ვაჟმა ნაჩქარევად გაიხადა და საცვლის ამარა აბაზანისკენ გაეშურა. წყალი გადაივლო, სპორტულები ჩაიცვა, ფანჯრიდან ეზოში გადაეშვა და მდგმურთან ავიდა.

— სად ხარ ამდენ ხანს?

— ხომ გითხარი, შეხვედრაზე ვიყავი-მეთქი, — თავი იმართლა.

— დღეს კახა მელაპარაკა, ბოდიშები მიხადა. ხვალ თბილისში მივდივარ.

— მერე, ერთმანეთს როდისღა შევხვდებით?

— მე თვითონ დაგიკავშირდები. ხომ იცი, ჩემი შვილების მამაა, რაც უნდა იყოს, ოჯახის დანგრევა არ მინდა. ბავშვები უმამოდ არ უნდა გაიზარდონ. დასჯით დავსაჯე, მე ძალიან კმაყოფილი ვარ და არა მგონია, ასეთი სისულელე კიდევ ჩაიდინოს.

— სექტემბრის ბოლოს შტატებში მივემგზავრები.

— საად?

— ჰო, სასწავლებლად მივდივარ, საერთაშორისო სამართალს უნდა დავეუფლო.

— კარგია, მაგრამ ფინანსები საიდან? — გაოცდა ქალი.

— მასპონსორებენ. აბა, კვების ტექნოლოგიური ჩემი საქმე არ არის, ეგ პროფესია არ მიზიდავს.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოს, — ლიამ სიგარეტს მოუკიდა.

— ღმერთმა არა, ტოროლამ, — გელამ ჯიბიდან პარკში ჩაყრილი ფხვნილი ამოიღო, — გასინჯავ?

— რა არის? — ლია ახლოს მიიწია.

ვაჟმა ორი ბილიკი მაგიდაზე მოყარა, ტკიცინა ასდოლარიანიც გაამზადა. ფხვნილი შეიყნოსა, სიამოვნებისგან სკამის საზურგეს მიეყრდნო, თვალები დახუჭა და გაირინდა. როცა ამქვეყნად მობრუნდა, ლიას მიმართა:

— ეს არის გზა უსასრულობაში...
— ნარკოტიკია?
— არა, ანალგინია, — ჩაეცინა.
— რომ შევეჩვიო?
— ერთხელ გასინჯე, ძალიან გაგისწორდება.
— კარგი, ჯანდაბას, ერთხელ გავსინჯავ. ბიჭო, ცუდად ხომ არ გავხდები?
— მარტო იმას იგრძნობ, რომ ცხოვრებაში ასე კარგად არასდროს ყოფილხარ, — გელამ ფხვნილი მოამზადა და ქალს აყნოსინა.
— ვაი, — წამოიძახა ლიამ, საწოლამდე ძლივს მიბანცალდა და გულაღმა გადაემხო, — რა მაგრა ვარ, თითქოს დავფრინავ, — თვალები დახუჭა და გაირინდა.
ვაჟი მიუახლოვდა, ხალათი შეუხსნა და ქალის შიშველ სხეულს დააცხრა.
— მაგარი ქალი ხარ, — მკერდს ულოშნიდა.
— მოდი, ჩემო გადარეულო, შენთან სექსი არასდროს მომბეზრდება, — ებუტბუტებოდა ლია და ვაჟს მთელი ძალით ეკვროდა.
რიჟრაჟმა ღამის წყვდიადი განდევნა და წყვილს დაშლის დრო აუწყა. უკმაყოფილოები საწოლიდან წამოდგნენ:
— ეს რა მაგარი რაღაცა იყო, კიდევ გამასინჯებ?
— აბა, შენ მტოვებ და ფოსტით ხომ არ გამოგიგზავნი, — ჩაეცინა გელას.
— არა, — ქალმა თავი გაიქნია, — შტატებში წასვლამდე აუცილებლად შეგხვდები და კიდევ გამასინჯე, — მისი სიტყვები მუდარა უფრო იყო, ვიდრე ჩვეულებრივი საუბარი.
— სიამოვნებით, — სახე გაებადრა ვაჟს და ქალს დასამშვიდობებლად ჩაეკრა.
— რამდენიმე დღეში დაგიკავშირდები და სადმე შევხვდეთ.
— აუცილებლად. ახლა წავედი, ლია, არ გემშვიდობები, შეხვედრამდე, — გელამ აკოცა და თავისი ოთახისკენ ფეხაკრეფით გაემართა, მაგიდას მიუჯდა. ასეთი გადატვირთული რეჟიმის

მიუხედავად, დაღლას საერთოდ ვერ გრძნობდა, არც უძილობა აწუხებდა. იმას კი ხვდებოდა, რომ მის სხეულში რაღაცა ზეძალა და ენერგია ჩასახლებულიყო. ფხვნილი უჯრაში შეინახა და ხელს მარკების ალბომი ამოაყოლა, დოლარები თითებში მოიქცია, — ხომ არ მოიწყინეთ, პატარებო? — ღიმილით შეეკითხა. კუპიურებზე გამოსახული გაცისკროვნებული დელტა მონახა, ტუჩებთან ახლოს მიიტანა და ყველაფრისმხედველ თვალს რამდენჯერმე ეამბორა, — შენ ხარ ჩემი მფარველი, — სიყვარულით გადაუჩურჩულა. ელისოს ფეხის ხმა შემოესმა. ალბომი დახურა და ნაჩქარევად შეინახა. ბებიას სანახავად ოთახიდან გავიდა, — ელისო, როგორ ხარ?

— შვილო, ღამე როდის მოხვედი? — მოხუცი ნაწყენი ჩანდა.

— გვიან.

— ბებია, ოჯახი აღარ გაინტერესებს?

— როგორ არ მაინტერესებს, მაგრამ საქმეები მაქვს, შეხვედრაზე ვიყავი, — სკამი გამოუწია, დიდედა დასვა, — ახლა მომისმინე, ერთ თვეში ამერიკაში სასწავლებლად მივემგზავრები...

— რას ამბობ, რა საშუალებით? — გაოცდა ქალი.

— ბები, გრანტით მაფინანსებენ. უცხოურ კომპანიაში თანამშრომლობა შემომთავაზეს და უარს ხომ არ ვეტყოდი? აგერ, მანქანაც მომცეს, ვიდრე წავალ, მე მეყოლება. როცა განათლებას მივიღებ და დავბრუნდები, სერიოზულ საქმესაც მთავაზობენ.

— რატომ, რის გულისთვის? — განცვიფრებული მოხუცი წამოდგა, ფანჯრიდან ეზოში გაიხედა, — რა მშვენიერი მანქანაა, — კმაყოფილმა ჩაილაპარაკა, — შვილო, რამე სიბინძურეში არ ჩაგითრიონ, — ვაჟს გამომცდელად შეაცქერდა, — დღეს ტყუილად არავინ არავის არაფერს ჩუქნის.

— არა, ბები, მონაცემები გავაგზავნე, მოეწონათ და დადებითი პასუხი მომივიდა. ამაში საეჭვოს ან ცუდს რას ხედავ?

მოხუცმა მხრები აიჩეჩა, ესღა უთხრა:

— მე შენი კარგი ყოველთვის გამიხარდება, ღმერთმა ხელი მოგიმართოს, — სამზარეულოსკენ გაემართა, — ხომ ისაუზმებ?

შვილიშვილმა თვალი გააყოლა:

— ღმერთმა არა, სანამ, — ჩაიჩურჩულა, — ვისაუზმებ, აბა, რას ვიზამ.

— ზურაბის ეზოში ჭაბურღილი გააკეთეს და წყალი აღმოაჩინეს. მაგ ოჯახს ეგ პრობლემა სამუდამოდ მოეხსნა. წყალი იმდენი აქვთ, თან ისეთი წნევით მოდის, რომ მთელ კოჯორს ეყოფა. საღამოს ჩემთან იყო მოსული და მითხრა, მიწისქვეშა წყალი თქვენი ცაცხვის ძირშიც მიედინებაო.

— ძალიან კარგი, — გასძახა გელამ, — დღეს დაველაპარაკები, გავარკვევ, რა დაუჯდათ და ჩვენც გავაკეთოთ.

— ლია კახას შეურიგდა, ყველაფერი აპატია და საღამოს თბილისში მიდიან.

— ვაა, — ისე გაიოცა, თითქოს არ იცოდა.

— ორივენი კარგები არიან და მათი ოჯახის დანგრევა საცოდაობა იქნება.

— მართალი ხარ, — გელას ჩაეღიმა.

VII

ის დღე იყო და ის, გელა სანას განუყოფელი თანამგზავრი შეიქმნა. როკკლუბში ხშირი სტუმრობისას გაიცნო სხვა უამრავი რჩეული, რომელნიც სახელმწიფო სტრუქტურებში იყვნენ ათქვეფილები, ბევრი მათგანი ხელმძღვანელ პოსტებსაც იკავებდა, ზოგიც საკანონმდებლო ორგანოში ფუნქციონირებდა. მათ შორის მრავალი ადვოკატი, მოსამართლე და სახელმწიფო ბრალმდებელიც ერია. კლუბში შეკრებილები სამომავლო გეგმებსა და მათ განხორციელებაზე მსჯელობდნენ, კამათობდნენ და შესრულების გზებს სახავდნენ. მთავარია, ჩანაფიქრი განხორციელებულიყო, თორემ განხორციელების

გზებს არავინ დაეძებდა. ქმედება ყოველთვის ამართლებდა მიზანს, იგეგმებოდა ხელის შემშლელი პიროვნებების დაშანტაჟება, გატაცებები და ლიკვიდაციაც კი. შანტაჟის მეთოდი არასასურველთა სისუსტეებზე იყო აგებული. იღებდნენ მათ ყველა ინტიმურ ურთიერთობას, სხვადასხვა შეხვედრებსა თუ ქმედებებში გამომჟღავნებულ გადახრებს, ისმინებოდა ტელეფონები. მოკლედ, ვინ რითი სუნთქავდა, ყველაფრის საქმის კურსში იყვნენ. დაშინების მიზნით დაპატიმრებებსაც არ ერიდებოდნენ, ცრუ მოწმეების დახმარებით რამე საქმეს შეთხზავნდნენ და ოთხ კედელში გამოამწყვდევდნენ. ციხეში მიმდინარეობდა მათი ფსიქოლოგიური თუ ფიზიკური დამუშავება და შედეგსაც სასურველს იმკიდნენ.

გელა „ახალ დემოკრატ-ქრისტიანთა“ პარტიაში მალევე გაწევრიანდა და ახალგაზრდული ფრთის ხელმძღვანელობა ჩაიბარა. მოგეხსენებათ, პარტიის ნაყოფიერ ფუნქციონირებას დიდი ფინანსები სჭირდება, ვაჟს ბევრი არც უფიქრია, გადაწყვიტა კახას მიდგომოდა და ყოველთვიური გადასახადი დაეწესებინა.

ლიასთან თავისი ინტიმური, ოც წუთიანი ეპიზოდი სპეციალისტებს ისე დაამუშავებინა, რომ მნახველს ფაქტის ადგილმდებარეობა და ქალის პარტნიორის ვინაობა ვერაფრით დაედგინა, დისკზე ჩააწერინა და ყოფილი მდგმურის საწარმოსკენ მომზადებული გაემართა.

პირველად ეკა მოინახულა, დერეფანში იხმო:

— ეკაკო, მომენატრე, — ქალი გადაკოცნა.

— გელა, მეც. ამისთანა რა საქმე გაგიჩნდა, რომ დრო სულ აღარ გაქვს?

— მძიმეა პარტიული ცხოვრება, — გაღიმებულმა ახსნა თავისი მოუცლელობა, — დღეს განცხადების დასაწერად მოვედი, სამსახურიდან მივდივარ...

— მართლა? — შეცბა ეკა, — დედაჩემი ისე წავიდა და ჩამოვიდა, რომ ჩემთან ვერ მოგიყვანე. გელა, აღარ მოგწონვარ თუ ჩვენი ურთიერთობა დამთავრდა?

— არა, — თავი გააქნია ვაჟმა, — თუ გინდა, საღამოს ჩემთან გეპატიჟები, სამსახურის შემდეგ გამოგივლი და იქ განვმარტოვდეთ.

— ასე მოუმზადებელი — როგორ? — შეიცხადა, — წინასწარ მაინც დაგერეკა, დედაჩემსაც გავაფრთხილებდი და ზედმეტ პრობლემებს მოვიხსნიდი...

— ახლა ვერ დაურეკავ?

ეკა ჩაფიქრდა, შემდეგ ვაჟს შეაცქერდა:

— კარგი, სამსახურიდან გავეთავისუფლები, სახლში წავალ და საღამოს დამირეკე, სტადიონთან შევხვდეთ.

— მოსულა, — გაიღიმა გელამ. მის წინ მდგომი, დაბნეული ქალი რამდენჯერმე დაკვირვებით აათვალიერ-ჩაათვალიერა, — ფეხი რა ზომა გაქვს?

— რად გინდა?

— სიურპრიზი მინდა გაგიკეთო, — ვაჟის ტუჩებს კმაყოფილი ღიმილი არ შორდებოდა.

— ოცდათვრამეტი.

— ძალიან კარგი, — კმაყოფილმა ჩაილაპარაკა, ახლოს მიიწია და ლოყაზე აკოცა. — საღამომდე, — დაემშვიდობა და დირექტორის კაბინეტისკენ გააბიჯა. მისაღებში მდივანი საკუთარ სახეს სარკეში ჩაჰკირკიტებდა და პუდრს ისმევდა, — მანანა, გამარჯობა.

— გელა, როგორ ხარ?

— კარგად. ერთი ფურცელი მომეცი, განცხადება მაქვს დასაწერი, — ვაჟმა ქაღალდი მაგიდაზე წინ დაიდო და წერას შეუდგა. როდესაც დაამთავრა, წამოდგა, — ბატონ კახას ხომ სცალია?

— კი, შედი, — დაეთანხმა მდივანი და სარკეში პრანჭვა განაგრძო.

— გამარჯობა, ბატონო კახა, — ვაჟმა კაბინეტის კარში თავი შეყო.

— მოდი, გელა, — გაუღიმა დირექტორმა.

— ბატონო კახა, ყველაფრისთვის დიდი მადლობა მინდა გითხრათ, — სამუშაო მაგიდის წინ ჩამოუჯდა და ფურცელი გაუწოდა.

მამაკაცმა გადაიკითხა:

— ასეთი კარგი თანამშრომლის დაკარგვა მენანება, მაგრამ რა ვქნა, თავს ზემოთ ძალა არ არის, — უკმაყოფილომ ჩაილაპარაკა, — მალე სწავლაც დაგეწყება და, აბა, შენ იცი, — ფურცელი გაუწოდა, — კანცელარიაში ჩააბარე.

— ბატონო კახა, ჩემი გეგმები რადიკალურად შეიცვალა — ვერც თქვენი ძმის სასწავლებელში ვისწავლი.

— აბა, რას აპირებ?

— მმართველი პარტიის ახალგაზრდული ფრთის ხელმძღვანელი გავხდი, თან გრანტი მოვიპოვე და სასწავლებლად შტატებში მივემგზავრები...

— მართლა? — გაოცდა დირექტორი, — გელა, ავრორას შენთვის გაუსვრია, ძმაო, მთელი გულითა და სულით მიხარია, ღმერთმა ხელი მოგიმართოს.

— „ახლა განახებ, ღმერთი როგორ მოგიმართავს ხელს," — ჩაიცინა, — ბატონო კახა, მოგეხსენებათ, რომ პარტიას უამრავი ხარჯი აქვს, მისი შენახვა და არსებობა ძირითადად ფინანსებზეა დამოკიდებული...

— მერე? — დირექტორს სახე შეეცვალა.

— მერე ის, რომ თქვენი კომპანია აუცილებლად უნდა ჩაერთოს ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში. ზემოდან დამაბარეს, გაგახსენოთ, რომ დღემდე თქვენ არც საგადასახადოს, არც პროკურატურას არ შეუწუხებიხართ...

— ბიჭო, რაებს მელაპარაკები?! — წამოიყვირა კახამ, მუშტი მთელი ძალით მაგიდას დასცხო და სკამიდან წამოიწია, — მარეკეტებთ თუ რა არის?! ორი თვეა, რაც პროდუქციის გამოშვება დავიწყე, ვის რა უნდა გადავუხადო?! საწარმო მოგებაზეც არ გასულა, რა საგადასახადო, რა პროკურატურა?! თქვენი პარტია ხომ არ უბერავს?! — გამწარებულმა მაგიდაზე მიგდებული სიგარეტის კოლოფიდან ერთი ღერი ძლივს ამოაძვრინა, აკანკალებულ თითებსშუა მოიქცია და მოუკიდა.

— ბატონო კახა, მე რაც დამაბარეს, ის გადმოგეცით, თორემ ჩემი თქვენდამი დამოკიდებულება ხომ იცით...

— რამდენს ითხოვენ?

— მე ავუხსენი, რომ შინაური ბრძანდებით და თავიდან თვეში, ორმოცდაათი ათასი დოლარი მოითხოვეს, შემდეგ კი შევხედავთო.

— მაგათ შიგ ხომ არა აქვთ?! — სახეზე მიტკლის ფერი დაედო კახას, — თქვენთვის მიმუშავია, რაღა!

— ბატონო კახა, — ვაჟი ისე მშვიდად და დამაჯერებლად საუბრობდა, თითქოს დირექტორს ერთ ქილა მაწონზე ევაჭრებოდა, — საწარმოში ბევრ დარღვევაზე თვალს დახუჭავენ, მწვანე გზა აგენთებათ, — პიჯაკის გულის ჯიბეში ხელი ჩაიცურა, დისკი ამოიღო, — მე ეს ჩანაწერი მომცეს და მითხრეს, რომ გაგაფრთხილოთ, უარის შემთხვევაში ინტერნეტში გაავრცელებენ. მართალია, რა ჩანაწერია არ ვიცი, მაგრამ გირჩევთ, მათ შემოთავაზებას დასთანხმდეთ. ხომ იცით, მმართველი პარტიაა და ხელი ყველგან მიუწვდებათ, — დისკი მაგიდაზე დადო, ვიზადადებული განცხადება აიღო, კაბინეტიდან გამოსულმა კანცელარიაში შეიარა და განცხადება დატოვა. მშვიდად მიაშურა მანქანას, მაგნიტოფონში როკი მთელ ხმაზე ააჟღერა და ბაგებისკენ გაემგზავრა. როდესაც სახლში შევიდა, სასტუმრო ოთახში დივანზე მოკალათდა, ჟურნალების მაგიდის უჯრიდან ფხვნილი ამოიღო და იყნოსა. მუსიკალურ ცენტრში როკი ააგუგუნა, ტანთ გაიხადა, მობილური აიღო და აბაზანაში ჯაკუზს მიაშურა. კოკაინისა და ჯაკუზის წყალქვეშა ჭავლის ზემოქმედების ქვეშ რამდენიმე საათი ინებივრა. ხუთი სრულდებოდა, როდესაც ბინიდან გამოვიდა და სავაჭრო ცენტრ „კიდობანში“ გაემგზავრა. ეკასთვის იტალიური წარმოების მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი შეიძინა. ტანსაცმლის სექციაში, სანას რომ ეცვა, ისეთივე სტილის, თავისუფლად გაშვებული, შავი, ოღონდაც მინიკაბა ამოარჩია და პლასტიკური ბარათი კმაყოფილმა სალარო აპარატში გაატარა. ქალთა თეთრეულის სექციაში ასევე შავი ფერის ლიფი და ბი-

კინი იყიდა. მაღალყელიანი წინდა დიდხანს არჩია და ბოლოს ისეთზე შეჩერდა, რომელიც ყოველგვარი ბანდაჟის გარეშე, ბარძაყებზე ფიქსირდებოდა. იქვე პარფიუმერიის მაღაზია „ვულე ვუში“ შეიარა და „დიორის“ ფირმის სუნამო „ჟადორი“ შეარჩია, ბარათით ანგარიში გაასწორა, ყველაფერი კოხტად შეაფუთინა და სავაჭრო ცენტრიდან ზომაზე მეტად ამაღლებულ გუნებაზე გამოვიდა. სადგურის მოედანზე ოქროს ბირჟას მიაშურა. ბრილიანტითა და ფირუზით გაწყობილი გულსაბნევი, ოქროს პეპელა შეიძინა და ეკას შესახვედრად გასწია. მანქანა ქალის სადარბაზოს წინ, სტადიონთან გააჩერა და მობილით დაურეკა, — ეკაკო, მოვედი, გელოდები, — შემდეგ ზარი ზურაბთან გაუშვა, — ანგელოზო, როგორ ხარ? რა გაიგე? ჰო, ეგრეა. მადლობა, ძმაო, — ჩაეღიმა, — ანგელოზო, სახლში ხარ? ერთი თხოვნა შემისრულე, ბებიაჩემთან გადადი და უთხარი, რომ დღეს კოჯორში ვერ ამოვალ, არ ინერვიულოს. ხომ იცი, მარტო დარჩა, მდგმურები წავიდნენ. — სადარბაზოდან გამომავალი ეკა შენიშნა, — კარგი, წმინდანო, წავედი, — აპარატი პიჯაკის ჯიბეში ჩაიგდო, მანქანიდან გადავიდა და ქალის შესახვედრად ქუჩა გადაირბინა. წყვილმა ერთმანეთი გადაკოცნა. გელამ ქალს მხრებში ორივე ხელი ჩასჭიდა, განიზიდა და დაკვირვებით შეათვალიერა, — ეკა, რა ლამაზად გამოიყურები, თმა ასე ძალიან გიხდება.

— მადლობა, — ესიამოვნა ეკას, — სად მივდივართ?

— ჩემთან, სახლში.

— კოჯორში?

— არა, ბაგებში, — გელამ ქალი ჩაიკრა, — ძალიან ლამაზი ხარ, — ყურში უჩურჩულა, — წავედით, — ხელკავი გაუკეთა და ქუჩა ერთად გადაკვეთეს. მანქანის სიგნალიზაცია შორიდანვე დააჭყვიტინა, ახლოს მივიდნენ და წინა კარი გამოუხსნა, — დაბრძანდი.

— გელა, რა მაგარი მანქანაა, შენია?

— არა, სამსახურისაა, — ვაჟი სავარძელზე გასწორდა, საკეტი გადაატრიალა და „მერსედესი“ დაძრა, — პარტიის ბალ-

ანსზეა. მე, როგორც ახალგაზრდული ფრთის ხელმძღვანელს, მემსახურება.

— შენ რომელ პარტიაში ხარ?

— ახალ დემოკრატ-ქრისტიანთა პარტიაში.

— ისე, ქვეყანაში აღლუმი თქვენს პარტიას მიჰყავს და მანქანაც გეკუთვნის. გაიგე, დღეს რა მოხდა?

— არა, — ვაჟმა სიგარეტს მოუკიდა.

— ჩვენს დირექტორს თავისი ცოლი სიკვდილამდე უცემია. უგონო მდგომარეობაში მყოფი ქალი რეანიმაციაში დაუწვენიათ, კახა კი დაკავებულია.

— რას ამბობ? — ირონიულად ჩაეღიმა, — ნეტა, რა მოხდა? — მიამიტურად იკითხა და მაგნიტოფონი ჩართო, — როკი გიყვარს? — თანამგზავრს გადახედა.

— ისე რა, როკს განწყობა სჭირდება, ყოველთვის ვერ ვუსმენ.

— გამოვრთო?

— შენ თუ გსიამოვნებს, იყოს.

მანქანა ავტოფარეხში დააბინავეს, ქალისთვის განკუთვნილი საჩუქრები გელამ საბარგულიდან ამოიღო და ლიფტისკენ გაუძღვა. ბინაში შესულებმა სასტუმრო ოთახს მიაშურეს.

— გელა, გაოცებული ვარ, რა კარგი სახლი გქონია, თავი ზღაპარში მგონია, — ეკამ ჩანთიდან სიგარეტი ამოიღო, მოუკიდა, — ყველაფერი როგორი გემოვნებითა და იდეალურად არის განლაგებული.

ვაჟს ეამა, არაფერი უპასუხია, ფუთები სავარძელზე დადო:

— წამოდი, დაგათვალიერებინო, — ხელი ჩაჰკიდა და ბინის ყოველი კუთხე-კუნჭული მოატარა, — როგორია? — პასუხის მოლოდინში გაირინდა.

— ძალიან მაგარია.

— სამზარეულოში დავსხდეთ?

— სადაც შენ იტყვი.

— კარგი, — გელამ ხელი გადახვია და მაცივართან მიიყვანა. ერთი ბოთლი ჩაციებული შამპანური გამოიღო, — ხიზილალა გიყვარს?

— კი, — ეკამ თავი დაუქნია.

— მაშინ ორივენაირი გავსინჯოთ, — შავი და წითელი ხიზილალის ქილები გახსნა და მაგიდაზე დადო, — მე თეფშებს მოგცემ, შენ გადმოიღე, — ორი პატარა თეფში მიაწოდა, — ისე, ხიზილალა არაყს უხდება, თუ გინდა ცოტა არაყი ვხუხოთ, — რუსული წარმოების ხორბლის ცივ-ცივი არაყი მაგიდაზე დადგა. მაცივრიდან ყველი, ხორცეული და ტკბილეულიც გამოალაგა.

მაგიდა ერთად გაშალეს და ერთმანეთის პირისპირ დასხდნენ. მასპინძელმა ჯერ შამპანური გახსნა, ფუჟერებში ჩამოასხა:

— ეკა, მოდი, დღევანდელი საღამო იყოს ყოველგვარი ტრაფარეტული გაგიმარჯოს-გაგვიმარჯოს გარეშე. ძალიან მინდა, რომ ორივენი თავისუფლები ვიყოთ, სიტყვა — არ შეიძლება ამოვიღოთ ლექსიკონიდან და ჩვენი თავი ერთმანეთს მივუძღვნათ.

— სიამოვნებით, — დასთანხმდა ქალი. იგი აშკარად ბედნიერი იყო.

— მაშინ, — გელამ ფუჟერი აწია, — ეკა, ბევრი ვიფიქრე, მეთქვა თუ არა, მაგრამ მინდა იცოდე, რომ მე შენს ცხოვრებაში ზედაპირულად შემოსვლა არ შემიძლია, უბრალოდ, ამას არ იმსახურებ. ძალიან მინდა, ვიყო ის კაცი, რომელიც ჩაგაცმევს და თავადვე გაგხდის და, რაც მთავარია, ერთმანეთს ვეკუთვნოდეთ არა როგორც რაღაცა ნივთები, არამედ როგორც გრძნობადი არსებები, — მიუჭახუნა და შესვა, თავისი ბრძნული ნათქვამით უზომოდ კმაყოფილი იყო.

ეკას არაფერი უპასუხია, თავისი ფუჟერი ნელ-ნელა გამოცალა.

— არაფერს მეტყვი? — მასპინძელმა სიგარეტს მოუკიდა.

— დუმილი თანხმობის ნიშანია, — გაიღიმა ეკამ.

გელამ შამპანური ისევ ჩამოასხა:

— მე პირველი სვლა უკვე გავაკეთე, სასტუმრო ოთახში, სავარძელზე შენი საჩუქრებია. მიდი, საძინებელში გაიტანე, ყველაფერი ჩაიცვი და აქ ისე დამიბრუნდი.

ქალი ამდენი დადებითი ემოციისგან დაბნეული ჩანდა. უსიტყვოდ წამოდგა და სასტუმრო ოთახში გავიდა. მასპინძელს პარკების შარიშური მოესმა, გაიღიმა. მობილურმა დაურეკა, ნომერს დააცქერდა, კახას მთავარი ინჟინერი, რეზო ურეკავდა:

— გისმენთ.

— გელა, რეზო ვარ, სად ხარ?

— რა იყო, ხომ მშვიდობაა?

— კახასთან ბოლოს შენ იყავი, რაღაცა დისკი მიგიცია. მითხარი, რა ხდება?

— არ ვიცი, ის დისკი პარტიის ოფისში გადმომცეს და მითხრეს, კახას მიუტანეო. თან რაღაცა დამაბარეს, ისიც გადავეცი, მერე რა მოხდა, ვერ გეტყვი.

— კახა დააპატიმრეს, ბრალის წაყენებას ველოდებით.

— მართლა?

— აბა, ლია ხელიდან ძლივს გამოგლიჯეს, კლავდა. ქალი ისეა ნაცემი, რეანიმაციაში დაუწვენიათ. სიტყვიერად რა უთხარი, რა ელაპარაკე?

— ეგ პარტიული საიდუმლოა, ვერ გეტყვი, — მშვიდზე მშვიდი იყო გელა, ყოველგვარი აღელვების გარეშე საუბრობდა.

— სად ხარ, უნდა გნახო.

— ქალაქში არ ვარ, დილით დამირეკე და შეგხვდები.

— კარგი, გელა, — რეზომ მობილური გათიშა.

— ესეც ასეე, — გელამ აპარატი მაგიდაზე დადო, — „გადაიხდი, აბა რას იზამ?! ცოლის გაჟიმვა ვერ აიტანე?! ბიძია, ლია მანანაში გაცვალე და მოსავალიც უმალვე მოიმკე," — ფიქრში ჩაძირული დიდ კმაყოფილებას განიცდიდა. სიგარეტს მოუკიდა, სკამის საზურგეს მიეყრდნო, — „ეგ კი არა, მაგ საწარმოს სულ აგაწაპნი, ხომ ხედავ, ვერ შეგირგია." — მობილურმა ისევ დაურეკა, — დიახ, სანა.

— გელა, ფინანსური პოლიციის უფროსს ელაპარაკე, — ქალმა ტელეფონი ვიღაცას გადასცა, — გამარჯობა, ბატონო გელა.

— გაგიმარჯოს.

— ხვალ ჩვენი სამსახური კახას საწარმოში შემოწმებაზე შედის და რამე მნიშვნელოვანს ხომ არ მეტყვით, რაზე გავამახვილო ყურადღება?

— მე მაგათ სამზარეულოში ჩახედული არ ვარ, მაგრამ, რაც ვიცი, ის არის, რომ გამოშვებული მაწვნის რაოდენობა ყოველდღე ხუთასი ცალით მცირდებოდა. ალბათ, იგივე იქნება ხაჭოზე, ნადუღზე, არაჟანზე, რძეზე და ყველა დანარჩენ პროდუქტზე. სხვა რა გითხრათ, ბუღალტერიას უნდა მიაწვეთ და დარღვევებსაც ამოყრით.

— რეზოს აყვანა გვინდა, მთავარი ინჟინრის.

— მაგან ყველაფერი იცის, ცოტა შეაჯანჯღარეთ და გატყდება ბიჭი, — გელა სიცილით ესაუბრებოდა.

— ცოტა კი არა, კახასაც და რეზოსაც მაგრა შევაჯანჯღარებთ, მაგის დარდი ნუ გექნებათ. დიდი მადლობა, ბატონო გელა. არ გათიშოთ, სანას ესაუბრეთ.

— დიახ.

— გელა, გიქებ კრეატიულობას. შენმა სიმდიდრემ მაგ ეკას თვალთ დაუბნელა, აწი ეგ გოგო მონასავით მორჩილი გაგიხდება, გაერთე, შვილო ჩემო; არ დაგავიწყდეს, რომ ყოველი ქრისტიანის გაჟიმვა ჩვენთვის დიდი მადლია, გეომეტრის მასულდგმულებელი ძალაა. აბა, გკოცნი.

— სანა, ერთი თხოვნა მაქვს, ეკას ხელი არ ახლონ.

— რას ამბობ, — შეიცხადა ქალმა, — მაგას რომ ხელი ვახლოთ, ციხეში დაცული იქნება, მანდ კიდევ შენი წილი ხორცია და, როგორც გინდა, ისე მიიღე, თან ჩვენ პაიკები არ გვაინტერესებს, — აპარატში ჩაიწკრიალა ქალის ხმამ.

— გაიხარეთ.

ბინაში ქალის მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის პაკიპუკი გაისმა, სამზარეულოსკენ მოდიოდა. მასპინძელმა მთელი ყურადღება კარისკენ მიმართა. ეკა შემოვიდა და ვაჟის წინ შეჩერდა. რამდენჯერმე აქეთ-იქით შებრუნდა, რათა მის უნაკლო ტან-ფეზე თალხი ფერის სამოსელის მოხდენილობა ეჩვენებინა. გულს ოქროს პეპელა უმშვენებდა.

— ეკაკო, დახატული ხარ, — მასპინძელმა ემოცია ვერ დამალა, მიუახლოვდა და მკლავები მოხვია, — „ჟადორის“ სურნელი მაგიჟებს... — ყურში ეჩურჩულებოდა და სახეზე კოცნიდა.

— გელა, როგორ დაიხარჯე, უღრმესი მადლობა, — ქალმა თავი ვეღარ მოთოკა, ბიჭს ტუჩებზე დაეწაფა.

— წამოდი, სასტუმრო ოთახში გავიდეთ, გაუღიმა ვაჟმა, ქალს წელზე ხელი მოხვია, მიიკრა და სამზარეულოდან გაიყვანა, — დაჯექი, მუსიკას ჩავრთავ, — ეკა დივანზე დასვა და მუსიკალურ ცენტრთან მივიდა, — რა ჩავრთო?

— ბლუზი, ჩვენს ურთიერთობას მხოლოდ ბლუზი მოუხდება.

— არა მარტო ბლუზი, — დისკი მაგნიტოფონში შეაცურა და უკან მობრუნდა. ჟურნალების მაგიდიდან ფხვნილი ამოიღო, ყველაფერი წესისამებრ მოამზადა, — გასინჯავ?

— რა არის? — გაოცდა ეკა.

— ამქვეყნად ყველაფერზე მაგარი რაღაცაა, — ვაჟმა კოკაინი იყნოსა და მეწყვილის მხარზე თავი ჩამოდო, — იცი, რა მაგარია, ჭკუიდან გადაგიყვანს, გაგაფრენინებს.

— გელა, მეშინია.

— მე თუ მენდობი, მაშინ ნურაფრის გეშინია.

— აუცილებელია, რომ გავსინჯო?

— მინდა, რომ ჩემნაირად იყო.

ეკა მცირე ჭოჭმანის შემდეგ დათანხმდა, კოკაინი გასინჯა და დივანის საზურგეზე მიწვა:

— გელა, რა არის ეს? — თვალები დაეხუჭა, ძლივს ლაპარაკობდა, — გელა, ძალიან მინდიხარ, ჩემში შემოდი და გავერთსხეულდეთ, თორემ მარტო ყოფნა აღარ შემიძლია.

— ჩემო სიცოცხლევ, — მასპინძელი წამოდგა, ლიფი შეუხსნა, მკლავებიდან გამოაცალა. ძუძუებს შორის მოქცეული ჯვარი მარცხენაში ჩაბღუჯა, ზურგზე გადაუგდო და თავი მკერდში ჩარგო, — იცი, ამ წუთს როგორ ველოდი? — ალალად გადაუჩურჩულა.

— მაპატიე, ასე რომ გაწვალე, იდიოტი ვარ. ვცხოვრობ „შეიძლებადან არ შეიძლებამდე,“ გული ერთს მეუბნება, ვაკეთებ

მეორეს. როცა განვმარტოვდები, მერე ვნანობ. გელა, იცი, რა კარგად ვარ, მე მგონი, ასე არასდროს ვყოფილვარ. თავი ჩამოწერილად მქონდა ჩათვლილი. ყველაფრისთვის დიდი მადლობა, ამ დღეს არასდროს დავივიწყებ.

— ჩემს ცხოვრებაში ბევრი ქალი არ მყოლია, მაგრამ ყველა უპრობლემოდ ხდებოდა ჩემი, შენ ერთადერთი ხარ, რომელიც ძლივძლივობით დაგითანხმე და ახლა მე მეკუთვნი, — სხეულს უკოცნიდა, — ძალიან ლამაზი ხარ, უზომოდ მომწონხარ.

ეკას მობილურმა დარეკა, ქალი დივანზე მიგდებულ ხელჩანთას დაწვდა, აპარატი ამოიღო:

— დედაჩემი მირეკავს, რა ვუთხრა? — გელას შეაჩერდა.

— მე ამაღამ არსად გაგიშვებ, შენ რაც გინდა, ის უთხარი.

— დედა, გისმენ. არა, დღეს არ მოვალ, დავრჩები და დილით პირდაპირ სამსახურში წავალ. არა, გოგოები ვართ შეკრებილი და ვერთობით. სამსახურიდან დაგირეკავ, გკოცნი, ღამე მშვიდობისა, — ტელეფონი გათიშა, ჩანთაზე მიაგდო. — ახლა სულ შენი ვარ, — ვაჟთან მივიდა და პერანგის ღილების გახსნა დაუწყო. როდესაც გულსაკიდს მიადგა, — გელა, ეს რა არის? — გაკვირვებული შეეკითხა.

— ეს ჩემი წინაპრებიდან დამრჩა, შიგნით ლოცვათა კრებულია.

— ასეთი უცხო რაღაცა არსად მინახავს, — ქალი დაიხარა და სხივმოსილ დელტას ეამბორა, — კარგია, წინაპრების ხსოვნას ასე გულით რომ დაატარებ, — მასპინძელი შეაქო.

ვაჟი სამზარეულოში შებრუნდა, ბოთლი შამპანური და ორი ფუჟერი გამოიტანა. შუშხუნა სითხე სასმისებში ჩამოასხა, ერთი სტუმარს მიაწოდა:

— დღევანდელი დღე ჩვენი განხორციელებული ოცნებისაა და მოდი, ნატვრის ასრულებას გაუმარჯოს, — მიუჭახუნა და შესვა, — კარგი შამპანურია, — ჩაილაპარაკა და სტუმარს შეაცქერდა.

— კი, ჩემო კარგო, ჩვენი ნატვრის ასრულებას გაუმარჯოს, — ქალმა ფუჟერი სიამოვნებით დაცალა.

— ახლა წამოდი, ჯაკუზს მივაშუროთ და კარგად ვისიამოვნოთ, — სტუმარს ხელი მოხვია და საძინებელში გაიყვანა, კარადა გამოხსნა, — ეს ხალათი შენ, ეს მე, — წითელი და შავი ხალათები გამოიღო.

ეკას წითელი ხალათი ერგო, ჩაიცვა, სარკის წინ ჩამოჯდა, ფეხსაცმელები გაიხადა, შემდეგ ოდნავ წამოიწია, საცვალი და წინდები გაიძრო, ჩუსტებში ფეხები გაუყარა და წამოდგა:

— მე მზად ვარ, წავედით.

მასპინძელმა აბაზანა წყლით გაავსო. ჯერ ქალი ჩააწვინა, შემდეგ გვერდით მოკალათდა, ღილაკით წყალქვეშა ჭავლი ზომაზე დააყენა:

— მოგწონს? — ეკას გადაულაპარაკა.

— მაგარია, — ქალი კმაყოფილებას ვერ მალავდა. ტანს აქეთ-იქით ამოძრავებდა, რათა ჭავლის მასაჟი მთელ ტანს ეგრძნო.

წყალში ნებივრობის შემდეგ წყვილმა ტანი გაიმშრალა, ხალათები მოიცვეს, თითო-თითო ფუჟერი შამპანური დააყოლეს და საძინებელში ვნებათა ქარბუქში გაეხვივნენ. დილით ეკამ თავი მოიწესრიგა და გელას ნაყიდ ტანსაცმელში გამოეწყო. ისაუზმეს, იქაურობა ნაჩქარევად მიალაგეს და ქვემოთ, ავტოფარეხში ჩავიდნენ. ვაჟმა ეკა თავის ყოფილ სამსახურთან დატოვა და კოჯრისკენ აიღო გეზი. მეგობრის სახლთან გაჩერდა, მანქანიდან გადავიდა და დაუძახა.

— ამოდი, გელა, — ზურაბმა სახლიდან გადმოსძახა.

მეგობრები ერთმანეთს გადაეხვივნენ.

— ანგელოზო, როგორ ხარ?

— კარგად, კათაკმეველო, კარგად ვარ, — სიცილით მიუგო ზურაბმა, — მომიყევი, რა ხდება?

— არაფერი საინტერესო, გასამგზავრებლად ფსიქოლოგიურად ვემზადები.

— ააა, ეკა იმიტომაც შეაცდინე და კახა საბოლოოდ იმიტომ დაღუპე?! — ზურაბის ხმაში მკაცრი ტონი აჟღერდა, — ზედმეტად აწყვეტილი გაქვს, ცოტა დაფიქრდი.

— ბიჭო! — გაოცდა გელა, — ეგ ყველაფერი საიდან იცი?

ზურაბს არაფერი უპასუხია, მხრები აიჩეჩა, საწერ მაგიდასთან მივიდა და უჯრიდან ოქროს პატარა ჯვარი ამოიღო:

— გუშინ შენს სახელზე ვაკურთხებინე, უნდა მოგნათლო, რათა ამქვეყანას დაგაბრუნო, თორემ ძალიან გაუტიე, თავს იღუპავ და სხვებსაც ღუპავ.

— მოიცა, რა, — გელამ ხელი აიქნია, — მონათვლა არა, კვახი. შენ დღითი დღე საშიშ ადამიანად ყალიბდები, ვეღარაფერს გიმალავ. რა იყო, თვალებში რენტგენი ჩაიყენე?

— თვალებში არა, გონებაში. მე გონებით გხედავ და არა მარტო შენ. მოკლედ, შენი სატარებელი ჯვარი მე უნდა დავიკიდო და ვზიდო, — ოქროს წვრილ ძეწკვში თავი გაუყარა, ჯვარი გულზე გაისწორა, — იცი, შენთვის რამდენს ვლოცულობ, რათა იმ კოშმარიდან, რაშიც ცხოვრობ, გამოგიყვანო, მაგრამ, ვინაიდან მოუნათლავი ხარ, ვერ გერევი...

— კარგი რა, წმინდანო, — გელამ სიტყვა ბანზე აუგდო, — რა მორევაზე მელაპარაკები, მაცადე ჩემს გემოზე ცხოვრება. ვერ ხედავ ფრთები გაშლილი მაქვს და გემრიელად ვარ.

— ბიჭო, ეშმაკს ემსახურები და ფრთების გაშლას მაგას ეძახი?!

— ეგეც ანგელოზია, უფლის საყვარელი ანგელოზი, — გელამ თავი იმართლა, — ერთი მითხარი, შენ რას აპირებ? — შეეცადა, საუბარი სხვა თემაზე გადაეტანა.

— მე ჩემი ცხოვრება უფალს უნდა მივუძღვნა, მონასტერში მივდივარ...

— გაგიჟდი? ერთი ცხოვრება გაქვს და ისიც იქ უნდა გაატარო?

— პირიქით, ამაზე დიდი ბედნიერება არ არსებობს. ერში უამრავი საცდურია, ამას ყველაფერს უნდა განვერიდო და განვმარტოვდე. მე იქიდან შევეხიდები ქვეყანასა და ხალხს, სხვათა შორის, შენც, ჩემო ცდომილო მეგობარო. ღვთისმშობლის წილხვედრ მიწაზე ცხოვრობ და შენს ხროვასთან ერთად რას ჩადიხარ, ამაზე არ გიფიქრია?

— მეც ქვეყნისთვის ვზრუნავ...

— გაჩერდი, თუ ძმა ხარ! — წამოიყვირა ზურაბმა, — თქვენ ქვეყანას მიზანმიმართულად ანგრევთ. ირგვლივ მიმოიხედე,

საკუთარი სამშობლო ბოზი ქალივით გარეგნულად გაალამაზეთ, შინაგანად კი მიწასთან გასწორებას უპირებთ, მაგრამ იცოდე, ღვთისმშობლის მიწას ვერაფერს დააკლებთ. უფალმა როგორც ლაზარე აღადგინა და ერთი ნეკნიც არ აკლდა, ზუსტად ასევე აღსდგება საქართველო. თქვენ შავი ჯიპებიდან და რესტორნებიდან, ქალების ცვლასა და სხვათა დათრგუნვით გსურთ ქვეყნის მართვა. თქვენი მთავრობის წესიერება დაცვის თანამშრომელთა რაოდენობით განისაზღვრება, საკუთარი ხალხის გეშინიათ, ამიტომაც მოსახლეობა თქვენგან გარიყეთ და რაღაც განყებულ ხროვად ჩამოყალიბდით. საკუთარი კეთილდღეობის იქით ვერაფერს ხედავთ...

— ჩემგან რა გინდა?! — წამოიყვირა გელამ, — მე რა შუაში ვარ?

— შენც მათ შემადგენელ ნაწილაკად ყალიბდები და ზომაზე მეტად საშიში ხდები. რა გგონია, წითელი „მერსედესი“ და ის გაწიკწიკებული ბინა შენს წესიერებას უსვამს ხაზს? რომ იქონიო, უნდა გეკუთვნოდეს, თორემ არამი იქნება, ვერ შეირგებ. თქვენს ხროვას ქვეყნის მართვის მხოლოდ პრეტენზია აქვს, თორემ საკუთარი თავის იქით ვერაფერს ხედავთ. რას ფიქრობ, ეგ დელტა რამისგან დაგიცავს? ძმაო, აზრზე მოდი, სანამ ჯერ კიდევ გვიანი არ არის, გაიგე?!

გელამ მექანიკურად პერანგის უბეში ხელი შეიცურა, დელტა თითებში მოიქცია:

— შენთან ურთიერთობა შეუძლებელია, ვიღაცა დემაგოგად გადაქცეულხარ და რიტორიკულად მიბურღავ ტვინს! — ნაბიჯი გადადგა, ოთახიდან გასვლა დააპირა, — ეს არის მეგობრობა, ყოველი შეხვედრისას რომ მამუნათებ?

— კი არ გამუნათებ, გამხილებ. სხვანაირი მეგობრობა არ შემიძლია, — ზურაბმა სიტყვა ზურგში დააწია.

გელა ნაჩქარევად მიუახლოვდა მანქანას და თავისი სახლისკენ გაემართა. ჭიშკართან მისულს სანამ დაურეკა:

— გისმენთ?

— გელა, ფინანსურის უფროსს ელაპარაკე! — აპარატი გადააწოდა, — გამარჯობა, ბატონო გელა.

— გაგიმარჯოს, — ვაჟი განწყობაზე ვერ იყო.

— ბატონო გელა, რეზო დავაკავეთ, საწარმოს ანგარიშები დაყადაღებულია, ახლა მთავარი ბუღალტერია დაკითხვაზე. თქვენ რომ მითხარით, მაწვნის რაოდენობას ხუთასი ცალით ამცირებდნენ, მართალი ყოფილხართ, ასევე სხვა პროდუქციაც მცირდებოდა, მაგრამ მაგ საკითხზე ვერ მოვედავებით...

— რატომ? — გაუკვირდა გელას.

— უპატრონო ბავშვთა სახლებს ამარაგებდნენ და ქველმოქმედებაში დახარჯული პროდუქცია არ იბეგრება, საერთო რაოდენობას ამიტომაც ამცირებდნენ. ისე, დარღვევებს მაინც მოვნახავთ და სერიოზულ ჯარიმას ავკიდებთ. პირველ საათზე გლდანის ციხეში კახა უნდა ვნახო და, თუ გნებავთ, დაკითხვას დაესწარით.

— კარგი, პირველზე იქ ვიქნები, — დაეთანხმა გელა.

— საშვს დაგახვედრებთ. არ გემშვიდობებით, შეხვედრამდე. ბატონო გელა, სანას ესაუბრეთ.

— დიახ, სანა.

— რა იყო, ძმაკაცმა შეგჯორა? — იცინოდა ქალი, — შვილო ჩემო, დაიკიდე. შენ არჩევანი უკვე გაკეთებული გაქვს და ამ გზიდან გადახვევა შეუძლებელია.

— არც ვაპირებ, — გელამ დარწმუნებულმა მიუგო, — მე ძალიან კმაყოფილი ვარ და სხვისი არ ვიცი. რაც მინდოდა, იმას ვიღებ.

— კარგი, გელა, პირველზე გლდანში იყავი.

— დიახ, — ვაჟმა ტელეფონი გათიშა, მანქანიდან გადავიდა და სახლისკენ წავიდა. მობილურმა ისევ დაურეკა, — ეკა, გისმენ.

— გელა, ჩვენს სამსახურში რევიზია შემოვიდა, რეზო დააკავეს, ყველა საბუთში იქექებიან. ძალიან მეშინია, მოდი, რა, — შეეხვეწა ქალი.

— სამისთვის გამოგივლი, ნურაფრის გეშინია, შენ არავინ მოგეკარება, — დაამშვიდა და ბებიის სანახავად სახლში შევიდა, — ელისო, როგორ ხარ?

— როგორც მკითხულობ, — მოხუცმა მკაცრად მიუგო, — ღამღამობით სად დაძუნძულებ?

— დავძუნძულებ არა, დავკუნტრუშებ. საქმეები მაქვს, ერთ თვეში მივემგზავრები და ქვეყანა პრობლემაა მოსაგვარებელი, — ხელი შარვლის ჯიბეში ჩაიცურა, ფული ამოიღო, — აქ ხუთასი ლარია, მოიხმარე, — მაგიდაზე დაუდო და თავის ოთახს მიაშურა. საწერი მაგიდის უჯრიდან კოკაინი ამოიღო, იყნოსა და გაბრუებული საწოლზე გაიშოტა.

პირველი ხდებოდა, როდესაც გლდანის ციხესთან მივიდა. დაცვას საბუთები არც შეუმოწმებია, შლაგბაუმი გახსნეს და გზა დაუთმეს. ბედნიერი იყო გელა, უცნობები ბატონობით მიმართავდნენ, მისთვის ყველა კარი ღია იყო და, რაც მთავარია, ცხოვრებისეული ყოველგვარი პრობლემა მოხსნილი ჰქონდა. თითქოს ხელში ჯადოსნური ჯოხი ეკავა და ოდესღაც მიუწვდომელი ყველა ნატვრა ახლა თვალის დახამხამებაში უსრულდებოდა.

ადმინისტრაციული კორპუსის კიბეს აუყვა. კართან ფინანსური პოლიციის უფროსი შეეგება:

— გამარჯობა, ბატონო გელა, — ხელი ჩამოართვა, — იმედა, — სახეგაბადრული გაეცნო.

— სასიამოვნოა, — ვაჟმა თავი დაიქნია, — იმედა, რა ხდება?

— კახა ვერაფრით გავტეხეთ...

— რას ნიშნავს, გატეხეთ?

— ეგ ოხერი კერკეტი კაკალი აღმოჩნდა.

— რეზო?

— არც რეზო ტყდება.

— აბა, რა უნდა ქნათ?

— გავტეხავთ, ბატონო გელა, ეგეთები შეგვიჭამია?! — სიცილით მიუგო და შესასვლელი კარი შეუღო.

ორი სართული აიარეს და გრძელ დერეფანს დაუყვნენ. დერეფნის გაყოლებაზე ორივე მხარეს რკინის კარები იყო, საიდანაც ღრიალის, კვნესის, გოდებისა და ლანძღვა-თრევის ხმები გამოდიოდა. ისეთი სუნი გამოდიოდა, ზოოპარკის

გალიებში რომ დგას. იმედამ ერთ-ერთ კარზე დააბრახუნა. ურდულის ჩხაკუნის ხმა გაისმა და კარი შავნიღბიანმა მამაკაცმა გამოაღო.

წელზემოთ შიშველი კახა რკინის გრძელ მაგიდაზე გულდაღმა გადაეწვინათ, ფეხები იატაკზე ედგა, ორივე ხელით ლითონის კაუჭებზე მიებათ. ხელკეტის რტყმევისგან მთელი ზურგი წითლად დაზოლოდა, აქა-იქ სისხლიც სდიოდა. საკანში ოფლის, სისხლისა და დუჟის სუნი ერთმანეთში აღრეულიყო. მათი შესვლისას სამი დაკუნთული, უკისრო ნიღბიანი ახმახი კედელს აეკრა.

მაგიდაზე განრთხმულმა კახამ ფერწასული სახე ოდნავ წამოწია. გელას დანახვისას მისი თვალიდან იმედის ნაპერწკალმა გამოანათა:

— გელა, რა უნდათ, რისთვის მკლავენ? — ძლივს გასაგონად ამოილუღლუღა.

ასეთი სურათის დანახვას ვაჟი არ ელოდა, ტანში გააჟრჟოლა, მყრალი სუნის გასანეიტრალებლად სიგარეტს მოუკიდა:

— რა ხდება, აქ ციხეა თუ კონცლაგერი?! — მკაცრად შეაცქერდა ნიღბიანებს, — წამოაყენეთ, სკამზე დასვით! — განკარგულება გასცა.

ერთ-ერთი ჯალათი კახას მიუახლოვდა, ბორკილები ახსნა და პატიმარს წამოდგომაში შეეშველა. ძალადაკარგული მამაკაცი სკამზე მოცელილივით დაენარცხა.

— იმედა, ამიხსენი, რა ხდება? — გელამ ისე გადაულაპარაკა ფინანსური პოლიციის უფროსს, რომ კახას დატანჯული გამომეტყველებისთვის თვალი არ მოუშორებია.

— ბატონო გელა, ამ დოკუმენტზე ხელს არ აწერს, — იმედამ საქაღალდიდან ფურცელი ამოიღო და ვაჟს გაუწოდა.

გელამ ტექსტი დაკვირვებით წაიკითხა:

— თქვენ რა, სულ გამოლენჩდდით?! — უყვირა იმედას, — რა ჯაშუშობა, რის ჯაშუშობა?! — ხმაში ბრაზი ემატებოდა, — თავისი არ ეყოფა, ცოლი სასიკვდილოდ რომ გაიმეტა?! მუდმივი პატიმრობა გინდათ მიუსაჯოთ?!

— საწარმო გადმოგვიფორმოს და ციხეში ერთი დღეც არ იჯდება, საპროცესოთი გავათავისუფლებთ, — იმედა მოწიწების ნიშნად წელში მოკაკული საუბრობდა.

— კახა, რა ვქნათ? — გელა ახლა პატიმარს მიაჩერდა, — ძმაო, მინიმუმ, თხუთმეტი წელი გელის. გადაუფორმე ეგ საწარმო და შენც დაისვენებ და ჩვენც.

— ლია როგორ არის?

— ისევ რეანიმაციაშია, ძალიან მძიმედაა. ასეთი რა იყო იმ დისკზე? ნეტავ, სულ არ მომეტანა... მე რა ვიცოდი.

კახა ჩაფიქრდა, შემდეგ გელას შეაცქერდა;

— საწარმო ვისზე უნდა გადავაფორმო?

— იმედა მოიყვანს იმ პიროვნებასა და ნოტარიუსსაც. ძმაო, გადაუფორმე და გათავისუფლდი, — შემდეგ იმედას შეხედა, — ამის შემდეგ რეზოსაც გაუშვებთ?

— აუცილებლად, ბატონო გელა, — გაიღიმა მამაკაცმა.

— ახლა მომისმინეთ! — ვაჟი კედელთან ატუზულ ნიღბიანებს მიუბრუნდა, — ამ კაცს ხელი აღარ დააკაროთ, თორემ დედას მოგიტყნავთ, გაიგეთ?! — ჯალათები მორჩილად მისჩერებოდნენ.

— იმედა, დროზე მოათრიე ის კაცი და ნოტარიუსი და კახა გაუშვით! — ახლა ფერწასულ პოლიციელს შეჰყვირა, — კარი გამიღეთ, მე მივდივარ! — სიგარეტი კუთხეში მიაგდო.

ფინანსური პოლიციის უფროსი დერეფანში გამოჰყვა:

— მიზანი მიღწეულია, — ზედმეტად კმაყოფილი ჩანდა.

— ჩემი როლი კეთილი კაცის ამპლუაში როგორ მოგეწონა? — ვაჟმა სიცილით იკითხა.

— ბატონო გელა, გადასარევი იყო, — სახეში შეცინა იმედამ, — რომ არ დათანხმებულიყო, გაუპატიურებას ვუპირებდით. აი, მაშინ კი გატყდებოდა.

— მოკლედ, საქმეს მიხედე, წავედი, — გელა კიბეს სირბილით ჩაუყვა, მანქანაში ჩაჯდა და ყოფილ სამსახურს მიაშურა.

იმ დღიდან დაწყებული ეკას გზა-კვალი დაეკარგა. ყოველდღე ძვირფასი სამკაულის შერჩევასა და ძვირადღირებული

ტანსაცმლის ჩაცმა-გახდით იყო დაკავებული. ვაჟის სხეულის იმ განუყოფელ ნაწილად იქცა, რომელსაც ქალი ჰქვია. დიახაც ქალი, როგორც სექსუალური გართობის საგანი, ნივთი, არსება და არა როგორც პიროვნება. კოკაინის გარეშე ყოფნა აღარ შეეძლო, ძირითადად ბაგებში, გელას ბინაში უთენდებოდათ და უღამდებოდათ. ვაჟის დაბადების დღე დიდი ზარ-ზეიმით „როკკლუბში“ აღინიშნა. იქ გელას ჭეშმარიტი ახლობლებიდან არავინ იყო, სამაგიეროდ, ქვეყნის ბომონდად წოდებულებიდან არავინ აკლდა და მისი ნაცნობების ასეთი ფართო წრით ქალი აღფრთოვანებული დარჩა.

რაც შეეხება კახას, მისი საწარმო სხვას გადაუფორმეს, სასამართლოც შედგა და ნერვული აშლილობის მიზეზით პირობითი ხუთი წელი მიესაჯა. ლია მდგომარეობიდან სასწაულმა გამოიყვანა, მაგრამ ტვინის ტრავმის გამო ჯერ ისევ საავადმყოფოში რჩებოდა — მისი ორგანიზმი, სრულ გამოჯანმრთელებამდე, ექიმის მუდმივ დაკვირვებას საჭიროებდა.

სექტემბერი პეშვში დაგროვილი წყალივით მიილია. გელას გამგზავრების დროც დადგა. წინა დღით დასამშვიდობებლად ზურაბს ესტუმრა:

— ანგელოზო, ხვალ მივფრინავ...

— ვიცი, — ჩვეულებისამებრ მშვიდი იყო ზურაბი.

— ბიჭო, რა გამიტრაკე საქმე შენი ვიცი-ვიცითი. ვანგა ხარ, შენთვის როგორ ყველაფერი ცნობილია?! — გელამ თავი ვეღარ მოთოკა.

— რა ვქნა, ვიცი და მოგატყუო? შენზე ძალიან გაბრაზებული ვარ...

— რატომ?

— მართებულად რომ ცხოვრობ, იმიტომ...

— მოიცა, რა, ამისთვის არ მოვსულვარ.

— აბა, ელისოს, შენ რომ არ მითხრა, ისედაც მივხედავ.

— ბიჭო, ხომ იცი, ძმა ხარ, მიყვარხარ...

— ტყუილია! შენ, ვისაც ემსახურები, მარტო ის გიყვარს და საკუთარი თავი გყავს გაფეტიშებული. ვინც ირგვლივ გყავდა,

ყველანი ტუალეტის ქაღალდივით ამოისვი და ცხოვრების უნიტაზში ჩარეცხე. შენთვის ადამიანი რაღაცა სათამაშოს წარმოადგენს, ითამაშებ, გაერთობი და მერე მიაგდებ, სხვა სათამაშოზე გადახვალ...

— ახლა ძალიან გთხოვ, ტვინის ბურღვა ნუ დამიწყე! მე დასამშვიდობებლად მოვედი და არა ჭკუის დარიგების მოსასმენად. შენი გეგმები მითხარი, — გელამ სალაპარაკო თემა შეცვალა.

— ლისის ტბაზე, ონკოლოგიურთან, მამათა მონასტერი შენდება. ყოველდღე იქ დავდივარ, მშენებლობაში ვეხმარები, როგორც კი სენაკები მზად იქნება, იქ გადავალ.

— ბერად უნდა აღიკვეცო? — ვაჟი მეგობარს გაოცებული შეჰყურებდა.

— ყველაფერი ღვთის ნებაა.

— დაა, — ჩაფიქრდა გელა, — ერთი ცხოვრება გაქვს და ისიც ასე, კარჩაკეტილმა უნდა გაატარო? ჩემთვის გაუგებარია, — დაკვირვებით შეაცქერდა ზურაბს, — ბიჭო, თავზე რა გაქვს? — თხემზე ამობურცულ კანზე ხელი გადაუსვა.

— რაც შეეხება ცხოვრებას, შენნაირი ცხოვრების წესისგან ღმერთმა დამიფაროს. შენ შენთვის ცხოვრობ, შენი კეთილდღეობისთვის და არა უფლისთვის. მთელი გულით მინდა მოგნათლო, თვალი აგიხილო, შენს ჯვარს გულით დავატარებ, მაგრამ ვირივით ხარ გაჯიუტებული, ვერ გერევი და რა ვქნა? — თავზე ხელი დაიდო, — აქ რაღაცა ამომდის, ყოველდღიურად მეზრდება...

— გტკივა? წამოდი, ექიმთან მიგიყვან, — შეწუხდა გელა.

— ტკივილით არ მტკივა, მაგრამ ძალიან სწრაფად მეზრდება...

— არ განუხებს?

— ჯერჯერობით არა, ვეგუები. ამქვეყნად ყველაფერი ღვთის ნებაა და, ეგეც, ალბათ ჩემი ერთ-ერთი განსაცდელი იქნება, რათა რწმენაში უფრო გავძლიერდე.

— აუუ, შენ რას უბერავ?! — გელამ თავი ველარ მოთოკა, — ანგელოზო, ეტყობა, ტვინი თავში აღარ გეტევა და დამატებითი კოლოფი გჭირდება, — სიცილით მიუგო.

— არ ვიცი, — ზურაბსაც ჩაეცინა, — ესე იგი, ხვალ მიფრინავ?

— ასე გამოდის. ბიჭო, ელისოს მიმიხედე, მარტო არ დამიტოვო...

— თუ გინდა, ბებიაჩემს გადავიყვან ელისოსთან. ძველი დაქალები არიან და ერთად არ მოიწყენენ, იჭორავებენ, სერიალებს უყურებენ, გაერთობიან.

— კარგი აზრია, ეგრე ვქნათ. მე ფულს დავუტოვებ, იქიდანაც გამოვუგზავნი, შენ, უბრალოდ, გადასახადები გადაუხადე და საჭმელი მიუტანე, სხვა არაფერი დასჭირდებათ.

მეგობრები ერთმანეთს გადაეხვივნენ, დაემშვიდობნენ.

მეორე დღეს გელამ ქვეყანა დატოვა.

VIII

გამთენიის ექვს საათზე დილის ლოცვაზე დადგომა ზურაბს წესად ექცა. ლოცვის ყოველ თავს წაიკითხავდა, უფალს მუხლმოდრეკილი შესთხოვდა დედაეკლესიის, სამშობლოს, პატრიარქის და ახლობლების შემწეობას. გელას ქრისტიანულ გზაზე მოქცევას შეევედრებოდა, ბოლოს გარდაცვლილებს მოიხსენიებდა. შემდეგ თავს მოიწესრიგებდა, ცოტას წაიხემსებდა, თბილისში გაემგზავრებოდა და კოლმეურნეობის მოედნიდან ლისის ტბისკენ მიმავალ ავტობუსს მიჰყვებოდა.

ოქტომბრის თბილი დილა იდგა. როგორც ყოველთვის, ზურაბმა ავტობუსის ბოლო რიგში ერთ-ერთი სავარძელი დაიკავა. მძღოლი მგზავრებს ელოდა, საჭესთან მშვიდად იჯდა და სიგარეტს ეწეოდა. სალონი ხალხით ნელ-ნელა შეივსო. თითქმის ყველას პარკებში ჩაწყობილი ხილი თუ ტკბილეული ეკავა და ონკოლოგიურში ახლობლის მონახულებას აპირებდა.

როგორც ყოველთვის, დროის მოსაკლავად, შემთხვევით შეხვედრილი მგზავრები სხვადასხვა თემაზე საუბარს იწყებდნენ. მოკლედ რომ გითხრათ, ქვეყნის მაჯისცემა ავტობუსში იგრძნობოდა. ზოგი ექიმებსა და ჯანმრთელობის სამინისტროს

ლანძღავდა, საშინლად უკმაყოფილოები მკურნალობის სიძვირეზე წუწუნებდნენ, არც ექიმების კვალიფიკაციით იყვნენ კმაყოფილნი, შემდეგ მთავრობასა და პარლამენტს გადასწვდებოდნენ, უსაქმურებსა და მედროვეებს ეძახდნენ...

ზურაბს თითებშუა კრიალოსანი ჰქონდა მოქცეული, ყოველი კვანძის გატარებისას იესოს ლოცვას: „უფალო, იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, შემიწყალე მე ცოდვილი“ — გონებაში ამბობდა და ცდილობდა, მგზავრთა საუბრისთვის ყური არ დაეგდო.

არც ის დღე იყო გამონაკლისი. როდესაც ავტობუსმა ნუცუბიძიდან ზემოთ, ვეძისისკენ აუხვია, ვიღაცამ დაიწუწუნა:

— ბავშვის მონათვლაში მღვდელმა ორმოცდაათი ლარი გამომართვა. აღარაფრის რცხვენიათ, უნამუსოდ გთხოვენ ფულს. არადა, სახლში მიცვალებული გვესვენა და აუცილებელია, რათა დაკრძალვამდე ყველა მოინათლოს. ჩვენც იძულებულები შევიქენით და გადავუხადეთ, — სიბრაზისგან წამოწითლებულ შუა ხნის ქალს მძღოლი გამოეპასუხა:

— სასულიერო პირებმა ნამუსი დაკარგეს. ისინი რომ ასე იქცევიან, მთავრობის გარეწარი წევრებისგან რაღა უნდა მოითხოვო?! მღვდლები ჯიპებიდან აღარ ჩამოდიან, კაის ჭამენ და კაის სვამენ, არაფერი აკლიათ. მაგათია ეს ცხოვრება, რაღა, — სიგარეტს მოუკიდა, — უფლება რომ მქონდეს, უმრავლესობას ანაფორას გავხდიდი და სულ წკეპლის ცემით გავყრიდი სათოხარში. დაიდეს ფუთიანი ღიპები და აღარ იციან, როგორ იგრიალონ, — თავდაჯერებული საუბრობდა.

ზურაბმა ვეღარ მოითმინა:

— თუ ძმა ხარ, გამიჩერე, — შეჰყვირა მძღოლს. სავარძლიდან წამოდგა, ფეხზე მდგომ მგზავრებს შორის გზა გაიკვლია. როდესაც უკმაყოფილო ქალს გაუსწორდა, — თქვენ ონკოლოგიურში მეუღლე გიწევთ? — მშვიდად შეეკითხა.

— დიახ, — გაკვირვებულმა უცნობმა თავი დაუქნია.

— ჰოდა, თუ გინდა, რომ გადარჩეს, მევახშეობას უნდა შეეშვა, ყველას ფული დაუბრუნო, ანგარიში გაასწორო და შენს ქმარსაც ეშველება! — შემდეგ მძღოლს მიუბრუნდა, — მღვდ-

ლებს რომ განიკითხავ, ჯობს, საკუთარ თავს მიხედო! ბოლოს როდესაც იმრუშე, სიფილისით დაჯილდოვდი, უკვე ცოლსაც გადასდე და, სანამ მთელ ოჯახს ვენერიული დაავადება არ დაგმართნიათ, ექიმთან მიდი, იმკურნალე, შემდეგ რომელიმე ტაძარში მღვდელი ნახე, ცოდვები მოინანიე და სულსაც უმკურნალე, თორემ დაიღუპები. ყველას, მათ შორის მღვდელმსახურებსაც, უფალი განიკითხავს, ასე რომ, გირჩევთ, საკუთარ სულზე იზრუნოთ! — მგზავრების გასაგონად თქვა, ავტობუსიდან ჩამოვიდა და გზა ფეხით განაგრძო. ხალხის უმეცრებით გულდამძიმებული ფიქრს მისცემოდა, — „უმრავლესობა უღმერთოდ ცხოვრობს, მოსახლეობაცა და ქვეყანაც შესაბამისს იმკის. ცოდვა კალიასავით მოგვედო. ხალხი მხოლოდ მიწიერი პრობლემებით შემოიფარგლა და სულზე აღარავინ ფიქრობს“. — თავი გაიქნია, ფსკვნილის ერთი კვანძი თითებში მოიქცია და ამოიჩურჩულა, — უფალო, იესო ქრისტევ, ძეო ღვთისაო, შემიწყალე მე ცოდვილი.

მონასტერს მიუახლოვდა. კარავში ტანსაცმელი გამოიცვალა და კალატოზს, რომელთანაც დამხმარედ მუშაობდა, მიუახლოვდა:

— ძია გიორგი, გამარჯობა, — ხსნარის ასარევად ნიჩაბი აიღო.

— გაგიმარჯოს, — გაუღიმა მამაკაცმა, — დღესაც თხელი ავზილოთ, სამუშაოდ უკეთესია.

— როგორც იტყვით, — დათანხმდა ვაჟი.

— ზური, შენზე ამბობენ, მიწისქვეშ წყალს ხედავსო, მართალია?

— ვხედავ, — ზურაბმა თავი დაუქნია.

— მე იმერეთიდან ვარ, ბაღდადიდან. ეზოში ჭა კი მაქვს, მაგრამ წყლის ნაკადი არ ვარგა, ხანდახან ქრება ხოლმე და, როცა მოგიხერხდება, იქნებ, წამომყვე; მიმითითე წყალი სად არის, ჭაბურღილის დარტყმა ღირს თუ არა, კარგი პურ-მარილი ჩემზე იყოს...

— ჩასვლა საჭირო არ არის, შესვენებაზე გეტყვით, თქვენს ეზოში წყალი სად არის.

— რას ამბობ? — გიორგიმ გაოცებისგან პირი დააღო, — შენ რა, ჩემთან ნამყოფი ხარ?

— თქვენთან კი არა, იმერეთშიც არ ვარ ნამყოფი, — ჩაეცინა ვაჟს, — როცა მოვიცლით, ფურცელზე დაგიხაზავთ და წყლის ადგილსამყოფელსაც მიგითითებთ.

— ვახ, — კალატოზი გაკვირვებული დარჩა, პირჯვარი გადაიწერა, — დიდება, შენდა უფალო! — თავისთვის ჩაილაპარაკა და ხსნარის არევას შეუდგა.

მონასტრის ეზოში თორმეტი სხვადასხვა ბრიგადა მუშაობდა. ზოგი ტაძრის სახურავისთვის, წინასწარ აწყობილ ხის ყალიბში, არმატურის ბადეს ქსოვდა, ზოგს ტაძრის კედლები ქვით ამოჰყავდა, ნაწილი სენაკების სახურავს ხურავდა. გიორგისა და რამდენიმე კალატოზს რიყის ქვის გალავნის აშენება ევალებოდათ. თითოეულ ვეება ქვას არა მარტო სიდიდითა და ფორმით ირჩევდნენ, არამედ ფერითაც და ამის შემდეგ კედელში სათანადო ადგილას დებდნენ. შრომატევადი სამუშაო ნელა, მაგრამ მეტად ხარისხიანად მიმდინარეობდა. ავადმყოფების სანახავად, ონკოლოგიურში მიმავალი ადამიანები მშენებლობას ათვალიერებდნენ მონასტრის წინ პირჯვარს გადაიწერდნენ და გზას განაგრძობდნენ.

შუადღეს დაუმთავრებელ ტაძარში მღვდელმსახური, იღუმენი მიქაელი ლოცვას აღავლენდა, შემდეგ დროებით მოწყობილ, ბრეზენტგადაფარებულ სატრაპეზოში იკრიბებოდნენ, ისადილებდნენ, ცოტას დაისვენებდნენ და დაღამებამდე მუხლჩაუხრელად შრომობდნენ.

ტრაპეზის შემდეგ ზურაბმა გიორგი იხმო. ხელში ფურცელი და ფანქარი ეკავა:

— ეს თქვენი სამოსახლოა. — ფართი შემოხაზა, — აქ, ორსართულიანი, თხუთმეტი თორმეტზე ზომის სახლი გაქვთ აშენებული. კიბე ეზოში, ალაყაფის კარის მოპირდაპირედ, ჩამოდის. მანძილი ჭიშკარსა და კიბეს შორის სამოცდაათი მე-

ტრია, — ფურცელზე ყოველი დეტალი გარკვევით დაჰქონდა, — ეს სიმინდის ყანაა, — საკმაოდ დიდი ფართის მონაკვეთი შემოხაზა, — აქეთ წისქვილია, შემდეგ საქათმე, ბოსელი და ნალია. სახლის წინ მარანია, თორმეტი ჭურითა და საწნახელით, თაროებზე სხვადასხვა ზომის ბოცები გიწყვიათ...

— შვილო, ყველაფერ ამას საიდან ხედავ? — მამაკაცი გაოცებას ვერ მალავდა.

— ღვთის მადლით, — მოკლედ მოუჭრა ზურაბმა. — თქვენი ჭა, რომელიც ეზოში, სახლის კუთხეში გაქვთ გაკეთებული, მიწისქვეშა წყლის სუსტ ნაკადზეა აშენებული. ხოლო აი, აქ, — მარნის წინ წრე შემოხაზა, — ოღონდაც ცოტა ღრმად, ოცდაათი მეტრით დაბლა, არის ღონიერი ჭავლი და, რაც მთავარია, ჯანმრთელობისთვის მეტად სასარგებლო წყალი...

— ჭაბურღილი დავარტყმევინო? — გააწყვეტინა გიორგიმ.

— ზედმეტი ხარჯია, საჭირო არ არის, — ვაჟმა თავი გააქნია, — შეგიძლიათ პირდაპირ თხრა დაიწყოთ, ოღონდაც ჩვიდმეტი მეტრის სიღრმეზე ნაკადი შეგხვდებათ, ორი დღით თხრას შეეშვებით, ის გზას გაიკვლევს და ძველ ჭაში იწყებს დენას, ანუ კალაპოტს შეიცვლის და მხოლოდ ამის შემდეგ განაგრძობთ მუშაობას. დაზღვევისთვის ჭის მთხრელებს წელზე ბაგირი მოაბით, რათა ნაკადმა არ შეითრიოს. როდესაც დარწმუნდებით, რომ წყალმა მიმართულება შეიცვალა და ძველ ჭაში წყალმა იმატა, თხრა მაშინ განაგრძეთ. ძველ ჭაზე ტუმბო დააყენეთ და სარწყავად გამოიყენეთ, ხოლო ახალი ჭა გადასარევი ხარისხისა და თვისებების წყალს მოგცემთ, — ნახაზის კუთხეში თავისი მობილურის ნომერი მიაწერა, — ძია გიორგი, თუ რამე პრობლემა შეგექმნებათ, დამიკავშირდით, — ფურცელი გაუწოდა.

— მადლობის მეტი რა მეთქმის, — განცვიფრებული მამაკაცი ეკლესიისკენ შებრუნდა, — დიდება შენდა, უფალო! — პირჯვარი გადაიწერა, ფურცელი გამოართვა, დაკეცა და გულის ჯიბეში შეინახა.

ზურაბი სამუშაოს განახლებამდე განმარტოვდა, მონასტრის ჭიშკრის ღიობთან ქვაზე ჩამოჯდა. მობილურმა დაურეკა, ეკრანს დახედა, რომელზეც უცხო, გრძელი ნომერი დაიწერა:

— გისმენთ.

— ანგელოზო, გამარჯობა, გელა ვარ.

— გელას გაუმარჯოს, — ვაჟს გაეღიმა. სიშორის გამო ხმა რამდენიმე წამის დაგვიანებით ისმოდა, — მითხარი, როგორ დაბინავდი, რას შვრები?

— კარგად, კარგად ვარ. სასწაულ ქვეყანაში ვიმყოფები, ხალხი ცხოვრების ასეთ დონეს სადმე თუ მიაღწევდა, ნამდვილად ვერაფრით წარმოვიდგენდი. თავი ზღაპარში მგონია.

— როგორ შეეჩვიე?

— ბრწყინვალედ, მართლა სუპერსახელმწიფოა, ჭკუაზე არა ვარ. ერთი წლის შემდეგ მაგ გაპარტახებულ ქვეყანაში დაბრუნება ძალიან გამიჭირდება.

— რატომ, აქაურობა არ მოგენატრა?

— მომენატრა არა კვახი, ერთადერთი ბებიაჩემსა და შენ გინაკლისებთ. ჰო, მართლა, ელისო როგორ არის, ბებიაშენი ჩვენთან გადაბარგდა?

— კი, ერთად არიან. ყოველ საღამოს ვნახულობ, იმასაც ძალიან მოენატრე.

— ძალიან კარგიი, — გელამ სიტყვა გააგრძელა, — ანგელოზო, შენ ჩემთვის ლოცულობ?

— ვლოცულობ, რათა მოინათლო და სწორ გზას ეწიო.

— ჰოდა, როცა ლოცვაზე დგები, აქ შუაღამეა. რაღაცა ძალა საწოლიდან წამომაგდებს და, სანამ არ დაამთავრებ, ერთი საათი საცვლების ამარა ფეხზე ვარ. მოკლედ, შენი ჩემდამი მზრუნველობა საქართველოდან ამერიკაშიც კი აღწევს, — გელა სიცილით საუბრობდა.

— კათაკმეველო, ოღონდაც მოგნათლო და უფლის ჭეშმარიტებას გაზიარო, მეტი არაფერი მინდა. შენ როცა ბედნიერი იქნები, მე უფრო გავიხარებ...

— ახლა ბურღვა ნუ დამიწყე, საკმაოდ ბედნიერი ვარ — ჩემს ასაკში იმას მივაღწიე, რაც ბევრს სიზმრადაც არ უნახავს...

— შენი ბედნიერება სხვის უბედურებაზე გადის და, რაც მთავარია, უფალს არ ემსახურები. ტელეფონში ამაზე ლაპარაკი არ მინდა, გთხოვ, გონებას უხმე და ისე იცხოვრე.

— ანგელოზო, ვეცდები, — სიცილით უპასუხა გელამ, — ელისო დამიკოცნე, შენები მომიკითხე. წავედი, ძმაო, გაიხარე.

— კარგად იყავი, — დაემშვიდობა ზურაბი, მობილური ჯიბეში ჩაიდო და თავისი სამუშაო ადგილისკენ გაემართა.

ყოველი დღე ლოცვასა და შრომაში ილეოდა. მონასტრის კომპლექსი სოკოსავით იზრდებოდა. სენაკების გალესვა დაამთავრეს, ახლა კედლების გაშრობას ელოდნენ. ბერად აღკვეცაზე მისი გადაწყვეტილება ოჯახს თავსატეხად ექცა. ბიჭი რისთვის გავზარდე? — გაიძახოდა მამამისი, მაგრამ შვილის დამშვიდებულ, გაცისკროვნებულ მზერას რომ გადააწყდებოდა, ხელს ჩაიქნევდა და თავის ოთახში განმარტოვდებოდა. დედამისიც მუდამ თვალცრემლიანი, უსიტყვოდ დაიარებოდა. სამუშაოდან დაბრუნებულს გულში ჩაიკრავდა და ღინღლმოდებულ სახეზე ეფერებოდა. ყველანი გრძნობდნენ, რომ ოჯახის უსაყვარლესი წევრი მალე მიატოვებდათ და საცხოვრებლად სხვაგან გადაბარგდებოდა, მაგრამ ხელის შეშლას ვერავინ ბედავდა, ვინაიდან ხვდებოდნენ, რომ ზურაბზე უფლის დიდი მადლი გადმოსულიყო და მისი ადგილი მხოლოდ ღვთის სახლში იყო. გულს იმით იმშვიდებდნენ, რომ მონასტერი ტერიტორიულად ახლოს იყო და ნებისმიერ დროს მოინახულებდნენ.

ნოემბრის დასაწყისში ზურაბის სენაკის კედლები გაშრა, შეათეთრეს და ხის საგემბანო იატაკიც დააგეს. მონასტრის მშენებლობის დამფინანსებელი ბიზნესმენი, რომელიც მშენებლობის პროცესის ყოველ ნიუანსს აკონტროლებდა, ვაჟს ტაძარში შეხვდა და ლოცვის შემდეგ სასაუბროდ ეზოში იხმო:

— ზურაბ, შენი სენაკი მზად არის, რაღაც წვრილმანებია შესაძენი. შენ რამე ხომ არ გჭირდება? მიკარნახე, ჩავიწერ, — ბლოკნოტი და საწერკალამი მოიმარჯვა.

— ბატონო პაატა, — ვაჟი ფიქრში ჩაძირულიყო, შეწუხებული გამომეტყველება აღბეჭდვოდა და ძლივს გასაგონად ლაპარაკობდა. — თქვენი ქალიშვილი, თამარი, შაბათ-კვირას კლასელებთან ერთად ექსკურსიაზე აპირებს წასვლას...

— რაა? — მამაკაცი საუბრის არსში ვერ გაერკვა.

— დიახ, კლასი ბორჯომისკენ ექსკურსიაზე მიემგზავრება, — თვალებში შეაცქერდა.

— კი, მართალი ხარ, — პაატა დაბნეული მისჩერებოდა.

— თუ ექსკურსიას საერთოდ ჩაშლით და ბორჯომში არავის გაუშვებთ, კარგს იზამთ...

— რატომ?

— ვინიცობაა, არ დაგიჯერონ, თამარი მაინც დაითანხმეთ და რამე მიზეზით სახლში დატოვეთ...

— რატომ, ადამიანო, მითხარი, რატომ?

— უკან მომავლებს ავარია მოუვათ და ცუდი შედეგით დამთავრდება, — ზურაბმა ღრმად ამოისუნთქა, თითქოს ზურგიდან დიდი ტვირთი მოეხსნას.

— საიდან იცი, რომ მე ქალიშვილი თამარი მყავს და, მით უმეტეს, ექსკურსიაზე რომ მიდიან?! — პაატა შეტევაზე გადავიდა.

— თქვენი ქველმოქმედებისთვის უფალი გიფარავთ. როცა შეგხედეთ, ეს ყველაფერი თვალნათლივ დავინახე და თავი ვალდებულად ჩავთვალე, გამეფრთხილებინეთ.

— ზურაბ, დიდი მადლობა, — მამაკაცმა თავზე ხელი გადაუსვა, — თხემზე რა გჭირს? — გაოცებული ახლოს მიიწია დააკვირდა, — როგორ ამოგბურცვია?

— დიახ, რაღაცა წამონაზარდია.

— არ გტკივა ან არ გაწუხებს?

— არა, — ვაჟმა თავი გააქნია.

— ონკოლოგიურში ჩემი ახლობელი მუშაობს, ქირურგია. ახლავე დავურეკავ და, თუ სცალია, გადავიდეთ, გაგსინჯავს, — მობილური ამოიღო, ნომერი მონახა და დაუკავშირდა, — გაიოზოვიჩს ვახლავარ! როგორ ხარ, ძმაო? სოსო, შენთან საქმე მაქვს, შეხვედრა მინდა. კი, მონასტერში ვარ, თხუთმეტ წუთში შენთან ვიქნები, — გათიშა აპარატი, — წავედით, — ზურაბს გადაულაპარაკა.

— ბატონო პაატა, არ არის საჭირო, — ვაჟი შეეწინააღმდეგა.

— კაცო, გავიგოთ, რა გჭირს, რამე ცუდი გამოვრიცხოთ. სოსო ჩემიანია, ყველაფერს ზუსტად გვეტყვის. რა არის ამაში საჭოჭმანო?

— კარგი, — დანებდა ზურაბი და მამაკაცს უკან გაჰყვა.

საავადმყოფოს მეშვიდე სართულზე ლიფტს აჰყვნენ, დერეფანი გაიარეს, ერთ-ერთ კარზე პაატამ დააკაკუნა, შეაღო და თავი შეყო:

— ბატონო სოსო, შეიძლება?

— შემოდი, რა უცხოსავით მეკითხები, — გაისმა ოთახიდან.

შუახნის შავგვრემანმა მამაკაცმა პაატა გადაკოცნა და დივანზე მიუთითა, დასხედითო, თვითონ კი მათ წინ, სკამზე მოკალათდა.

— რას შვრები, სოსო, როგორა ხარ?

— დაბალ გაზზე, მიწოლით ვიქოქები, — იხუმრა ექიმმა, — პურ-მარილი დაგვიძველდა.

— აბა, უდროობას რა ვუთხარი.

— რა მოხდა, რაზე შეწუხებულხარ?

— სოსო, ეს ყმაწვილი მონასტრის მომავალი მკვიდრია. თავზე რაღაცა ამოსდის. ერთი გასინჯე და გვითხარი, რა სჭირს.

ქირურგმა გულზე ჩამოკიდებული სათვალე გაიკეთა:

— ახლოს მოიწიე, ბიძია, — ზურაბს თავი დაახრევინა, თმა გადაუწია და ამობერილ ადგილზე თითი რამდენჯერმე დააჭირა, — გტკივა?

— ისე, რა.

— ათერომაა, — ჩაილაპარაკა ექიმმა.

— ახლა ჩვენს ენაზე გადმოგვითარგმნე, რა ხდება.

— საშიში არაფერია, კეთილთვისებიანი სიმსივნეა, სისხლძარღვზე ზის და კარგად იკვებება. თუ დროზე არ მოცილდა, უფრო და უფრო გაიზრდება, — სიგარეტს მოუკიდა.

— ოპერაციაა საჭირო?

— ადგილობრივი ანესთეზია უნდა გაკეთდეს და ელექტროკოაგულატორით ამოიწვება, ორმოცწუთიანი ოპერაციაა...

— ელექტროკოაგულატორი რა არის? — იკითხა პაატამ.

— სარჩილავი ხელსაწყოსავით არის, ოღონდ სამედიცინო მოხმარებისთვის.

— გასაგებია. — რა ვქნათ? — პაატა, ზურაბს მიუბრუნდა.

— ჯერჯერობით ძალიან არ მაწუხებს — იუარა ვაჟმა.

— ადამიანო, ოპერაციის საფასურს მე ვიხდი, ბარემ მოიშორე და მოისვენებ...

— პაატა, ძვირიც არ ჯდება, — საუბარში სოსო ჩაერთო, — ოთხას ორმოცდაათი ლარი უნდა.

— მით უმეტეს, — პაატამაც მოუკიდა სიგარეტს, — რა ვქნათ?

— მაშინ, როდესაც მონასტერში გადმოვალ, საშობაო მარხვაში გავიკეთებ.

— წოლა დიდხანს მოუწევს?

— ოპერაციის წინა დღეს ანალიზებს ავუღებთ, ალერგიულობაზე შევამოწმებთ, სისხლის ჯგუფი უნდა გავიგოთ, ასევე სისხლი შედედებაზე უნდა შემოწმდეს, ნაოპერაციებს ერთი დღე და ღამე დავაკვირდებით და, თუ ყველაფერი კარგად იქნა, მეორე დღესვე გავწერთ.

— კარგია, — პაატა წამოდგა, — სოსო, დაგიკავშირდები. წავედით, — ზურაბს გადაულაპარაკა და ექიმის კაბინეტი ორივემ დატოვა. მონასტრამდე მანქანით მივიდნენ, — ახლა მითხარი, სენაკისთვის რა მოგიტანო?

— სახლიდან წამოვიღებ...

— ზურა, მომისმინე, მონასტერში ყველაფერს ვაფინანსებ, ამიტომ მითხარი, რა გჭირდება, — პაატას ხმაში სიმკაცრე შეერია.

— ბევრი არაფერი, პატარა კარადა, მცირე ზომის მაგიდა, ერთი ტუმბო, საწოლი და სკამი, სხვა არაფერი მჭირდება.

— ტელევიზორი ან რადიო?

— არა, ვერაფერში გამოვიყენებ, — მტკიცედ მიუგო.

— კაცო, ინფორმაცია მაინც არ უნდა მოისმინო?

— თუ დამაინტერესებს, საავადმყოფოს შესასვლელში პრესის ჯიხურია და რომელიმე გაზეთს შევიძენ. ინფორმაციას იქიდანაც მივიღებ.

— კარგი, გაიხარე. აბა, წავედი, — მამაკაცი დაემშვიდობა.

— ექსკურსიის შესახებ რაც გითხარით, არ დაგავიწყდეთ, — ზურაბი მანქანიდან გადავიდა.

— ამას რა დამავიწყებს, — ფიქრიანად გაეპასუხა პაატა და მანქანა დაძრა.

რამდენიმე დღის შემდეგ, ზურაბმა ხატები, საეკლესიო წიგნები და ბიბლია ზურგჩანთაში ჩაიწყო, საკმაოდ მძიმე ბარგი ბეჭებზე მოიკიდა და თბილისში გაემგზავრა. კოლმეურნეობის მოედანზე ავტობუსში ასულს ნაცნობი მძღოლი შეხვდა, ჩანთა ზურგიდან თავისი ხელით მოხსნა, უკანა სკამზე დაადებინა და ერთი წუთით დაბლა ჩამოდიო, სთხოვა.

— არ ვიცი, როგორ მოგმართო: შვილო, ძმაო, მამაო, მეგობარო თუ ჩემო გადამრჩენელო, მაგრამ ის კი ვიცი, რომ უღრმესი მადლობა მაქვს სათქმელი, — კაცი სიგარეტს ხამად ეწეოდა და ვაჟს გაბრწყინებული თვალებით შესცი‌ცინებდა, — რაც მითხარი, ყველაფერი სიმართლე აღმოჩნდა. თავსაც და ცოლსაც ვმკურნალობ, კიდევ კარგი დაავადება ღრმად არ იყო წასული და ამ კოშმარისგან ოჯახის დანარჩენი წევრები გადამირჩა. უღრმესი მადლობა, ჩემო მხსნელო.

— მადლობას მე ნუ მეუბნები, მადლობა უფალს, — ზურაბმა ზურგი აქცია და ავტობუსში ასვლა დააპირა.

— მოიცა, ერთი წუთით, რაღაცა მინდა გითხრა, — შესთხოვა მძღოლმა, — შენს მრევლში მიმიღე...

ზურაბს ჩაეღიმა.

— მე არავინ ვარ, არც უფლება მაქვს და არც მრევლი მყავს. აი, მონასტრის მოძღვარს კი შეგახვედრებ და დაელაპარაკე, — გაეცინა, — ადამიანო, იცი, რომ იმასაც ჰყავს ჯიპი, თან მსუქანია და ასეთი მოძღვარი გაწყობს?

მძღოლმა ხელი ჩაიქნია:

— მივქარე, რაღაც სისულელეები ვილაპარაკე, — სინანულით ჩაილაპარაკა.

— მაშინ სამი საათისთვის მონასტერში იყავი, ლოცვას დაესწარი და მამა მიქაელსაც შეგახვედრებ. დაელაპარაკე, აუხსენი შენი მდგომარეობა და ყველაფერს ის გადაწყვეტს.

— მრევლში მიმიღებს?

— ალბათ, — ზურაბი ავტობუსში ავიდა, ზურგჩანთა მუხლებზე დაიდო. მონასტერში შესულმა იღუმენი მიქაელი მონახა, — მამაო, სალამი, დამლოცე, — თავი ჩაქინდრა.

— უფალმა დაგლოცოს, — პირჯვარი გარდასახა იღუმენმა.

— მამაო, ხატები ჩამოვიტანე და მირჩიეთ, სენაკში რომელი სად დავკიდო.

— კი, შვილო ჩემო, — მამაკაცი ზურაბს სენაკში შეჰყვა, ხატების ადგილსამყოფელი უჩვენა. — ხვალ ორშაბათია, პაატას სენაკების მოწყობილობა მოაქვს და რას იზამ? — იღუმენი ვაჟს გამომცდელად შეაცქერდა.

— მამაო, ამ დღეს გულისფანცქალით ველოდები და რა უნდა ვქნა, ხვალიდან მონასტრის საძმოს წევრი გავხდები, — გახარებულმა მიუგო.

— უფალმა დაგლოცოს, — მოძღვარმა კიდევ ერთხელ გარდასახა პირჯვარი და სენაკიდან გავიდა.

ზურაბმა ხატები დაკიდა. სასულიერო ლიტერატურა და ბიბლია ტაძარში შეიტანა და დროებით შესანახად მესანთლეს ჩააბარა. შემდეგ ტანსაცმელი გამოიცვალა და თავის სამუშაო ბრიგადას შეუერთდა. საღამოს, კოჯორში დაბრუნებულს, ოჯახის წევრებისთვის არაფერი უთქვამს. გელასთანაც გადავიდა, ელისო და ბებიამისი მოინახულა, შინდაბრუნებული ზურგჩანთაში ტანსაცმლის ჩაწყობას შეუდგა. დედამისს არაფერი გამოპარვია, არც არაფერი უთქვამს, ერთ ადგილზე გაქვავებული იჯდა და ცრემლი ღაპაღუპით ჩამოსდიოდა, მამა სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა და ბოლთას სცემდა. ზურაბის და დივანზე წამოწოლილიყო, ჩუმად იცრემლებოდა. ვაჟი ოთახიდან არც გამოსულა, ძილად მისვლის ლოცვა წაიკითხა და დასაძინებლად დაწვა.

დილით, ექვს საათზე, ფეხზე იდგა და ლოცულობდა. როდესაც ოთახიდან გავიდა, ოჯახის ყველა წევრი სასტუმრო ოთახში მაგიდასთან იჯდა და ელოდა.

— რა სახე ჩამოგტირით? — იკითხა ზურაბმა, სათითაოდ ყველას მიუახლოვდა და მიეფერა.

— დღეიდან იქ რჩები? — ძლივს გასაგონად ამოღერღა დედამისმა.

— კი, დედა. მე ამაში პრობლემატურს ვერაფერს ვხედავ, პირიქით, ცხოვრებაში ამაზე ჭეშმარიტი გზა არ არსებობს...

— ვახ, — მამამისმა მაგიდას ხელი ჩამოარტყა, — ამისთვის გაგზარდე? — გამწარებულმა ჩაილაპარაკა.

— ჰო, მამა, უფლისთვის გამზარდე და დიდი მადლობა, რომ ამქვეყანას მომავლინე, — ვაჟმა მშვიდად მიუგო, — მასაუზმებ? — დედას შეეკითხა.

— კი, შვილო, — ქალი წამოდგა და სამზარეულოში გავიდა.

ისე ისაუზმეს, ხმა არავის გაუღია — გაბუტულებივით ისხდნენ და თავიანთ საფიქრალში ჩაძირულიყვნენ. შემდეგ ზურაბმა ზურგჩანთა აიღო, ყველა გადაკოცნა, მამის შეთავაზებაზე — მანქანით წაგიყვანო, ცივი უარი განაცხადა და სახლიდან გავიდა.

მონასტრის კარიბჭესთან პაატას მანქანა შეამჩნია. გახარებულმა ნაბიჯს უჩქარა. ეზოში შესულმა დაინახა, იღუმენი პაატას ესაუბრებოდა. მათკენ გაემართა.

— ჩემი გადამრჩენელი მოდის! — შეჰყვირა მამაკაცმა, ორივე ხელი ცისკენ აღმართა და მუხლებზე დაეცა.

ზურაბმა მიირბინა, წამოყენება სურდა, მაგრამ პაატამ მისი მარჯვენა ორივე ხელში მოიქცია და რამდენჯერმე ეამბორა:

— შვილი სიკვდილს გადამირჩინე, ზურაბ, შენ სასწაული მოახდინე! — ხელს უკოცნიდა და ყოველგვარი მორიდების გარეშე გაჰყვიროდა.

— მე არა, ბატონო პაატა, შვილი უფალმა გადაგირჩინათ, დიდება უფალს, — ხელი გაინთავისუფლა, პირჯვარი გადაიწერა და მამაკაცს წამოდგომაში შეეშველა.

— ადამიანო, როგორ არ მივუდექი, რა არ ვუთხარი, მაგრამ არ დამიჯერეს. ექსკურსიაზე თოთხმეტი ბავშვი წავიდა, უკანა გზაზე ავარია მოუვიდათ, შვიდი ბავშვი დაიღუპა, — პაატა ცრემლმორეული საუბრობდა, — შვიდი ოჯახი გაუბედურდა.

— აბა, — ამოიოხრა იღუმენმაც.

— არ ვიცი, როგორ გადაგიხადო, ზურაბ, მთელი ცხოვრება შენი ვალი მექნება. მიმსახურე, ძმაო, შენი ხმალი და ჩემი კისერი, — ვაჟს მკლავები მოხვია და ჩაიკრა, — შვიდი ანგელოზი უფალს მიებარა, — ყურში ჩასძახოდა და ხელებს მთელი ძალით უჭერდა. როდესაც ცოტათი დამშვიდდა, ვაჟი განიზიდა, თვალებში შეაცქერდა, — ზურაბ, დიდი მადლობა, გენაცვალე, უღრმესი მადლობა, — მამაკაცმა ემოცია დაცალა, დაწყნარდა. იღუმენს მიუბრუნდა, — მამაო, რამდენიმე საათში ავეჯი აქ იქნება. მე გამათავისუფლეთ. თამარის კლასელების ოჯახებში ვართ მისასვლელი.

— პაატა, წადი, საქმეს მიხედე, ოღონდაც ბავშვების სახელები ჩამოგვიწერე, პანაშვიდს გადავუხდით, წირვისას კვეთაშიც მოვიხსენიებ. რაც შეეხება ავეჯს, ჩვენ დავაბინავებთ, არ არის პრობლემა.

მამაკაცმა შვიდივე სახელი ფურცელზე ჩამოწერა და წინამძღვარს მიაწოდა:

— მამაო, მანქანის ფულიც გადახდილია. თქვენ მარტო დაცალეთ, სხვა არაფერი უნდა, — გასასვლელისკენ გაემართა.

მიქაელმა და ზურაბმა ერთმანეთს შეხედეს. იღუმენმა ვაჟს პირჯვარი გარდასახა:

— დიდება უფალს, — ჩაილაპარაკა და ტაძრისკენ წავიდა.

ზურაბი მონასტრულ ცხოვრებაში ჩაერთო. უფლისთვის მიძღვნილი მისი ამქვეყნიურობა სასწაულ შედეგებს იმკიდა. მის სანახავად და რჩევის მისაღებად საქართველოს რომელი კუთხიდან არ ჩამოდიოდნენ, მონასტრის კარიბჭესთან გაუთავებელი რიგები იდგა. ზოგს საკუთარ ეზოში წყლის არსებობა აინტერესებდა და, იმდენად სრულყოფილ პასუხს იღებდა, რომ იქაურობას გაოცებული ტოვებდა, ზოგს საკუთარ პრობ-

ლემებში რჩევა ან დახმარება სჭირდებოდა. ყველაზე ხშირად სხვადასხვა დაავადებასთან დაკავშირებით აკითხავდნენ, ძირითადად ონკოლოგიური ავადმყოფები იყვნენ და რამდენიმე შეხვედრის შემდეგ უმრავლესობა განკურნებული რჩებოდა.

ოჯახის წევრები ხშირად ნახულობდნენ, მოიკითხავდნენ სტუმრობდნენ, მოესიყვარულებოდნენ, სურსათ-სანოვაგეს მონასტერს წირავდნენ და იქაურობას დამშვიდებულები ტოვებდნენ. გელაც ტელეფონით ხშირად უკავშირდებოდა.

ღამღამობით მთავრობის წევრების ჩუმ ვიზიტებს ვერ აუდიოდა. ზურაბი, ყოველგვარი მორიდების გარეშე, მათ სულიერ ავხორცობაში ამხელდა და ურჩევდა, პირველ რიგში საკუთარი სულისთვის ემკურნალათ, ვინაიდან ადამიანი, რომელსაც არ ძალუძს, უშველოს თავის თავს თავის სულს, სხვას რაღას უზამს, როგორ უნდა ემსახუროს ქვეყანასა და ხალხს.

საშობაო მარხვა დაწყებული იყო. თხუთმეტ დეკემბერს იღუმენი მიქაელი და პაატა ზურაბს ესტუმრნენ.

— ზურაბ, — მიმართა წინამძღვარმა, — პაატამ წმინდა ნიკოლოზის მინანქარში შესრულებული უზარმაზარი ხატი გისახსოვრა, ტაძარშია დაბრძანებული, ვაკურთხებ და ნიკოლოზობის წირვა-ლოცვის შემდეგ შენს სენაკში გადმოაბრძანე. კაბაც შეგიკერა და...

ამის გაგონებაზე ვაჟს სახე გაუბრწყინდა:

— კაბა? — ბედნიერმა იკითხა.

— დიახ, — დათანხმდა მიქაელი, — ნიკოლოზობას ლოცვებს წაგიკითხავ და საბერე მორჩილად გაკურთხებ, — მოძღვარმა სიტყვა გააგრძელა, — მაგრამ იქამდე ორი რაღაცა გაქვს შესასრულებელი, პირველი: სახელი უნდა ამოირჩიო...

— მამაო, მაგაზე მე ნაფიქრი მაქვს, თუ შეიძლება ზენონი...

— იყოს ზენონი, — გააწყვეტინა იღუმენმა, — და მეორე, პაატას საავადმყოფოში გაჰყვები, ექიმი გელოდებათ, ანალიზებს აიღებ და ხვალ ოპერაციას გაიკეთებ, თორემ თავზე ეგ ზედმეტობა საშინლად გაგეზარდა, მეშინია, რამე ცუდში არ გადავიდეს.

— არა, მამაო, მაგისი არ მეშინია.

— ზურაბ, შენ ხომ დამპირდი, ოპერაციას საშობაო მარხვაში გავიკეთებო, — საუბარში პაატაც ჩაერთო, — სოსოს ველაპარაკე, გველოდება. წავიდეთ, დღეს ანალიზები ავიღოთ და ხვალ დილით ოპერაციას გაგიკეთებს, მაგ ამონაზარდს მოიშორებ და მოისვენებ.

— კარგი, წავიდეთ, — ზურაბი დათანხმდა.

ქირურგმა სიმსივნე დაათვალიერა, თითებით გასინჯა კიდეც:

— ეს ოხერი როგორ გაზრდილა, — პაატას გადაულაპარაკა, — კარგი რომ იყოს, ხომ არ გაიზრდებოდა, — შემდეგ ლაბორანტს უხმო.

— დიახ, ბატონო სოსო, — ოთახში ახალგაზრდა ქალი შემოვიდა.

— ქეთი, ეს ყმაწვილი ლაბორატორიაში აიყვანე, სისხლის ჯგუფი დამიდგინეთ, შედედებაზეც შემიმოწმეთ და, რაც მთავარია, ნარკოზზე ალერგიულობა გამირკვიეთ...

— ბატონო სოსო, — გააწყვეტინა ზურაბმა, — მე ნარკოზს არ გავიკეთებ. ოპერაცია ისე ჩამიტარეთ.

— რას ამბობ, შვილო?! — წამოიყვირა ექიმმა, — ტკივილს ვერას დიდებით გაუძლებ, შეუძლებელია. ეგ იმას ნიშნავს, რომ ოპერაცია არ გაგიკეთო, — სიგარეტს მოუკიდა.

— ბატონო სოსო, გავუძლებ. თქვენ მარტო სისხლის ჯგუფი დამიდგინეთ, საჭიროების შემთხვევაში რომ გადამისხათ, დანარჩენს ჩემს თავზე ვიღებ, გავუძლებ, — ზურაბი ექიმს დარწმუნებული უმტკიცებდა.

— ზურა, რა ძალა გადგას, გაიკეთე ნარკოზი, — პაატამაც ველარ მოითმინა, საუბარში ჩაერთო.

თხუთმეტწუთიანი „გაიკეთე — არ გავიკეთებ“ თხოვნა-უარის შემდეგ ქირურგმა, თავის დაზღვევის მიზნით, ვაჟს ხელწერილი ჩამოართვა, სადაც ზურაბი ნარკოზზე უარს აცხადებდა, და ქეთისთან ერთად ლაბორატორიაში გაუშვა.

— ზური, მე აქ გელოდები, სანამ შენ ჩამოხვალ, ოპერაციისთვის საჭირო ყველა საბუთს გავამზადებინებ, — მიაძახა პაატამ.

ერთი სართულით მაღლა, ჰემატოლოგიურ ლაბორატორიაში ავიდნენ. ოთახში ვიღაცა მამაკაცს კედელზე კიბე მიეყუდებინა, ზედ ასულიყო და საკედლე საათის დასაკიდად ლურსმნის ჩარჭობას ლამობდა, მაგრამ ლურსმანი ნალესს გასცდებოდა თუ არა, კედელში აღარ შედიოდა.

— ოთარ, მთელ კედელს დახვრეტ და გააუბედურებ, — იქ მომუშავე ქალები აქეთ-იქიდან ეწუწუნებოდნენ.

— ერთსაც ვცდი, ეს ოხერი კედელი რკინასავითაა, — ოთარმა თავი იმართლა და ლურსმანს ჩაქუჩი მთელი ძალით დრუზა. ამჯერადაც არაფერი გამოუვიდა, — რა ვქნა, ბურღს ამოვიტან და ისე დავკიდებ, — კიბეზე ჩამოსვლა იწყო.

— მომეცით ჩაქუჩი და ლურსმანი, — ზურაბი მიუახლოვდა, მამაკაცს მკლავზე ხელი მოჰკიდა, ჩამოსვლაში დაეხმარა.

— შენ რა, უფრო ღონივრად დაარტყამ? — ჩაეცინა ოთარს.

— არა, — ვაჟმა მშვიდად მიუგო, — მე ბლოკების გადაბმის ადგილებს ვხედავ და ლურსმანს ზუსტად დავსვამ, — ჩაქუჩი გამოართვა, ლურსმანი ტუჩებში მოიქცია და კიბეზე ავიდა. ძველი ნახვრეტების ზემოთ, ათი სანტიმეტრის მანძილზე ლურსმანი კედელს მიადო, — აქ რომ დაიკიდოს, გაწყობთ? — იქ მყოფთ გადმოხედა.

— იყოს, კარგია, — შედეგის მოლოდინში გასუსული ქალების ხმა ოთახის სხვადასხვა მხრიდან გაისმა.

ლურსმანი კედელში ისე შევიდა, როგორც დანა ყველში. ზოგიერთმა გაკვირვების ტაშიც კი შემოჰკრა. ვაჟი რამდენიმე საფეხურით დაბლა დაეშვა, ოთარს ჩაქუჩი მიაწოდა, საათი გამოართვა და ჩამოკიდა.

ლაბორატორიაში სიჩუმე ჩამოვარდა. ოთარმა გაღუნული ლურსმნები აკრიფა, ჯიბეში ჩაიყარა, კიბე ბეჭზე გაიდო და იქაურობა გაოცებულმა დატოვა.

ზურაბს სისხლი აუღეს. პირველი ჯგუფის რეზუსდადებითი სისხლი აღმოაჩნდა. ქეთიმ ყველაფერი ფურცელზე დაწერა და ქირურგთან გაატანა.

ოპერაცია დილის ათი საათისთვის დაინიშნა.

IX

ზურაბს მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს, ხატების წინ იდგა და ლოცულობდა:

— განსაცდელისთვის უღრმესი მადლობა, უფალო, — ჩურჩულებდა ვაჟი, — ჩემი ავადმყოფობა და ის ტკივილი, რასაც განვიცდი, არაფერია იმასთან შედარებით, რაც შენ ჩვენს გამოსახსნელად ჩაიდინე. ასევე ყველა შენი მოწამის გახსენებისას, ჩემი ეს წამონაზარდი საერთოდ მავიწყდება და კოღოს ნაკბენი მგონია. უფალო, იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, შემიწყალე მე ცოდვილი, — კარზე კაკუნი გაისმა, სენაკში იღუმენი შემოვიდა. ზურაბი წინამძღვრისკენ შებრუნდა, — დამლოცე, მამაო, — თავი დახარა.

— ღმერთმა დაგლოცოს, — მიუახლოვდა მიქაელი, პირჯვარი გადაწერა, — შვილო ჩემო, ხომ არ ნერვიულობ?

— არა, მამაო, სანერვიულო რა არის, პირიქით, უფალს ყველაფრისთვის მადლობა, — ზურაბი მშვიდზე მშვიდი იყო, აღელვების ნიშანწყალი არ ეტყობოდა.

— კი, მაგრამ ნარკოზზე უარი რატომ თქვი?

— არ მჭირდება და იმიტომ.

— ადამიანო, გეტკინება, ბოლოს და ბოლოს ოპერაციაა...

— არა, მამაო, ნარკოზი არ მჭირდება! — ვაჟი ისეთი დარწმუნებული იყო, რომ იღუმენმა სასაუბრო თემა თავად შეცვალა, — ათზე გიკეთებენ?

— დიახ.

— ამ დროიდან ტაძარში ჯანმრთელობის პარაკლისს აღგივლენ. მე მგონი, ხანგრძლივი ოპერაცია არ უნდა იყოს.

— არა, მამაო, როგორც ქირურგმა თქვა, ორმოცწუთიანია.

— კარგი, შვილო ჩემო, წირვას ვიწყებთ, დაესწარი და ეზიარე.

— აუცილებლად, მამაო.

წირვის შემდეგ ზურაბი სენაკში შებრუნდა, კანდელში ზეთი დაამატა, ძაფი ამოწია, მიმწვარი თავი მოაშორა და მონასტრის ეზოში გავიდა. პაატა იყო მოსული, სამუშაოთა მწარმოებელს ესაუბრებოდა.

— ზურაბ, შენ გელოდები, ათს ოცი აკლია.

— ბატონო პაატა, რატომ წუხდებოდით.

— წავედით, წავედით, — ხელით ანიშნა მამაკაცმა და ჭიშკრისკენ გაემართა.

ქირურგის კაბინეტში ერთად ავიდნენ.

— გაიოზოვიჩ, პაციენტი მოგიყვანე, მზად ხარ?

— მე კი ვარ მზად, მაგრამ ნარკოზზე კიდევ არ გვთანხმდება?

— ბატონო სოსო, დავიწყოთ ოპერაცია, — ზურაბმა ექიმს მიმართა.

ქირურგმა ღრმად ჩაისუნთქა, ლოყები გაბერა და ჰაერი ისე გამოუშვა. სიგარეტი საფერფლეში მიაგდო და წამოდგა:

— პაატა, შენ საოპერაციოს წინ, დერეფანში დაგველოდე, — მეგობარს გადაულაპარაკა, ზურაბს ხელკავი გაუკეთა და სამივენი კაბინეტიდან გავიდნენ.

ზურაბი საოპერაციო სავარძელზე დასვეს, საზურგე დაარეგულირეს, პაციენტს წელს ზემოთ გახადეს და სპეციალური წინსაფარი გაუკეთეს.

— მონასტერში ორ ჯვარს ატარებენ? — იკითხა სოსომ.

— არა, მეორე ჯვარი ჩემი მეგობრისაა. როცა მოვნათლავ, მაშინ დავკიდებ.

— გასაგებია, — ჩაილაპარაკა ექიმმა და ექთანს მიუბრუნდა, — დალი, სანამ მე ხელს დავიბან, თხემი გაპარსეთ.

დალიმ თმა ჯერ მაკრატლით გაკრიჭა, შემდეგ თხემის კანი საპარსი მოწყობილობით გაასუფთავა.

— ვინაიდან ნარკოზის გარეშე ვიკეთებთ, ხელ-ფეხი უნდა დაგიბათ, ოპერაციის დროს ხელი რომ არ შემიშალო, — მიმართა ზურაბს.

ვაჟს არაფერი უპასუხია, სავარძელზე გაუნძრევლად იჯდა, თვალები დაეხუჭა და მარჯვენაში მოქცეული ფსკვნილის კვანძებს საჩვენებელ და ცერა თითებს შორის გარკვეული პერიოდულობით ატარებდა. დალიმ ორივე მაჯაზე სავარძლის სახელურებზე დამაგრებული სპეციალური ქამრები გადაუჭირა. ფეხები კოჭებთან, სავარძლის ლითონის ღერძზე სათითაოდ მიუბა.

— ჩართეთ კოაგულატორი, გახურდეს, და ხალათი ჩამაცვით, — ქირურგმა დაბანილ მუჭში სპირტი ჩაისხა და ხელები ერთმანეთს გაუსვ-გამოუსვა...

თავისუფლების მოედანზე ზღვა ხალხი იდგა. ყველას ყურადღება მერიის შენობისკენ იყო მიმართული. ზურაბიც მათ შემადგენელ ერთ წვეთს წარმოადგენდა. რა ხდება? რა ხდება? — კითხულობდნენ ცნობისმოყვარენი, — ასე პომპეზურად რას აღნიშნავენ? — თვალებს აქეთ-იქით აცეცებდნენ. — დღეს ჰელოვინია, დიდი დღესასწაული, — პასუხი გასცა ჩოხაში მოხდენილად გამოწყობილმა მამაკაცმა.

შემაღლებულ სცენაზე, რომელიც მერიის წინ, ტროტუარზე მოეწყოთ, ქართველი მომღერლები მონაცვლეობით გამოდიოდნენ, ნახევრად შიშველი მოცეკვავე გოგონები ფონს უქმნიდნენ. მომღერლებს პოეტები ცვლიდნენ. სცენაზე დამაგრებულ ლითონის მილზე რიტმს აყოლილი სტრიპტიზიორი ქალები სექსუალურად იკლაკნებოდნენ და თანდათან დედიშობილდებოდნენ. ხალხის მასა ოვაციებსა და ბრავოს ძახილში დუღდა.

სცენის მოპირდაპირედ საპატიო სტუმრებისთვის საფეხურებრივად ამაღლებული ამფითეატრი მოეწყოთ. პირველი რიგი საქართველოში მოვლინებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებისთვის დაეთმოთ, მეორეზე ქვეყნის მთავრობის ზედა ეშელონები განთავსებულიყვნენ, მესამეზე პარლამენტის უმრავლესობა და მმართველი პარტიის, „ახალ დემოკრატ-ქრისტიანთა“ ნაღები განლაგებულიყო. მათ სიმშვიდესა და უსაფრთხოებას ჩოხებში გამოწყობილი ათლეტური აღნაგობის დაცვის თანამშრომლები ახორციელებდნენ. ჟურნალისტები ამფითეატრს ისე შესეოდნენ, როგორც ტკიპა ვარდს, და თავიანთ ოპერატორებთან ერთად რესპონდენტებზე ნადირობდნენ. ამფითეატრის აქეთ-იქით თავისუფლების ინსტიტუტი სრული შემადგენლობით გახლდათ წარმოდგენილი, მათ მხარს უმშვენებდნენ არასამთავრობო ორგანიზაციების წევრები. ლესბოსელთა, ცისფერთა და სხვა მათნაირთა არმია წყვილებად იდგა, ქალი ქალთან და კაცუნა

კაცუნასთან და მელოდიას აყოლილები ცეკვავდნენ ან ერთმანეთს ჩაკრულები პოეზიითა და მუსიკით ტკბებოდნენ. დიდი ადგილი ბანკირებსა და სხვადასხვა ბანკის თანამშრომლებს ეკავათ, მოდის ბოლო დაყვირებაზე კოპწიად შემოსილები თავშეკავებულად, ისე, როგორც ფულიან ნაღებს ეკადრება, ოდნავ ირხეოდნენ. ბანკირთა უკან მევახშეთა არმადა ტლანქად იზლაზნებოდა. კაზინოების, ტოტალიზატორებისა და სათამაშო სახლების მეპატრონეები თავიანთ კრუპიეებსა და თამაშდამოკიდებულებთან ერთად პუშკინის სკვერში ვერ ეტეოდნენ. რუსთაველი ნარკომანთა ბრიგადებს ეკავათ. ქალები და მამაკაცები ცხვირების, ფერდებისა თუ უბეების ფხანაფხანით მონიტორებს შეჰყურებდნენ და სადღესასწაულო კონცერტით ტკბებოდნენ. იმდენნი იყვნენ, ფილარმონიამდე ნემსს ვერ ჩააგდებდი. სხვადასხვა სექტის წარმომადგენლები მასაში აზელილიყვნენ და დღესასწაულით ხარობდნენ. ბარათაშვილის ქუჩა, კოლმეურნეობის მოედანი ავლაბრის აღმართამდე ლოთებისთვის დაეთმოთ. ოღონდ სანახაობა და სასმელი ყოფილიყო და მათთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა თუ რა ხდებოდა. უფასო ალკოჰოლით პლასტმასის ჭიქებს აპიპინებდნენ, ერთმანეთს უჭახუნებდნენ და მონიტორებს ბედნიერები შესციცინებდნენ. „ცეკავშირის“ გამოშიგნული შენობის სართულები თაღლითებს, მკვლელებს, პედოფილებსა და ქურდებს შეევსოთ. არავისტებისთვის, ანუ შუისტებისთვის ადგილი მცირე იყო, ისინი სხვადასხვა დაჯგუფებებში ათქვეფილიყვნენ და ყველასთან ერთად დღესასწაულობდნენ.

ხალხის უმრავლესობას ეშმაკების, ზომბებისა და საშინელებათა ფილმების გმირების ნიღბები ეკეთა. ჩოხიან მცველთა რაზმები მასაში იყვნენ შერეულები და წესრიგს შესაშური გულმოდგინებით იცავდნენ.

შუადღე იდგა. მომღერლებმა, მოცეკვავეებმა, მუსიკოსებმა, პოეტებმა და სტრიპტიზიორებმა თავიანთი ხელოვნების დემონსტრირება შეწყვიტეს. ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, ჩამიჩ-

უმიც აღარ ისმოდა. ყველანი რაღაც სიახლეს, ჯერ გაუგონარს ელოდნენ და სცენას დაძაბულები მისჩერებოდნენ.

ავანსცენაზე მოწყობილ ტრიბუნასთან ქალაქის გამგებელი გამოჩნდა. ფერადი სამკუთხედებით აჭრელებული არლეკინის კოსტიუმი ეცვა. სახეზე გრიმით თეატრალური ნიღაბი გაეკეთებინა, აი ისეთი, ნახევარი რომ იცინის და მეორე ნახევარი ტირის. თავზე კოსტიუმის შესაფერისი, გრძელი, წვეტიანი, პომპონით დაბოლოებული ქუდი ეხურა. მიკროფონთან მივიდა, რამდენჯერმე თითით დააკაკუნა. როდესაც დარწმუნდა, რომ ყველაფერი წესრიგშია, მშვიდად, ყოველგვარი აღელვების გარეშე დაიწყო:

— ძვირფასო სტუმრებო, თანამოქალაქეებო და ჩვენი ქვეყნის თითოეულო წევრო, მოგესალმებით და გილოცავთ ამ განუმეორებელ ზეიმს, ამ ულამაზეს დღესასწაულს — ჰელოვინს. მე მგონი, ჰელოვინი ასე წარმტაცად მსოფლიოში არსად აღინიშნება, გილოცავთ. მუსიკალურ-პოეტურ ნაწილს დროებით ვწყვეტთ და გვინდა სანახაობა შემოგთავაზოთ. ჩვენი მთავრობისა და პარლამენტის მუხლჩაუხრელი შრომისა და კრეატიული კანონმდებლობითი შემოქმედების შედეგია ის, რასაც ახლა გამცნობთ. კერძოდ, გადაწყდა, რომ ორ სიკვდილმისჯილს შორის ერთ-ერთს თქვენ შეიწყალებთ, ხოლო მეორეს, პარლამენტის შენობის კიბეზე ჯვარს ვაცვამთ. მაშ ასე, წარმოგიდგენთ ორ პატიმარს: პირველი ავაზაკია, ბარაბა ჰქვია, ხოლო მეორეა, იესო, ქრისტედ წოდებული. მართალი გითხრათ, მე ქრისტეში ვერავითარი დანაშაულის ნიშნებს ვერ ვხედავ, მაგრამ სახელმწიფო ელიტამ იგი ყველაფერში ხელის შემშლელად დაასახელა, თურმე სამშობლოს ევროპიზაციასა და წინსვლას საშინლად აფერხებს.

ქართველნო და ძვირფასო სტუმარნო, არჩევანი თქვენთვის მომინდვია. ვის დაიხსნით, ბარაბასა თუ იესოს, ქრისტედ წოდებულს?! — გამგებელმა მიკროფონში ომახიანად ჩაარიხინა.

რამდენიმე წამით სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. იქაურობის ბატონ-პატრონი დუმილი შეიქნა. დუმილი, რომელიც

ღვარცოფა მდინარეზე შლეგია, დუმილი, რომელიც ცეცხლის ტკრციალზე მძვინვარეა, დუმილი, რომელიც ატომზე ღონიერია, დუმილი, რომელიც ყოფიერია არყოფნაში...

ხალხის მასამ, თითქოს ვიღაცა დირიჟორობსო, როგორც ერთმა ერთხმად იყვირა:

— ბარაბა! ბარაბა! ჩვენ ბარაბა გვიყვარს! ბარაბაა ჩვენში და ჩვენ ვართ მასში! ბარაბა! ბარაბა!

— გასაგებიაა, — სიტყვა გააგრძელა გამგებელმა, — კარგი, დამშვიდდით! — ხელის აწევით ანიშნა, გაჩუმებულიყვნენ. გრიმიორმა სახის მტირალა მხარეს ერთი შავი ცრემლი დაუმატა, ხოლო მოცინარ მხარეს ტუჩი უფრო გაუბადრა, — კიდევ ერთხელ გეკითხებით, კარგად დაფიქრდით და ისე მიპასუხეთ — ბარაბა თუ იესო, ქრისტედ წოდებული?!

ხალხის აღტკინებული, აჟიტირებული მასა აღარ დადუმებულა, უფრო ძლიერად შესძახა:

— ბარაბა! ბარაბა! ბარაბა! — ძახილს ფეხების ბრახაბრუხიც მოაყოლეს. ზემოდან რომ დაგეხედათ, ხალხი მდუღარე წყალს მოგაგონებდათ, დუღდა ბრბო და შხეფებს — „ბარაბა“ — აქეთ-იქით ისროდა.

— კარგიი! გასაგებია, დამშვიდდით, — გამგებელთან გრიმიორმა მიირბინა, შავ ცრემლებს ერთი შემატა, ღიმილის ხაზიც გაუდიდა, — მე ვალდებული ვარ, მესამეჯერ გკითხოთ: ბარაბა თუ იესო, ქრისტედ წოდებული?!

— ბარაბა! ჩვენი სიამაყე, ბარაბა! — პასუხი ქუხილად გაისმა.

— გასაგებია, პატივცემულო მედღესასწაულენო, — გამგებელმა გრიმიორს რამდენიმე წუთი ადროვა, სანამ თავის საქმეს დაამთავრებდა, შემდეგ შეკრებილთ გადახედა, — მაშ, ქრისტე გაიმეტეთ?

— დიახაც! ჯვარცმულ იქნეს იგი! ჯვარცმულ იქნეს! ჯვარცმულ იქნეს! — ერთხმოვანებდა ხალხი.

ქალაქის თავმა კოკით წყალი მოატანინა, ხელები წინ გაიშვირა და ანიშნა, დამისხითო:

— მე ხელები დამიბანია. ამის სისხლისგან უბრალო ვარ, თქვენ გადაწყვიტეთ და ყველაფერი თქვენ იცით, — მიკროფონში მშვიდად ჩაილაპარაკა და ხელის მტევნები დაიფერთხა.

პასუხმა არ დააყოვნა:

— ჩვენზე, ჩვენს შვილებსა და მომავალ თაობაზე იყოს მაგისი სისხლი!

ამის შემდეგ გამგებლის მცველმა ჩოხიანებმა ბორკილდადებული იესო სცენაზე გამოიყვანეს და ყველას თვალწინ გაშოლტვა უწყეს. ყოველი გადალაწუნების ხმას მიკროფონი აძლიერებდა.

რომელიღაცა ჩოხიანმა ეკლის გვირგვინი მოიტანა, თავზე დაადგა, რასაც ხალხის სიცილ-ხორხოცი მოჰყვა. შემდეგ იგივე ჩოხიანმა ხელბორკილების ჯაჭვში ხელი ჩაავლო, სცენიდან ჩამოათრია და ბრბოში შეაგდო. ჩოხიანებმა ზურგზე უზარმაზარი ჯვარი მოჰკიდეს. მედღესასწაულენი ლერწმებს თავში ურტყამდნენ და აფურთხებდნენ. წესრიგის დამცველებმა სახელდახელო დერეფანი შექმნეს, რათა ჯვარდადგმულ იესოს პარლამენტის კიბემდე თავი მიეთრია.

იქ შემთხვევით მოხვედრილები, მათ შორის ზურაბიც, ყოველნაირად ცდილობდნენ, ქრისტეს ჯვრის ზიდვაში მაინც შეხიდებოდნენ, მაგრამ ჩოხიანთა კორდონის გარღვევა შეუძლებელი იყო. ხალხში გზას გაჭირვებით იკვლევდნენ და ქურდულად, შორიახლოს მიყვებოდნენ.

ქრისტემ ჯვარაკიდებული, ნაცემ-ნაბეგვი, დანერწყვილი და შეურაცხყოფილი სხეული კიბემდე ძლივს მიიტანა, სადაც ჯალათი ჩოხიანები უმალ მისცვივდნენ, ჯვარი მოხსნეს, ძირს დადეს და ზედ პირაღმა დააწვინეს. ჯვრის ვერტიკალურ ღერძზე სამსჭვალით ჯერ ცალი წვივი მიულურსმეს.

— ვაი! — აღმოხდა ზურაბს.

მეორე წვივშიც გაუყარეს სამსჭვალი და ურო მთელი ძალით ჩასცხეს.

— ვაი! — ისევ ამოიოხრა ვაჟმა და სიმწრის ცრემლი წასკდა. როგორ არ ცდილობდა, მიახლოებოდა ქრისტეს, მაგრამ დაცვის ბარიერის გადალახვა შეუძლებელი იყო.

ჯვრის ჰორიზონტალურ ღერძზე მაჯები მონაცვლეობით მიუჭედეს, ყველა სამსჭვალი საგულისგულოდ შეამოწმეს, დარწმუნდნენ, რომ ხელ-ფეხი კარგად იყო მიმსჭვალული და ჯვარი წამოაყენეს.

ზურაბმა ორჯერ ამოიკვნესა და იგრძნო, რომ ქრისტეს ტკივილი გადასდებოდა — ოთხივე კიდური საშინლად ეწვოდა.

ბრბო ჯვარცმულისკენ ხელს იშვერდა: ამისთვის უღირდა სიცოცხლე? ესვა და ეჭამა, გაეტარებინა დრო, ჩვეულებრივად ეცხოვრა. ცოცხალი ხომ იქნებოდა?! — დასცინოდნენ და მისი მისამართით ბილწსიტყვაობდნენ. მიკროფონში გამგებლის ხმა გაისმა, რომელიც ხალხს დღესასწაულის გაგრძელებას ამცნობდა. ჯვარცმამ ინტერესი დაკარგა. ყურადღება სცენისკენ გადაიტანეს.

ზურაბმა ისარგებლა, დამცველებს შორის გაძვრა, ჯვრის წინ მუხლი მოიდრიკა, ქრისტეს ფეხებზე ხელები შემოაჭდო და აქვითინდა...

— ზურაბ, ზურაბ, ზურაბ! — ვიღაცა ეძახდა.

ვაჟმა თავი აწია, თვალი გაახილა. ისევ საოპერაციო სავარძელზე იყო მიწვენილი. საოპერაციოში დამწვარი ხორცის სუნი იდგა, გასანიავებლად ფანჯარა გაეღოთ.

— მორჩა, — ექიმმა შვებით ამოისუნთქა, — კილოიანი ხორცი მოგაშორე, ოპერაცია ზუსტად ოცდაცამეტ წუთში დავამთავრე, — რეზინის ხელთათმანებს იძრობდა ქირურგი. — აბა, თავს როგორ გრძნობ?

ზურაბმა პასუხად მხრები აიჩეჩა — გონებით ისევ რუსთაველზე, პარლამენტის წინ იყო:

— ხელ-ფეხი მტკივა, — მიუგო სოსოს.

— დალი, ალბათ, ქამრები უჭერს, გაუნთავისუფლე, — ქირურგმა ექთანს გადაულაპარაკა და სიგარეტს მოუკიდა.

— ბატონო სოსო, აქეთ მობრძანდით, ნახეთ, მაჯებიდან და წვივებიდან სისხლი სდის, თითქოს ვიღაცამ დიდი ლურსმნით დაუჩხვლიტა, — გაოცებული ქალი ექიმს ცნობისმოყვარედ შესცქეროდა და სტერილური ბამბით ჭრილობებს უმშრალებდა.

ქირურგი ახლოს მივიდა, სისხლმდინარე იარებს დაკვირვებით შეხედა:

— ზურა, ეს ხომ სტიგმებია. ამდენი სისხლი ოპერაციის დროს თხემიდან არ დაგიკარგავს. დალი, მჭიდროდ გადაუკარი, დენა შეუჩერე.

ექთანმა უსიტყვოდ აიღო ბინტი და გადახვევას შეუდგა.

— ზურა, შვილო, უნდა მითხრა, გაყუჩების გარეშე ტკივილს როგორ გაუძელი? მარტო ოთხჯერ წამოიკვნესე, ისიც ბოლოს, როდესაც ოპერაცია დამთავრებული იყო და ჭრილობას გიხვევდი.

— მე ჯვარცმულ ქრისტეს ფეხებთან ვიყავი მუხლმოდრეკილი და მისი ტკივილისა და დამცირების შემყურეს არაფერი მიჭირდა, ეგ თქვენი ოპერაცია ჩემთვის კოღოს ნაკბენი იყო. ხელ-ფეხი უფრო მტკივა, ვიდრე თავი, — მადლიერების ნიშნად ექიმს გაუღიმა.

— ბიძია, შენ იოგი ყოფილხარ, — გაკვირვებულმა ქირურგმა ხელები გაასავსავა.

— ბატონო სოსო, — ვაჟმა მშვიდად მიუგო, — მე მართლმადიდებელი ქრისტიანი ვარ, ხოლო იოგები ბოროტი სულის ხალხია. მე ქრისტეში ვარ და ის ჩემშია.

— უკაცრავად, თუ გაწყენინე. ეტყობა, გადავიღალე. დღეს ვერსად გაგიშვებ, პალატაში გადაგიყვან, სისხლსაც გადაგისხამ და დაგაკვირდები, თუ ყველაფერი კარგად იქნა, ხვალ დილით გაგწერ. ამაზეც ხომ არ იქნები წინააღმდეგი?

— არა, ბატონო სოსო, — ვაჟს ისევ გაეღიმა.

რამდენიმე წუთში ზურაბი პალატაში იყო. გადასხმის სისტემა ვენაში ჰქონდა ჩადგმული. გარს პაატა, იღუმენი მიქაელი, სოსო და მონასტრის საძმოს რამდენიმე წევრი ეხვია.

რამდენიმე საათში სტიგმებიდან სისხლდენა შეჩერდა. ზურაბი თვალმილული იწვა, თითებშუა ფსკვნილის კვანძებს ატარებდა და ჩურჩულით, ტუჩების ოდნავი მოძრაობით ლოცულობდა. მისი სხეული ფიზიკურად იყო იქ, თორემ გონებით სად იმყოფებოდა, ღმერთმა უწყის. იღუმენი, როდესაც დარ-

წმუნდა, რომ ვაჟი უკეთ იყო, საძმოს წევრებთან ერთად მონასტერში დაბრუნდა და მასთან ბერი პორფირე დატოვა. საღამოხანს ზურაბთან შეშინებული ოჯახის წევრები მოცვივდნენ, რომელთაც ოპერაციის შესახებ შემთხვევით გაეგოთ. მისი დანახვისას პრეტენზია არ დასცდენიათ, ქირურგი მოინახულეს და, როცა დარწმუნდნენ, რომ ყველაფერი კარგად არის, დამშვიდდნენ. პალატაში კარგა ხანს ისხდნენ, იქაურობა გვიან ღამით დატოვეს.

თორმეტი ხდებოდა, როდესაც ზურაბმა თვალი გაახილა:

— მამაო, წადით მონასტერში, მე არაფერი მიჭირს.

— არა, ზურაბ, ვერ მიგატოვებ.

— მაშინ მეორე საწოლზე წამოწექი მაინც, დაისვენე, თვალი მოატყუე.

— რამე ხომ არ გჭირდება? — ბერი პორფირე მიუახლოვდა.

— თუ ბატონი სოსო არ წასულა, იქნებ, დაუძახო.

— არსად წავიდოდა, დღეს მორიგეა. პაატაც აქ არის, კაბინეტში არიან. წავალ, დავუძახებ, — ბერი დერეფანში გავიდა.

პაატა, ქირურგი და პორფირე ერთად დაბრუნდნენ.

— თავს როგორ გრძნობ? — საწოლზე ჩამოუჯდა სოსო.

— ღვთის წყალობით, კარგად, — გაუღიმა ზურაბმა.

— ჭრილობა ხომ არ გტკივა?

— არა, ბატონო სოსო, თქვენთან ერთი სათხოვარი მაქვს.

— გისმენ, — მამაკაცი დაიძაბა.

— ჩემი პალატის გვერდით პატარა ინგლისელი გოგონა, ელიზი გიწევთ...

— კიი, — აღმოხდა ქირურგს.

— ზეგ, თვრამეტში, ოპერაციას უპირებთ, ძვლის ტვინი უნდა გადაუნერგოთ. ბატონო სოსო, მაგ ბავშვს ოპერაცია არ სჭირდება...

პალატაში ყველანი სმენად იქცნენ.

— როგორ? — სოსოს თვალები გაუფართოვდა, — რას ამბობ, დონორი ძლივს ვიშოვეთ, ერთი თვეა მაგ ოპერაციისთვის ვემზადებით და როგორ თუ არ სჭირდება?! სხვანაირად ვერ გადარჩება...

— დღეს ბარბარობა თენდება, ბავშვი აუცილებლად უნდა მოინათლოს და არავითარი ოპერაცია აღარ დასჭირდება. წმინდა ბარბარეს შემწეობით უფალი მიხედავს.

— ზურაბ, იცოდე, ოპერაციის გადადება ძალიან სარისკოა, გოგონა შეიძლება დაიღუპოს.

ვაჟმა ერთი ამოიოხრა:

— ჯერ ერთი, ოპერაციის გადადება არ გიწევთ, უბრალოდ, ელიზი მოინათლება, შემდეგ ანალიზები აუღეთ და თქვენ თვითონ დარწმუნდებით, რომ უფალი ყოვლისშემძლეა.

— არ ვიცი, არ ვიცი, — წამოდგა მამაკაცი, — გავალ, დედამისს დაველაპარაკები, — პალატიდან სწრაფად გაუჩინარდა. რამდენიმე წუთში ქალთან ერთად შემოვიდა, — სწორედ ეს ყმაწვილია. დიახ, იგი ჩემზე დიდებულ ექიმს გთავაზობთ, — ქირურგი გამართული ინგლისურით საუბრობდა.

— კი, მაგრამ ასეთი ვინ არის, სად მუშაობს? — იკითხა ქალმა.

— ეს ღმერთია, — ქართულად მიუგო ზურაბმა.

ინგლისელი მისკენ შებრუნდა, ხელ-ფეხგადაბინტულ და თავშეხვეულ ვაჟს დამცინავად მიმართა:

— მე რომელიმე ჩამორჩენილი სახელმწიფოდან კი არ ვარ! — ხმაში აღშფოთებაც შეერია, — ღმერთის მოლოდინში რომ ვყოფილიყავი, ჩემს ქვეყანაში დავრჩებოდი და მსოფლიოში ცნობილ პროფესორთან, ბატონ სოსოსთან ამ სიშორეზე არ ჩამოვიდოდი. მე მინდა მიშველოს ადამიანმა, მეცნიერებამ, ბოლოს და ბოლოს, ოცდამეერთე საუკუნეა და თქვენ ღმერთთან მიშვებთ?! — ინგლისურ ენაზე შეუტია ქალმა.

— ქალბატონო სუზან, მე ჩემი მონასტრის წინამძღვარს ვთხოვ და ელიზს აქვე, პალატაში, მართლმადიდებლურად მონათლავს. შედეგს დაელოდეთ, რატომ ჯიუტობთ? — ვაჟი ქართულად დამაჯერებლად და მშვიდად მეტყველებდა.

— ისე, — ჩაფიქრდა ინგლისელი, — რაც მე საქართველოში ვარ, თარჯიმნის გარეშე ქართული საუბარი პირველად გავიგე, ქართული არასოდეს მისწავლია, მაგრამ ყველაფერი მშვენივრად მესმის...

ზურაბს ჩაეღიმა:

— სხვათა შორის, სკოლაში ინგლისურში მუდამ ორიანი მყავდა და თქვენი ენა საერთოდ არ ვიცი, მაგრამ, რასაც მელაპარაკებით, კარგად ვიგებ...

— როგორ? — იკითხა ქალმა.

— აი, თქვენ ღმერთისგან რომ არაფერს ელით, სწორედ მისი მეშვეობით ვუგებთ მე და თქვენ ერთმანეთს.

ქალმა პროფესორს გადახედა:

— ეს ვაჟი მართალს მელაპარაკება, — ინგლისურად მიმართა.

— ვცადოთ, ნათლობა ხელს არაფერში გვიშლის, — სოსომ ინგლისურადვე უპასუხა და იქაურობა სუზანთან ერთად დატოვა.

პაატა ადგილზე გაქვავებული იდგა, გონს ძლივს მოვიდა, პირჯვარი გადაიწერა:

— ზურაბ, სასწაულებს ჩადიხარ. მთელი საავადმყოფო შენზე ლაპარაკობს.

— დიდება უფალს, — ვაჟმა გაუღიმა, — ბატონო პაატა, მე კარგად ვარ, ნუღარ წუხდებით, წაბრძანდით და მამა პორფირეც გაიყოლეთ. პროფესორი მორიგეა და, თუ რამე დამჭირდება, მომხედავს. თან ძალიან გადავიღალე, მირჩევნია, დავიძინო.

— კარგი, ეგრე იყოს, ჩვენ წავალთ. აბა, შენ იცი.

— მამაო, იღუმენს სთხოვე, დილით, წირვის შემდეგ, ელიზი მონათლოს.

— აუცილებლად, ზურაბ, — ბერი საწოლთან დაიხარა, ვაჟს მხარზე ემთხვია და პაატას უკან გაჰყვა.

ზურაბს განვლილმა დღემ, გადატანილმა ემოციებმა ღრმა ძილი მოგვარა. მთელი ღამე გათიშულს ეძინა. დილის შვიდი საათი იქნებოდა, რომ მობილურის გაუთავებელმა ზარმა გამოაღვიძა. ვაჟი ტუმბოზე დადებულ ტელეფონს გადასწვდა, ნომერს დახედა:

— გელა, გამარჯობა. გისმენ.

— წმინდანო, ხომ მშვიდობაა, დღეს არ გილოცია?

— არა, გუშინ ოპერაცია გავიკეთე და მეძინა.

— რისი ოპერაცია, თავის?

— ჰო, ის ზედმეტობა მომიწვეს.

— ახლა როგორ ხარ?

— კარგად, გელა.

— ბიჭო, შემეშინდა, ლოგინში ვწრიალებდი, ველოდებოდი, როდის წამომაგდებდი. როდესაც ვერ აღგიქვი, ველარ გავ-ძელი და დაგირეკე.

— კარგი ქენი. ხომ ხედავ, ერთმანეთზე როგორ ვართ გადა-ჯაჭვულები.

— მონასტრული ცხოვრება როგორ მიდის?

— ღვთის მადლით ყველაფერი წესრიგშია, ნიკოლოზობას საბერე მორჩილად მაკურთხებენ და კაბას ჩავიცვამ.

— ვაა, კაბაში ვერ წარმომიდგენიხარ, — ჩაეცინა გელას, — ზური, ბებიაჩემი როგორ არის?

— გუშინ ჩემებმა მინახულეს და მითხრეს, კარგად არისო, ცოტა წნევა აწუხებს, სხვა არაფერი უჭირს. სწავლა-განათლე-ბას ეჭიდავები?

— ამდენ ჭიდაობაში მაგრა დავიკუნთე. მიდის რა, ხან ისე, ხან ასე. ქვეყნის ცხოვრების დონით ვარ დაშოკილი. ჩვენთან თუ არსებობ, ესე იგი, ცხოვრობ, აქ კი, მათხოვარი რომ მათხ-ოვარია, ისიც ხოშიანად გრძნობს თავს. სახელმწიფო თავის ყოველ მოქალაქეზე ზრუნავს, არავის შია, არავის სწყურია. ხალხი, ჩვენგან განსხვავებით, სხვა სივრცეშია...

— იქ, სადაც უფალს არ ემსახურებიან, ჭამა-სმა და ეგ სხვა სივრცე ეშმაკისაა. შენი ამერიკა საერთოდ არ მხიბლავს იმი-ტომ, რომ ჭეშმარიტებას არ ემსახურება...

— ეეე, დაიწყე?!

— მოიცადე, ნუ მაწყვეტინებ! შეიძლება მდიდარი იყო, მა-გრამ მთავარი, სიყვარული არ გაგაჩნდეს და ჩათვალე, რომ რობოტი ხარ — ყველაფერი გაქვს და მაინც უღატაკესს წარ-მოადგენ, ვინაიდან ბოროტი გმართავს. სიყვარული — ეს უფა-ლია და უფლის გარეშე ადამიანის სული ჯოჯოხეთისთვის არის განწირული. ასე რომ, ჩემო ძმაო, ჯოჯოხეთის მოციქულებით ნუ იხიბლები, მიწაზე დაეშვი და ჭეშმარიტებას ეზიარე!

— მორჩი?! — გელამ ხმას აუწია.

— მოვრჩი, — ზურაბი, როგორც ყოველთვის, მშვიდი იყო.

— ისე ნუ იზამ, რომ აღარ დაგირეკო, ძმურად, ნუ შემიკიკინე...

— შენი დარეკვა-დაურეკაობა არაფერს ცვლის. მთავარია, შენმა სულმა ჩემი ლოცვა მიიღოს, გამხნევდეს და იგრძნოს, რომ ბოლომდე განწირული არ არის. გაიგე?!

— მოკლედ, ვერსად დაგემალები. კარგი, ანგელოზო, გამოჯანმრთელებას გისურვებ. ახლა დავწვები და გამოვიძინებ.

— ღამე მშვიდობისა, კათაკმეველო, — ზურაბმა მობილური გათიშა და ტუმბოზე დადო. საწოლიდან ადგა, პალატაში აღმოსავლეთის ფანჯარასთან მივიდა, წიგნი გადაშალა და ლოცვას შეუდგა. როდესაც დაამთავრა, საწოლზე ჩამოჯდა და მარჯვენაზე ბინტი მოიხსნა, სტიგმას დააკვირდა. მაჯაზე იმსიღრმე ჭრილობა, უფრო სწორად, ნახვრეტი ჰქონდა, რომ თვითონაც გაუკვირდა. წიგნში ღვთისმშობლის დაუჯდომელი მონახა, წამოდგა და ისევ ფანჯარას მიუახლოვდა. ლოცვის კითხვისას გრძნობდა, რომ სამყარო, რომელშიც იმყოფებოდა, სრულიად განსხვავებული, გაცილებით დიდი და სუფთა სივრცის შემადგენელი ნაწილი ხდებოდა, ხოლო თავად უდიდესი მადლის გადმოსვლას აღიქვამდა. ის იყო, დაუჯდომელი დაამთავრა, კარზე დაუკაკუნეს. მის სანახავად პროფესორი შემოვიდა, მდგომარეობა გამოკითხა და საოპერაციოში გადახვევაზე გაიყვანა.

სავარძელზე დასვა. თხემი სახვევებისგან გაუნთავისუფლა, ჭრილობა დაკვირვებით დაათვალიერა:

— კარგია, — კმაყოფილმა ჩაილაპარაკა, — მაჯა რატომ გაიხსენი?

— ბატონო სოსო, მაინტერესებდა, სტიგმა როგორია და იმიტომ.

— ზურა, კაცი სამედიცინო სფეროში დავბერდი და ასეთი სასწაული, რაც გუშინ ვნახე, ვინმეს რომ მოეყოლა, არ დავიჯერებდი. შენ თუ ელიზი უოპერაციოდ გადაარჩინე, მე ხმამაღლა ვიტყვი, რომ თანამედროვე მედიცინა არაფერს წარმოადგენს.

— ბატონო სოსო, ყველაფერი უფლის ხელშია. მაგ გოგონას მე კი არა, ღვთის ნება მოარჩენს.

— როგორ გაუმართლა ელიზს, რომ შემთხვევით მისი პალატის გვერდით აღმოჩნდი, — პროფესორმა თავის გადაბინტვა დაიწყო.

— ჰმ, — ჩაეცინა ზურაბს, — იცით, ქვეყნად შემთხვევითობა რომ არსებობდეს, მაშინ ღმერთი არ იარსებებდა. ჩვენი სიცოცხლის თითოეული დღე, თითოეული წამი მხოლოდ მის ნებაზეა დამოკიდებული. დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ ნათლობის შემდეგ ბავშვი სრულიად გამოჯანმრთელდება. მონასტერში იქამდე არ წავალ, სანამ ელიზის ანალიზის პასუხს არ გავიგებ.

— შუადღისას ყველაფერი გვეცოდინება, — ქირურგმა ოთხივე სტიგმა დაათვალიერა, ბინტით გადაუხვია, — ყველაფერი კარგად მიდის, — კმაყოფილმა ჩაილაპარაკა და წამოდგა, — ზური, პალატაში დაბრუნდი და მსუბუქად ისაუზმე, — კარებამდე მიაცილა.

ცოტა ხანში მის სანახავად ოჯახის წევრები მოვიდნენ, იღუმენი და პაატაც ესტუმრნენ. მიქაელმა ვაჟი დალოცა:

— ზურაბ, ის გოგონა გვერდით პალატაშია?

— დიახ, ხელმარჯვნივ, — თავი დაუქნია ვაჟმა, — ელიზის ნათლია მე რომ ვიყო, შეიძლება?

— როგორ არა, — დაეთანხმა წინამძღვარი, მუხლებზე დადებული ჩანთა გახსნა, — პატარა გოგონას ჯვარი წამოვუღე, — ვაჟს გაუწოდა.

— კარგია, მამაო, — ზურაბს ესიამოვნა, — ელიზი ბარბარედ მოვნათლოთ, — საწოლიდან წამოდგა.

— მეც ასე ვფიქრობდი, — დაეთანხმა მიქაელი.

ნათლობას პაატა, სოსო და ელიზის დედა, სუზანი დაესწრნენ. ლოგინს მიჯაჭვული, მისავათებული გოგონა მირონის ცხების შემდეგ ერთბაშად გამოცოცხლდა, ფერი დაუბრუნდა, თვალში სიცოცხლის სხივი ჩაუდგა და, როდესაც ზურაბმა ჯვარი დაკიდა, საწოლიდან წამოდგომაც მოინდომა.

— ბავშვი არ ააყენოთ, მე ლაბორანტს ჩამოვიყვან, — პროფესორმა განკარგულება გასცა და პალატიდან სირბილით გავიდა.

სუზანი ქალიშვილს საწოლზე ჩამოუჯდა, მკერდში ჩაიკრა. ქალს სიხარულის ცრემლი სდიოდა:

— უღრმესი მადლობა, — გაღიმებულმა ინგლისურად მიმართა ზურაბს.

— მადლობა უფალს! — ვაჟმა პირჯვარი გადაიწერა, დაიხარა და ნათლულს ლოყაზე ეამბორა, — ინგლისიდან ელიზი ჩამოგვიხვედი, აქედან კი ბარბარეს გაგიშვებთ, — თავზე ხელი გადაუსვა.

— მეუღლეს ველაპარაკე და მითხრა, რომ ელიზს თუ ეშველება...

— ელიზს არა, ბარბარეს, — შეუსწორა ზურაბმა.

— დიახ, ბარბარეს თუ ეშველა, მთელი ოჯახი მზად ვართ, მართლმადიდებლურად მოვინათლოთ.

— ამას რა ჯობს, — გაუღიმა ზურაბმა.

პალატაში პროფესორი ლაბორანტთან ერთად დაბრუნდა:

— დიდი ბოდიში, გთხოვთ დაგვტოვოთ, გოგონას ანალიზები უნდა ავუღოთ, — ყველას გასაგონად წარმოთქვა და პაციენტს მიუახლოვდა.

ერთსაათიანი ლოდინის შემდეგ სახეგაბადრული ქირურგი ზურაბის პალატაში შემოვარდა:

— ამ პასუხებით გოგონას აღარაფერი სჭირს, — მაღლააღმართულ მარჯვენაში ფურცელს აფრიალებდა, — მე დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ თანამედროვე მედიცინა არაფერს წარმოადგენს!

— შეიძლება, მონასტერში დავბრუნდე? — იკითხა ზურაბმა.

— რასაკვირველია, ოღონდაც რამდენიმე დღეში ჭრილობა კიდევ უნდა მანახო.

— გაიოზოვიჩ, მაგ საქმეს მე მივხედავ, — საუბარში პაატა ჩაერთო.

ორ დღეში, ნიკოლოზობას, ზურაბი საბერე მორჩილად აკურთხეს, კაბა ჩააცვეს და სახელი ზენონი უბოძეს. პატარა

ბარბარე საავადმყოფოდან მალევე გაწერეს. მისი ოჯახის უკლებლივ ყველა წევრი საქართველოში ჩამოვიდა და მართლ-მადიდებლურად მოინათლა.

ზურაბის მიერ ჩადენილი სასწაულების შესახებ რას არ ყვებოდნენ. მონასტრის კარიბჭესთან გაუთავებელი რიგები იდგა. ვაჟი შეძლებისდაგვარად ყველას ხვდებოდა, უსმენდა, ლოცვებს აღავლენდა და არნახულ შედეგებს იმკიდა.

შობა თენდებოდა. მონასტერში საშობაო წირვა მიმდინარეობდა, როდესაც ზურაბს მამამისმა დაურეკა. ვაჟი ტაძრიდან გამოვიდა:

— გისმენ, მამა.

— შვილო, ელისო გარდაიცვალა, — მშობელმა შეწუხებულმა აუწყა.

— აუჰ, — შეიცხადა ზურაბმა, — უფალმა მისი სული ნათელში ამყოფოს. მამა, ხომ იცი, ელისოს მანდ არავინ ჰყავს. გთხოვ, ითავე და ყველაფერს ისე მიხედე, როგორც წესი და რიგია. დილით იღუმენს ვეტყვი, ჩამოვალთ და ცხონებულს წესს აუგებს.

— კარგი, შვილო, გელოდებით, — დაემშვიდობა მშობელი.

გელამ ბებიის გარდაცვალება როცა შეიტყო, პატარა ბავშვივით აქვითინდა. ძალიან წუხდა, რომ საქართველოში არ იმყოფებოდა. ზურაბის მამას საჭირო თანხა გამოუგზავნა, რათა სამგლოვიარო ცერემონია ღირსეულად ჩაეტარებინა. ელისო ყოველგვარი წესის დაცვით, მეუღლის გვერდით დაკრძალეს.

ორმოცის გასვლის შემდეგ გელას კარ-მიდამოს, მისივე მინდობილობის საფუძველზე და დამტკიცებული პროექტით, რომელიღაცა სამშენებლო კომპანიის მესვეურები მიადგნენ და მამა-პაპისეული სახლის დემონტაჟს შეუდგნენ. ტერიტორია გაასუფთავეს, ავეჯი და სხვადასხვა საოჯახო ნივთი სადღაც გააქრეს და ახალი სახლის ფუნდამენტის ქვაბულის გათხრა იწყეს...

X

— შვილო ჩემო, დიდება შენს დაბრუნებას, — აეროპორტის მოსაცდელში სანა შეეგება.

— გამარჯობა, როგორ ბრძანდებით? — გაუღიმა ვაჟმა.

— გიხდება ამერიკული იერი, — ქალმა დაკვირვებით შეათვალიერა, — მგზავრობამ ხომ არ გადაგღალა?

— მგზავრობამ არა, უბრალოდ ისეთი ქვეყანა დავტოვე, ფეხები უკან მრჩებოდა. სამაგიეროდ, დიდი სკოლა გავიარე, შემიძლია ვთქვა, რომ კბილებამდე ვარ შეიარაღებული. ჩვენს საქმეს წინ ვერაფერი აღუდგება, — ვაჟი თავდაჯერებული ლაპარაკობდა.

— ვიცი, შვილო, ვიცი. შენით იქაც უზომოდ კმაყოფილები არიან, — სანამ გაუღიმა, — ბარგს გამოიტანენ თუ არა, წავედით. ჯერ კლუბში მივიდეთ, სალაპარაკო მაქვს, მერე აზრზე მოსასვლელად ორი დღე დაგასვენებ, რათა საქმეში ჩაერთო, — ქალმა ხელკავი გაუკეთა და გარეთ გავიდნენ, შავი ფერის „ბე.ემ.ვეს“. ჯიპს მიუახლოვდნენ, — მოგწონს?

— ძალიან, — გელამ გახარებულმა მიუგო.

— ახალთახალია, მოიხმარე და ისიამოვნე, — სანამ პულტით კარები გახსნა, მძღოლის კარი გამოუღო, — დაჯექი, შვილო ჩემო, — გასაღებების ასხმა მიაწოდა, თვითონ მანქანას მოუარა და გვერდით მიუჯდა.

— ამდენი გასაღები რისია?

სანამ გამოართვა:

— ეს შენი კაბინეტისაა, ეს ბაგების ბინისაა, ხოლო ესენი კოჯრის. ისეთი ვილა წამოგიჭიმეთ, გადაირევი.

— დიდი მადლობა, — ვაჟს ესიამოვნა, შეკვრა გამოართვა და გვერდით დაიდო, — მაინტერესებს, საქმე როგორ მიდის?

— საქმე? — ჩაეცინა სანას, — საქმე იმდენად საათივით აეწყო, რომ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. სიტუაციას მთლიანად ჩვენ ვმართავთ. ნათლობებს ვეღარ ავუდივართ, იძულებულები გავხდით, კლუბის ფილიალები ყველა უბანში გაგვეხსნა. ასევე საქართველოს დიდ ქალაქებშიც თითო-თითო

კლუბი დავაფუძნეთ. ჩვენთან, სოლოლაკში, ტევა აღარ არის, ნემსს ვერ ჩააგდებ. მოდიან, ინათლებიან და ჩვენს მიერ მართულთა არმიაში წევრიანდებიან...

ამ დროს მტვირთავებმა გელას ბარგი მანქანასთან მოიტანეს. ვაჟი გადავიდა, საბარგული გაუხსნა და ყველაფერი დააბინავა. მეკურტნეები ათ-ათი დოლარით დაასაჩუქრა და ისევ საჭესთან დაბრუნდა.

ცოტა ხანში ორივენი ასათიანის ქუჩაზე „როკკლუბში“ შევიდნენ. მათი შესვლისთანავე მუსიკა შეწყდა, დარბაზში მოფუთფუთე ხალხი გახევდა, შუაზე გაიყვნენ, დერეფანი შექმნეს და თავჩაქინდრულებმა სანა და გელა გაატარეს. ვიდრე კაბინეტში შევიდოდნენ, ვაჟს დაუძახეს.

გელამ მიიხედა:

— ეკა?! — გაოცებულმა თვალებს არ დაუჯერა. წამიერი პაუზა ჩამოვარდა. მის წინ ნარკოტიკისგან გაბრუებული, თვალამღვრეული ქალი იდგა. ამ ერთ წელიწადში უფრო გაკოხტავებულიყო და ისე შემოსილიყო, რომ ქალური ღირსებები დახლზე გამოფენილი საქონელივით მოუჩანდა. გრძელ, გამოყვანილ ფეხებს მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი უმშვენებდა, ჯინსის მოკლე, შემოწუთხული შორტიდან ხორცსავსე უკანალი მიმზიდველად გამოიყურებოდა. შავი ბრეტელებიანი მაისური მკერდს სანახევროდ უფარავდა. ჯვარი აღარ ეკიდა, სამაგიეროდ, გულს გელას ნაჩუქარი პეპელა უმშვენებდა.

— როგორ მომენატრე! — ეკა მასას გამოეყო და ვაჟს ჩაეკრა.

— მეც, — გელამ ლოყაზე აკოცა, — ხომ არ გეჩქარება, ცოტა ხანს დამიცდი?

— ცოტა ხანს კი არა, თურმე მთელი ცხოვრება შენთვის მიცხოვრია. აქა ვარ, ჩემო სიცოცხლევ, გელოდები, — სახეზე მიეფერა.

— კარგი, მალე გავთავისუფლდები და ჩემთან წავიდეთ, — ვაჟმა ქალის ხელებისგან თავი დაიღწია და სანასთან ერთად ოთახში შევიდა.

სანამ მაგიდაზე დადებული კოლოფი გახსნა:

— ვიცი, იქაც არ გაკლდა, გინდა? მაგარი პარტიაა.

— კოკაზე და ქალზე უარს ვერასოდეს ვიტყვი, — ჩაიცინა ვაჟმა.

ნარკოტიკი ორივემ იყნოსა, შემდეგ სიგარეტი გააბოლეს.

— გელა, — სანამ მაგიდაზე დაწყობილი ნაბეჭდი ქაღალდების შეკვრა აიღო და გაუწოდა, — ზეგ საღამოს „რუსთავი 2“-ზე ტოქშოუში ხარ მიწვეული. აქ თვითმმართველობის კოდექსია რომელიც კარგად უნდა შეისწავლო და კბილებით უნდა დაიცვა. ხვალ გადაიკითხე, მოემზადე და ზეგ შენი პირველი სატელევიზიო ნათლობაც შედგება.

— ამ საკითხთან დაკავშირებით სპეციალური კურსი გამატარეს, ჩემთვის ყველაფერი ნათელია, მაგრამ არსებულ დოკუმენტს კარგად გავეცნობი და ზეგ შედეგსაც დავდებ. ერთი რაღაცა მინდა გკითხოთ.

— გისმენ.

— კახა როგორ არის?

— კახა? — სანას ირონიული ღიმილი დაედო, — კახა გალოთებულია, ლიას გაშორდა და თავისი ყოფილი მდივანი, მანანა ითხოვა. ეგ მანანა კი ყოველი ფეხის ნაბიჯზე რქებს ადგამს. რაც შეეხება ლიას, გამოჯანმრთელდა, მდგომარეობიდან გამოძვრა; აწყვეტილი ცხოვრობს, ფალიაშვილზე ჩვენი კლუბის მუდმივი სტუმარია, საკუთარ თავზე მეტად კოკა უყვარს. მარინა გახსოვს?

— როგორ არა, — შეიცხადა გელამ.

— მარინა ახლა ყველასია. ერთ-ერთ აბანოში მეძავობს და იცი, ყოველი აქტის დროს გონებით შენთან არის, ყველას შენ გადარებს და დღემდე შენი მსგავსი ვერ მოუნახავს. რაც შეეხება ნატოს, ქალი დავკარგეთ, მშობლებთან დაბრუნდა, სარწმუნოებას ემსახურება და ჭეშმარიტებამ ჩვენთვის მიუწვდომელი გახადა.

საბედნიეროდ, ნატოსნაირები ცოტანი არიან და გეომეტრის მსახურნი დღითი დღე მატულობენ. ფაქტობრივად ყველა, ვინც

შუისტია, ცნობიერად თუ ქვეცნობიერად ჩვენს საქმეს ემსახურება და თანდათანობით კედლის საშენ ქვად ყალიბდება.

ამ ქვეყანას დიდი მფარველი ჰყავს, სწორედ მისი წყალობით არის დღემდე რომ მოაღწია, მაგრამ რად გინდა?! — სანამ ჩაიქირქილა, — გეომეტრს უფრო მეტი ემსახურება, ვიდრე საწუთროში მათ მომყვანს. დიდი ხანია, რაც საქართველოში პანდორას ყუთი გაიხსნა, ამ შემთხვევაში ყუთში იმედიც კი აღარ დარჩა და ხელჩაქნეული, იმედგარდაცვლილი მთელი მასა პერსპექტივაში ჩვენი კუთვნილებაა. ასე რომ, ჩვენი საკეთებელი ვაკეთოთ, წინ დიდი გზა გვაქვს. გაიგე, შვილო ჩემო?!

— გასაგებია, — ვაჟმა თავი დაუქნია, — თქვენი ნებართვით დაგტოვებთ, — ფურცლების შეკვრა მაგიდიდან აიღო, წამოდგა და კაბინეტიდან გავიდა. დარბაზში ეკა ელოდა. ქალს ხელი გადახვია, კლუბიდან გაიყვანა და ორივემ მანქანას მიაშურა.

ოქტომბრის მშვიდი საღამო იდგა. შემოდგომა ძალას იკრებდა, კარგი მხატვარივით ფოთლებს აფერადებდა და გარდაუვალი დასასრულისკენ მიზარზეიმობდა.

წყვილმა მანქანა სახლის სარდაფში, სადგომზე დააყენა და ლიფტით მესამეზე ავიდნენ. ბინაში შევიდნენ თუ არა, ეკამ ჩანთა მოისროლა და ვაჟს კისერზე ჩამოეკონწიალა;

— როგორ მომენატრე... რაც გვერდით არ მყავხარ, ისე მგონია, თითქოს დავბერდი, უშენობით გამოვიფიტე და დავცარიელდი, რაღაც დაკარგულ ნივთად ვიქეცი, — ეჩურჩულებოდა და სახეზე ეფერებოდა.

— მეც მომენატრე, — მოკლედ მოუჭრა გელამ, მხრებში ჩაეჭიდა და განიზიდა, — ჩემს არყოფნაში სხვასთან ხომ არ ყოფილხარ? — გამომცდელად შეაცქერდა.

— იქ, კლუბში, ორგიებისას და ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ მყოფსაც მახსოვდი. ვინც მჟიმავდა, ყველა შენ იყავი, მაგრამ აი ისეთი, რჩეულებს როგორიც ეკადრება, არავინ იყო, შენი ფრჩხილის ღირსი ამქვეყნად არ მოიძებნება. ამას მე, ყოფილი პროფანი, ახლა უკვე პირველ გრადუსში აყვანილი ნათლული გეუბნები! — ქალმა გელას მკლავებიდან თავი

გაითავისუფლა, ნაბიჯი უკან გადადგა და მაისური გაიძრო. ორივე ძუძუ ჩაბღუჯა და გადაიწია, რათა მათ შუა ამოშანთული სხივმოსილი დელტა ეჩვენებინა, — აი, ჩემო რჩეულო, შემხედე და ჩემს სიმართლეში დარწმუნდი, — არაადამიანურად გადაიხარხარა და ვაჟის წინ მუხლებზე დაემხო, — მე შენი მხევალი ვარ, ჩემი სხეულიც იმ ხორცის ფარშის ერთი ნამცეცია, რომელიც გეომეტრს, სანასა და შენნაირ რჩეულებს გეკუთვნით. მე აღარა მაქვს ადამიანური ბედნიერება, სიყვარულიც შემომეფანტა, მე მხოლოდ და მხოლოდ თქვენი მონობა შემიძლია და ჩემი მიზანი მეორე გრადუსში ასვლაა, რის გამოც ყველაფრისთვის მზად ვარ...

— კარგი, აეთრიე! — მოულოდნელად იღრიალა ვაჟმა, ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო, მოუკიდა, — მონად ქცეული ძუკნა, ფარშის ნამცეცი ძუკნა, — ჩაიბუტბუტა და ფანჯარასთან მივიდა. — კიდეც დაღამებულა, — თავისთვის ჩაილაპარაკა. მუხლებზე დაცემული ქალისკენ შებრუნდა, — ფალიაშვილზე ჩვენი კლუბის ფილიალი სად არის, იცი?

— ვიცი, ვიცი, — ეკა მორჩილად, თვალებგაბრწყინებული შეჰყურებდა.

— კოკა გინდა?

— მინდა, კლუბში „ექსტაზის“ მეტი არაფერი აქვთ, დიდი ხანია კოკა არ გამისინჯავს, — ეკა არც წამომდგარა, ჟურნალების მაგიდამდე მუხლებზე დამდგარი მიჩოჩდა.

გელამ ნარკოტიკი ამოიღო, დივანზე ჩამოჯდა. მაგიდაზე გაამზადა:

— მოდი, ძუკნავ, იყნოსე!

ქალმა ახლოს მიიწია, თავი დახარა და კოკაინი ხამად ჩაისუნთქა. სიამოვნებისგან ნოხზე გადაგორდა.

— ეი, ასე დიდხანს უნდა ეგდო?! — შეჰყვირა ვაჟმა.

ეკა გონს მოეგო, ხელები დაიხმარა და მასპინძლის წინ მუხლმოდრეკილი ფინიასავით დადგა:

— გისმენ? — გელას ბრძანების მოლოდინში გახევებულიყო.

— გაიხადე ეგ შორტები!

— ახლავე, — მიუგო ეკამ, გაბრუებულმა გაჭირვებით გაიძრო და დედიშობილა წინ დაუდგა.

მასპინძელმა ქალი შეათვალიერა, შემდეგ საძინებელში გავიდა და შავი ლაბადით ხელში მობრუნდა:

— ეს შარშან გიყიდე, მაგრამ ჩუქება ვერ მოვასწარი. ახლა შიშველ ტანზე ამას ჩაიცმევ, ვაკის პარკის გავლით გადახვალ ფალიაშვილზე, კლუბში მონახავ ლიას და მომიყვან...

— არ ვიცნობ, გელა.

— მოიცადე, — ვაჟმა მობილური ამოიღო, ლიას ნომერი მონახა და დარეკა, — ლია, გამარჯობა, — გაიღიმა, — რამდენიმე საათია, რაც ჩამოვედი. გინდა? კარგი, რამდენიმე წუთში კლუბის წინ ქალი მოგაკითხავს და ჩემთან მოგიყვანს. როგორ იცნო? — ეკას გადახედა, — შავი ლაბადა აცვია, შიგნით დედიშობილაა და იცნობ. მანქანით ხარ? კარგი, დაელოდე და ორივენი მოცუნცულდით, — მობილური გათიშა. ქალს მიუბრუნდა, — აი, ავტოფარეხის პულტი, — გაუწოდა. — არსად გადაუხვიო. კლუბში გაქანდი და ლია აქ მომიყვანე, გაიგე?!

— ასე წავიდე? — ქალმა საყელო აიწია.

— შიგნიდან შიშველი იქნები, ამაში მეტი იდუმალებაა, თან ლიაც გიცნობს...

— გზაში ვიღაცამ არ გამჟიმოს...

— ერთით მეტი, ერთით ნაკლები, არაფერი მოგივა, — ჩაეცინა, — დროზე! — შეჰყვირა. ნარკოტიკისგან გონებაარეული და სახეზე მიტკლისფერდადებული ქალი კარებამდე მიაცილა. მობილურმა დაურეკა, ხაზზე სანა იყო, — სანა, გისმენთ.

— მარინაც ხომ არ მოგიყვანო? თუ აწყვეტაა, აწყვეტა იყოს, — ჩაისისინა ქალმა.

— სიამოვნებით, — ჩაეღიმა გელას, — სამივე ხორცს გემრიელად გავაფორმებ.

— კარგი, ერთ საათში შენთან იქნება, — სანამ მობილური გაუთიშა.

გელამ კოკა მაგიდაზე მოყარა, ბილიკები გააკეთა და ორივე ნესტოთი ჩაისუნთქა. ნარკოტიკმა თავისი ქნა, ვაჟი საზურგეს

მიესვენა, თვალები მილულა და სამყაროდან შეუცნობადში გადაინაცვლა:

— „რა მოსვლია ამ უბედურს, რას დამსგავსებია? როგორი ამაყი, თავდაჭერილი და სუფთა იყო, ახლა მონად ქცეული დედაკაცია, რაღაცა უსუსური და საცოდავი არსებაა...“ — ფიქრი კარზე ზარის ხმამ დაუფანტა, წამოდგა და ჰოლში გაფლატუნდა. ეკა სიცივისგან ძაგძაგებდა, ლია კი გაბადრული სახით იდგა.

— რა დააშავა ამ გოგომ, ასე რატომ გამოუშვი? — ლია ჩაეხუტა.

— არაფერი, უბრალოდ, ხომ უნდა გეცნო?

— ვაკის პარკში ვიღაცა ზანგებმა კინაღამ გამჟიმეს, — წაიწუწუნა ეკამ.

— აუჰ, კინაღამ დავიღუპეთ, — გადაიხარხარა გელამ, — დაიკიდე, რა! — ლიას მიუბრუნდა, — მომიყევი, როგორ ხარ, რას შვრები?

— შენ რაც ოჯახი დამინგრიე, ყოველგვარი ტვირთისგან გავთავისუფლდი. დიანა და გოგა მშობლებს გადავულოცე. დღე მძინავს, მთელ ღამეს კი კლუბში ვატარებ. მალე ჩემი ნათლობა იქნება, ხომ დამესწრები?

— აუცილებლად, — გელამ სიგარეტს მოუკიდა, — იყნოსებ?

— რატომ მეკითხები? — გაიოცა ქალმა.

— ეკა, მიდი, ჯაკუზი წყლით გაავსე, ჩაწექი და ლიაც შემოგიერთდება.

— ახლავე, — ეკამ ლაბადა გაიხადა, ფეხსაცმელები გაიძრო და აბაზანისკენ მორჩილად გატანტალდა.

ლია გელას მიუახლოვდა:

— რაც მე გადამხდა, ამად მიღირდა, — ხელი შარვლის უბეში წაავლო და მოუჭირა.

— ნელა, არ მომაძრო, — გაუღიმა ვაჟმა და ჩაეხუტა, — არაფერს ნანობ?

— ვნანობ არა ისა, გაუმარჯოს თავისუფლებას!

ლიამ ნარკოტიკი მიიღო და დივანზე მიწვა:

— შენთან ყოფნა მაგიჟებს. რა მაგარი ხარ, გელაკუნავ, ჩემო სიცოცხლევ. ამდენი ხანი რატომ მიმაგდე? სხვები მჯიჯგნიდნენ, მჯიჯგნიდნენ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ, მე ისევ შენი ვარ და მთელი ცხოვრება შენი ვიქნები. ვიდრე შემიძლია და ქალად ვვარგივარ, მხოლოდ შენ გეკუთვნი, — უაზროდ ბუტბუტებდა.

გელამ დაბალ ხმაზე როკი ჩართო, უაზროდ მობუტბუტე ლიას მიუახლოვდა:

— ჯაკუზი არ გინდა?

— როგორ არა, — გაჭირვებით წამოდგა, ტანსაცმელი იქვე მიყარა და აბაზანისკენ გაბანცალდა.

— პირსახოცებს მოგიტანთ, — მიაძახა მასპინძელმა. საძინებელში შევიდა, კარადიდან აბანოს ორი პირსახოცი გამოიღო. აბაზანაში შესულს, წყალქვეშა ჭავლის ქვეშ მონებივრე ქალები ერთმანეთზე ჩაკრული და ტუჩებით დაკონებული დაუხვდა. ერთურთს ეფერებოდნენ, ლოშნიდნენ, ვნებიანად კვნესოდნენ.

— არ შემოგვიერთდები? — ამოსძახა ლიამ.

— მალე მოვალ, — უპასუხა ვაჟმა და სამზარეულოში გავიდა. მაცივარი გამოხსნა, დარწმუნდა, რომ სასმელებითა და სურსათ-სანოვაგით სავსე იყო. ბედნიერმა ერთი ბოთლი შამპანური გამოიღო, გახსნა და ფუჟერში ჩამოისხა, — სანა, ყველაფრისთვის დიდი მადლობა, — სულმოუთქმელად გამოცალა. ზარი დარეკეს. გელა წამოდგა, კარს სწრაფად მიუახლოვდა, — მარინა? — ზედმეტად მიხატულ-მოხატული ქალი ძლივს იცნო.

— გელა, როგორ ხარ? — ქალმა ბინაში შემოაბიჯა, — ასე უნდა მიტოვება? ქალი ისე დამქოქე, რომ ვეღარ ვჩერდები, გავბოზდი.

— გეტყობა, — დაეთანხმა გელა, — მაგარი ნახმარი ხარ, მაგრამ ის ნაპერწკალი კიდევ შემორჩენილი გაქვს, — სამზარეულოში გაიყვანა.

— რა ბაითია?! მაგრა ცხოვრობ, — მარინა თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა და ყველაფერს ხამი მზერით ნთქავდა, — აქ რომ მომიყვანა, ის ქალი ვინ იყო?

— ჩემი ახლობელია, — გელამ მეორე ფუჟერი გამოიღო, — ხომ დალევ?

— სიამოვნებით, — დათანხმდა მარინა და მაგიდას მიუჯდა, — ქალი ვარო, იმან უნდა თქვას, ასეთი უნაკლო სილამაზე არ-სად მინახავს. ახლა მითხარი, სად დაიკარგე?

— შტატებიდან დღეს ჩამოვედი, — მშვიდად მიუგო გელამ და შამპანურიანი სასმისი მიაწოდა, — გენატრებოდი?

— გითხარი, რომ ისე დამქოქე-მეთქი, ქალი გავბოზდი, მა-გრამ შენი ბადალი ვერ ვიპოვე.

— მაგარი სამსახური გქონია, — ირონიულად გადაულაპარა-კა და ფუჟერი მიუჭახუნა, — გაგვიმარჯოს.

— გაგვიმარჯოს, — გაუღიმა ქალმა და შესვა.

— ნატო სად არის?

— თავისიანებთან, კასპში გადაბარგდა, საერთოდ აღარ გვეკონტაქტება.

— დაა, — თავი გააქნია გელამ. სტუმრისკენ მიიწია, საკინ-ძის ღილი გაუხსნა, — ჯვარი კიდევ გკიდია? — მკერდში ჩაკ-არგულ ჯვარზე მიუთითა.

— რა, არ უნდა მეკიდოს?

— ნება შენია, — მრავალმნიშვნელოვნად ჩაილაპარაკა ვა-ჟმა, — რისთვის ატარებ, ბოზობაში ხელი რომ მოგემართოს? — სიცილით იკითხა და შამპანური ჩამოასხა.

— იცი, ნატოსთან რომ მიხმარე, ჯვარი ძეწკვიანად მომხს-ნოდა და სულ დაღუნული იყო...

— მართლა? — გაიკვირვა გელამ, — გინდა, მაგარი რაღაც გაგასინჯო?

— რა?

— შტატებიდან ჩამოვიტანე, გაგისწორდება.

— კი, ბატონო, — მარინამ სასმელი მოსვა.

— ახლავე მოვალ, — მასპინძელი სამზარეულოდან გაუჩი-ნარდა, უკან პატარა ყუთით ხელში მობრუნდა.

ქალს მცირე დოზა გაასინჯა და ეფექტის მოლოდინში გაირინდა. მარინამ ერთი ამოიკვნესა და თავი მაგიდაზე ჩამოდო. სიამოვნებისგან უაზრო ლუღლუღი იწყო, ტანზე ხელებს იფათურებდა, საკუთარ სხეულს ეფერებოდა. რამდენიმე წუთში ეიფორიის პირველი ტალღა მიუნელდა, თავი კედელს მიაყრდნო და გელას თვალებში მინაჩამდგარი მზერით მიაჩერდა.

— მოგეწონა?

— ძალიან, — ამოიჩურჩულა.

— ტანსაცმელი გაიხადე, ეგ ჯვარი შეინახე და აბაზანაში ორი ქალი გელოდება, ჯაკუზში წვანან.

— მიყვარს ქალებთან თომარი, — მარინა წამოდგა, ყველაფერი გაიძრო, ჯვარი მოიხსნა, ჩანთაში შეინახა და მასპინძლის დახმარებით აბაზანაში შევიდა.

ლიამ და ეკამ ქალი უსიტყვოდ მიიღეს, სამივენი უპრობლემოდ მოთავსდნენ. გელამ სკამი აიღო, შორიახლოს ჩამოუჯდა და ერთმანეთში გადახლართულ, მოსლიკინე დედაკაცებს შეაჩერდა. ჯაკუზში გადაბლანდულ ქალებში შეუძლებელი იყო გაგერჩია ვისი ხელი სად იყო, ფეხი რომელს ეკუთვნოდა. ვნებათა ორომტრიალი წყალქვეშა ჭავლთან ერთად ბუყბუყებდა და ბუყბუყებდა, დუღდა და გადადუღდა, კვნესა და ვიში ბობოქრობდა აბაზანაში. ერთ საათში მასპინძელს მათი ყურება მობეზრდა, სამივენი წამოყარა და სასტუმრო ოთახში გარეკა...

ირიჟრაჟა. გელა სულის მოსათქმელად სამზარეულოში მარტო იჯდა და შამპანურს წრუპავდა:

— „ოხ, ზური, აქაც არ მასვენებ, როცა მეძინება, სწორედ მაშინ მაფორიაქებ,“ — გაიფიქრა და საათს შეხედა, შვიდი სრულდებოდა. წამოდგა, ბრძოლის ველად ქცეულ სასტუმრო ოთახში გავიდა. მარინა სავარძლის საზურგეზე იყო გადამხობილი და ეძინა, ლია დივანზე ლეშივით ეგდო და ხვრინავდა, ხოლო ეკას მუხლმოდრეკილს ჟურნალების მაგიდის წინ ჩასძინებოდა, თავი კოკაინის ყუთზე დაედო და ქანდაკებასავით გატრუნულიყო, — ერთი ამათ შეხედე, ხორცების გამოფენა მაქვს. დიდხანს უნდა გიყუროთ?! — წამოიყვირა.

პირველი მარინა შეტოკდა, გაჭირვებით გასწორდა:

— გელა, დანგრეული ვარ, — წაიკნავლა.

— რა ვიცი, გუშინ არაფერი გეტყობოდა, — მასპინძელმა თავი იმართლა, — ახლა ჩაიცვი, პრემიის სახით ეს ასდოლარიანი გამომართვი და იალაა, თავისუფალი ხარ, — ხალათის ჯიბიდან კუპიურა ამოიღო და გაუწოდა.

ქალმა პირი დაიბანა, შეიმოსა, სახე მოიწესრიგა:

— ჩემი ნომერი ხომ ჩაიწერე?

— კი.

— როცა დაგჭირდები, მზად ვარ, დამირეკე.

— კარგი, — დასთანხმდა გელა, ქალი დერეფანში გაიყვანა, — კარგად იყავი, — დაემშვიდობა, კარი მიხურა და უკან შემობრუნდა, — ერთი შენი დედაც! — გულჯავრიანად შეუკურთხა. ხმაურზე ლიასაც გაღვიძებოდა, დივანზე წამომჯდარიყო და თავი ხელებში მოექცია, — რა იყო, ცუდად ხომ არ ხარ? — გელა გვერდით მიუჯდა.

ქალმა სახე მოიფშვნიტა და ბედნიერმა შეხედა:

— კიდევ მინდა.

— მეც მინდა, — ეკას ხმაც გაისმა.

— რა გაუმაძღრობაა, — აღშფოთდა ვაჟი, — ქვეყანა საქმე მაქვს, მაცდენთ.

— უარს გვეუბნები? — ლიამ ტუჩები საყვარლად გააბუსუნა.

— ოჰ, თქვენი, — მასპინძელმა ორივენი წამოაყენა და საძინებელში გაიყვანა.

ორი საათის შემდეგ ქალები ემუდარებოდნენ, დაგვასვენეო. გელამ ჟინი დაიცხრო, საწოლზე გადაგორდა, გულაღმა დაწვა და სიგარეტი გააბოლა.

— შენ ადამიანი არ ხარ, მექანიზმი ხარ, — ლია საწოლიდან ადგა, — წავალ, შხაპს გადავივლებ და გავიქეცი, — პირსახოცი აიღო, მხარზე გადაიკიდა.

— ისე, შენს ასაკთან შედარებით, ტანი მაგარ ფორმაში გაქვს, — ქალს დაკვირვებით ათვალიერებდა გელა.

— ჩემი ტანი მივაკუზანოვე იმიტომ, რომ ჩემს გელაკუნას ყოველთვის მოვწონდე, — ჩუსტებში ფეხი გაუყარა და ოთახიდან გავიდა.

— მე რა ვქნა? — იკითხა ეკამ.

— სადმე გეჩქარება?

— მხევალს აღარსად ეჩქარება. როგორც მიბრძანებ, ისე მოვიქცევი, — თვალებში მორჩილად შეჰყურებდა.

— დედაშენს რას ეუბნები?

— აღარაფერს, ჩემზე ხელი ჩაიქნია, ჯანდაბამდე გზა გქონიაო, ჰოდა მეც ნელ-ნელა ჯანდაბისკენ მივემართები. — გაიღიმა და წამოდგა.

— კარგი, დარჩი, — დათანხმდა გელა, — აქაურობას მილაგება ხომ უნდა.

სამივემ ერთად ისაუზმა, შემდეგ მასპინძელმა ლია გააცილა, ავტოფარეხიდან მანქანა გააყვანინა და ბინაში დაბრუნდა.

— მე ახლა წყალს გადავივლებ, პირს გავიპარსავ და რამდენიმე საათით დაგტოვებ. ხომ არ მოიწყენ? — შეეკითხა სამზარეულოში მოფუსფუსე ეკას.

— არა, — ქალმა თავი გააქნია, — სანამ წახვალ, კოკა გამოიმეტე.

— აბაზანიდან რომ გამოვალ, მერე, — მიაძახა გელამ.

შხაპმა დაღლილობა მოუხსნა, შეორთქლილი სარკე გაწმინდა და სახე აიქაფა. საკუთარ ორეულს დააკვირდა. თვალებჩაწითლებული, მიტკლისფერდადებული შემოჰყურებდა მსგავსება მისი. თვალი აარიდა. თავი ასწია, რათა „ჯილეტის“ პირის საპარსი ყელზე ჩამოესვა. როგორც ახალ თოვლზე მარხილმა, სამართებელმა ისეთი კვალი დაუტოვა. სარკეში ანარეკლს სისხლი წასკდა. ხელი ინსტინქტურად ყელზე გაისვა დახედა. გაოცდა — თითები სუფთა ჰქონდა, არადა, სარკეზე რამდენიმე ადგილას წითელი, ბლანტი სითხე მოიღვენთებოდა. ეკას გასძახა.

— გისმენ, — ეკა აბაზანაში შემოვიდა.

— ყელზე დამაკვირდი, გაჭრილი მაქვს? — ქალს მიუახლოვდა და თავი აწია.

— არა.

— მაშინ ეს რა არის? — თითი სარკისკენ გაიშვირა, მაგრამ კვლავ გაოგნდა — სისხლის არანაირი კვალი აღარ ჩანდა. — ეტყობა, მომეჩვენა, — ჩაილაპარაკა, — მიდი, მიდი, საქმეს მიხედე! — ქალი მოიშორა და პარსვა განაგრძო. სამართებელი დაისვა და... სარკიდან ისევ სისხლი წამოვიდა, — ოხ, შენი! — შესძახა ვაჟმა, სუნამოს დიდი ფლაკონი ჩაბღუჯა და ორეულს მთელი ძალით ჩასცხო.

სარკის მტვრევის ხმაზე ეკა შემოვარდა:

— რა მოხდა? — მასპინძელს მივარდა.

— არაფერი, სარკე გასკდა, — შეცბუნებულმა მიუგო, შემდეგ თვალებით სკამს დაუწყო ძებნა, — სკამი შემოიტანე, დავჯდები და გამპარსე!

— ახლავე, — ქალმა სკამი მოიტანა და გვერდით დაუდო, — დაჯექი, — ხელი შეაშველა, — მომეცი ბრიტვა, — „ჯილეტი“ გამოართვა და საქმეს შეუდგა. მეორეჯერაც აუქაფა, სუფთად ჩამოპარსა, შემდეგ თბილი წყლით მობანა.

— კარგია, — ჩაილაპარაკა, სახე გაიმშრალა, კრემი წაისვა და სასტუმრო ოთახში გავიდნენ, — კოკა გინდა?

— იცი, მირჩევნია დალაგებას მოვრჩე და მერე.

— კარგი, ჯერჯერობით მეც თავს შევიკავებ.

ქალმა მტვერსასრუტი ჩართო.

ვაჟი კოსტიუმში გამოეწყო, სუნამო იპკურა:

— აბა, არ მოიწყინო, — ეკას ჩაეხუტა, აკოცა, — სულ მინდა, რაღაცა გითხრა.

— რა?

— ვიდრე ჩვენი ურთიერთობა სექსამდე დავიდოდა, მე მგონი მიყვარდი. შენი სიჯიუტე მშოკავდა და ლტოლვას მიასმაგებდა, მაგრამ, როგორც კი გაგჟიმე, გრძნობა გამინელდა, სადღაც გაქრა. ახლა კი შენი ეს უზომო მორჩილება ნერვებს მიშლის, თითქოს პიროვნება კი არა, რაღაც გასაბერი ქალი ხარ, რათა შენზე ვნებები დავცალო.

— რას იზამ? შენ რჩეული ხარ, მე პირველ გრადუსში აყვანილი ნათლული, შენი მხევალი. ეს გზა თავს ძალით არავის

მოუხვევია. აქამდე ჩვენი ნებით მოვედით. მე არაფერს ვნანობ, ბედნიერი ვარ.

— რა ვიცი? — გელამ თავისთვის ჩაიბურტყუნა, — ეკა, კოკა ბევრი არ იყნოსო, გაგარეკინებს.

— ვეცდები, — დაამშვიდა ქალმა და კარამდე მიაცილა.

გელა მანქანაში ჩაჯდა, დაქოქა. მექანიკურად უკანა ხედვის სარკეში ჩაიხედა. თვალები ისე ჰქონდა ჩასისხლიანებული, წითლად ანათებდა, სახეზე ფერი არ ედო, შეცბა. ხელი ჯიბისკენ გაექცა, მობილური ამოიღო და სანასთან დარეკა.

— გისმენ, შვილო ჩემო, — ცივი, წკრიალა ხმა მოესმა.

— მე მგონი, გავაფრინე. ეტყობა, კოკა ბევრი მომივიდა.

— ასე რამ დაგაფრთხო?

— სარკეში ჩახედვის მეშინია. სახეზე თითქოს თეთრი საღებავი მისვია, თვალებში წითელი ნათურები მიდგას და ანათებენ, თან ჩემს გამოსახულებას სისხლი სდის...

— ოოო, — ქალს ჩაეცინა, — ეგ მომენტი ყველამ გავიარეთ...

— რა მომენტი?

— ამ ეტაპზე სარკე ერთადერთი ნივთია, რომელიც ხმარებიდან უნდა ამოიღო...

— რატომ? — დაიბნა ვაჟი.

— შენში საკუთარმა სინდისმა გაიღვიძა, ხოლო სინდისი უფლის ხმაა, რომელიც რეალობას გამცნობს, იმას გეუბნება, რაც ხარ, ამიტომ სარკეში თავით ტკბობას დროებით მოეშვი. ტაძარში ყოფნა უფრო არ გაგიჭირდება, ვიდრე სარკეში ყურება. ეგ მომენტი გაივლის, მალე გადალახავ და ისევ ჩვეულ ფორმაში ჩადგები. ქალები, კოკა არ მოიკლო, თან საქმე აკეთე, რომელიც ჭეშმარიტებას ასამარებს და ტაძარს გვაშენებინებს. დღეს რა გეგმები გაქვს?

— ახლა ოფისში მივდივარ, თანამშრომლებს გავესაუბრები, შემდეგ კოჯორში სახლს ვნახავ, რაღაც წვრილმან საქმეებს მოვითავებ და ხვალინდელი დებატებისთვის მოვემზადები, კოდექსს გადავიკითხავ...

— კარგი, შვილო ჩემო. ოფისში თანაშემწედ მაგარი ცუგრუმელა დაგინიშნეთ, საღამოს შეგიძლია შენთან წაიყვანო, გაერ-

თობი. ეკა სახლში რომ დატოვე, კარგი ქენი, ცოტა ხანს წაიდ-იასახლისოს, თან მშვენიერი სათამაშო გყავს.

— სანა, ყველაფრისთვის დიდი მადლობა.

— გაიხარე, შვილო ჩემო, გკოცნი, — ქალმა მობილური გათიშა.

გელამ მანქანას უკანა ხედვის სარკე მოხსნა, ზურგსუკან სავარძელზე მოისროლა, გვერდითი სარკეები არც გაუშლია, წელში გასწორდა და მანქანა გარეთ ბღუილით გაიყვანა. ჭავ-ჭავაძეზე „ახალ დემოკრატ-ქრისტიანთა“ ახალგაზრდული ფრთის ცენტრალურ ოფისთან მივიდა, ჯიპი სადგომზე გააჩ-ერა და შენობაში შევიდა. დაცვა ისე შეეგება, როგორც ხელმძ-ღვანელს ეკადრება. ლიფტამდეც მიაცილეს. მესამეზე ავიდა, მისაღებთან სკამებზე ვიღაცები ისხდნენ, ერთმანეთს ესაუ-ბრებოდნენ. ვაჟმა ფეხს აუჩქარა, წინ ჩაუარა და კარს უკან გაუჩინარდა.

— გამარჯობა, ბატონო გელა, — ფეხზე წამოდგა ახალგაზ-რდა ქალი, — მე თქვენი მრჩეველი, დესი გახლავართ.

— სასიამოვნოა, — გელამ გაუღიმა, ჯიბიდან გასაღები ამ-ოიღო, კაბინეტის კარი გახსნა, — დესი, მოადგილეს სთხოვე, ერთ ნახევარ საათში შემოვიდეს! — გადაულაპარაკა და ოთახ-ში შეაბიჯა. პირველი, რაც გააკეთა, იქაურობას თვალი მოატ-არა. სამუშაო მაგიდა კედელთან იდგა, მაგიდის უკან ევროკავ-შირისა და საქართველოს დროშები გამოეფინათ, თავთან პრეზიდენტის სურათი ეკიდა. მარცხნივ კარადა-სეიფი იდგა. ვაჟი მიუახლოვდა, გასაღები მოარგო და ზედა განყოფილება გამოაღო. ორი თარო დოლარების შეკვრით იყო სავსე. მიხურა და ქვედა განყოფილებაში შეიხედა. თაროებზე საქაღალდეები და ფურცლები ეწყო, — მშვენიერია, — ჩაილაპარაკა. ტყავის შავი ფერის სამეულს გადახედა, ჟურნალების მაგიდაზე გაზეთები დაეწყოთ. — ძალიან კარგი, — ხელისგულები ერთ-მანეთს გაუსვ-გამოუსვა, საწერ მაგიდას მიუახლოვდა, მიუ-ჯდა, კომპიუტერი ჩართო და მრჩეველი იხმო.

— გისმენთ, ბატონო გელა, — კაბინეტში საქაღალდემომარ-ჯვებული, ქერათმიანი, აშკარად სლავური წარმოშობისა და გემოვნებით ჩაცმული ლამაზი ქალი შემოვიდა.

— „მაგარი ნაშაა,“ — გაიფიქრა ვაჟმა, — „სანა ამაზე მელაპარაკებოდა?“ — აზრი არ ჰქონდა დამთავრებული, რომ მრჩეველმა თავად უპასუხა.

— დიახ, ბატონო გელა, მე ის ცუგრუმელა ვარ, სანამ რომ გითხრათ. მესამე გრადუსში აყვანილი ნათლული გახლავართ.

— ამდენი როდის მოასწარი?

— ოცდაორი წლის წინ ვაშინგტონში დავიბადე. მამას დიდი მონდომებით თექვსმეტი წლისა პირველ და მეორე გრადუსში იქვე მოვინათლე, დანარჩენს აქ, საქართველოში მივაღწიე.

— კათოლიკე იყავი?

— დიახ.

— მამა რას წარმოადგენს?

— მამა თქვენს ქვეყანაში ამერიკის ელჩია.

— გასაგებია, — ვაჟმა სიგარეტს მოუკიდა, — ქართული ასე კარგად სად ისწავლე?

— თქვენ რჩეული ბრძანდებით და, შტატებში რომ ჩახვედით, ენას ერთ თვეში სრულად დაეუფლეთ, მე ცოტა გამიჭირდა, მაგრამ ექვს თვეში ენის ბარიერი აბსოლუტურად დავძლიე. თან ქართული გაცილებით რთული და ღონიერი ენაა, მაგრამ, როცა ტაძრის მშენებლობას ემსახურები, ვერანაირი სირთულე ხელს ვერ შეგიშლის.

— მართალი ხარ, — გელამ სიგარეტი ჩააქრო, — ჩემი მოადგილე ამდენ ხანს რას აკეთებს?

— მიღების დღე აქვს, ერთ ვიზიტორსაც გაუშვებს და ახლავე გეახლებათ.

— ჩემს არყოფნაში გენადი საქმეს როგორ უძღვებოდა?

— როდესაც ადამიანს მხარში ქალბატონი სანა უდგას, იმას რამე გაუჭირდება? ყველაფერი ისე მიდიოდა, როგორც ჩვენს პარტიას ეკადრება. ორ წელიწადში საპარლამენტო არჩევნებია, ჩვენი პარტიის მიმართ ხალხის ნდობა მეტ-ნაკლებად შერყეულია, ამიტომ ვცდილობთ, ყველა მთხოვნელ-მათხოვარს სურვილები შევუსრულოთ, რათა ელექტორატის ნდობა ისევ დავიბრუნოთ. გადასახადების შესამსუბუქებლად

ვაუჩერებსაც ვარიგებთ და მაქსიმალურად ვცდილობთ, ხალხი დავაბოლოთ. ახლა ის დრო დაგვიდგა, როდესაც სუბიექტურ ბრმათა ბრბოს აღვირი დროებით უნდა მივუშვათ, ცხოვრებისეული სიკეთეები საკენკივით დავუყაროთ, ხოლო არჩევნების შემდეგ სადავეები მოვჭიმოთ და, ისე ვიხმაროთ, როგორც გაგვიხარდება — რასაც ახლა გავცემთ, ერთი ასად უნდა ამოვიღოთ...

— ოჰო, შენ რა მომზადებული ყოფილხარ, — ჩაეღიმა გელას.

— დიახ, ბატონო გელა, ასეა. ხვალინდელი ეთერის შემდეგ სახელმწიფო დაცვა დაგენიშნებათ, ყოველი შემთხვევითობისგან დაცული უნდა იყოთ. დღეს რამდენიმე ვიზიტორი თქვენც მიიღეთ, ხალხზე მზრუნველის სახელი უნდა დაიმკვიდროთ, მათხოვარს სათხოვარი დაუკმაყოფილოთ, მისი ხმა წინასწარ იყიდოთ და ასე წვეთ-წვეთ ჯამი შეივსება, რომელიც არჩევნებზე ჩვენს სასიკეთოდ გადმოიღვრება.

კარი მოადგილემ შემოაღო.

— მოდი, გენო, — ხელით ანიშნა გელამ, — დესი, ყავა გაგვიკეთე! — ოთახიდან გასულ ქალს მიაძახა, — დაჯექი, — სავარძელზე მიუთითა, თვითონ დივანზე გადმოინაცვლა, — ახლა მომიყევი, სად რა პრობლემა გვაქვს და რომელ სფეროში გვჭირდება ხელის წაკვრა?

— ბატონო გელა, ჩვენი აქტივისტებით რაიონები დავხუნძლეთ, სიტუაციის გაჯანსაღებისთვის გამალებით ვმუშაობთ. ვაფინანსებთ, ვყიდულობთ, თითოეულ ამომრჩეველზე ვირჯებით.

— ვისაც ვერ გადმოვიბირებთ, რას მოვიმოქმედებთ?

— ჯერ ვცდილობთ, დავაშინოთ. თუ არ გამოგვივიდა, ციხეში ვუშვებთ. ადამიანი რომ გატეხო, დიდი განსაცდელი უნდა მოუვლინო. ზუსტად ვიცით, ვინ რითი სუნთქავს, და ასეთ სიტუაციაში მართვა ადვილია. ცოტათი გვიჭირს მეცნიერებისა და ხელოვანი ხალხის მოთვინიერება, მაგრამ მათ მორჯულებასაც ვახერხებთ. ზოგი დიპლომატიურ საქმეში ჩავრთეთ, ზოგს თანამდებობა ვუბოძეთ, ზოგს ვარსკვლავი

გავუხსენით, ზოგს დიდი პრემია ვარგუნეთ და ასე, ნელ-ნელა ჩვენს რელსებზე გადმოგვყავს.

— ყველას ასე ადვილად იმორჩილებთ?

— ურჩები მიქინძული გვყავს, გაჭირვებაში ღაფავენ სულს. ბევრი ქვეყნიდან წაეთრა, რუსეთში ან უცხოეთში გადაიხვეწა. ზოგიერთის შვილი ნარკოტიკისთვის ან უკანონო იარაღის გამო დავაკავეთ და საპროტესტოდ აღარ სცალიათ, ციხეების მისადგომებთან უღამდებათ და უთენდებათ. საპროცესო გარიგების თანხას კომუნისტების დროს მუქთად მიღებული ბინების დაგირავებით ვახდევინებთ და პერსპექტივაში ქუჩაში ვტოვებთ. ასე რომ, მათი განეიტრალების გზებიც მონახულია.

— ჩემო გენო, ერთი ეს მითხარი, სეიფში რომ ფულია, საიდანაა და რა დანიშნულებისაა?

დესიმ ყავა შემოიტანა:

— კონიაკს ხომ არ მიაყოლებთ? — ორივეს შეეკითხა.

— ას-ასი მოგვიტანე, — გელამ სიგარეტი გააბოლა, დაელოდა, სანამ მრჩეველი კონიაკს მოიტანდა და ოთახიდან გავიდოდა, — მითხარი, რა ფულია? — თავით სეიფისკენ ანიშნა.

— თითოეული ადამიანი ჩვენთან მიღებაზე იმიტომ მოდის, რომ რაღაცა თანხა წაგვცანცლოს, ამიტომ იძულებული ვართ, არჩევნებამდე ათი ხმის სანაცვლოდ ყაბულს ვიყოთ, ანუ ათ ხმას ვყიდულობთ. ვქმნით ბაზას, სადაც თითოეული ხმის სრული მონაცემი შეგვყავს და ასე ნელ-ნელა წინ მივიწევთ, — მოადგილემ კონიაკიანი ჭიქა მიუჭახუნა და მოსვა.

— ძალიან კარგი, მაგრამ სეიფი ფულით საიდან ივსება? — გელამ სასმელი გამოცალა და ყავა მიაყოლა.

— ჩვენს ოფისში სხვადასხვა ბანკებს ყოველ კვირას, ხელშეუხებლობის სანაცვლოდ, ასი ათასი დოლარი მოაქვთ. ორმოცდაათი ჩემს სეიფშია, ორმოცდაათი — თქვენთან. ამ ფულს ვარიგებთ და მომხრეთა არმიას ვზრდით, სამაგიეროდ, ბანკების საქმიანობაში ცხვირს არ ვყოფთ, სესხის პროცენტს თვითონ არეგულირებენ, სადაც სურთ, ინვესტიციას იქ ახორციელებენ. დღეს ბანკები უამრავ სხვა ბიზნესში აფათურე-

ბენ ხელს. ჩვენც თვალს ვხუჭავთ, გვჭირდებიან და რა ვქნათ, თორემ ბანკი და მშენებლობა, ბანკი და წარმოება, ბანკი და სავაჭრო სფერო მთელ მსოფლიოში ყოვლად მიუღებელია. ამ საქმეში მეგობარმა ქვეყნებმა მწვანე შუქი აგვინთეს.

— ეგ კარგი, გასაგებია, სასულიერო სფეროში რა ხდება?

— მანდ ცოტა რთულად გვაქვს საქმე, მაგრამ რაღაცას მაინც ვახერხებთ.

— რას?

— ახალგაზრდული ორგანიზაციიდან სხვადასხვა ტაძრებში სტიქაროსნები გვყავს შეგზავნილი, დაზუსტებულ ინფორმაციას გვაწვდიან. ბევრი მათგანი უკვე სასულიერო პირადაც ვაქციეთ და პატიოსნად გვემსახურებიან. მრევლის თითოეული წევრის აზრები და მიზნები ჩვენთვის ცნობილია და ადეკვატურად ვცემთ პასუხს. ასე რომ, ძნელად, მაგრამ ამ სფეროსაც მეტ-ნაკლებად ვაკონტროლებთ. აი, ასეა საქმე, ბატონო გელა, — მამაკაცმა ყავის ფინჯანი გამოცალა, — თუ აღარ გჭირდებით, გავალ, ხალხს მივხედავ.

— კარგი, გენო. დესის უთხარი, შემოვიდეს.

მრჩეველმა ჟურნალების მაგიდიდან ჭურჭელი წამოკრიფა და დივანზე მიწოლილ, ფეხი ფეხზე გადადებულ გელას, რომელიც გაზეთს ათვალიერებდა, შეეკითხა:

— ბატონო გელა, ვიზიტორს მიიღებთ?

— ვისთან მაქვს შეხვედრის ბედნიერება?

— ადრე იყო მოსული, მწერალი ვარო...

— მოვიდეს, — გაზეთი დაკეცა, იქვე მიაგდო და წამოდგა.

კარზე კაკუნი გაისმა.

— მობრძანდით, — გელა სტუმარს შეეგება.

ოთახში შუახნის მამაკაცი შემოვიდა. კეთილგანწყობის დასამტკიცებლად გაიღიმა და ჩაყვითლებული, გათითოკბილებული ღრძილები გამოაჩინა. გახეხილ-გაცრეცილი ჯინსის შარვალი ეცვა, ტანი ყელიანი, ჭრელი ჯემპრით შეემოსა. კისერზე ნაქსოვი შარფი რამდენჯერმე შემოეხვია, თავზე შავი

ბერეტი ეხურა, რომელსაც ხინკლის ფორმა უფრო ჰქონდა, ვიდრე ქუდის.

საქმიანი ნაბიჯით მიუახლოვდა გელას, ხელი ჩამოართვა და გაბადრულმა ღიმილმა უკბილო პირის ღრუ უფრო წარმოაჩინა:

— გოდერძი, — გაეცნო მოსული.

— დაბრძანდით, — სავარძელზე მიუთითა ვაჟმა და მამაკაცის მოპირდაპირედ, დივანზე დაიკავა ადგილი, — რაზედ შეწუხებულხართ? — ყურადღებად იქცა, სერიოზული გამომეტყველება მიიღო.

— ბატონო გელა, ოცი წელიწადია რომანზე ვმუშაობდი, ბოლოს და ბოლოს დავამთავრე...

— მართლა? გილოცავთ.

— დიახ, დავამთავრე და ახლა წიგნად მინდა გამოვცე.

— რას ამბობთ? — ბედნიერმა შეიცხადა, — თუ საიდუმლო არ არის, რა თემაზეა?

— იცით, ჩემი რომანი დოკუმენტურ მასალაზეა აგებული, დეტალურად შევისწავლე ქართველ წმინდანთა ცხოვრება, ჩავწვდი უმნიშვნელოვანეს ნიუანსებს და მთელი ნაწარმოები სულიერებას მივუძღვენი. აქაური მიწიერი ცხოვრება არის იმ ქვეყნად საკუთარი თავის დამკვიდრების საშუალება, დაბადებიდან გარდაცვალებამდე მიმდინარეობს ბრძოლა ბოროტსა და კეთილს შორის, ანუ ჩვენში ჩაბუდებულ ვნებებთან. მხოლოდ ის ადამიანი იმარჯვებს, ვინც საკუთარ თავს ძლევს, ვინც საკუთარ თავში ჩაბუდებულ „მინდას“ მოერევა. ვინაიდან თქვენ „ახალ დემოკრატ-ქრისტიანთა“ პარტიას წარმოადგენთ და სულიერების სადარაჯოზე იმყოფებით, ამიტომ მოგმართეთ...

— საინტერესოა, — გელამ ჩაილაპარაკა, — „ახლა ამის ბჟუტურს უსმინე,“ — სიგარეტს მოუკიდა, — ბატონო გოდერძი, წიგნის გამოსაცემად რამდენი გჭირდებათ?

— აი სტამბიდან წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვა, — მამაკაცმა საქაღალდე გახსნა და გელას ფურცელი გაუწოდა.

ვაჟმა დაკვირვებით გადაიკითხა:

— ოთხი ათას შვიდასი ლარი, — წარმოთქვა და გონებაში დოლარებში გადაიყვანა, — დაახლოებით ორი ათას რვაასი დოლარი გამოდის.

— დიახ, — მწერალმა თავი იმედიანად დაუქნია.

— ბატონო გოდერძი, მალე არჩევნებია და საარჩევნო კამპანიას რამხელა თანხა სჭირდება მოგეხსენებათ. მე სიამოვნებით დაგაფინანსებდით, მაგრამ... ამხელა თანხას უპირობოდ ვერ გავცემთ.

— ბატონო გელა, ამისთვის რა არის საჭირო?

ვაჟმა პაუზა ჩამოაგდო, ღრმად ამოისუნთქა:

— არჩევნებზე მინიმუმ ჩვენი თხუთმეტი მხარდამჭერი, თავიანთი პირადი ნომრებითა და მისამართებით. ამის შემდეგ დაფინანსებაც შედგება...

— მე ორი კვირის წინათ შევხვდი თქვენს მოადგილეს, მან ყველაფერში გამარკვია და თხუთმეტის ნაცვლად თვრამეტი ისეთი მხარდამჭერის მონაცამები მოგიტანეთ, წყალი არ გაუვა, — მამაკაცმა საქაღალდედან ფურცელი ამოიღო და ვაჟს მაგიდაზე დაუდო.

გელამ მრჩეველი იხმო:

— დესი, ეს მონაცემები შეამოწმე და ბაზაში შეიყვანე, — ქალს ფურცელი მიაწოდა.

— ბატონო გელა, წიგნის თავფურცელზე თქვენს პარტიას, როგორც ქრისტიანობის სადარაჯოზე მდგომ ორგანიზაციას, აუცილებლად მოვიხსენიებ, — განაგრძო გახარებულმა მწერალმა. — წიგნის გამოცემაში თქვენი უზარმაზარი წვლილის ხაზგასმა მცირე რეკლამასაც გაგიწევთ და მკითხველს „ახალ დემოკრატ-ქრისტიანთა“ მიმართ კეთილგანწყობით აღავსებს.

— მართალი ბრძანდებით, — დაეთანხმა ვაჟი, — წიგნი რამდენ ხანში იქნება?

— დაახლოებით ერთ თვეში. პრეზენტაციაზე აუცილებლად დაგპატიჟებთ, წიგნის დაბადება ტელევიზიითაც გაშუქდება. პრეზენტაციაზე ხომ მობრძანდებით?

— ვეცდები, ბატონო გოდერძი, — გელამ გაუღიმა.

კაბინეტში დესი შემოვიდა:

— მონაცემები შევამოწმე და ორი ადამიანი ბაზაში უკვე გვყავდა დაფიქსირებული, მაგრამ მაინც საკმარისია, თექვსმეტი მომხრე შემოგვემატა.

გელა სეიფს მიუახლოვდა. ზედა კარი გამოხსნა, ასდოლარიანების შეკვრა აიღო და ორი ათას რვაასი გადათვალა:

— ბატონო გოდერძი, აქ წიგნისთვის განკუთვნილი თანხაა, — სათითაო კუპიურა მიუთვალა, — ამ ქაღალდზე ხელი მომიწერეთ, — ფურცელი წინ მიუცურა.

მამაკაცმა ჯიბიდან კალამი ამოიღო, ტექსტი გადაიკითხა და ხელი მოაწერა:

— უღრმესი მადლობა, — წამოდგა. ფული გულის ჯიბეში ჩაიდო, — ჩემი ოცწლიანი შრომა დაფასდა. ქართველი ერი ბევრს შეიტყობს ჩვენი წმინდანების შესახებ. ბატონო გელა, კიდევ ერთხელ გმადლობთ, უფალი გფარავდეთ, — კარისკენ გაემართა.

— „უფალი არა, ტოროლა," — ვაჟმა კარებამდე მიაცილა, — დესი, ერთი წუთით შემოდი, — მრჩეველს გადაულაპარაკა.

— დიახ.

— მე ამ მათხოვრების მიღება არ შემიძლია. კაცი გუშინ ჩამოვედი, ჭკუიდან გინდათ გადამიყვანოთ, თან ხვალ ასეთი სერიოზული ეთერი მაქვს. უსმინე ახლა ამათ ვედრებას! გენადი მშვენივრად მიხედავს, ფული სეიფშია, თუ დასჭირდება, აიღოს. საღამოს ექვსისთვის გამოგივლი და ჩემთან წავიდეთ, ეთერისთვის მოვემზადოთ.

— სიამოვნებით, ბატონო გელა, ექვსისთვის გელოდებით, — ქალმა გაუღიმა.

გელა დერეფანში გავიდა, კიბეს ფეხით ჩაუყვა, მანქანას მიაშურა, დაქოქა და გეზი კოჯრისკენ აიღო. რამდენიმე წუთში დაბის ცენტრში იყო. ბირჟაზე შეჩერდა:

— ბიჭებს გაუმარჯოს! — მანქანიდან გადავიდა და მამაკაცებში შეერია. აქეთ-იქიდან შეკითხვები დააყარეს, სად ხარ დაკარგული, რას საქმიანობო. გელას ბირჟაზე უაზრო დგომა მალე მობეზრდა, საათს დახედა, — კარგია თქვენ-

თან ყოფნა, მაგრამ უნდა წავიდე, ქვეყანა საქმე მაქვს, — იქ შეკრებილთა გასაგონად ჩაილაპარაკა, ხელი შარვლის ჯიბეში ჩაიცურა, ფული ამოიღო, — აი, ძმებო, სამასი დოლარი, ჩემს სახელზე ერთი კარგად იქეიფეთ, — გვერდით მდგომს ჯიბეში ჩაუცურა და მანქანას მიაშურა.

თავის სამოსახლოს მიადგა. ხის ღობე უზარმაზარი რკინაბეტონის კონსტრუქციებით შეეცვალათ. მანქანა ალაყაფის კარს მიაყენა, მობილურმა დაურეკა:

— სანა, გისმენთ.

— შვილო ჩემო, შენი ავტოფარეხის პულტით გააღე კარები და ეზოში ისე შედი, ყველაფერი დაათვალიერე და შთაბეჭდილებები გამიზიარე, გკოცნი, — დაემშვიდობა ქალი.

გელამ მანქანა ეზოში შეიყვანა და სახლს დაკვირვებით შეაცქერდა. მისი სახლის ადგილას სრულიად განსხვავებული, თანამედროვე არქიტექტურის ვილა იდგა. ტანში გააჟრჟოლა, სხეულში სიცივემ დაუარა, თავიც ასტკივდა. ვერ გარკვეულიყო, რა დაემართა. სახლის სილამაზით ტკბობას შეეშვა და თავი საჭეზე ჩამოდო. ვიღაცას ყურებში თითქოს საათი ჩაედოს, გაუთავებელი, მონოტონური წიკწიკი ესმოდა.

— რა ხდება, რა მომდის? — შემცბარმა იკითხა. წიკწიკის ხმა უფრო გაუძლიერდა, ბაგაბუგში გადაეზარდა. თავი აწია, სახლს შეხედა. გამოსახულება, რომელიც წესით უძრავი უნდა ყოფილიყო, რაღაც ამორფულ მასად ქცეულიყო და აქეთ-იქეთ ირხეოდა, — რა მომდის? — შეშინებულმა მანქანის კარი გააღო, გადავიდა. სიგარეტი ამოიღო, მოუკიდა. ზედიზედ რამდენჯერმე კვამლი მძლავრად ჩაისუნთქა, ოდნავ მოეშვა. სახლის კედლებმა რხევა შეწყვიტეს. ძალა მოიკრიბა, ნაბიჯი გადადგა და ბინაში შესასვლელი კარისკენ გაემართა. პანდუსის რამდენიმე საფეხური აიარა, კარები გახსნა, ფილტრამდე დაყვანილი სიგარეტი მოისროლა და შიგნით შეაბიჯა. ოთახების განლაგება, ავეჯი, საოჯახო ნივთები, ჭურჭელი და, საერთოდ, ყველაფერი შეცვლილი იყო. თავისი ოთახი მხოლოდ იმითი ამოიცნო, რომ კედელზე ლამაზ ჩარჩოში ჩასმული სამი

ასდოლარიანი კუპიურა შენიშნა. საწერ მაგიდაზე კომპიუტერის მონიტორის წინ მარკების ალბომი დალანდა, მიუახლოვდა, აიღო და გულში ჩაიკრა. თითქოს დიდი ხნის ნაცნობი ენახოს, — როგორ მომენატრე, — ჩასჩურჩულა. თვალზე ცრემლი მოაწვა. სკამი გამოიწია, ყელში გახირული ნერწყვი ძლივს ჩაყლაპა და ჩამოჯდა. იქაურობას თვალი მოატარა. უკმაყოფილომ თავი გაიქნია. ალბომი მაგიდაზე დადო, ოთახიდან გავიდა, ყოველი კუთხე-კუნჭული დაიარა და საშინლად აღშფოთებული ეზოში გაენთო. ვერაფრით ხვდებოდა, მისი ასეთი შინაგანი მდგომარეობა რას უნდა გამოეწვია, რატომ იყო ასეთი გულნაკლული. კიბის საფეხურზე ჩამოჯდა და ეზოს თვალი მოატარა. ცაცხვის ქვეშ, ძელსკამთან გაუქვავდა მზერა. ადგილიდან წამოხტა, თვალის დახამხამებაში მიირბინა, კიდეზე ჩამოჯდა და მთელი სხეულით ზედ გადაემხო, — რა ძვირფასი ყოფილხარ, — ხელები შემოხვია და მთელი ძალით ჩაეკრა. ისე ებუტბუტებოდა, ისე ეალერსებოდა, როგორც ცოცხალ არსებას. ფერებით გული იჯერა, წელში გასწორდა, ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, თვალი შეიმშრალა და მაშინღა მიხვდა, რომ ძელსკამი ერთადერთი ნივთი იყო, რომელიც მის ბავშვობასთან, სისხლით ნათესავებთან და ტკბილ მოგონებებთან ასოცირდებოდა. მთელ სამყაროში მიტოვებულად, ყველასგან მივიწყებულად და რაღაც განყენებულ, დამარტოხელებულ სუბიექტად იგრძნო თავი, რომელიც რაღაცა მიზნის მისაღწევ მექანიზმად ქცეულიყო. მას ყოველგვარი გრძნობები შემოფანტვოდა და მშრალ მოვალეობა-ფუნქციათა მატარებლად გარდაქმნილიყო, — ოხ, შენი! — წამოიძახა და მანქანასთან მიირბინა. მობილურმა დაურეკა, — სანა, გისმენთ, — აპარატი ყურზე მიიბჯინა.

— შვილო ჩემო, რატომ ხარ ასე ამღვრეული? — ქალის წკრიალა ხმაში დამცინავი ტონი იგრძნობოდა, — რამე არ მოგეწონა?

— არა, არა, — დაიბნა ვაჟი, — პირიქით, ყველაფერი ძალიან კარგია, მაგრამ ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს სხვის სახლში ვარ, თითქოს საკუთარი თავი დავკარგე და ვიღაცა სხვა ვარ...

საუბარი სანას გადახარხარებამ შეაწყვეტინა:

— შვილო ჩემო, სამწუხაროდ შენში იმ გრძნობამ გაიღვიძა, რომელიც ჩვენს საქმიანობას ხელს ყველაზე მეტად უშლის. ასეთ გულაჩუყებას ვერ შეგიქებ, სენტიმენტალიზმი მდაბიოთა სულის მასაზრდოებელია, რაც ჩვენთვის და ჩვენი მიზნებისთვის მიუღებელია. არავითარი ცხოვრებისეული ვნებები, განცდები, მხოლოდ და მხოლოდ საქმე, რომელიც ტაძარს აგვაშენებინებს. არაფერია, არც პირველი ხარ და არც უკანასკნელი, გაღვიძებული სინდისის ფაფხური უნდა ნაგავში მოისროლო და ჩვეულ ფორმაში ჩადგე. არ დაგავიწყდეს, შენ რჩეული ხარ და დიდ ფუნქციას ასრულებ! კოკა წამოღებული გაქვს?

— დიახ, მანქანაში მიდევს.

— მერე, იყნოსე, რას ელოდები, შვილო ჩემო! საღამოს დესისთან გავლა არ დაგავიწყდეს, გაგართობს.

— აუცილებლად, — გელამ მანქანის კარი გააღო, სავარძელში მოკალათდა.

— ხვალიდან დაცვაც გეყოლება. ვიდრე ასეთ მდგომარეობაში ხარ, შენი მარტო ყოფნა არ შეიძლება. გარეთ დაცვის ბიჭებთან ერთად იქნები, სამსახურში — დესი, სახლში — ეკა, შიგადაშიგ ლიაც გინახულებს, მეტი რა გინდა? — სანას ხმაში ირონიამ ისევ გაიჟღერა.

— არაფერი, არაფერი, — ვაჟმა თავი გააქნია, — გამივლის, აბა რას იზამს, ჩავდგები ფორმაში.

— გაიხარე, — მიუგო სანამ და ტელეფონი გათიშა.

გელამ მანქანა დაქოქა, ეზოდან გაიყვანა და გეზი კოჯრის სასაფლაოსკენ აიღო. მამამისისა და ბებია-ბაბუის საფლავებს მიადგა, ჩაიცუცქა, მიწას ხელი რამდენჯერმე გადაუსვა, ზომაზე მეტად ცივი ეჩვენა. ხელები დაიბერტყა, ლითონის სკამი მტვრისგან გაასუფთავა და ჩამოჯდა. მარმარილოს ქვას, რომელზეც სამივეს სურათი იყო დახატული, შეაცქერდა. რამდენიმე წუთს ასე დაყო, შეამცივნა, ხელი ჩაიქნია და წამოდგა. ფიქრში ჩაძირული მანქანას მიუახლოვდა, ჩაჯდა

და ღმუილით დაძრა. ზურაბის სახლს მიუახლოვდა, მამამისთან მეგობრის ადგილ-სამყოფელი გაარკვია და გეზი მონასტრისკენ აიღო.

XI

მონასტრის გარეთა ტერიტორია უამრავი ადამიანის თავყრილობად ქცეულიყო. მათ სხვადასხვა მიზეზი ჰქონდათ, ზოგი ავადმყოფი ახლობლის გამო მოსულიყო იქ, ზოგი მძიმესენშეყრილი თავად გახლდათ, ზოგს ცხოვრება აწეწვოდა და გამოსავალს ეძებდა, ზოგს პირადი მომავლის სწორად წარმართვა სურდა და ვინ მოთვლის ყველა იმ ბედუკუღმართობას, რამაც სხვადასხვა კუთხის ხალხი დარაზმა და მამა ზენონის სანახავად მოიყვანა. რაიონებიდან ჩამოსულები ძირითადად მანქანებში ცხოვრობდნენ, იქ ეძინათ, იქ ჭამდნენ და მხოლოდ რამდენიმედღიანი ლოდინის შემდეგ ახერხებდნენ ბერთან შეხვედრას.

ცხოვრებას მორგებულმა ადამიანებმა ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურა განავითარეს. რა არ იყიდებოდა აქ: ხაჭაპური თუ ლობიანი, ათასნაირი ბუტერბროდი, არც ცხელ-ცხელი კერძების ნაკლებობა იგრძნობოდა, წყალზე, ჩაისა და ყავაზე რომ არაფერი ვთქვათ. სააფთიაქო ჯიხურებიც გაიხსნა. წირვა-ლოცვისას ტაძარში ხალხის ტევა არ იყო, ამიტომ მონასტრის წინამძღვრის, მამა მიქაელის თაოსნობით, ღობეზე და ეკლესიის ირგვლივ უამრავი დინამიკი დაამაგრეს, რათა მომლოცველებს წირვა-ლოცვა მოესმინათ.

ზურაბის იერარქიული წინსვლა პატრიარქის ლოცვა-კურთხევით სწრაფად ხორციელდებოდა. საბერე მორჩილი რამდენიმე თვეში ბერად აღკვეცეს, ხოლო ოქტომბრის დასაწყისში ბერდიაკვნის ხარისხშიც აიყვანეს. მამა ზენონი ყველა გაჭირვებულისა და ავადმყოფის მეოხი იყო. მასთან მარტო საქართ-

ველოდან კი არა, საიდან აღარ ჩამოდიოდნენ. ახალგაზრდა ბერი ძალ-ღონეს არ იშურებდა, რათა ადამიანებსა და უფალს შორის ხიდი ყოფილიყო. უამრავი არამართლმადიდებელი მონათლა და სწორ გზას აზიარა. მართალია, თვითონ არსად ჩნდებოდა, მონასტრის ტერიტორიას იშვიათად ტოვებდა, მაგრამ მისი სასწაულების შესახებ ტელევიზია და პრესა გამუდმებით ყვებოდა და თავისდაუნებურად რეკლამას უწევდა, რაც მონასტერში მომსვლელთა რიცხვს დღითი დღე ზრდიდა.

ჭიშკართან ახალგაზრდა ქალი ბოლთას ცემდა, შეჯგუფულ ადამიანთა შორის წინ და უკან ნერვულად მიმოდიოდა. მიტკლისფერ სახეზე შინაგანი ტკივილი დაღივით აჯდა. სამი დღე-ღამის ლოდინის შემდეგ, როგორც იქნა, რიგმა მოუწია და ბერთან შეხვედრას სულმოუთქმელად ელოდა. მამა ზენონთან ავადმყოფი ბავშვი ჰყავდათ შეყვანილი. ცოტა ხანში ხის დიდი, მოჩუქურთმებული კარი გაიღო და მშობლებმა ბავშვი გარეთ გამოიყვანეს. ბავშვს თმა სულ გაცვენოდა, სახე ჰორმონალური პრეპარატებისგან არაბუნებრივად გასიებოდა. დედ-მამის სახის გამომეტყველება უზარმაზარ დარდსა და შიშში შეფუთულიყო, მაგრამ თვალებიდან იმედის სხივი მაინც კიაფობდა.

— რა გითხრათ ბერმა? — ახალგაზრდა ქალმა ცოლ-ქმართან მიირბინა.

— იმედი მოგვცა და გზაც მიგვითითა, — ძლივს ამოღერღა მამაკაცმა.

— რომ შევიდე, შეიძლება?

— თქვენ თუ ნინო ხართ, შებრძანდით. ასე თქვა, ნინო შემოვიდესო, — მიუგო ბავშვის დედამ.

— დიახ, — დაეთანხმა გაკვირვებული ქალი, თავშალი გაისწორა და მონასტრის ეზოში შეაბიჯა. სენაკს მიუახლოვდა, კარზე დააკაკუნა.

— შემოდი! — გაისმა ბერის ხმა.

დაბნეულმა ქალმა კარი შეაღო და ზღურბლს გადააბიჯა. საკმევლის სასიამოვნო სუნი ტრიალებდა. ბერი ხატებთან იდგა, კანდელისთვის ძაფი გამოეცვალა და ახლა ზეთს ამატებდა.

— ნინო, დაჯექი! — ქალისკენ არც შემობრუნებულა, სკამისკენ ისე მიუთითა, — ვიცი, მეუღლეს ავარია მოუვიდა და მძიმედ გყავს...

— დიახ, მამაო, მაგიტომაც მოვედი. თქვენი დახმარება მჭირდება.

— ეს მცირე განსაცდელია, რომელიც უფალმა მოგივლინა, რათა გამოგაფხიზლოს. ჯვარი, რომელიც გულზე გკიდია, უბრალო გულსაბნევი ან რაღაც აქსესუარი ნუ გგონია, არამედ ცხოვრების წესია, ყოველი მართლმადიდებლის ცხოვრების წესი. შენი სამყარო კეთილდღეობაში ჩაიძირა და სამი საღმრთისმეტყველო სათნოება შემოგეფანტა.

— მამაო, რომელია ეგ სათნოებები?

— სარწმუნოება, სასოება და სიყვარული, — ბერმა პაუზა ჩამოაგდო, კანდელი აანთო, პირჯვარი გადაიწერა, ფსკვნილი აიღო და ისე, რომ ნინოსკენ არც შემობრუნებულა, საუბარი განაგრძო, — მოძღვარი არ გყავს, ტაძარში წირვა-ლოცვას არ ესწრები, აღსარება არ ჩაგიბარებია, ესე იგი, შენში სინანული არ არსებობს, არ ეზიარები, არ მარხულობ, სასოება, ანუ მოწიწება დაკარგული გაქვს, ასევე შენში სიყვარულიც გამქრალია და ამის შემდეგ უფლისგან რაღას ითხოვ?

— არა, მამაო, — შეეწინააღმდეგა ქალი, — შეიძლება ტაძარში არ დავდივარ, ქრისტიანულად არ ვცხოვრობ, მაგრამ ჩემში სიყვარული ნამდვილად არ არის გამქრალი, ყველა ჩემიანი და ქმარ-შვილი ძალიან მიყვარს...

— ნინო, გარეთ გავიდეთ, მეგობარს უნდა შევხვდე, — ბერი კარისკენ გაემართა, ქალი წამოდგა და უკან მიჰყვა, — ეგ სიყვარული ინსტინქტურია, ძაღლსაც უყვარს თავისი ლეკვები. შენ სხვა მცნებებთან ერთად მეხუთე მცნებასაც უგულებელყოფ და ღვთისგან შეწევნას ელი?

ქალი თავჩაქინდრული მიჰყვებოდა.

— შენ საკუთარი მამა, რომელმაც ღვთის ნებით ამქვეყანას მოგავლინა, რომელმაც გაგზარდა და დიდი ამაგი დაგდო, და-

კარგული გყავს. სულ რომ უვარგისი ადამიანი იყოს, უფლება არ გაქვს, მიატოვო. მართლმადიდებელი ადამიანი მტრებისთვისაც აღავლენს ლოცვას და შენ საკუთარი სისხლი და ხორცი, მამა დაკარგე, — საუბრით ჭიშკარს მიუახლოვდნენ, — ნინო, თუ გინდა, რომ გაიხარო, ემსახურე უფალს და ყველაფერი თავის ადგილს დაუბრუნდება. ნუ გეშინია, შენი მეუღლე გამოჯანმრთელდება, მთავარია, ორივემ დაავადებულ სულს უმკურნალოთ, — ქალს პირჯვარი გარდასახა და ეზოდან გავიდა. ბერს ხალხი შემოეხვია, ყველას ჰქონდა სურვილი, რათა მისი მადლიანი დალოცვა მიეღო, მაგრამ ზენონი გზაზე მომავალი ჯიპისკენ ჯიუტად იკვლევდა გზას, — ცოტა ხანს მაცადეთ, ადამიანს უნდა შევხვდე, შემდეგ ყველასთვის მოვიცლი, — ამშვიდებდა მომლოდინეებს.

გელამ კაბიანი, წვერმოშვებული და კეფაზე თმაშეკრული მეგობარი, რომელიც მანქანის წინ სოკოსავით ამოწვერილიყო, ძლივს იცნო. ჯიპი შეაჩერა, ძრავი გამორთო, ხელები საჭეს შემოაჭდო და ზურაბს სიყვარულით შეაცქერდა. რამდენიმე წამს ასე იდგნენ, ერთმანეთს შეყურებდნენ და, უფალმა უწყის, რომელი რას ფიქრობდა. გელას დიდი სურვილი ჰქონდა, კარი გაეღო და მთელ ხმაზე ეყვირა: ანგელოზო, როგორ ხარო? მაგრამ ემოცია მოთოკა, მანქანიდან გადმოვიდა, დინჯი, ფრთხილი ნაბიჯით ზურაბს მიუახლოვდა და მოეხვია:

— ანგელოზო, როგორ მომნატრებიხარ! — ყურში ჩასჩურჩულა, თმაზე ხელი გადაუსვა, — წამოდი, სადმე წავიდეთ, ჩავუჯდეთ.

— არა, გელა, სად უნდა წამოვიდე?! — ბერს ჩაეცინა, — ჩემთან, სენაკში შევიდეთ.

— ჩემი იქ შემოსვლა შეიძლება? — გაიოცა გელამ.

— იქ ყოფნა შენი სულისთვის წამალია. მართალია, ბრძოლა გაგიძლიერდება, მაგრამ უნდა გაუძლო, — ბერი მონასტრისკენ შებრუნდა, მეგობარი თან გაიყოლა.

— ჩემი ჩამოსვლის ამბავი, შენებმა შეგატყობინეს?

— მე მობილური გამორთული მაქვს. მარტო კვირას, წირვის შემდეგ ჩავრთავ ხოლმე ორი საათით...

— მოკლედ, გულთმისანი გამიხდი, — გელამ ჩაიცინა.

— ღვთის ნებაა ყველაფერი, — ბერმა პირჯვარი გადაიწერა.

— ზურა, როგორ უნდა მოგმართო?

— მამა ზენონი, — მიუგო მეგობარს, კარი შეუღო, თავადაც შეყვა. — თავს როგორ გრძნობ?

— არა მიშავს, — უპასუხა გელამ, ცდილობდა, თავბრუსხვევა, რომელიც ყოველ ნაბიჯზე უძლიერდებოდა, არ შეემჩნია. როდესაც სენაკს მიუახლოვდნენ, გელა მოცელილივით მიწაზე დაენარცხა, — მამაო, ველარ მოვდივარ, — ძლივს ამოღერღა.

ზურაბმა ხელი გაუწოდა, წამოჯდომაში შეეშველა:

— კარგი, ნუ შევალთ, — ბალახზე გვერდით მიუჯდა, მხარზე ხელი გადახვია, — ცუდად ხარ? გინდა, წყალს მოგიტან?

— არა, არა, გადამივლის, — გელამ თავი გაიქნია.

— შენში დადებითი ძვრები ხდება. მაგითი უზომოდ ბედნიერი ვარ, ესე იგი, ჩემმა ლოცვამ ღვთის ყურამდე მიაღწია და უფალმა სინდისი გამოგიღვიძა. ძალიან მიხარია, — სახეგაბადრული ეუბნებოდა.

— თუ შენი გულისთვის ვარ ასე ცუდად, გთხოვ, ლოცვა შეწყვიტე. მე ძალიან კარგად ვარ, არაფერი მაკლია, ყოველგვარი პრობლემა გადაჭრილი მაქვს...

— გაჩუმდი! — ბერმა პირზე ხელი ააფარა, — შენში ღვთიური არაფერია, ყველაფერი ბოროტი ძალისაა. დაუმსახურებელ სიმდიდრეს, ცრუ კეთილდღეობასა და უზნეობას ამოფარებიხარ და გგონია, თითქოს რამე საქმეს აკეთებ...

— ისევ დაიწყე?! ახლა ავდგები და წავალ.

— გელა, ნება შენია, თუ წასვლა გინდა, წადი, მაგრამ იცოდე, მე ერთადერთი ვარ, ვინც სიმართლეს გეუბნება და შენზე გული შესტკივა...

— ადამიანო, ერთი წელია არ გინახივარ, ის მაინც მკითხე, როგორ ხარო, საქმე როგორ მიდისო.

— მე თვალნათლივ გხედავ, როგორც ხარ და საქმესაც როგორ უძღვები.

— ჰოდა, მაგაზე ვილაპარაკოთ. ჩემი მუდმივი გაშავება არ მოგბეზრდა?

— გელა, — ბერმა გულის ჯიბიდან ქაღალდი ამოიღო და გაუწოდა, — აქ ამ მონასტრის ქტიტორის სახელი, გვარი და თითქმის ყველა მონაცემი მიწერია. თქვენმა მთავრობამ კაცი არაფრის გულისთვის დააპატიმრა, გაუბედურებას უპირებენ და, თუ ხელგეწიფება, ტყუილად ნუ დააჩაგვრინებ.

— ვეცდები, დავეხმარო, — გელამ ფურცელი გამოართვა, დახედა, — პაატა, — ჩაილაპარაკა, — რატომ დაიჭირეს?

— აზრზე არა ვარ. დღეს ვისაც უნდათ, უპრობლემოდ აპატიმრებენ, ხალხს აუბედურებენ. თქვენ რამდენიმე ასეული კაცის საპარპაშო ქვეყნის აშენებას მოჰკიდეთ ხელი და ის საქმე, რაც შტატებში შეგასწავლეს და რითიც საქართველოს დაქუცმაცება გადაგიწყვეტიათ, არ გამოგივათ, იმიტომ, რომ საქართველოს ღვთისმშობელი იცავს, ეს მისი მიწა-წყალია და თქვენი უაზრო ფაფხური წყლის ნაყვაა.

ჩემთან დღევანდელი ხელისუფლების უამრავი წევრი მოდის. ერთი მოგასმენინა, რა დღეში არიან, თავიანთ ბოროტ საქციელს მათივე ოჯახები, შვილები და ნათესაობა ეწირება, მწარე მოსავალს იმკიან; გამოსავალს მეკითხებიან, მაგრამ რა უნდა ვუთხრა? პარტიას ქრისტიანობასთან მარტო სახელი კი არ უნდა აკავშირებდეს, არამედ თითოეული თქვენგანი ჭეშმარიტებას უნდა ემსახურებოდეს, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ დადგება ფეხზე საქართველო...

— მოიცა, რა, — გელამ ხელი აიქნია, — ძალიან კარგად იცი, ვაქუცმაცებთ თუ ვაკოწიწებთ, ყველაფერი ისე კეთდება, როგორც მსოფლიო პოლიტიკას სჭირდება...

— უბედურებაც მაგაშია, რომ მსოფლიო პოლიტიკას ქვეყნის ინტერესები ანაცვალეთ. ერთი ვიცი, რომ თქვენი საქმიანობა სიცრუეზეა დამყარებული და თავადაც ვერ გაგითავისებიათ თუ რას რატომ აკეთებთ.

— შენ, ძმაო, ბერი ხარ თუ პოლიტოლოგი?! რა გამიტრაკე საქმე, აღარ გინდა, რომ გინახულო?! — გელა გაჭირვებით წამოდგა, — იმის მაგივრად, დამამშვიდო, ნერვებზე მომშლი და ისე მიშვებ, — შარვლის ჯიბეში ხელი ჩაიყო, ფული ამოიღო, — აქ ხუთასი დოლარია, ტაძარს მოახმარე, — ზურაბს გაუწოდა.

— უფალმა შეგიწიროს, — ბერმა გამოართვა, თვითონაც წამოდგა და მეგობარი მონასტრის ჭიშკრამდე მიაცილა.

გელა მანქანას ჩაფიქრებული მიუახლოვდა, სავარძელში მოეწყო, ერთი ღრმად ამოიოხრა:

— რა ვქნა, ძმაო, ვიცი, რომ მართალი ხარ, ცამდე მართალი, მაგრამ მუხრუჭები აღარ მაქვს, ჩემი უკუსვლა შეუძლებელია, — გასაღები გადაატრიალა, ძრავი აათუხთუხა, — მთელ სამყაროში ერთადერთი ჭეშმარიტი გულშემატკივარიღა დამრჩი, მაპატიე, ასეთი უვარგისი მეგობარი რომ გყავარ, — თავის თავს ეჩურჩულებოდა. საათს დახედა, ხუთი ხდებოდა. მობილური ამოიღო, ფინანსური პოლიციის უფროსის ნომერი მონახა, დაურეკა, — იმედა, გამარჯობა, გელა ვარ, კაცაძე.

— გამარჯობა, ბატონო გელა, — ლაქუცა ხმა გაისმა, — როგორ ბრძანდებით?

— კარგად, კარგად. იმედა, ჩემი ახლობელი დაუკავებიათ, ძმურად, გამირკვიე რატომ და როგორ ვუშველო.

— თუ შეიძლება სახელი და გვარი მითხარით.

გელამ პაატას ყველა მონაცემი უკარნახა.

— ააა, ვიცი, ბატონო გელა, ვიცი. საამშენებლო კომპანია აქვს, საშემოსავლოს ედავებიან, ას ოცი ათასს და არ იხდის, იძახის, არაფერსაც არ გადავიხდიო, ციხეში გამიშვითო...

— მერე, მართლა გადასახდელი აქვს?

— არა, მაგრამ საქმეს სჭირდებოდა, ჩვენს კომპანიებს სერიოზულ კონკურენციას უწევდა და მისი ჩაძირვა გახდა საჭირო. პირველად მესმის, თქვენიანი რომ იყო, თორემ მას ხელს როგორ ვახლებდით, — მამაკაცმა თავის მართლება სცადა.

— გამოსავალი რა არის?

— ბატონო გელა, ხვალვე საპროცესოს გავაფორმებინებ და გავათავისუფლებთ.

— თანხა რამდენი ექნება გადასახდელი?

— დიდი არაფერი, მაგ მიზერსაც მე თვითონ გადავიხდი და ხვალვე გამოვუშვებთ.

— კარგი, იმედა, მაგ საქმეს მიმიხედე. ხომ იცი, არ დაგეკარგება.

— ვიცი, ბატონო გელა, ვიცი, — ბედნიერმა ჩინოვნიკმა მობილური გათიშა.

— ვაი თქვენს პატრონს! — გელამ გამწარებულმა ჩაილაპარაკა და მანქანა ადგილს მოწყვიტა. გეზი თავისი ოფისისკენ აიღო. არ გაკვირვებია, როდესაც მრჩეველი ოფისის წინ, ტროტუარზე მდგომი დალანდა. მანქანა გაუჩერა, ქალი ღიმილით მიუახლოვდა და ჯიპში მის გვერდით მოკალათდა.

— დესი, როგორ ხარ? — გელამ სიგარეტს მოუკიდა.

— კარგად, ბატონო გელა. სანამ დამირეკა და ხვალინდელი დებატების დროს, თქვენი ოპონენტი რა საკითხებზეც გაამახვილებს ყურადღებას, დეტალურად ჩამაწერინა. ახლა, თქვენთან როცა მივალთ, ყველა თემა ძირფესვიანად გავიაროთ და ხვალ წარმატება გარანტირებული იქნება.

— გადასარევია. ტელევიზიაში რომელზე უნდა ვიყოთ?

— თორმეტისთვის მივალთ, გადაცემას ჩაიწერენ, შემდეგ დაამუშავებენ, რაც ზედმეტი იქნება, ამოშლიან და საღამოს გაუშვებენ.

— ოპონენტი ვინ არის?

— ერთი პოლიტტექნოლოგია, ოპოზიციონერია, სინამდვილეში ჩვენი წისქვილის წყალია, მაგითი სულდგმულობს და საკუთარი საქმიანობისთვის მუდამ ვიყენებთ...

— ფაქტობრივად, ხვალ სპექტაკლს ვდგამთ?

ქალმა გულიანად გადაიხარხარა:

— ბატონო გელა, ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, მარტო საქართველოში კი არა, მთელ მსოფლიოში ყველაფერი დადგმულია.

— დაა, — სუნთქვას ამოაყოლა გელამ და მანქანა დაძრა. მაგნიტოფონი ჩართო, როკი ააჟღერა, — ძლიერია, ჩემი შემადგენელი ნაწილია, მასში დავფრინავ, — დესის გადახედა, — შენზე როკი როგორ მოქმედებს?

ქალმა საჭიდან მარჯვენა ხელი ააღებინა და ფეხებშუა მოიქცია:

— თქვენზე იმდენი...

— როცა მარტო ვართ, ოფიციალობას მოვეშვათ! — გააწყვეტინა ვაჟმა.

— ჰო, — ქალმა თავი დაუქნია, — შენზე იმდენი მსმენია, ერთი სული მაქვს, როდის ამიხდება ნატვრა. როკიც იგივეა, მიუხედავად იმისა, რომ მუდამ შენშია, მაინც გენატრება. კოკა, როკი და შენ ან პირიქით — შენ, როკი და კოკა. — ორივე ხელით გელას მარჯვენა ჩაბღუჯა, უბეზე მთელი ძალით მიიბჯინა, — გული აქ ჩამივიდა, ცემა არ გესმის?

— რა მოუსვენარი გული გქონია? — ჩაეცინა ვაჟს, მრჩევლისკენ გადაიხარა და აკოცა. — დღეს თუ ვიგიჟეთ, ეთერისთვის როგორღა მოვემზადოთ? — ყურში ჩასჩურჩულა.

— ყველაფერს მოვასწრებთ, ყველაფერს, — ამოღერღა დესიმ. სახე საყვარლად გაწითლებოდა, თვალები მიელულა და სავარძლის საზურგეზე მისავათებულიყო, — რით ვეღარ მივედით?

— ორ წუთში სახლში ვართ, — გელამ მანქანა სადგომზე ჩაიყვანა, მარჯვენა ძლივს გაითავისუფლა, — ნაღდი ხაფანგი გაქვს, — ღიმილით გადაულაპარაკა, გადაიხარა და კარი გაუხსნა, — ახლა ჩახტი, მოვედით.

დესი მანქანიდან გადავიდა, კარი მოაჯახუნა. გელამ ჯიპი „დააჭყვიტინა," თანაშემწეს ხელი გადახვია და ლიფტისკენ გაეშურნენ. ბინაში შესულებს ეკა შეეგებათ. სახლის ყოველი კუთხე-კუნჭული დაეწკრიალებინა, ჭურჭელი გაერეცხა და ავეჯისთვის ადგილი მიეჩინა.

— რა გიშრომია?! — შეაქო გელამ.

ქალებმა ერთმანეთი გადაკოცნეს, მოიკითხეს.

— საიდან ასეთი ნაცნობობა? — გაიკვირვა მასპინძელმა.

— რომ გითხრა, ბიბლიოთეკაში გავიცანით ერთმანეთიო, დამიჯერებ? — სიცილით ჰკითხა ეკამ. დესის მოეხვია, — ჩვენ სიამის ტყუპები ვართ, ეკადესი გვქვია.

— რაა? — ვაჟი პასუხის არსში ვერ გაერკვა.

— ჰო, კლუბებში ასე გვიცნობენ, ჩვენ ეკადესი ვართ, — თანაშემწემ დარწმუნებულმა მიუგო.

— მაღადავებთ?

— არა, არა, — იუარა დესიმ, — ცოტა ხანში ყველაფერში თავად დარწმუნდები.

— საინტერესოა, — ჩაილაპარაკა მასპინძელმა, — დიასახლისო, რამეს გვაჭმევ? მთელი დღეა, ლუკმა არ ჩამსვლია.

— მობრძანდით, — სამზარეულოში შეუძღვა ეკა, მაცივარი გააღო, საჭმელები მაგიდაზე დაალაგა.

სამივემ ისადილა, ორი ბოთლი შამპანურიც დააგემოვნეს და სასტუმრო ოთახში დივან-სავარძლებზე მიესვენენ.

— ესე იგი, სიამის ტყუპები, არა?

— ჰო, — თავი დაუქნია დესიმ, — როცა კოკას მივიღებთ, მერე შენი თვალით ნახავ, როგორი ტყუპებიც ვართ, — მასპინძელს გაღიმებული ესაუბრებოდა.

— მოდი, ახლა უცბად გავიაროთ, ის პოლიტტექნოლოგია თუ სირბანჯო რა კითხვებს დასვამს, შემდეგ საქმეს მივხედოთ.

— კარგი, — თანაშემწემ ჩანთიდან ქაღალდი ამოიღო. ყურადღებით გადაიკითხა, — დავიწყოთ? — გელას შეაცქერდა.

— იმ სირბანჯოს რა ჰქვია?

— გენო, გენადი, როგორც გინდა, ისე მიმართე.

— საერთოდ ვინ არის და რას წარმოადგენს?

— კომუნისტების დროს კომუნისტი იყო, ცენტრალურ კომიტეტში მუშაობდა, შემდეგ, ზვიადის დროს, პარტიული ბილეთი სახალხოდ დაწვა და „მრგვალი მაგიდის“ წევრად გარდაიქმნა, ედუარდის პერიოდში „მოქალაქეთა კავშირში“ გაწევრიანდა, ცოტა ხანს „აღორძინებაშიც“ იყო, ბოლოს „ახალ

დემოკრატ-ქრისტიანებში“ მოინდომა შემოძრომა, მაგრამ ჩვენებმა დაამუხრუჭეს, დაუმტკიცეს, რომ ყოფილის სტატუსით უფრო გამოგვადგებოდა. ჩვენგან ხელფასსაც კი იღებს. ახლა ოპოზიციონერია ბრჭყალებში და პოლიტტექნოლოგობს, თავისი ბოზური გამოცდილებით გვმოძღვრავს და ჩვენც, სადაც გვჭირდება, იქ ვიყენებთ. მოკლედ, საცობია, რომელიც ყველა ბოთლს ერგება, — დესი სიცილით საუბრობდა.

— მაგარ ვიღაცასთან მაქვს დებატები, — გელას მწარედ ჩაეცინა.

— დავიწყო? — ქალი ქაღალდს ჩაკირკიტებდა.

— მოიცა, ერთი ვერ გავიგე, დავუშვათ, საქართველო რეგიონებად დაიყო და ამ რეგიონებს გარკვეული დამოუკიდებლობა მივეცით, ამითი ჩვენს საქმეს რა ხეირი?

— ამ ქვეყანას საკმაოდ დიდი მფარველი ჰყავს, — დესიმ თითი ზემოთ აიშვირა, — რომელიც გეომეტრის მიზნებს საშინლად ეწინააღმდეგება, ხელს უშლის, ამიტომ მივმართავთ ჭადრაკის დაუწერელ წესს, როდესაც მოჭადრაკე ერთ ფიგურას მხოლოდ იმიტომ წირავს, რომ უფრო ძლიერი ფიგურა გადაარჩინოს. აქედან გამომდინარე, ამ მიწა-წყალზე მაცხოვრებლებს თავისუფლების საპნის ბუშტი მაქსიმალურად უნდა გავუბეროთ, რათა ადვილად გაუსკდეთ. ჯერ შეხედე ქაღალდზე გაფორმებულ მთლიანი საქართველოს მირაჟულ დამოუკიდებლობას, რომელიც ამ ქვეყნის ძლიერ სახელმწიფოთა ნება-სურვილზეა დამოკიდებული და ისე ათამაშებენ, როგორც ანკესზე წამოგებულ თევზს, შემდეგ წარმოიდგინე დამოუკიდებელი სამეგრელო თუ ქართლი, კახეთი თუ სვანეთი, იმერეთი თუ რაჭა, ქვემო ქართლი თუ ჯავახეთი და ასე ნაწილებად დაქუცმაცებული, დაგლეჯილ-დახეული ქვეყანა. მარტივი პრინციპია — გაათითოე და მართე, როგორც გინდა.

ახლა პირველი კითხვა, რომელსაც სირბანჯო დაგისვამს, არის რეგიონებს შორის საზღვრების გარკვევა. გკითხავს, ქვეყნის საზღვრები არ არის დაზუსტებული, ამ საკითხის

მოსაწესრიგებლად სახელმწიფო საერთოდ არ ზრუნავს და გურიასა და იმერეთს შორის, სამეგრელოსა და სვანეთს შორის, კახეთსა და ქვემო ქართლს შორის და საერთოდ რეგიონებს შორის საზღვრების დადგენას როგორ აპირებთო? პასუხი გახსოვს? — დესი მასპინძელს ვნებამოზღვავებული, სახეზე ალმურმოდებული შეცქეროდა.

— პასუხი კი მზად მაქვს, მაგრამ შენ რა დღეში ხარ? — გელა მრჩეველს გაღიმებული შეეკითხა.

— გავგიჟდი, გული ფეხებშუა ჩამიძვრა და აღარ მასვენებს.

— ეკა, გთხოვ, მიუჯექი, დაამშვიდე, — მასპინძელმა ეკას თავით ანიშნა.

ქალი დივანიდან წამოდგა და დესის სავარძლის ფუმფულა სახელურზე ჩამოუჯდა, საკინძე შეუხსნა, ხელი მკერდში ჩაუცურა.

— კარგია, — ამოიკვნესა მრჩეველმა, სახე უფრო აუხურდა, — გელა, გისმენ.

— სახელმწიფო საზღვრის დადგენაზე გამალებული მუშაობა მიმდინარეობს, ამ საქმეში გეოდეზისტების, კარტოგრაფებისა და ისტორიკოსების მთელი არმიაა ჩართული და საკმაოდ თვალშისაცემი წარმატებებიც გვაქვს...

— ის შეგაწყვეტინებს და იკითხავს, ნატოში როგორ აპირებთ გაწევრიანებას, როდესაც ქვეყნის საზღვრები დაუზუსტებელია და ორი არაღიარებული, ოკუპირებული რეგიონი, ვითომ დამოუკიდებელი ქვეყნები, სახელმწიფოსგან განცალკევებულია?

— მე დაწყებულ პასუხს ვაგრძელებ და ამ კითხვას შემდეგ ვპასუხობ, ხომ?!

— კი, — ამოიკვნესა ქალმა.

— რა გჭირთ?! — გელას ხმაში სიბრაზე შეერია, — ისეთი ახურებულები ხართ, თითქოს საუკუნეა სექსი არ გქონიათ!

— გისმენ, გისმენ, ჩვენ ყურადღებას ნუ გვაქცევ, — დესიმ ხელი გაასავსავა.

— დაა, — გელამ თავი გაიქნია, — ბატონო სირბანჯო, თბილისიც რაიონებად არის დაყოფილი, თავისი სიმბოლური საზღვრებით, მაგალითად: ვერას და ვაკეს კეკელიძის ქუჩა ყოფს, ასევე იქნება რეგიონებშიც — გაივლება სიმბოლური საზღვრები.

რაც შეეხება ნატოს. ქვეყანას რეგიონებად იმიტომ ვყოფთ, რომ საქართველოს ყველა კუთხე უნდა განვითარდეს, აღორძინდეს და მყარად დადგეს ფეხზე. თითოეულ რეგიონს მეტი დამოუკიდებლობა, აბსოლუტური დეცენტრალიზაცია, რათა ყოველი მათგანი ოცდამეერთე საუკუნის შესაბამისად გაძლიერდეს. ოკუპირებული და დროებით წართმეული კუთხეები უკან დაბრუნებას თავად მოიწადინებენ და ქვეყნისთვის შედეგიც სასიკეთო იქნება. როდესაც მოძალადე რუსეთს ჩვენს ტერიტორიებს გამოვგლეჯთ და შემოვიერთებთ, აი მაშინ, გამთლიანებულ სახელმწიფოს ნატოში ულაპარაკოდ მიიღებენ. ეს დროში ოდნავ გაწელილი, მაგრამ რეალური გზაა, — ერთმანეთზე გადასკვნილ ქალებს შეხედა, ეკას დესისთვის შარვალი ჩეწია და ხელი ფეხებს შუა ჩაეცურებინა, — გარეკეს! — სიგარეტს მოუკიდა.

— შემდეგი საკითხი, რომელსაც ოპონენტი დააყენებს, არის რეგიონული ენის სტატუსის შესახებ, იგი იკითხავს: რას ნიშნავს, რომ საქმის წარმოება რეგიონულ ენაზე უნდა წარიმართოსო? ესე იგი, სამეგრელოში მეგრული ენა იქნება, სვანეთში — სვანური, ქვემო ქართლში — აზერბაიჯანული და ჯავახეთში — სომხურიო? — დესი სავარძლის საზურგეზე მთელი ძალით მიბჯენილიყო და სიტყვებს ძლივს წარმოთქვამდა.

— მე ამაზე მარტივად ვპასუხობ, — გელამ სიგარეტი გადააფერფლა, — რეგიონში, სადაც ავტოქთონური მოსახლეობა ცხოვრობს, იარსებებს ორი სახელმწიფო ენა, ქართული და იმ რეგიონის მაცხოვრებელთა უმრავლესობის ენა იმიტომ, რომ აზერბაიჯანელი, გინდა სომეხი მოსახლეობა ვერ ურთიერთობს დანარჩენ საქართველოსთან, თითქოს ქვეყნიდან გარიყულები იყვნენ, ამიტომაც აუცილებლობა მოითხოვს, რათა

რეგიონში საქმის წარმოება მათ ენაზე მიმდინარეობდეს. ეს კეთდება საქართველოსთან მათი სრულყოფილი ასიმილაციისთვის. რეგიონულ მთავრობებში იფუნქციონირებენ კვალიფიციური თარჯიმნები, რომელთა მეშვეობითაც ცენტრალურ ხელისუფლებასთან კავშირი გაიოლდება. ამ რეგიონებში პარალელურად გაასმაგდება ქართული ენის შესწავლა, რათა, ბოლოს და ბოლოს, მთელი ქვეყანა ერთ ენაზე ამეტყველდეს. ეს პროექტში დეტალურად არის აღწერილი.

ბატონო სირბანჯო, ამ კოდექსზე ჩვენი პარტიის ახალგაზრდულმა ფრთამ დიდი შრომა გაწია, მის დახვეწაში დიდი ძალისხმევა ჩადო. როდესაც პარლამენტს დასამტკიცებლად წარვუდგენთ, მათ შენიშვნებს მივიღებთ, გავითვალისწინებთ და ის უფრო დაიხვეწება და გაშალაშინდება, გაცილებით სრულყოფილი გახდება და საქართველოსთვისაც დადებითი შედეგი დადგება, — გელამ სიგარეტი საფერფლეს დაასრისა და კრუტუნ-კვნესაში გართულ დედაკაცებს თვალი გაუსწორა, — მოვრჩეთ?

— ფორსმაჟორზე, ფინანსებზე და დანარჩენ საკითხებზეც ხომ გაქვს პასუხები?

— გამიტრაკეთ საქმე, ყველაფერი ვიცი! — გელა სავარძლიდან წამოდგა, — იმ სირბანჯო პოლიტტექნოლოგს ხვალ ისე ჩავხდი, როგორც დღეს ორივე თქვენგანს, — დარწმუნებულმა ჩაილაპარაკა, — ერთმანეთს არ შეეზარდოთ, — სიცილით გადაულაპარაკა, — კოკას დრო არ დადგა? — სხვათა შორის იკითხა.

ამის გაგონებისას ქალებს თითქოს ცივი წყალი გადაასხეს, ერთმანეთს განეშორნენ და ფეხზე წამოხტნენ.

მასპინძელმა ფხვნილით სავსე ყუთი მაგიდის უჯრიდან ამოიღო, თავი ახადა, ახალთახალი კუპიურით ზედაპირზე მიმოფანტა და ექვსი ბილიკის მოწესრიგება-გაკვალვას შეუდგა. დესი მაგიდას მიუახლოვდა, მუხლი მოიდრიკა და მილადქცეული ასდოლარიანით ნარკოტიკი იყნოსა. გაჭირვებით წამოდგა, დივანთან მიიწია და ზედ გაიშოტა. ჯერი ეკაზე მიდგა, კოკა მი-

იღო, ფეხზე არც ამდგარა, დივანთან მიფოფხდა და მოკრუსუნე დესის გვერდით მიუწვა. გელამ მაგნიტოფონი ააჟღერა, ოთახის სიცარიელე როკის მელოდიით შეავსო, სავარძელს დაუბრუნდა და თავისი წილი, ორივე ბილიკი მტვერსასრუტივით შეიწოვა. ფეხები მაგიდაზე შემოაწყო, ტანი სავარძლის ფორმად გარდაქმნა, თვალები მილულა და ნირვანაში ჩაიძირა.

სასწაული სიმსუბუქე, რომელმაც იგი მოიცვა, უზომოდ ესიამოვნა. პირში ისეთი გემო გაუჩნდა, თითქოს ბადაგს დაწაფებოდა და მასში საიდანღაც უხვად გადმოდინდებოდა. არ უნდოდა თვალის გახელა, რათა რეალობაში არ დაბრუნებულიყო, რათა მდინარე-ბადაგს ბაგენი არ მოსწყვეტოდა, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ იმარჯვა, ნეტარებას სილა გააწნა და ქუთუთო ოდნავ ააწევინა. გაოცდა, როცა დაინახა, რომ ტანი აღარ ჰქონდა, ხორცი გაქრობოდა. შიშისგან, იცოცხლე, ჭყიტა თვალი, დაიხედა და გამჭვირვალე სხეულში მზერა გაიტარა. რაღაც ეთერულ მასად გარდაქმნილიყო და მისი ასეთი მდგომარეობა სხვა არაფერი იყო თუ არა სულში ყოფნა. არემარე საგალობლებით გაჯერებულიყო, თავად კი მთლიანად მელოდიას შერწყმოდა. ირგვლივ მიმოიხედა, აყვავებული ხეხილის ბაღში წერტილ-პეპელასავით დაფარფატებდა. ნუშის ვეება ხეები თეთრი კვირტებით დათოვლილიყო, ბროწეულები ხასხასა წითელი, ბუთქუნა ყვავილებით დაწინწკლულიყვნენ, ცაცხვის ყვავილი გარემოს ტკბილ სურნელებას უწილადებდა; ხეთა ძირებში ათასნაირი ყვავილი ამოწვერილიყო, იქაურობა გაეკოხტავებინა და სხვადასხვა არომატს სამყაროში აფრქვევდა.

— „სად ვარ?“ — დამფრთხალმა გაიფიქრა, ვინაიდან, ნეტარების მიუხედავად, მასში შიშსაც ფესვი გაედგა. დაყვირება მოეწადინა, რათა მაშველი ეხმო, მაგრამ ხმა გაქრობოდა, მხოლოდ აზროვნების უნარი შერჩენოდა.

— „გელა, გელა!“

მასში საკუთარი სახელი აზრად დამკვიდრდა. მიმოიხედა, აინტერესებდა ვინ გაიფიქრა მისი სახელი, მაგრამ ვერავინ დალანდა.

წალკოტში საგალობლები ხმოვანებდნენ, ხოლო მასში ბადაგი იღვრებოდა და იღვრებოდა.

— „სად ვარ?“ — ფიქრი მოეძალა, — „ნუთუ ეს არის გარდაცვალება?“

— „გელა, დამშვიდდი,“ — მასთან ზურაბი გაჩნდა, სხეული აღარც მას ჰქონდა.

— „მამაო, სად ვართ?“

— „სასუფეველში,“ — მშვიდად გაეპასუხა ზენონი.

საგალობლები შეწყდა. მათ უკან საყვირის მგრგვინავი ხმა გაისმა, რომელიც ამბობდა:

— „მე ვარ ანი და ჰაე, პირველი და უკანასკნელი“.

ორივენი მიბრუნდნენ, რათა ხმა, რომელიც ესიტყვებოდათ, დაენახათ. მათი მზერა ოქროს შვიდ სასანთლეზე შეჩერდა. შვიდ სასანთლეს შორის კაცის ძის მსგავსება იდგა. მას გრძელი მოსასხამი ეცვა, მკერდზე ოქროს სარტყელი ეკეთა. თმა და წვერი ახალმოსული თოვლივით გათეთრებოდა, ხოლო თვალები, როგორც ცეცხლის ალი, ისე უელავდა. მისი ხმა უზარმაზარი ჩანჩქერის ზათქს მიმსგავსებოდა, ფეხები ცეცხლში გავარვარებული რვალივით ჰქონდა. მარჯვენაში შვიდი ვარსკვლავი ეკავა, სახე მზესავით გაცისკროვნებოდა, ხოლო პირიდან ორლესული მახვილი გამოდიოდა.

მისი შემხედვარე ვაჟები მუხლებზე დაეცნენ და მოესმათ:

— „ნუ გეშინიათ, მე ვარ პირველი და უკანასკნელი და ვარ ცოცხალი, როდესაც მკვდარი ვიყავი. აჰა, ცოცხალი ვარ უკუნითი უკუნისამდე. ამინ! მაქვს კლიტენი ჯოჯოხეთისა და სიკვდილისანი,“ — გელას თავზე ორლესული მახვილი დაადო, — „ვიცი საქმენი შენნი; არც ცივი ხარ და არც ცხელი; ოჰ, ნეტავ ცივი მაინც იყო ან ცხელი, მაგრამ რაკი ასე ნელ-თბილი ხარ, არც ცივი ხარ და არც ცხელი, ამიტომ გადმოგაფურთხებ ჩემს ბაგეთაგან. რადგანაც ამბობ: მდიდარი ვარ, გავმდიდრდი და აღარაფერი მჭირდებაო, და არ კი იცი, რომ უბადრუკი ხარ და საწყალობელი, გლახაკი, ბრმა და შიშველი. გირჩევ იყიდო

ჩემგან ოქრო, ცეცხლით გაწმენდილი, რათა გამდიდრდე და სპეტაკი სამოსი, რათა შეიმოსო და აღარ გამოჩნდეს შენი სიშიშვლის სირცხვილი და საოლავი იცხო თვალზე, რათა იხილო.

ვინც მიყვარს, მას ვამხილებ და ვწვრთნი. მაშ, ეშურე და შეინანე.

აჰა, კართან ვდგავარ და ვაკაკუნებ. თუ ვინმე გაიგებს ჩემს ხმას და კარს გამიღებს, შევალ მისას და მასთან ვჭამ პურს, ხოლო ის — ჩემთან“.

ვაჟებმა ცაში აიხედეს და დაინახეს, რომ კარი გაიღო. ხმამ, რომელიც ჩანჩქერის ზათქს მიაგავდა, თავისთან იხმო. სულმა მყისვე აიტაცა ორივენი. „და, აჰა, იდგა ტახტი ცაში, ხოლო ტახტზე იყო მჯდომარე. და მჯდომარე იასპისა და სარდიონის ქვას ჰგავდა სახით, და ცისარტყელა გადარკალულიყო ტახტის თავზე, სამარაგდის მსგავსი და ტახტის ირგვლივ ოცდაოთხი ტახტი, და მათზე მსხდომარე ოცდაოთხი უხუცესი, რომელთაც ემოსათ სპეტაკი სამოსი, და თავს ედგათ ოქროს გვირგვინნი. და ტახტიდან გამოდიოდნენ ელვანი, გრგვინვა და გრიალნი და ტახტის წინ ენთო შვიდი ლამპარი ცეცხლისა, რომლებიც არიან ღმერთის შვიდი სული. და ტახტის წინ თითქოს მინის ზღვა, მსგავსი ბროლისა და ტახტის შუა და ტახტის ირგვლივ ოთხი ცხოველი, წინიდანაც და უკნიდანაც თვალებით სავსენი. პირველი ცხოველი ლომს ჩამოჰგავდა, მეორე — კუროს, მესამე ცხოველს კაცის სახე ჰქონდა, ხოლო მეოთხე იყო მფრინავი არწივის მსგავსი. და ამ ცხოველთაგან თვითეულს ექვსი ფრთა ესხა ირგვლივ, შიგნიდან თვლებით სავსენი და არც დღისით და არც ღამით არა აქვთ მოსვენება, არამედ ღაღადებენ: წმინდაა, წმინდაა, წმინდაა უფალი ღმერთი, ყოვლისმპყრობელი, რომელიც იყო და რომელიც არის და რომელიც იქნება. და როცა ცხოველნი დიდებას, პატივს და მადლიერებას მიაგებენ ტახტზე მჯდომარეს, რომელიც ცოცხალია უკუნითი უკუნისამდე, ოცდაოთხი უხუცესი დაემხობა ტახტზე მჯდომარის წინაშე

და თაყვანს სცემენ ცოცხალს უკუნითი უკუნისამდე და ტახტის წინ ყრიან თავიანთ გვირგვინებს, და ამბობენ: ღირსი ხარ, უფალო, რომ მიიღო დიდება და პატივი და ძლიერება, რადგან შენ შეჰქმენ ყოველი და შენის ნებით არიან და შეიქმნენ“.

— „მამაო, მეშინია,“ — გელამ მეგობარს ფიქრი გადასცა.

— „ნუ გეშინია, მე აქ შენს გულისთვის ვარ, დაკვირვებით უყურე,“ — ზენონმა დაამშვიდა.

„და იხილეს ტახტზე მჯდომარის მარჯვენაში წიგნი, შიგნიდან და გარედან დაწერილი და შვიდი ბეჭდით დაბეჭდილი. ვერავინ ვერ შესძლო, ვერც ცაში, ვერც მიწაზე და ვერც მიწის ქვეშ, გაეშალა ეს წიგნი და შიგ ჩაეხედა.

გაიხედეს და, აჰა, ტახტსა, ოთხ ცხოველსა და უხუცესთა შორის დაინახეს მდგომარე კრავი, როგორც დაკლული, შვიდ რქიანი და შვიდ თვალიანი, რომელნიც არიან შვიდი სული ღმრთისა, მთელს დედამიწაზე მოვლინებულნი. მოვიდა და ტახტზე მჯდომარის მარჯვენიდან აიღო წიგნი.

და რა აიღო წიგნი, ოთხი ცხოველი და ოცდაოთხი უხუცესი დაემხო კრავის წინაშე; და თითოეულს ჰქონდა ჩანგი და ოქროს თასი, საკმევლით სავსე, რომელიც არის წმიდათა ლოცვა. და გალობდნენ ახალ საგალობელს, და ამბობდნენ: ღირსი ხარ შენ წიგნის აღების და ბეჭდის ახსნისა, რადგან დაკლულ იქმენ, და შენი სისხლით გამოგვისყიდე ღმერთისათვის, ყოველი ენისა და ერისა და ხალხისაგან.

და ესმოდათ, რომ ყველა ქმნილება, რომელიც არის ცაში თუ მიწაზე, მიწის ქვეშ თუ ზღვაში, და ყველაფერი, რაც არის მათში, ამას ამბობდა: ტახტზე მჯდომარეს და კრავს კურთხევა და პატივი და ძლიერება უკუნითი უკუნისამდე.

და იხილეს, რომ კრავმა ახსნა ერთი შვიდ ბეჭედთაგანი, და მოესმათ ოთხ ცხოველთაგან ერთ-ერთის მგრგვინავი ხმა, რომელმაც თქვა: მოდით და იხილეთ. და აჰა, თეთრი ცხენი და ზედ მჯდომარე მხედარი მშვილდოსანი; და მიეცა მას გვირგვინი, და გამოვიდა მძლეველი, რათა სძლიოს. და როცა ახსნა

მეორე ბეჭედი, მოესმათ ხმა მეორე ცხოველისა, რომელმაც თქვა: მოდით და იხილეთ. და გამოვიდა სხვა ცხენი, წითელი, და მასზე მჯდომს მიეცა მიწიდან მშვიდობის აღხოცვის ძალა, რათა მუსრს ავლებდნენ ერთმანეთს; და მიეცა მას მახვილი დიდი. და როცა ახსნა მესამე ბეჭედი, მოესმათ ხმა მესამე ცხოველისა, რომელმაც თქვა: მოდით და იხილეთ. მათ გაიხედეს, და აჰა, შავი ცხენი, და მასზე მჯდომს ხელთ ეპყრა სასწორი. და როცა ახსნა მეოთხე ბეჭედი, მოესმათ ხმა მეოთხე ცხოველისა, რომელმაც თქვა: მოდით და იხილეთ. და შეხედეს, და აჰა, ჩალისფერი ცხენი, ხოლო სახელი მისი მხედრისა — სიკვდილი; და ჯოჯოხეთი მოსდევდა მას; და მიეცა მას ხელმწიფება მეოთხედზე დედამიწისა, რათა მუსრი გაავლოს მახვილითა და შიმშილითა, სიკვდილითა და მიწიერ მხეცთაგან. და როცა ახსნა მეხუთე ბეჭედი, იხილეს საკურთხევლის ქვეშ სულნი მოკლულთა ღმრთის სიტყვისა და მოწმობისათვის, რომელიც ჰქონდათ. და შეღაღადეს ხმამაღლა და თქვეს: როდემდის, მეფეო წმიდაო და ჭეშმარიტო, არ განსჯი და შურს არ იძიებ ჩვენი სისხლისათვის მიწის მკვიდრთაგან? და მიეცა მათ სპეტაკი სამოსი, და ითქვა მათ მიმართ, ცოტა ხნით კიდევ დამცხრალიყვნენ, ვიდრე არ გასრულდებოდა მათ თანა-მონათა და ძმათა რიცხვი, რომელნიც, მათსავე მსგავსად, მოკლულ უნდა იქმნენ. და როცა ახსნა მეექვსე ბეჭედი, შეხედეს, და აჰა, იქმნა მიწისძვრა დიდი, და გაშავდა მზე, როგორც ძაძა, და სისხლივით გაწითლდა მთვარე. და დაცვივდნენ ზეცის ვარსკვლავნი ქვეყნად, როგორც ლეღვის ხე, მძვინვარე ქარით რხეული, ყრის მიწაზე თავის ყვავილებს. და, გრაგნილივით შეგრაგნილი, შეიკრა ზეცა, და ყოველი მთა და კუნძული თავიანთი ადგილიდან იძრნენ. და მეფენი ქვეყნისა და მთავარნი, ათასისთავნი, მდიდარნი და ძლიერნი, ყოველი მონა და თავისუფალი მღვიმეებსა და მთის გამოქვაბულებს შეეფარნენ. და მთებსა და კლდეებს შებღავლეს: დაგვემხეთ თავს, და ტახტზე მჯდომარის სახისა და კრავის რისხვისგან დაგვფარეთ.

და შემდგომ ამისა, იხილეს ოთხი ანგელოზი, ქვეყნის ოთხსავ კიდეზე მდგარი, და ეპყრათ ოთხი ქარი მიწისა, რათა არ ექროლა ქარს არც ხმელეთზე, არც ზღვაზე, და არც რომელიმე ხის მიმართ.

და იხილეს სხვა ანგელოზი, მზის აღმოსავლით აღმომავალი, რომელსაც ჰქონდა ცოცხალი ღმერთის ბეჭედი და შესძახა ხმამაღლა ოთხ ანგელოზს, რომელთაც მიეცა ვნება მიწის და ზღვისა: ნუ ავნებთ ნურც მიწას, ნურც ზღვას, ნურც ხეებს, ვიდრე არ აღვბეჭდავთ ბეჭდით ღმერთის ჩვენის მონათა შუბლებს. და შემდგომ ამისა გაიხედეს, და აჰა, ურიცხვი სიმრავლე ხალხისა, რომლის აღრიცხვასაც ვერ შესძლებდა ვერავინ, ყოველი ხალხისა და ტომისაგან, და ერისა და ენისაგან იდგა ტახტის წინაშე და კრავის წინაშე, სპეტაკი სამოსით მოსილი, და ხელთ ეპყრა პალმის რტონი. და ხმამაღლა ღაღადებდნენ და ამბობდნენ: ხსნა ღმერთის ჩვენის, ტახტზე მჯდომარისა, და კრავისაგან არის.

უფალმა უთხრა მათ: ესენი არიან დიდი ურვიდან მოსულნი, მათ გარეცხეს და კრავის სისხლით გაასპეტაკეს თავიანთი სამოსნი. ამიტომაც არიან ღმერთის ტახტის წინაშე, და მსახურობენ მას დღე და ღამ მისსავ ტაძარში, და ტახტზე მჯდომარე დაემკვიდრება მათში. და აღარ მოშივდებათ მათ, არც მოსწყურდებათ, და არც მზე დასწვავთ და აღარც ხვატი, რადგანაც კრავი, რომელიც არის ტახტის შუა, დამწყემსავს მათ, და სიცოცხლის წყლის წყაროსაკენ წარუძღვება მათ, და შეაშრობს ღმერთი მათ თვალებზე ყოველგვარ ცრემლს.

და როცა ახსნა მეშვიდე ბეჭედი, ასე, ნახევარი საათით დუმილი ჩამოვარდა ზეცას“.*

გელამ სამყაროში ჩამოვარდნილი სიმშვიდით ისარგებლა, მეგობარს გადახედა:

— „მამაო, წავიდეთ,“ — შეევედრა.

---

* გამოცხადება იოანე ღმრთისმეტყველისა.

ზენონმა გაუღიმა, არაფერი უპასუხია. მოულოდნელად გელამ სიმსუბუქე დაკარგა. ტყვიასავით დამძიმდა. თვალი გაახილა, აზრზე მოსასვლელად მიმოიხედა, ისევ სასტუმრო ოთახში იყო, მაგიდაზე ფეხებაპლაკული. ეკა და დესი გვერდით ედგნენ, შუბლზე ცივ ტილოებს ადებდნენ. ვაჟმა მაგიდიდან ფეხები ჩამოიღო, სავარძელში გასწორდა, ენაგადაყლაპულმა ქალებს გადახედა.

— კინაღამ სასწრაფო გამოვიძახეთ, — ეკა შეშინებული ჩანდა.

— გაძაგძაგებდა, კვნესოდი და საშინლად ხურდი, — დესიმ შუბლიდან ტილო მოაცილა, — რა გჭირდა, ნუთუ კოკამ გიქნა?

— არ ვიცი, არ ვიცი, — წაილუღლუღა. ფიქრმა წაიღო, ნანახი აღიდგინა, — ოხ, ზური! — ამოიჩურჩულა, — გოგოებო, მე ცოტა ხნით უნდა გავიდე და მალე მოვალ. ყველაფერი თქვენს განკარგულებაშია, არ მოიწყინოთ, როცა მოვბრუნდები, მერე მოგეფერებით, — გაჭირვებით წამოდგა და ბინიდან გავიდა. ავტოფარეხში ჩასული გაოცდა, როდესაც მანქანაში სანა დალანდა. კარი გამოხსნა, საჭესთან დაჯდა.

— შვილო ჩემო, შენი ძმაკაცი გვებრძვის, მგონი გარკვეულ მიზანსაც აღწევს, — ქალს თვალები მწვანედ უკიაფებდა, სახეზე შეშფოთება დაღივით აჯდა, — მიპასუხე, აღწევს თავის მიზანს?! — მკაცრად იკითხა.

— არ ვიცი, — გელამ მხრები აიჩეჩა, — ეს სად ვიყავი? — საცოდავად იკითხა.

— მართალია, მხოლოდ დასაწყისის ნახვა მოასწარი, იმის, რაც უნდა მოხდეს, რაც უცილობლად გარდაუვალია, მაგრამ შენ სხვა გზას ადგახარ, ძნელია იყო რჩეული, — სანამ ხმას აუწია, — ამ თამაშიდან მხოლოდ სიკვდილს გამოჰყავხარ, შენი ცხოვრებისეული ბილეთი ერთი მიმართულებისაა და ამ მიმართულების შეცვლა შეუძლებელია. გაიგე?! — ისე წაისისინა, რომ ვაჟს გააჟრჟოლა, — შვილო ჩემო, — ქალმა ტონი შეცვალა, — მე მგონი, არაფერი გაკლია, შენი ყველა ნატვრა თუ ოცნება ახდენილი გაქვს, სხვა რაღა გინდა, შეირგე, თორემ ფინალი ცუდი იქნება! გესმის, შვილო ჩემო?

— მე არაფერ შუაში ვარ, ზენონი ძლიერია, — გელამ თავი იმართლა.

— ვიცი, — ქალმა თავი დაუქნია.

— მე ხვალ კიდევ ერთხელ დაგიმტკიცებთ, რომ არჩეული გზიდან არ გადამიხვევია.

— ხედავ, როგორც კი მოეშვები, ზენონი იმწამსვე შენში შემოდის, — სანა ხმამაღლა ფიქრობდა, — ესე იგი, მენიუდან კოკა ამოსაღები გაქვს, მორჩა, ახლოს აღარ გაიკარო, სასმელზე გადადი, თორემ ხუხულა დაგენგრევა, — ქალი გელასთან ახლოს მიიწია, ლოყაზე აკოცა, — ცოტა ზედმეტი მომივიდა, არ გამიბრაზდე, — კარი გააღო და მანქანიდან გადავიდა.

გელამ თვალი გააყოლა, სანა რამდენიმე მეტრში, ვითომც იქ არ ყოფილა, სადღაც გაუჩინარდა. ვაჟმა მანქანა დაქოქა, ავტოფარეხის კარი გახსნა და ქუჩაში გამოვიდა. გეზი ზურაბის მონასტრისკენ აიღო. ბერთან შესახვედრად უამრავ ადამიანს მოეყარა თავი. გელა მანქანიდან გადავიდა და ხალხში შეერია. გაიგო, რომ საღამოს ექვსის მერე ბერი ცუდად გამხდარა და არავის ღებულობდა. სენაკში მყოფს სხვა ბერები უვლიდნენ, სასწრაფოც ჰყოლიათ გამოძახებული.

მონასტრის ჭიშკრიდან ერთი შავკაბიანი გამოვიდა, ხალხს მიუახლოვდა:

— თქვენში გელა კაცაძე რომელია?

— მე ვარ, — ვაჟი მიუახლოვდა.

— მამა ზენონმა თქვენთვის წერილი გადმომცა, — ბერმა ოთხად გადაკეცილი დიდი ფურცელი მიაწოდა.

— როგორ არის? — გელა შეეკითხა.

ბერი შეჩერდა, მისკენ მოტრიალდა:

— თავს უკეთ გრძნობს, თქვენზე მითხრა, ძალიან მიყვარსო, ჩემი ძმააო.

გელას ესიამოვნა, ჩაბღუჯულ ფურცელს თითები გადაუსვა, თითქოს ზურაბს მიეფერა:

— რომ შემოგყვეთ, ვერ ვნახავ?

— დამაბარა, არავინ შემოვიდესო. ახლა მას სიმშვიდე სჭირდება, მამები თავზე ადგანან და ლოცვას აღუვლენენ, — მიუგო ბერმა.

— მაშინ გადაეცით, რომ მეც ძალიან მიყვარს, — უპასუხა გელამ და მანქანაში დაბრუნდა, სავარძელში მოკალათდა, ფურცელი ფაქიზად გახსნა და გაოცებისგან კინაღამ ხელიდან გაუვარდა: მთელ ქაღალდზე დიდი ბონური ჯვარი ეხატა და ქვეშ ეწერა: ჩვენთან არს ღმერთი! ფურცელი დაკეცა, არ იცოდა, სად წაეღო. იქვე, მანქანასთან ბავშვი შენიშნა, გადავიდა და მიაწოდა, — ბიჭი, აიღე ეს ფურცელი, მამა ზენონმა შენ გამოგიგზავნა.

— დიდი მადლობა, — მიუგო პატარამ, გამოართვა და მშობლებისკენ გაიქცა.

გელამ მანქანა დაქოქა და ბაგებში, სახლში დაბრუნდა. ბინაში შესულს ქალები შეეგებნენ.

— უკეთ ხარ? — ეკამ ხელკავი გაუკეთა და სასტუმრო ოთახისკენ გაიყოლა, — შენი დაცვის უფროსია მოსული, გელოდება.

— ვა, — გაუკვირდა გელას, — ხვალ არ უნდა მოსულიყო?

მასპინძლისა და დაცვის ობიექტის დანახვაზე, ათლეტური აღნაგობის მამაკაცი დივანიდან წამოდგა:

— უჩა, — გაეცნო და ხელი ჩამოართვა.

— დაჯექი, უჩა, დაჯექი, — ანიშნა გელამ და მასთან ახლოს, სავარძელზე მოთავსდა, — ეკა, შამპანური გამოიტანე, ჩვენი გაცნობისა დავლიოთ, — გასძახა სამზარეულოში მოფუსფუსე ქალს.

— ბატონო გელა, ნუ წუხდებით, მე საერთოდ არ ვსვამ...

— შენ არა, მე ვსვამ, — ვაჟმა სიგარეტს მოუკიდა, — როგორ, ჩემი სიცოცხლე გაბარია და შენი გაცნობისა არ შევსვა? — ნახევრად ირონიით უპასუხა.

— როგორც გენებოთ, — მცველი დათანხმდა.

— უჩა, მარტო შენ მიცავ? — გელამ სიგარეტი საფერფლეზე დადო და შამპანურის ბოთლის გახსნას შეუდგა.

— არა, ბატონო გელა, მე თქვენი დაცვის ჯგუფის ხელმძღვანელი ვარ, სულ რვანი გიცავთ, აქედან ორი მძღოლია, ექვსნი კი დაცვის პოლიციელები გახლავართ. თქვენს პერსონალურ მანქანაში მარტო მძღოლი და მე ვიქნებით, მეორე, დაზღვევის მიზნით, ჩვენს უკან ივლის.

— „ვა, რა ღირებული ვყოფილვარ," — ვაჟმა გაიფიქრა, — ძალიან კარგი, — კმაყოფილს ჩაეღიმა და შუშხუნა სითხე ფუჟერებში ჩამოასხა, — ჩვენს გაცნობას გაუმარჯოს, — მამაკაცს სასმისზე მიუჭახუნა.

— გაუმარჯოს, — უჩამ ფუჟერი მაგიდაზე დადგა.

ერთხანს ისაუბრეს, მერე გელამ უჩას მობილურის ნომერი ჩაიწერა, დილით თორმეტის ნახევრისთვის დაიბარა და კარებამდე მიაცილა. სასტუმრო ოთახში მობრუნებულმა ქალები თავისთან იხმო.

— რა კარგია, უკეთ რომ ხარ, — დესი თვალებში შეციცინებდა, — გული გამისკდა, მეგონა, დღევანდელი ღამე ჩაგვეშალა.

— ნუ დარდობ, კარგად ვარ. — მასპინძელი კმაყოფილი ჩანდა, — კოკას ეს პარტია, ეტყობა, ძლიერია და მეტი მომივიდა. ცოტა ხნით საერთოდ უნდა შევეშვა, თორემ ფეხებს გამაფშეკინებს.

— ჩვენთვის ხომ შეიძლება? — იკითხა ეკამ.

— წამოდით, ჩემო თოჯინებო, — გელამ ორივეს ხელი გადახვია, დივანზე დასვა და ნარკოტიკით სავსე ყუთი მაგიდაზე წინ დაუდო.

ქალებმა ბილიკები თავად გააკეთეს და ფხვნილი იყნოსეს. ორივე საზურგეს მიეყრდნო, ერთხანს სიამოვნების მორევში ილივლივეს, ამასობაში გელამ შამპანური გამოცალა.

— ასეთი მიყრუებულები დიდხანს უნდა იყოთ? ადექით, საქმეს მივხედოთ, — ორივენი წამოაყენა და აბაზანაში შეიყვანა. ჯაკუზში წყალი მოუშვა, — არ უნდა მანახოთ, როგორი ეკადესი ხართ?

— უი, მართლა, — დესიმ შეიცხადა, — როცა აბაზანიდან გამოვალთ, უკვე სიამის ტყუპები ვიქნებით, — გაღიმებული საუბრობდა, თან ტანსაცმელს იხდიდა.

ეკა არ საუბრობდა, ნარკოტიკისგან რეტდასხმული ცალი ხელით კედელს მიყრდნობოდა, მეორეთი გახდას ცდილობდა, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა, შარვლის ღილიც კი ვერ გაიხსნა.

— მაგრები ხართ, — უსაყვედურა გელამ, მიუახლოვდა, გახდაში მიეხმარა. — ახლა ჩაწექით, წყალი ცოტა აზრზე მოგიყვანთ, — სამზარეულოში გავიდა. შამპანურის ახალი ბოთლი მაცივრიდან გამოიღო, ჩამოისხა და იქვე მაგიდას მიუჯდა, — „ეს სად ვიყავი? სანამაც მითხრა, დასაწყისი ნახეო, ესე იგი, ის სამყარო რეალურად არსებობს? არსებობს და როგორ," — დარწმუნებულმა გაიფიქრა, ფუჟერი სულმოუთქმელად გამოცალა, სიგარეტს მოუკიდა, — „ეს რა მოხდა? შიშისგან კინაღამ ჩავისვარე. მეშვიდე ბეჭდის ახსნის შემდეგ რაღა იქნება? დედა, რა ქაქში ვარ ჩაფლული და აზრზე არა ვარ, რა ხდება მეშვიდე ბეჭდის შემდეგ, ნეტა რა ხდება? მამა ზენონს როცა ვნახავ, ყველაფერს გამოვკითხავ. ისიც ცუდად გამხდარა, მაგას შემოვევლე. მთელს დედამიწაზე ერთადერთი ადამიანია, ვინც ჩემზე ზრუნავს," — ფუჟერი ისევ შეივსო, ყლუპ-ყლუპად გამოცალა. ყელზე ჩამოკიდებული კუპონი ემძიმა, მკლავი შეიცურა და მაჯაში მოიქცია. ადრე როგორც სიამოვნებდა, იმის მსგავსი ვერაფერი იგრძნო, ხელი ცივად გაუშვა, ერთი კი გაიფიქრა, მოეხსნა თუ არა, ვერ გაბედა, ხელი ჩაიქნია, — „მკიდია და მეკიდოს," — ფიქრს რამდენიმე ღრმა ნაფაზი დააწია. ამ დროს ქალების ძახილი მოესმა, წამოდგა და მათთან მივიდა, — კაიფობთ, გოგოებო? — ჯაკუზს დაეყრდნო და ორივეს შეაცქერდა.

— შეგვხედე, — ქალები წყლიდან წამოიწივნენ.

— ეს რა გიქნიათ? — თავი ვეღარ შეიკავა, გაეცინა. ქერა და წაბლისფერი თმებისგან დაწნული ნაწნავებით ერთმანეთს გადაბმოდნენ.

— ხომ გითხარით, სიამის ტყუპები — ეკადესი ვართო. ამ ნაწნავებით ამერიკელი და ქართველი ხალხის ერთიანობას ვუსვამთ ხაზს, — აუხსნა დესიმ.

— რა, არ მოგწონს? — იკითხა ეკამ.

— ესე იგი, დღეს ქართულ-ამერიკული ერთიანობა უნდა ვიხმარო? — გელამ გულიანად გადაიხარხარა.

— ასე გამოდის, — დესიმაც სიცილით უპასუხა.

— კარგი, მე ახლა შხაპს გადავივლებ და მოგხედავთ, — მასპინძელი საძინებელი ოთახისკენ წავიდა. ტანთ გაიხადა, ხალათი მოიცვა, ქალებისთვისაც აიღო პირსახოცები და ხალათები და აბაზანაში დაბრუნდა. ერთმანეთზე თმით გადაბმული ქალები ჯაკუზიდან გაჭირვებით წამოდგნენ, იატაკზე გადმოაბიჯეს და მასპინძელს პირსახოცები გამოართვეს.

— ჯაკუზმა ძალიან გვასიამოვნა, — დესიმ კმაყოფილმა ჩაილაპარაკა.

— ისე, ეკადესობაში რაღაცა ახალი და საინტერესოა, — გელა ტანის გამშრალებაში გართულ დედაკაცებს ცხოველი ინტერესით შეცქეროდა, — სიამის ტყუპობა გიხდებათ, — ხალათი გაიხადა და კაბინისკენ გაემართა.

— ჩვენ რა ვქნათ? — იკითხა ეკამ.

— მოდით, აქ შემომიძვერით, სამივენი დავეტევით, — მასპინძელმა წყალი მოუშვა, სასურველ ტემპერატურაზე დააყენა და კაბინაში შეაბიჯა.

— ტანი ძლივს გავიმშრალეთ, მანდ რაღა გვინდა, — იუარა დესიმ, — საძინებელში წავალთ და საწოლში დაგელოდებით.

— მაშინ ერთი ბოთლი შამპანური ხელს გააყოლეთ, — აბაზანიდან გამავალ ქალებს მიაძახა გელამ და წყლის ჭავლს თავი შეუშვირა.

მთელმა ღამემ სამეულის ვნებათა დუღილში ჩაიარა. გელას მონაცემებით დესი აღფრთოვანებული დარჩა, სულ გაიძახოდა, მოყოლილს ნატურში განცდილი ჯობიაო და ვაჟის ჟინდაუცლელობით ნეტარების უმაღლეს მწვერვალზე იმყოფებოდა.

დილის შვიდი სრულდებოდა, როდესაც გელა საწოლიდან უკვე ჩვეულმა ძალამ წამოახტუნა. ხალათი მოიცვა და აღმოსავლეთის ერთ-ერთ ფანჯარასთან მივიდა:

— „მამაო ზენონ, მიდი, ძამიკო, მიდი,“ — ყოველგვარი წაწუწუნების გარეშე გაიფიქრა. ოცი-ოცდახუთი წუთი ასე დაყო, შემდეგ საწოლში ერთმანეთის ფერებაში გართულ ქალებს მიუბრუნდა, — მე მგონი, ადგომის დროა, ეგ წნულები დაიშალეთ და მომხედეთ. მე შხაპს მივიღებ.

— მართალი ხარ, — მიუგო ეკამ და ერთმანეთში გადახლართული თმების განცალკევებას შეუდგა.

სამივემ ერთად ისაუზმა.

— ეკა, პირი გამპარსე, დღეს პირველი ეთერი მაქვს და დონეზე უნდა ვიყო.

— აუცილებლად, — გაუღიმა ქალმა, — გელა, შენ და დესის როცა გაგისტუმრებთ, მერე სახლს მივალაგებ და დედაჩემის სანახავად წავალ, ხომ შეიძლება?

— წადი, რა პრობლემაა.

— ცოტა დამაფინანსე, საჭმელს ვუყიდი, გადასახადებს გადავუხდი, საღამოს კი ოფისში მოგაკითხავ და ისევ შენს განკარგულებაში ვიქნები, ჩემი ხვედრიც ეგ არის...

— შაყირობ თუ სერიოზულად ამბობ?

— შენ რჩეული ხარ, მე პირველ გრადუსში აყვანილი არსება, რომელიც გეომეტრის, სანასა და შენნაირებს უნდა ემონოს, — ქალი ჩაფიქრდა, პაუზა ჩამოაგდო, შემდეგ გაიღიმა, — მე კიდევ გამიმართლა, რომ სარეცელს შენნაირი აღნაგობის და თან ახალგაზრდა კაცთან ვიზიარებ. ერთი სხვები განახა, მიქიშმიშებულ რჩეულებთან რომ არიან მივლინებულნი, რა დღეში არიან...

— ამაზე საუბარი აღარ გვინდა! — დესიმ შეაწყვეტინა, — რას ჩაიცმევ? — გელას შეეკითხა.

— შავი კოსტიუმი გამომიღე, თეთრი პერანგი და წითელი ჰალსტუხი.

— კარგი, — დესი წამოდგა და საძინებლისკენ გაემართა.

ეკამ ვაჟს პირი გაპარსა, კისერიც მოუწესრიგა:

— ხოშიანად გამოიყურები, — შეაქო.

— ფული რამდენი გჭირდება?

— რა ვიცი? — ქალმა მხრები აიჩეჩა.

გელა საძინებელში გავიდა, საფულე აიღო:

— სამასი დოლარი გეყოფა?

— რასაკვირველია, — დაეთანხმა ეკა და ფული გამოართვა, — დიდი მადლობა.

— რისი მადლობა, — გელა ჩაცმას შეუდგა.

თერთმეტი ხდებოდა, როდესაც ფინანსური პოლიციის უფროსმა დაურეკა:

— ბატონო გელა, გამარჯობა, იმედა ვარ.

— ჰო, იმედა, გაგიმარჯოს.

— ბატონო გელა, თქვენი დავალება შესრულებულია, პაატა თავისუფალია...

— მადლობის მეტი რა მეთქმის, — გელას ჩაეღიმა, — აწი რამე ხომ არ ემუქრება?

— არაფერი.

— გაიხარე, იმედ! — ვაჟმა მობილური გათიშა, — დესი, ტელევიზიაში ხომ მომყვები?

— აუცილებლად, ბატონო გელა, — ქალი ოფიციალურ მიმართვაზე გადავიდა.

— მარტო შენ რომ იპრანჭები, ერთი მეც შემომხედე, როგორ გამოვიყურები.

— მშვენივრად, გემოვნებით გაცვიათ.

— ძალიან კარგი, — ვაჟმა ჩაილაპარაკა, — ერთი მითხარი, ეს დაცვის ბიჭები ჩვენები არიან?

— არა, — ქალმა თავი გააქნია, — სახელმწიფო დაცვის სტრუქტურიდან ავარჩიეთ, საკმაოდ გამოცდილი კადრია.

— ესე იგი, მათი თანდასწრებით არაფერზე ვსაუბრობთ?

— ასეა, ბატონო გელა, თქვენ მათთვის მხოლოდ დაცვის ობიექტი ბრძანდებით, სხვა არაფერი. ოღონდაც ფული გადაუხადე და საჭიროების შემთხვევაში ზოოპარკში ბეჰემოტსაც დაიცავენ, — მრჩეველმა გაიცინა.

ზარის ხმა გაისმა, ეკა კარის გასაღებად წავიდა და ბინაში უჩასთან ერთად დაბრუნდა.

— ჩვენ მოვედით, ბატონო გელა, — უფროსს ომახიანად განუცხადა.

— გხედავ, ჩემო უჩა, — ვაჟმა გაუღიმა და დაცვის უფროსს ხელი ჩამოართვა.

ქუჩაში გამოსულებს, სახლის წინ ორი „ტოიოტას“ შავი ჯიპი დაუხვდათ. უჩამ პირველი მანქანის უკანა კარი გელას გაუღო, ჩასვა, შემდეგ დესის მოემსახურა, თვითონ კი წინა სავარძელი დაიკავა. რაციით უკანა მანქანას დაძვრის ბრძანება მისცა და „რუსთავი 2“-ის შენობისკენ დაიძრნენ.

XII

გელა მანქანაში გატრუნული იჯდა, მისი გონება სადებატო თემის ირგვლივ მიმოდიოდა. მობილურმა დაურეკა:

— გისმენთ, სანა.

— გამარჯობა, შვილო ჩემო, ხომ არ ნერვიულობ?

— სანერვიულო რა მაქვს, თემა გადასარევად ვიცი, დღეს მაქსიმუმს დავდებ.

— ეს შენი პირველი ეთერია და იცოდე, შემდეგი წინსვლა მის შედეგზეა დამოკიდებული, მთელი პასუხისმგებლობით მოეკიდე, არ იჩქარო. ის ბებერი, — ქალმა მეორე მხარე იგულისხმა, — საკმაოდ გამოცდილია. მართალია, მითითებები მიღებული აქვს, მაგრამ მაინც ფრთხილად იყავი.

— ვიცი, სანა, — ვაჟი თვითდაჯერებული ჩანდა.

— კარგი. აბა, წარმატებები, — ტელეფონში სისინებდა ქალი, — ჰო, მართლა, დღეს ჩვენი უხუცესი პარლამენტარი მძიმე დიაგნოზით საავადმყოფოში დააწვინეს. ახლა ყველაფერი შენს მარიფათზეა დამოკიდებული, ხალხს თავს როგორ მოაწონებ, როგორ შეაყვარებ. ის ბებრუხანა მალე გარდაიცვლება, შენ კი

საკანონმდებლო ორგანოში მოხვდები და შენი მისიის შესასრულებელი გზა გაგეხსნება. გაიგე?!

— დიახ. იმ კაცის სიცოცხლე ჩემს წარმატება-წარუმატებლობაზეა დამოკიდებული? — გაიკვირვა გელამ.

— ეგრეა, შვილო ჩემო, მაგრამ იცოდე, თუ ვერ გაქაჩე, პარლამენტში თავისუფალ კვოტას სხვა შეავსებს — დღეს რჩეულების დეფიციტი არ არის, ბევრი გვყავს, შვილო ჩემო, უბრალოდ ჩემი სიმპათია შენკენ იხრება და ძალიან მინდა, კანონმდებელი გახდე.

— მეც მინდა, სანა, ყველაფერი იდეალურად იქნება, მე ძალისხმევას არ დავიშურებ.

— აბა, წარმატებები, — ქალმა მობილური გათიშა.

ჯიპების ესკორტი მეტრო „დელისთან," მრავალსართულიანი შენობის ეზოში შევიდა. უჩამ და დაცვის რამდენიმე წევრმა გელა და დესი მანქანიდან გადმოიყვანეს და პირველ სართულზე, ლიფტისკენ გაემართნენ. მეჩვიდმეტე სართულზე ავიდნენ. მცირე ზომის დერეფანში პირველები მცველები გავიდნენ, საეჭვო რომ ვერაფერი დალანდეს, ობიექტი მრჩეველთან ერთად კაბინიდან გამოიყვანეს. უჩა გვერდიდან არ შორდებოდათ, გელას ერთგული ძაღლივით დასდევდა. ტელევიზიის სტუდიამდეც მიაცილა. ჰოლში სტუმრებს შეეგებნენ და საგრიმიორო ოთახში შესვლა შეთავაზეს.

— მაკიაჟს მე გავუკეთებ, — დესიმ, თავისი უფროსის სარკისადმი დამოკიდებულების გამო, ინიციატივა არავის დაუთმო, — გრიმი, პუდრი, ფუნჯები ადგილზეა? — ტელევიზიის თანამშრომელს შეეკითხა.

— დიახ, — მიუგო ქალმა და ოთახი მიუთითა.

უჩამ მიკროდაზვერვა ჩაატარა და დესის გელას ოთახში შეყვანის ნებართვა დართო. თანაშემწემ სავარძელი სარკის საწინააღმდეგოდ შემოაბრუნა და ვაჟი ჩასვა.

— რა საჭიროა, ქალი ვარ? — გელას ჩაეცინა, — რად მინდა ეს გრიმი და მაიმუნობა?

— ბატონო გელა, კამერა ყველა მცირე ზომის დეფექტს აფიქსირებს, ამიტომ სახის მოწესრიგება აუცილებელია, — მიუგო დესიმ, წინსაფარი გულზე დაადო და კისერზე ზონრებით შეუკრა, — მაგარი კაცი ხარ, გუშინდელი ღამე არასდროს დამავიწყდება, — ჩასჩურჩულა.

— რა დროს ეგ არის, რეებზე ფიქრობ?! — გელამ თანაშემწე დატუქსა, — ერთი ეს მითხარი, ის უხუცესი პარლამენტარი, ვისი კვოტითაც მე იქ უნდა გავიჩითო, რჩეულია თუ გრადუსანტი?

— მესამე ხარისხშია აყვანილი, ბავშვობაში, ტროცკის დროს, — ქალმა გაიცინა, — მშობლებს ჩუმად მოუნათლავთ და ჩვენს რიგებში მხოლოდ და მხოლოდ გრადუსანტის სტატუსით შეეძლო მოხვედრა, ისე ძალიან პასიური იყო, მისი ფუნქცია „ახალ დემოკრატ-ქრისტიანთა“ პარტიისთვის მარტო ხმების მიცემით შემოიფარგლებოდა, სხვა არაფერი შეეძლო. ღილაკზე თითის მისაჭერი ცოცხალი ლეშივით ეგდო, არადა, დღეს ჩვენს საქმეს აქტიური ხალხი სჭირდება, აი ისეთი, როგორიც შენ ხარ, — დესიმ თმაზე ხელი გადაუსვა, — შენთან განმარტოებისას გუშინდელი სექსის გაგრძელება მინდება...

— ნუ გაახურე საქმე, გრიმი დროზე გამიკეთე, ეთერამდე სირბანჯო უნდა ვნახო, ორი სიტყვით გამოველაპარაკები.

— კარგი, შეფ, — მრჩეველი დამორჩილდა და დიდი ფუნჯით ყვრიმალებზე პუდრის წასმა დაიწყო. სახის მოწესრიგების შემდეგ წინსაფარი მოხსნა, პერანგის საყელოს ბოლო ღილი შეუკრა, ჰალსტუხის ყულფი გაუსწორა, — მშვენივრად გამოიყურები.

გელა სავარძლიდან წამოდგა, ქალს უკანალზე ხელი წამოარტყა:

— მართალია, ამის დრო არ არის, მაგრამ მაგარი ტრაკი გაქვს, გუშინ მეც მაგრად ვისიამოვნე, — გაუღიმა და დერეფანში გავიდა.

უჩა კარებთან იდგა, მხარში ამოუდგა და სამივენი ერთად სტუდიაში შევიდნენ. მცველი და მრჩეველი კამერებისთვის

უხილავ ზონაში დარჩნენ, ხოლო გელა მაგიდისკენ გაემართა. სტუდიაში ჭაღარა, ასაკოვანი მამაკაცი შემოვიდა. ერთმანეთს მიუახლოვდნენ, ხელი ჩამოართვეს.

— გენადი, — ოპონენტი გაეცნო.

— გელა, — ვაჟმა ეტიკეტის გამო გაუღიმა, ერთი წამით მისი ჩაცმულობა აათვალიერ-ჩაათვალიერა. მამაკაცს გაცრეცილი ჯინსის შარვალი და სპორტული ფეხსაცმელი ეცვა, ხოლო წელსზემოთ თეთრ პერანგზე ახალთახალი ყავისფერი პიჯაკი ემოსა, გულზე ყვითელი ჰალსტუხი ეკეთა. გელას, ცოტა არ იყოს, მისი ჩაცმულობა ეხამუშა, რაც გენადის არ გამოპარვია.

— ბატონო გელა, გადაცემაში, ისევე როგორც მთელ ცხოვრებაში, ჩვენ მთლიანად არ ვჩანვართ, ამიტომ ხილული ნაწილი მომხიბვლელი უნდა იყოს, ხოლო უხილავი — არავის აინტერესებს, ის მარტო ჩვენია, — ღიმილით აუხსნა მამაკაცმა.

— „შეხედე, ეს სირბანჯო რა ფილოსოფიურ ნოტაზეა," — მანაც გაიღიმა, — ბატონო გენადი, თქვენი ოპონირება ძნელი იქნება, — კომპლიმენტივით გამოუვიდა.

— როგორ გეკადრებათ, — გენადიმ შეიცხადა, — ყველაფერი დადგმულია და, სცენარს თუ არ გადავუხვევთ, დებატი შედეგიანი იქნება. ისე, — მამაკაცი ახლოს მიიწია და ყურში უჩურჩულა, — შვილიშვილად მეკუთვნი და, თუ ცოტა წავიუხეშებ ან ხმას ავუწევ, არ გეწყინოს — განგებამ ასეთი მძიმე როლი მარგუნა.

— მოვიქცეთ ისე, როგორც საქმეს სჭირდება. დეცენტრალიზაციის სიკეთეში ეჭვი არავის უნდა გაუჩნდეს. შიგადაშიგ მეც ვიუხეშებ და მომიტევეთ.

— დიახ, ბატონო გელა, ეს გადაცემა თქვენ დიდ პოლიტიკაში ნათლობად შეიძლება ჩაითვალოს. არაფერზე ინერვიულოთ, მე უარესებიც გადამიტანია და მომინელებია, — მხარზე ხელი მეგობრულად მოუთათუნა.

სტუდიაში წამყვანი შემოვიდა. გელას იგი სოლოლაკის „როკ-კლუბიდან" ეცნო, მისი როგორც სტრიპტიზის მოცეკვავის

ხილვით, მაშინ დიდად მოიხიბლა. ახლაც ისე ეცვა, სამოსი მისი ლამაზი სხეულის თითოეულ ნაკვთს მკვეთრად წარმოაჩენდა. ზედმეტად მიხატულ-მოხატულ სახეზე პროფესიონალური, თავდაჯერებული იერი აღბეჭდვოდა.

— ბატონო გელა, ბატონი გენადი ჩვენი ხშირი სტუმარია. ჩემს შოუში თქვენ პირველად იმყოფებით, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, — ქალმა გაუღიმა, — მე თეა მქვია, — გაეცნო ვაჟს.

— სასიამოვნოა, — გელამ ღიმილზე ღიმილითვე უპასუხა.

თეამ ორივენი ერთმანეთის საპირისპიროდ, მაგიდასთან დასვა. გადაცემა გელას ვრცელი და ხანგრძლივი წარდგენით დაიწყო. შემდეგ ჟურნალისტის ამპლუა რინგზე მყოფი რეფერისას უფრო დაემსგავსა, ვიდრე გადაცემის წამყვანისას. გელას თვალწინ გენადის მეტამორფოზაც მოხდა — ეს ფუნთუშასავით რბილი კაცი აგრესიულ და შემტევ ოპონენტად გარდაიქმნა, მაგრამ სცენარის მიმდინარეობა ოდნავადაც არ შეუცვლია. საათნახევრიანი სჯა-ბაასის შემდეგ, როდესაც თეამ საქმე ბოლომდე მიიყვანა, სამივემ შვებით ამოისუნთქა.

— კარგი გამოვიდა, — კმაყოფილმა ქალმა წყალი მოსვა, — ახლა მივჭრით, მოვჭრით და ერთსაათიან შოუს მაყურებელს წარვუდგენთ. გილოცავთ, ბატონო გელა, აქ მოყვანილი თქვენი ყველა არგუმენტი მეტად დამაჯერებლი იყო.

— მეც მოხარული ვარ, მშვენიერი გამოვიდა, — გენადიც დაეთანხმა, რომელსაც სატელევიზიო მედიდურობა უკვალოდ გაჰქრობოდა.

გელა იქ მყოფთ დაემშვიდობა და დაცვას, ოფისში წავედითო, მიაძახა. მისაღებში მოადგილე შეეგება:

— ბატონო გელა, დებატებმა როგორ ჩაიარა?

— გენო, ჩემი ოპონენტი შენი სეხნია აღმოჩნდა, — სირბანჯოო, გაიფიქრა და — გენადი ჰქვია, — გაღიმებულმა დაუზუსტა.

— ვიცი, — მოადგილე დაეთანხმა.

— რაც შეეხება გადაცემას, კარგი უნდა გამოვიდეს. საღამოს, კურიერის შემდეგ გაუშვებენ და ვნახავთ.

— მშვენიერია, — მოადგილემ ინტერესი დაიკმაყოფილა, — ბატონო გელა, რამდენიმე გაზეთიდან ჟურნალისტები არიან მოსული, თქვენგან ინტერვიუს აღება სურთ.

— დესი, აზრზე მოსასვლელად, ჯერ ყავა გამიკეთე და შემდეგ შემოუშვი, — კაბინეტში საქმიანად შეაბიჯა.

ჟურნალისტებთან შეხვედრისას გელამ თვითმმართველობის კოდექსის უაღრესად დადებით და მეტად საჭირო მხარეებზე ისაუბრა, ახსნა, რომ დეცენტრალიზაცია თითოეული სოფლის, ქალაქისა თუ რეგიონის მეტ დამოუკიდებლობას შეუწყობს ხელს; გაკეთდება გზები, სარწყავი არხები, მოხდება გაზიფიცირება, აღდგება წყალ-კანალიზაციის სისტემები, აშენდება ახალი სკოლები, საავადმყოფოები, კულტურის სახლები, რაც პერიფერიის მოსახლეობას, და კერძოდ ახალგაზრდობას, დაამაგრებს ადგილებზე. მშობლიურ კუთხეს აღარავინ დატოვებს, რითიც ხელი შეეწყობა საქართველოს განვითარებას. მხოლოდ ამ გზით აღორძინდება სოფლის მეურნეობა, ქვეყნის თითოეული კუთხე-კუნჭული აყვავდება და შეიქმნება მზარდი მატერიალური დოვლათი.

რომელიღაცა ჟურნალისტმა გოგონამ ირონიულად ჰკითხა:

— ბატონო გელა, ეს ყველაფერი ვასიუკის აღმშენებლობა-განვითარებას ხომ არ ჰგავს?

ვაჟი კითხვის არსში ვერ გაერკვა, სიტყვა ბანზე აუგდო და კოდექსის ირგვლივ საუბარი განაგრძო. ერთსაათიანი საუბრის შემდეგ კორესპონდენტებმა ფოტოაპარატები ააჩხაკუნეს, დაემშვიდობნენ და ინტერვიუს გამოქვეყნება მიმდევნო ნომრებში აღუთქვეს.

კაბინეტში მარტო დარჩენილმა თანაშემწე იხმო:

— დესი, მე მგონი, დღეს საკმაოდ წარმატებული დღე მაქვს, — პასუხის მოლოდინში გაიტრუნა.

— დიახ.

— ჰოდა, საღამოს აღვნიშნოთ, „წისქვილში“ დარეკე და მაგიდა შეუკვეთე.

— რამდენ ადამიანზე?

გელა ჩაფიქრდა, სტუმრების რაოდენობა თითებზე გადათვალა:

— პურ-მარილი ხუთ პერსონაზე გაგვიშალონ, ოღონდაც კუპეში ტელევიზორი უნდა იყოს — დებატებს ხომ უნდა ვუყუროთ.

— ქალბატონი სანა იგულისხმეთ?

— აუცილებლად, — თავი დაუკრა, — გენო, შენ და ეკა, მეტი ვინღა დავპატიჟო?

— გასაგებია, — დაეთანხმა მრჩეველი და ოთახიდან გავიდა.

წარმატებებისგან თავბრუდახვეულმა გელამ სანასთან დარეკა:

— სანა, ტელევიზიაში დებატებმა გეგმის მიხედვით ჩაიარა, კოდექსის მიღების აუცილებლობა აქსიომასავით განვავითარე და ოპონენტი ბეჭებზე დავდე, — გახარებულმა აუწყა.

— გილოცავ, — ქალმა ისე უპასუხა, აშკარად ეტყობოდა, გუნებაზე ვერ იყო.

— მოხდა რამე?

— გელა, დღეს შენი აღქმა მიჭირს: რაღაც მომენტში ისე შეგიგრძნობ, თითქოს გვერდით მყავდე, და რაღაც მომენტში საერთოდ მეკარგები. ეტყობა, შენი ძმაკაცი სერიოზულ პრობლემებს მიქმნის. შვილო ჩემო, ფრთხილად იყავი! — სანამ ტონი გაამკაცრა.

— ვა, რატომ? — გაუკვირდა ვაჟს.

— რატომ და ზენონი სულიერების საკმაოდ მაღალ საფეხურზეა. რას წარმოვიდგენდი, თუ ასე მალე ჩემზე ძლიერი შეიქმნებოდა და შენ მართვაში ამდენ პრობლემას გამიჩენდა. თითქოს საზრუნავი მაკლდა და მაგან კიდევ დამიმატა.

— რა ვქნათ? — გელამ მიამიტურად იკითხა, თან ცნობა ზენონის ესოდენი ძლიერების შესახებ გულზე მალამოსავით დაედო.

— რა ვქნათ და დაწყებული საქმე ასეთივე შემართებით უნდა გააგრძელო. გოგოები გვერდიდან არ მოიშორო, თუ გინდა, ლიაც დაიმატე, მეტ ყურადღებას მოგაქცევენ. პარლამენტში

რომ მოხვდები, პოლიტიკური ნირვანა უფრო გაგიმძაფრდება, დაგეწყება ყოვლისშემძლეობით ტკბობა და ამ პროცესიდან გამოსვლის სურვილი თავად გაგიქრება, აი, მერე უკვე მშვიდად ვიქნები, — აუხსნა ქალმა.

— დღეს საღამოს თუ გცალიათ, ჩემი პირველი ეთერი რესტორანში აღვნიშნოთ, — გელამ თქმა შებედა.

— სიამოვნებით, სად და რომელ საათზე?

— „წისქვილში," საღამოს რვისთვის.

— კარგი, შვილო ჩემო, შენი პირველი წარდგენა ერთად დავასველოთ, — სანას ჩაეცინა და ტელეფონი გათიშა.

გელამ რამდენიმე მოქალაქე მიიღო. ზოგს სიის მოტანაზე შეუთანხმდა, ზოგსაც წარმოდგენილ ჩამონათვალში თანხა გადაუხადა. საღამოს მასთან ეკა მივიდა.

— რა ქენი, დედა მოინახულე?

— კი. ყველაფერი ვუყიდე, გადასახადებიც გადავუხადე, სახარჯო ფულიც დავუტოვე...

— მაინც ჯანდაბაში გაგიშვა?

— არა, არა, — ქალმა იუარა, — დავაჯერე, რომ კარგ სამსახურში დავიწყე მუშაობა და გული მოულბა. ისე, დედას მაინც ვერაფერს გამოაპარებ, მაინც ეჭვის თვალით მიყურებდა.

— არა უშავს, — გელამ ხელი ჩაიქნია, — ახლა ცოტა ხანში რესტორანში მივდივართ, ვქეიფობთ...

— ტელევიზიაში ყველაფერმა კარგად ჩაიარა?

— სწორედ მაგას აღვნიშნავთ. სანაც იქნება.

— გილოცავ, — ქალი მიუახლოვდა და აკოცა, — მე დესისთან გავალ, ყავას დავლევთ.

— მიდი, — ვაჟმა სიგარეტს მოუკიდა.

შებინდებული იყო, როდესაც რესტორანთან მივიდნენ. გელამ ეზო მოათვალიერა. სანას მანქანა არ ჩანდა.

— თქვენ შედით, დასხედით. მე სანას დაველოდები და მალე შემოგიერთდებით.

დაცვის ორი თანამშრომელი ვაჟთან დარჩა, დანარჩენები რესტორნის ადმინისტრატორთან ერთად დაჯავშნილი კუპესკენ გაემართნენ.

გელას დიდხანს ლოდინმა არ მოუწია. როგორც კი სანას მანქანა შენიშნა, შესაგებებლად გაეშურა. ქალმა ავტომობილი სადგომზე გააჩერა, ვაჟმა კარი გამოუღო.

— ხომ არ დავიგვიანე?

— არა, ჩვენც ეს წუთია მოვედით.

— შვილო ჩემო, გილოცავ, — სანა მანქანიდან გადმოვიდა და მოეხვია, — დღევანდელი დღე შენი მომავალი წარმატებების საწინდარი ყოფილიყოს.

— დიდი მადლობა, ჩემი წარმატება თქვენი დამსახურებაა. რომ არა თქვენ, ახლაც მაწვნის საამქროში ვიქნებოდი და ცხოვრების სიამენი გვერდით ჩამივლიდა, უბრალოდ, ამცდებოდა, — ვაჟმა სანას ღვაწლს ხაზი გაუსვა.

საუბარ-საუბრით კუპეს მიუახლოვდნენ.

გადაცემის დაწყებამდე რამდენიმე სადღეგრძელო და მცირე წახემსება მოასწრეს. მალე შოუც დაიწყო და მთელი ერთი საათი სმენადქცეულები, გასუსულები შეჰყურებდნენ ეკრანს.

— ყოჩაღ, გელა, ყველაფერი დამაჯერებელია, დებატმა ბრწყინვალედ ჩაიარა, — სანას შექება დაიმსახურა ბიჭმა. — გენო, ახლა სუფრას გაუძეხი, გემრიელად გვითამადე, დღეს კარგი დღეა, — ქალმა გელას მოადგილეს დავალება მისცა.

ქეიფი გაჩაღდა. ოფიციანტები ცხელ-ცხელი კერძების მოტანასა და თეფშების ცვლას ვერ აუდიოდნენ. გენადი თამადობაში საკმაოდ გამოცდილი გამოდგა, სადღეგრძელოებში ენამზეობდა, განსხვავებულ სასმისებს ითხოვდა. სანას სადღეგრძელო სკამზე დამდგარმა დიდი მოწიწებითა და სიყვარულით შესვა. ოთხსაათიანი გაგვიმარჯოს-გაუმარჯოს შემდეგ საკმაოდ შეღვინიანებული თანამეინახენი წამოიშალნენ. გენადი სანას დაემგზავრა, ხოლო გელა თავის განუყრელ ეკადესთან ერთად ესკორტით სახლში მიაბრძანეს.

ის დღე იყო და ის, გელას ნიჭისა თუ პიროვნების, პატრიოტიზმისა თუ გონიერების წარმოჩენის პროცესი ყველა თანამედროვე პოლიტიკური ტექნოლოგიის მექანიზმის გამოყ-

ენებით ხდებოდა. მისი ფოტოები, სახელი და გვარი მუდამ პოპულარული ჟურნალ-გაზეთების პირველი გვერდების ანონსში ხვდებოდა, თითქმის ყოველ საღამოს რომელიმე ტელეარხის სტუმარი იყო. თვითმმართველობის კოდექსის საბოლოო ვარიანტს პარლამენტის რეგიონულ კომიტეტში საფუძვლიანად ამუშავებდნენ. როგორც ერთ-ერთი ავტორი, გელა კოდექსის გაშალაშინება-დახვეწაში აქტიურად იყო ჩართული. კვირაში ორი-სამი დღით რომელიმე რაიონში ჩადიოდა, კოდექსის სიკეთეებს მოსახლეობას აცნობდა და რაიონის განვითარების გზებზე მათთან ერთად მსჯელობდა. ინტერნეტსივრცეში საკუთარი გვერდი გახსნა, სადაც კომუნიკაციას, რასაკვირველია, გელას სახელით, დესი ახორციელებდა.

სატელევიზიო კამერების გარეშე მხოლოდ ტუალეტში შედიოდა, დანარჩენი მისი თითოეული ნაბიჯი, წარმოთქმული სიტყვა, ქველმოქმედება თუ მოსახლეობასთან შეხვედრა სულმუდამ ფიქსირდებოდა და სხვადასხვა რაკურსით განხილვის საგანს წარმოადგენდა. საქმემ, როგორც ჭაობმა, ისე ჩაითრია, თავის მოსაფხანი დროც აღარ ჰქონდა.

მამა ზენონს ვეღარ სტუმრობდა, სამაგიეროდ, მისი ლოცვის ძალას ყოველ დილაუთნია შეიგრძნობდა, ფანჯარასთან განმარტოვდებოდა და თითქოს მეგობარი გვერდით ჰყავდა, ნახევარი საათი გაუნძრევლად იდგა.

ნოემბერი წელში გატეხილიყო. გელა თავის კაბინეტში რომელიღაც არხს ინტერვიუს აძლევდა, როდესაც სანამ დაურეკა.

— გისმენთ, — ვაჟმა ჟურნალისტს აჩვენა, ერთი წუთითო.

— შვილო ჩემო, ხვალ თქვენი პარტიის დაბადების დღეა...

— ვაა! — გელამ გაკვირვებისგან ქალს საუბარი გააწყვეტინა.

— ჰო, ხვალ ოცდასამი ნოემბერია, მაგ დღეს შედგა და დაიბადა „ახალ დემოკრატ-ქრისტიანთა“ პარტია, ამიტომ დილას, თერთმეტი საათისთვის სამებაში ვიკრიბებით, წირვას უნდა დავესწროთ.

— აუჰ! — ვაჟს არ ესიამოვნა.

— არაფერია, — დაამშვიდა სისინა ხმამ, — მთელი პოლიტიკური ელიტა, პრეზიდენტისა და პრემიერის ხელმძღვანელობით იქ იქნება, შენც აუცილებლად უნდა დაესწრო, ტელეკამერამ უნდა დაგაფიქსიროს, რომ გიორგობის წირვაზე იმყოფები და ლოცულობ.

— ეგ არ გეთქვათ და, თუ გინდა, ცეცხლში გავივლიდი...

ტელეფონში სანას გულიანი კისკისი გაისმა:

— არა, შვილო ჩემო, ცეცხლი მერეც გეყოფა. ახლა კი ცხოვრების სცენა გიხმობს.

— სანა, დესი რომ წამოვიყვანო, შეიძლება?

— აუცილებლად, მხარი დაგიმშვენოს. მამამისიც იქ იქნება და ესიამოვნება შვილს პოლიტიკურ ნაღებთან ერთად რომ ნახავს.

— კარგი, მოვილაპარაკეთ. ხვალ თერთმეტზე სამებაში ვიქნებით, — დაემშვიდობა ვაჟი და მრჩეველი იხმო.

— დიახ, ბატონო გელა, — ოთახში დესი შემოვიდა.

— ხვალ დილის საათებში რა გეგმები გვაქვს?

— ისეთი არაფერი, ხვალ დასვენების დღეა.

— ხვალ გიორგობაა, წირვას უნდა დავესწროთ, — ვაჟმა სიგარეტს მოუკიდა, — რამე შეხვედრა ხომ არ მაქვს დანიშნული?

— არა, — დესიმ თავი გაიქნია.

— ძალიან კარგი, — გაიღიმა გელამ და ჟურნალისტს მიუბრუნდა, — ინტერვიუ განვაგრძოთ.

ერთ საათში გელამ კორესპონდენტი გაისტუმრა, მისაღებში მრჩეველს ანიშნა, ჩემთან შემოდი, წყვილი კაბინეტში განმარტოვდა.

— ჩემი წამოსვლა აუცილებელია? — დესი შეწუხებული ჩანდა.

— უნდა წამოხვიდე, ყველა იქ ვიქნებით, მათ შორის მამაშენიც...

ეკლესიაში ყოფნისას, მითუმეტეს მართლმადიდებლურში, ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს დიდი ლოდი მადევს და ჩემი გაჭყლეტა განუზრახავს.

გელას ეშმაკურად ჩაეცინა:

— თუ გარეთ არავინ მელოდება და თავისუფალი დრო გვაქვს, მოდი ცოტას მე გაგჭყლეტ, — ქალს ხელი მოხვია, მიიზიდა და ჩაიხუტა, მკერდი გადაუღეღა, — ისეთი კარგი ხარ, მზად ვარ, სულ ნაწილ-ნაწილ დაგჭყლიტო, — კისერზე კოცნიდა და გავეშებული მკერდში მტევანს ასრიალებდა.

— მაცადე, კარი ჩავკეტო, — თვალმიბნედილმა ქალმა თავი გაითავისუფლა და კარებთან მიირბინა, საკეტი გააჩხაკუნა, — ახლა მოდი და რამდენიც გინდა მჭყლიტე და მჟიმე, ამ საქმის დიდოსტატი ხარ, ჩემი მანქანა-კაცი ხარ, — წელს ზემოთ ტანსაცმელი გაიძრო და ვაჟს ჩაეკრა.

წყვილს ვნებათა დუღილი სანას ზარმა შეაწყვეტინა. უკმაყოფილო გელამ მობილური ყურზე მიიბჯინა:

— გისმენთ, სანა.

— შვილო ჩემო, პრეზიდენტის სურათის მაინც მოგერიდოთ, — ტელეფონში სისინა ხმა ნახევრად ირონიულად, ნახევრად ხუმრობით მეტყველებდა.

— პრეზიდენტის? — გაიოცა ვაჟმა, — თავად ჩვენი პრეზიდენტი ხომ ამ საქმეში თავზეხელაღებულია და ერთად აღებულ ათას გელას ჯობნის, — თავი იმართლა.

— კარგი, სერიოზულად ნუ მიიღე. ისე, იცოდე, ეგ შენი კაბინეტია და მაგ საქმით, ჯობს, სახლში დაკავდეთ, — ქალმა ტონი შეცვალა, — დესისთან ყოფნისას მშვენივრად აღგიქვამ, მაგრამ, როცა მარტო ხარ, მეკარგები, რაღაც სიცარიელედ მექცევი და ნერვები მეშლება...

— ჩემზე?

— შენ რა შუაში ხარ, შენს ძმაკაცზე, მონასტერში რომ არის გამოკეტილი და უხილავად გმფარველობს.

ვაჟს არაფერი უპასუხია, ლოყები გაბერა და ჰაერი გამოუშვა.

— ამიტომ — მობილურში სისინი გაგრძელდა, — არც ერთი გრადუსანტი, ვისთანაც ურთიერთობა გაქვს, გვერდიდან არ მოიშორო. შენი ჩემდამი მსახურება ყველაზე მნიშვნელოვან ფაზაში შედის, რისთვისაც აუცილებელია, რომ ჩემს შეგრძნებაში აღგიქვამდე. გამიგე, შვილო ჩემო?!

— დიახ.

— აბა, ხვალამდე, სამებაში შევხვდებით, — ქალმა მობილური გათიშა.

— ყველაფრის სურვილი გამიქრა, — გელა დივანიდან წამოდგა, — დესი, ჩაიცვი, მაგ საქმეს სახლში მივხედოთ, — პერანგი და შარვალი შეიკრა.

გიორგობა თენდებოდა. ფანჯარასთან ატუზული გელა განაბული იცქირებოდა წვიმიან ბინდბუნდში. ასე გარინდული დგომა უზომოდ სიამოვნებდა. სიმშვიდე, რომელშიც სულ რაღაც ოცდაათი, ორმოცი წუთით თხემით ტერფამდე ეფლობოდა, სულს სალბუნივით ედებოდა.

— გელა, რა ადრე იღვიძებ? — ზურგს უკან ძილბურანში მყოფი ეკას ხმა შემოესმა, რომელიც ტუალეტისკენ მიფლატუნებდა.

არაფერი უპასუხა, მინის ზედაპირზე მოსრიალე წვეთებს მიშტერებოდა და ზურაბთან ერთად ზღაპრულ სიმშვიდეში იმყოფებოდა. თავის მეგობარს, თითქოს გვერდით ედგა, ისე შეიგრძნობდა, თითქოს ბერს ორივე ხელი წაევლო და წუმპედან მისი ამოდღლეზა განეზრახა. შინაგანად წინააღმდეგობას არც უწევდა, პირიქით, მთელი შეგრძნებით იმ ზე-ციერში ლივლივებდა, რომელსაც მამა ზენონი თავისი მონასტრიდან მისთვის აღავლენდა.

იგრძნო, თითქოს ცარიელი ჭურჭელი წყლით ივსებაო, მიწიერმა სიმძიმემ ფეხებიდან ზემოთ როგორ აიწია. მიხვდა, რომ ზურაბი ლოცვას მორჩა. გულში მადლობა გადაუხადა და ჩაფიქრებული სავარძელში ჩაეშვა. ამდენი ადამიანის გარემოცვაში იყო და მაინც საშინელ სიმარტოვეს განიცდიდა, მის სულიერ სხეულს ყოველდღიური გამოფიტვის სენი შეჰყროდა და თანდათანობით ცარიელდებოდა. ყველასთან და ყველაფერთან დამოკიდებულება მხოლოდ მოვალეობად ქცეოდა, რაზეც ნერვები ეწეწებოდა, მაგრამ უძლური იყო, რაიმე შეეცვალა. წამოდგა, დაბალ ხმაზე როკი ააჟღერა, სავარძელს დაუბრუნდა, ფეხები ჟურნალების მაგიდაზე აჰყარა და სიგარეტი გააბოლა.

მუსიკის ხმაზე ეკაც გამოფხიზლდა, ყავის მოსადუღებლად სამზარეულოსკენ საქმიანად გაემართა, ხოლო დესი გვერდით ჩამოუჯდა:

— რამეზე ნერვიულობ? — ვაჟის გამოხედვის შემხედვარემ იკითხა.

— არა, სანერვულო რა მაქვს, — გელამ თავი გაიქნია, სიგარეტი საფერფლეზე დაასრისა, — ერთი მითხარი, შენ რამე გრძნობა თუ გაქვს?

— რას ჰქვია გრძნობა? — ვერ გაერკვა ქალი.

— გრძნობაა სიყვარული, ტკივილი, სინანული, ბედნიერება და ასე შემდეგ.

— ჩემი სიყვარული ვაგინალიაზე გადის. როდესაც ის გამძღარია, მეც ბედნიერი ვარ, ხოლო ტკივილი, სინანული და რაღაც მაგდაგვარი სისულელეები ჩემთვის უცხოა, უბრალოდ არ მაინტერესებს.

— ოცდაათი, ოცდათხუთმეტი წლის შემდეგ როგორღა შეიგრძნობ ბედნიერებას, თუ გგონია, რომ არ დაბერდები? — ქალს საუბარი გაკვირვებულმა შეაწყვეტინა.

— მაგის წამალიც ვიცი, — დესის სახე დაეძაბა, — როგორც კი ვიგრძნობ, რომ ქალური მომხიბვლელობა და ბედნიერების აღქმა დავკარგე — კოკას ათი ბილიკი და სამართებელი თბილ აბაზანაში — უმარტივესი მეთოდია, რათა აქედან კარგად გახვიდე, უფრო სწორად, აღსასრულს მამალ კაიფში შეხვდე.

— შემდეგ? შემდეგ რა არის?

— შემდეგ? — ჩაფიქრდა, — ჩემო კარგო, შემდეგ მისი მოწყალების იმედიღა რჩება, — დესიმ თითი ჭერისკენ აღაპყრო.

— ბუტერბროტიც მოვიტანო თუ ნამცხვარი გვეყოფა? — იკითხა ეკამ.

— ჩემთვის ნამცხვარი საკმარისია, — გელამ ყავა მოსვა, — ესე იგი, მისი წყალობის იმედად ხარ დარჩენილი?

— დიახაც, ოღონდ ეგ მერე, როცა ყველაფერი მორჩება, ახლა კი მომკალი და იმ საკენკს, რომელსაც გონებაჩლუნგ დოგმატიკოსებს უყრიან, არასდროს ავკენკავ, იმიტომ, რომ ერთი ცხოვრება მაქვს და ისე გავატარებ, როგორც მე მსიამოვნებს.

— რაზე საუბრობთ? — ჩაერთო ეკა.

—ჟიმაობის დასასრულზე, — იხუმრა ვაჟმა, — რაც იწყება, ოდესღაც ხომ უნდა მორჩეს?

— რასაკვირველია, — დაეთანხმა ეკა, — მაგრამ ამაზე ფიქრი გაგარეკინებს, ამიტომ დილიდან მეორე დილამდე დრო მაქსიმალურად უნდა გამოიყენო არა ფიქრისთვის, არა განსჯისთვის, არამედ ცხოვრებიდან სიკეთისა და სიამოვნების მიღებაში.

— საინტერესოა, — გელა ჩაფიქრდა, სიგარეტს მოუკიდა, — კარგი, გვეყო ფილოსოფოსობა. ახლა ვიბანავებ და პირი გამპარსეთ, დღეს ეკლესიაში პირველად შევდივარ, მართალი გითხრათ, ძალიან ვნერვიულობ.

— დაიკიდე, რა, — დესიმ ხელი აიქნია, — იქ შეკრებილების უმრავლესობას სარწმუნოება სულ ქინძზე ჰკიდია. უბრალოდ გონებაჩლუნგი ბრბოსთვის თვალებში ნაცრის შეყრის ერთ-ერთი მეთოდია, სანერვულო არაფერია.

თერთმეტი იყო დაწყებული, როდესაც კარზე ზარი გაისმა. დესიმ დაცვის უფროსი ბინაში შემოუშვა.

— გიორგობას გილოცავთ!

— გაიხარე, — მიუგო გელამ, — ეკა! — სამზარეულოში მოფუსფუსე ქალს გასძახა.

— დიახ, — ეკამ წინსაფარაფარებულმა გამოიხედა.

— მოდიხარ თუ არ მოდიხარ?

— არა, არა, ქვეყანა საქმე მაქვს, — ეკა ცივ უარზე იყო.

— დესი, წავედით! — მრჩეველს დაუძახა, — თავშალი წამოიღე, არ დაგავიწყდეს! დესი საძინებლიდან გამოვიდა. თავზე ამერიკული დროშის თავსაფარი ეკეთა. ამის დამნახავს გელას ირონიულმა ღიმილმა გადაურბინა.

ჯიპების ესკორტი წვიმიანი თბილისის ქუჩებს ავლაბრისკენ გაუყვა. მეტროსთან სამანქანე გზები ჯარს და პოლიციას გადაეკეტა და მხოლოდ საშვიან მანქანებს ატარებდნენ. უჩამ პოლიციელს, წინა საქარე მინაზე მიმაგრებულ საშვზე მიუთითა და სამების ქვაფენილიან აღმართს აუყვნენ. ტაძარს ცოცხ-

ალი დაცვის ალყა ჰქონდა შემორტყმული. მოწვეული სტუმრების მანქანები ეზოში მარჯვენა შესასვლელით შედიოდნენ და ჩრდილოეთის კარიბჭესთან ჩერდებოდნენ. ქოლგებმომარჯვებული მომლოცველების უზარმაზარი მასა სამების ცენტრალურ შესასვლელთან შეგროვილიყო — შიგნით არ უშვებდნენ და ისინიც თავიანთ ხვედრს მოთმინებით ეგუებოდნენ — წვიმაში მორჩილად იდგნენ.

გელა მრჩეველთან ერთად ტაძარში შევიდა. მცირე თავბრუსხვევა კი იგრძნო, მაგრამ არ შეიმჩნია. ხალხით სავსე დარბაზს თვალი მოატარა. ამბიონთან ახლოს ქვეყნის პირველი პირები იდგნენ, მეუღლეებთან და შვილებთან ერთად, მათ სამთავრობო გუნდი, პარლამენტარები, კულტურისა და მეცნიერების მოღვაწეები, ასევე ოჯახის წევრებთან ერთად, მოჰყვებოდნენ. ამბიონის მარცხნივ დიპლომატები შეგროვილიყვნენ. სანა სხვადასხვა ქვეყნის დესპანებთან ერთად იდგა. ქალს გრძელ შავ კაბაზე, ასევე გიშრისფერი თავშალი მოეხურა, ხელში ანთებული კელაპტარი ეკავა. სახეზე სევდა, ნაღველი აღბეჭდვოდა და მთელი გულისყურით პატრიარქის წირვას ისმენდა. დიპლომატების წინ, ამბიონის კიბეზე შავკაბოსანი ბერები და სასულიერო პირები იდგნენ. ტაძრის დარბაზის ცარიელი ადგილები თავდაცვის უწყებისფორმიან მაღალჩინოსნებს შეევსოთ. ჟურნალისტები და ოპერატორები გაჭირვებით მოძრაობდნენ, ინტერვიუებს იღებდნენ.

შავკაბოსანი მღვდელმსახურებიდან ერთ-ერთში გელამ ზურაბი შეიცნო. გულში სასიამოვნოდ გაჰკრა, სახეზე ღიმილი მოეფინა. სიყვარულით მიაჩერდა. მამა ზენონი თხემით-ტერფამდე წირვაში ჩაფლულიყო.

წირვა დამთავრებული არ იყო, როდესაც პატრიარქმა რამდენიმე სასულიერო პირი დააჯილდოვა. ბოლოს მამა ზენონისკენ შებრუნდა და თავისი ჩვეული, მშვიდი ხმით ყველას ამცნო, რომ ლისის ტბის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ლავრის ბერდიაკონი ზენონი გაწეული დიდი ღვაწლისთვის მღვდელ-

მონაზვნად იკურთხება. ბერმა სწრაფი ნაბიჯით აიარა ამბიონის კიბე და ილია მეორის ფეხებთან მუხლი მოიყარა. პატრიარქმა მონასტრის წინამძღვარ მიქაელს ჯვარი გამოართვა და ბერს გულზე დაჰკიდა. ცუდი ამინდის მიუხედავად, სამების ერთ-ერთი სარკმლიდან მზის სხივი შემოიჭრა, რომელიც პატრიარქისა და ახლად ნაკურთხი მღვდელმონაზვნის თავზე ნათელ სვეტად დადგა. აქსიოს! — ეკლესიის საჭეთმპყრობელმა მიკროფონში სამჯერ წარმოთქვა. პატრიარქის ნათქვამი „აქსიოს“ იქ შეკრებილმა ხალხმა ხმამაღლა გაიმეორა, მათ შორის გელამაც, უზარმაზარ სიხარულს რომ განიცდიდა. მამა ზენონი პატრიარქს ხელზე ეამბორა, წამოდგა და თავის ადგილს დაუბრუნდა. წირვა გაგრძელდა.

ამ დროს გელას შუახნის ქალი მიუახლოვდა:

— ბატონო გელა, როცა მოიცლით, გთხოვთ, წაიკითხოთ, — გადაკეცილი ქაღალდი პიჯაკის ჯიბეში ჩაუცურა.

— ბატონო? — ვაჟი უცბად ვერ გაერკვა, ყურადღება ჯიბისკენ გაექცა და, როცა აიხედა, უცნობი აღარ ჩანდა.

პოლიტიკოსთა უმრავლესობა, როგორც კი ტელეჟურნალისტებთან საქმეს მოითავებდა, თითქოს ვალი მოიხადაო, წირვის დამთავრებას არც ელოდებოდა, ერთმანეთის მიყოლებით ტაძარს ტოვებდა. გელას სანა მიუახლოვდა:

— შვილო ჩემო, წავედით, — დაბალ ხმაზე წაისისინა.

— რატომ? — თავისდა უნებურად იკითხა ვაჟმა.

— მალე ზიარება დაიწყება, რაც ჩვენთვის მიუღებელია. თან პატრიარქი მოგვიწოდებს, რათა კათაკმევლები აქედან გავიდეთ...

— თქვენ რა, პატრიარქს ემორჩილებით? — გაიოცა გელამ.

— გეუბნები, გავიდეთ, შვილო ჩემო! — ქალმა ხმას აუწია.

— მე მამა ზენონს მივულოცავ და დაგეწევით, — გელა ბერისკენ გაემართა.

— ჩვენ გარეთ, ეზოში გელოდებით, — მიაძახა სანამ და დესისთან ერთად ჩრდილოეთი კარიბჭისკენ წავიდა.

გელა მეგობარს მიუახლოვდა, ხელები მოხვია და მხარზე ეამბორა:

— ანგელოზო, გილოცავ, — ყურში ჩასჩურჩულა.

ბერმა გაუღიმა:

— დიდი მადლობა, — შემდეგ პაუზა ჩამოაგდო, — დიდი მადლობა პაატას გადარჩენისთვისაც.

— მაგ პაატას მწვანე აენთო, ხელს აღარავინ ახლებს, — გელამ სიამაყით აუწყა.

— კათაკმეველო, ახლა ყურადღებით მომისმინე: ჯიბეში, რომ წერილი გაქვს, ვიდრე ჩემთან ხარ, ამოიღე და წაიკითხე.

ვაჟმა ხელი ჯიბისკენ წაიღო, ქაღალდი ამოაძვრინა, გაშალა და ნაწერი გადაიკითხა. წერილში უხუცესი პარლამენტარი, ვისი კვოტითაც გელა კანონმდებელი უნდა გამხდარიყო, საავადმყოფოში შეხვედრას სთხოვდა; უნდოდა, მარტო, თანმხლები პირის გარეშე მისულიყო.

— წაიკითხე? — ჰკითხა ბერმა.

— კი, — გელამ თავი დაუქნია.

— ახლა დაკეცე და ისევ ჯიბეში შეინახე. გარეთ როცა გახვალ და ის უწმინდური გკითხავს, ხომ არ წაგიკითხავსო, შენ იუარებ. გამიგე?!

— ეგ კი გავიგე, მაგრამ იმას რაღა უნდა? — გელა დაბნეული ჩანდა.

— მურმანს აღსარების თქმა სწადია და ზიარება სურს. მისი სული აღსარების გარეშე ამქვეყნიდან არ გადის. ამიტომ ამაღამ მონასტერში ტაქსით გამომივლი, არავითარი სამსახურებრივი და საკუთარი მანქანა, სანა ყველგან გითვალთვალებს, არც შენი ქალები წამოიყვანო, ის ბინძური მათი მეშვეობითაც გხედავს...

— და, მე რატომ მწერს, რომელი სასულიერო პირი მე მნახა? — გაკვირვებულმა გააწყვეტინა.

— ეგ უკვე ღვთის ნებაა; ახლა წადი, საქმეს მიხედე და ამაღამ გელოდები.

— კარგი, მამაო, — დაეთანხმა გელა და გასასვლელისკენ გაემართა. ეზოში გასულმა იქაურობას თვალი მოატარა, სანას და დესის ეძებდა. მალევე იპოვა და მიუახლოვდა. — წავედით? — სასხვათაშორისოდ იკითხა.

— შვილო ჩემო, წერილი ხომ არ წაგიკითხავს? — სანა დაკვირვებით შეაცქერდა.

— რომელი წერილი? — ვაჟი ვითომ კითხვის არსში ვერ გაერკვა.

— რომელი და ქალმა ჯიბეში რომ ჩაგიდო.

— ააა, — გელამ შუბლზე ხელი იტკიცა და ქაღალდი ამოიღო, — წაკითხვა როდის უნდა მომესწრო?

სანამ ხელიდან წაგლიჯა და სულ ნაკუწებად აქცია:

— მომინდომეს, — მრავალმნიშვნელოვნად წაისისინა და ქაღალდის ნაფლეთები იქვე მიყარა, — რა ქენი, მიულოცე?

— დიახ.

— რაო, რა გითხრა?

— არაფერი, ბედნიერია, რომ მღვდელმონაზვნად აკურთხეს...

— სხვა არაფერი უთქვამს? — ქალი გამომცდელად შეაცქერდა.

— სხვა რა უნდა ეთქვა? — ვაჟმა მხრები აიჩეჩა.

— ჰო, კარგი, — სანამ ხელი ჩაიქნია, — შვილო ჩემო, დღეს რა გეგმები გაქვს? — ამ კითხვაში საშინელი უნდობლობა გამოსჭვიოდა.

გელა ქალის მისდამი დამოკიდებულების შეცვლას მშვენივრად გრძნობდა, მაგრამ გარეგნულად არაფერს იმჩნევდა, უბრალოდ, მიამიტის როლს თამაშობდა:

— არაფერი ისეთი. დღეს დასვენების დღეა და სახლში ყოფნას ვაპირებ, ჩემს თოჯინებთან გავერთობი...

— დღეს ლიას ვნათლავ, პირველ გრადუსში ამყავს და არ დამესწრები?

— სად, ასათიანზე?

— კი, — ქალს მწვანე თვალები ბოროტად უკიაფებდა.

— რომელ საათზე მოვიდეთ?

— ათისთვის იქ იყავით.

— დაცვით თუ ჩემი მანქანით წამოვიდე?

— შენი მანქანით, — სანამ ნაძალადევად გაუღიმა, თავშალი მოიხსნა და ავტოსადგომისკენ წავიდა.

გელა და დესი ესკორტით სახლში დაბრუნდნენ. მათ ეკა შეეგებათ:

— როგორ ჩაიარა?

— მშვენივრად, — მიუგო გელამ და პიჯაკი გაიხდა, ჰალსტუხი მოიხსნა.

— ცოტა არ განვიმუხტოთ? — იკითხა დესიმ.

— აპ, აპ, აპ. — ვაჟმა ხელი გაასავსავა, — მე კოკასთან დროებით გაბუტული ვარ. თქვენ მიიღეთ, საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, — სასტუმრო ოთახში შევიდა და სავარძელში ჩაჯდა.

ქალებმა ფხვნილი იყნოსეს და ნარკოტიკულ ვნებაში მყოფნი დივანზე გადაწვნენ. გელას გული დამძიმებოდა, განწყობაზე ვერ იყო. საძინებელში გავიდა, ლოგინზე გაიშოტა. გონებაში ის მოხუცი პარლამენტარი ამოუტივტივდა:

— „საცოდავს აღსარების თქმა უნდა; ესე იგი, განვლილ გზას ნანობს. როგორც მითხრეს, მაგისი მოღვაწეობა მხოლოდ ღილაკზე თითის დაჭერა — არ დაჭერით შემოიფარგლებოდა. ალბათ თითოეული მისი ნათითური სხვათა უბედურებას იწვევდა," — სიგარეტს მოუკიდა და ფიქრი განაგრძო, — „ადრე სანამ მითხრა, რომ უშველებელი არაფერი მჭირს, რადგან ზურა მყავს, ახლახან მეუბნება — ერთი მიმართულების ბილეთი გაქვს და გზიდან ვეღარ გადაუხვევო. მაგარ ქაქში ვარ". — სიგარეტი გადააფერფლა, — „ზურამ შეძლო და ცოტათი თვალი ამიხილა. აქ ვარ და უბედურს სარკეში ვერ ჩამიხედავს; გაგონილა, საკუთარი თავის ასე გეშინოდეს? არადა, ამ თამაშიდან რომ გამოვიდე, ყველაფერს დავკარგავ, ბინძური ყოველდღიურობა ჩამძირავს, წამშლის და ჩვეულებრივ სირბანჯოდ ვიქცევი," — სიგარეტი საფერფლეზე დადო, საწოლზე წამოჯდა, — „აღარ ვიცი, რა ვქნა? ან ყველაფერი, ან არაფერი,

მერე ეს გაუსაძლისი გაჭირვება, ვირის ზურგზე აკიდებული მძიმე ხურჯინივით, მთელი ცხოვრება თრაქე. ძალიან ძნელია მაღალი კვარცხლბეკიდან ძირს გადმოვარდნა. არა, დღეს ზურას უნდა დაველაპარაკო," — აზრი სასტუმრო ოთახიდან გამოვარდნილმა როკის ხმამ დაუფანტა. წამოდგა და ქალებთან გავიდა, — გაცოცხლდით? — ერთმანეთის ფერებაში გართულებს შეეკითხა.

— ჩვენ კი გავცოცხლდით, მაგრამ უშენოდ მოვიკოჭლებთ, — მიუგო დესიმ.

— რაღაც არ ვარ გუნებაზე. მიდით, თქვენ განაგრძეთ, როცა გიყურებთ, ძალიან მსიამოვნებს და, თუ ამიყოლიებთ, სიამოვნებით შემოგიერთდებით, — ჟურნალების მაგიდაზე მიგდებულმა მობილურმა დაურეკა, — ლია, გისმენ.

— დღეს ჩემი ნათლობაა, — სიხარულით აუწყა ქალმა.

— ვიცი და აუცილებლად დაგესწრები. ათ საათზე სამივენი კლუბში ვიქნებით.

— კარგი, აბა, საღამომდე.

დღემ ჩვეულ რიტმში ჩაირიხინა. ცამ პირი მოხსნა, უმოწყალოდ წვიმდა. ათის ნახევარი იყო, როცა გელა თავის თანმხლებ ქალებთან ერთად კლუბს მიადგა. ეკა და დესი, რომ არ დასველებულიყვნენ, კიბესთან ახლოს მანქანიდან გადაუშვა, თვითონ ჯიპი სადგომზე გააჩერა, ჯიბიდან მობილური ამოიღო, სავარძელზე დატოვა და გადმოვიდა. კლუბში ჩასასვლელ კიბესთან სირბილით მივიდა. სამივენი ხალხით სავსე დარბაზში შევიდნენ. ქალები იქვე დარჩნენ, ხოლო გელა სანას ოთახისკენ გაემართა. ქალი გრძელი მაგიდის თავში იჯდა და რამდენიმე რჩეულთან ერთად რომელიღაც კანონის შესახებ მსჯელობდა. ვაჟმა სალამი თქვა და თავისუფალი სკამი დაიკავა.

რამდენიმე წუთში სანა წამოდგა:

— ათი სრულდება, ნათლობა უნდა დავიწყო! — თავისი წკრიალა, ცივი ხმით წაისისინა.

ყველანი საიდუმლო გასასვლელით გავიდნენ და სანას ტახტრევანის აქეთ-იქით ადგილები დაიკავეს, ხოლო თავად უკა-

ნა კარში გაუჩინარდა. ტახტრევანთან სწრაფად დაბრუნდა, შიშველ ტანზე, როგორც ყოველი ნათლობისას, შავი, გამჭვირვალე, კოჭებამდე გრძელი კაბა ემოსა. ფეხს მაღალქუსლიანი, შავი ფეხსაცმელი უმშვენებდა. თავზე ბრილიანტებითა და ძვირფასი ქვებით მოჭედილი ოქროს გვირგვინი ედგა, რომელზეც გაცისკროვნებული დელტა იყო ამოტვიფრული. ქალმა ტახტრევანზე თავისი ადგილი დაიკავა, მარჯვენაში ხმალი, ხოლო მარცხენაში წმინდა ჩაქუჩი დაიხელა, თავი მკერდამდე დახარა და იქ მყოფთათვის უცნობ ენაზე მონოტონურად აბუტბუტდა. დარბაზს იატაკიდან ნისლი მოედო, არაბუნებრივად აცივდა. ცენტრალური ვეება კარის ფრთებმა ნელ-ნელა გახსნა იწყო. ზღურბლზე დედიშობილა ლია გამოჩნდა. იგი ორ კოლონას შორის, საკურთხეველთან ახლოს შეჩერდა. მის ზურგს უკან შიშველ სხეულზე კოჭებამდე შავ, გამჭვირვალეკაბებიანი ხალხის მასა შეგროვდა.

სანამ თავი ნელ-ნელა აწია, პროფანს თავისი მწვანე, ფოსფორივით მანათებელი თვალებით შეაცქერდა. ყველანი ერთ ადგილს ისე მილურსმოდნენ, თითქოს დროს სვლა შეეწყვიტა და იქაურობა ფოტოქაღალდზე გადატანილი კადრი ყოფილიყო. სამარისებური სიჩუმე ქალის წკრიალა, სისინა ხმამ დაარღვია:

— შენ თუ ადამიანური წარმატებების სურვილი გამოძრავებს, წადი, გაეცალე, აქაურობას, მას აქ ვერ იპოვი! — დარბაზი შეზანზარდა, უფრო აცივდა და ნისლმა იმატა.

ლიამ მუხლი მოიდრიკა, ორივე ხელი ცისკენ აღაპყრო, კედელზე გამოსახულ სხივმოსილ დელტას შეაცქერდა და დამფრთხალი, ჩუმი ხმით წაიბუტბუტა:

— ადამიანური წარმატება ჩემთვის აღარ არსებობს, — ყოველ სიტყვასთან ერთად სითამამე ემატებოდა, ხმის ტემბრი უძლიერდებოდა, — მე თხემით ტერფამდე მზად ვარ, ვემსახურო ტაძრის მშენებლობას და ერთ-ერთ სამშენებლო ქვად ვიქცე.

ფეხზე წამოდგა. შავკაბიანებმა, მათ შორის ეკა და დესიც ერია, იგი ხელში აიტაცეს, ჰორიზონტალურად გადაიწვინეს

და ნელი, აწყობილი ნაბიჯებით დარბაზის ცენტრში მდგომი შავი მარმარილოს მაგიდისკენ წაიღეს. ზედ ისე დააწვინეს, რომ ფეხები გაუთლელი ქვისკენ, ხოლო თავი იდეალურად გათლილი კუბისკენ მოუქციეს.

სანა ტახტრევანიდან წამოდგა, ლიასთან ჰაერში ისე მილივლივდა, რომ იატაკზე ფეხიც არ დაუკარებია. წმინდაჩაქუჩიანი ხელი მოსაქნევად ასწია:

— ჯვარო, მიიღე ჩვენგან სანაცვლოდ! — დაიყვირა და მთელი ძალით ფეხის ტერფში უთავაზა, — ჯვარო, მიიღე ჩვენგან სანაცვლოდ! — ახლა მეორე ტერფზე დაჰკრა. ლიას დარტყმის ადგილებიდან სისხლის ნაკადი წასკდა.

გელას გააჟრჟოლა, გონს მოეგო, მომენტით ისარგებლა და იქაურობას საიდუმლო გასასვლელით გაეცალა. სანას ოთახიდან დარბაზი გადაჭრა, თან თაღოვან კოლონადას ეფარებოდა. ქუჩაში ისე აღმოჩნდა, რომ ვერავინ შეამჩნია. პირველივე ტაქსი გააჩერა, გეზი ლისის ტბისკენ აიღო.

მონასტერთან მისულს მეგობარი ეზოს გარეთ დაუხვდა — ხალხს ელაპარაკებოდა. ბერმა მანქანა შეამჩნია, ყველას დროებით დაემშვიდობა და ტაქსიში ჩაჯდა.

— ანგელოზო, როგორ ხარ? — გელა გაღიმებული შეაცქერდა.

— კარგად, — გულზე ჩამოკიდებული ჯვარი გაისწორა ბერმა, პატარა ხელჩანთა მუხლებზე დაიდო, — აქ წმინდა ნაწილები მაქვს. აღსარების შემდეგ ვაზიარებ — ჩაფიქრებულმა ჩაილაპარაკა.

— შენი საქმისა შენ იცი, ისე, რამე ეშველება?

— სხეულის რა მოგახსენო, მაგრამ სულს აუცილებლად ეშველება. შენ სადმე ხომ არ გეჩქარება?

— რა ვიცი? — გელამ მხრები აიჩეჩა, — სანას გამოვეპარე, ალბათ, გაგიჟდება...

— ნუ გეშინია, მაგასაც მოვერევით, — ბერმა დაამშვიდა. — ზიარების შემდეგ მინდა შვიდგზის ზეთისცხების ლოცვა წავუკითხო, რათა ამქვეყნიდან მშვიდად გავიდეს. ეს ლოცვა საათზე მეტ ხანს გრძელდება, ამიტომ გკითხე.

— არა, მამაო, შენთან ერთად როცა ვარ, არსად მეჩქარება, მით უმეტეს, როცა არ მაშავებ, — გელამ ნახევრად ხუმრობით მიუგო.

ტაქსი რამდენიმე წუთში დიდუბეში, თოდუას ცენტრს მიადგა. გელამ ანგარიში გაასწორა და ორივენი საავადმყოფოში შევიდნენ. მესამე სართულზე, ნევროლოგიურ განყოფილებას მიადგნენ.

— შენ აქ როდესმე ყოფილხარ? — გელა წინ მიმავალ მეგობარს შეეკითხა.

— არასოდეს.

— კაცო, გავგიჟდები, — ხელი ხელს ჩამოარტყა, — თავს ისე გრძნობ, როგორც თევზი წყალში. არავისთვის არაფერი გიკითხავს და როგორ ხვდები, სად უნდა მივიდეთ. გადამრევს ეს კაცი!

მამა ზენონს არაფერი უპასუხია:

— მე აქ დავრჩები, შენ შედი. იქ მისი ქალიშვილი დაგხვდება...

— ვინ, ვინც წერილი მომცა?

— ჰო, — ბერმა თავი დაუქნია, — შედი, გამოელაპარაკე და, როცა საჭირო იქნება, მეც შემოვალ, — პალატის წინ სავარძელზე ჩამოჯდა.

გელამ კარზე დააკაკუნა, შეაღო და თავი შეჰყო:

— უკაცრავად, ბატონი მურმანი აქ წევს?

— უი, მობრძანდით, ბატონო გელა, — შიგნიდან ქალის ხმა გაისმა.

ვაჟი მბჟუტავი სინათლით განათებულ პალატაში შევიდა. სპეციალურ სამედიცინო საწოლზე მოხუცი მამაკაცი იწვა.

— გელა, გამარჯობა, — თითქმის ჩურჩულით წარმოთქვა მურმანმა, — შვილო, — ქალს გადახედა, — სკამი მიეცი და ცოტა ხნით მარტო დაგვტოვე, სალაპარაკო მაქვს.

— ახლავე, მამა, — ქალმა სკამი აიღო და საწოლის თავთან დადგა, — დაბრძანდით, — გელას უთხრა და პალატიდან გავიდა, — მამა! — უმალვე გახარებული შემობრუნდა, — ბატონ გელას მოძღვარი მოუყვანია.

— მართლა? — მამაკაცს ესიამოვნა. — კარგი, დაგვტოვე, — ქალიშვილს მიმართა, — გელა, — ვაჟს ყურადღებით შეაცქერდა, — მინდა დაგელაპარაკო, რჩევა მოგცე, იმიტომაც დაგიბარე.

— დიახ, — გელა სმენად იქცა.

— ამქვეყნად სამოცდათვრამეტი წელი გავლიე, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სულ საქმეში ვარ, ვერცხლისწყალივით ერთი წუთით არ გავჩერებულვარ. საკუთარი ოჯახის კეთილდღეობას შევალიე ცხოვრება და იმ დღეს აქ, საავადმყოფოში ვფიქრობდი, — მოხუცმა პაუზა ჩამოაგდო, — ერთი ეს სახელური დაატრიალე, ცოტათი წამომწიე.

გელამ საწოლის სახელური დაატრიალა.

— საკმარისია?

— კარგია, გმადლობ. იმას გეუბნებოდი, რომ ვერცხლისწყალივით არ გავჩერებულვარ, ცხოვრების მაღალი საფეხურებისკენ მიზანდასახულად ნაბიჯ-ნაბიჯ მივიწევდი. ისეთი აზარტი და მიღწეულით უკმაყოფილება მქონდა დაუფლებული, რომ ჩემი შემაჩერებელი არავინ და არაფერი მეგონა, ამქვეყნიურობას მუდმივ განზომილებად ვთვლიდი. მთელი ცხოვრება ერთი სატელეფონო ზარით ჩემს ოჯახში კეთილდღეობა დულდა და გადადულდა. კომუნისტების დროს იმდენი ფულის პატრონი ვიყავი, რომ შაბათობით მე და ჩემი ცოლი სახლიდან ყველას ვუშვებდით და ასმანეთიანების აშმორებულ გროვას ვანიავებდით, რომ არ დაობებულიყო და გადასაყრელი არ გამხდომოდა...

— კი, მაგრამ რატომ არ ხარჯავდით? — გაოცდა გელა.

— ჰმ, — ჩაეღიმა მურმანს, — მაშინ ასეთი დრო იყო, ყველას ერთნაირად უნდა ეცხოვრა, ფულის გამოჩენა საშიში იყო. მიუხედავად ამისა, ვაკეში უზარმაზარი ბინა ვითომ სახელმწიფომ მომცა, სინამდვილეში ვიყიდე, სულ ანტიკვარიატით გავძეძგე, წყნეთში აგარაკი ავიშენე, ზღვაზე აგარაკი ცოლისძმაზე გავაფორმე, „ოცდაოთხი“ „ლატარიაში მოვი-

გე,“ შვილებს პრესტიჟული სასწავლებლები დავამთავრებინე, კარგ სამსახურებში მოვაწყე. სუყველანი დავაოჯახე და დავაბინავე, მოკლედ რომ ვთქვა, თავზე გადამდიოდა, კაის ვჭამდი და კაის ვსვამდი. ფული? — მოხუცს ისევ ჩაეცინა, — ფული მოდიოდა და მოდიოდა, მის დენას წყალდიდობასავით ვერ ვაჩერებდი, მაგრამ რად გინდა, მქონდა და ვერსად ვხარჯავდი.

ბოლოს საბჭოთა კავშირი დაიშალა და ვითომ დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ, ფულის ნიშნები შეიცვალა და მთელი ცხოვრების განმავლობაში ნაგროვები ფული უვარგის, გამოუყენებელ ქაღალდად, მართლა ნაგვად მექცა და ჩემივე ხელით წყნეთის აგარაკზე ბუხარში დავწვი. იმ ჩემმა ასმანეთიანებმა ჩაილურის წყალი დალია, ფაფუ, გამიქრა...

— ქონება ხომ დაგრჩათ?

— კი, ქონება როგორ არ დამრჩა, მაგრამ ხომ იცი, შეჩვეულს ნუ გადააჩვევო და სერიოზულად დავითრგუნე. ჩამერთო თვითგადარჩენის ინსტინქტი, მივდექი, მოვდექი, და ზვიადთან ამოვყავი თავი, პარლამენტარი გავხდი. შემდეგ „მოქალაქეთა კავშირი“ და დღეს „ახალ დემოკრატ-ქრისტიანთა“ პარტია, რაღაც პერპენტუმკანონმდებლად ვიქეცი.

— კარგია, საინტერესო ცხოვრება გაგივლიათ და უკმაყოფილო რითი ხართ?

— ეჰ, — მურმანს სახეზე ნაღველი აღებეჭდა, — შორიდან ასე ჩანს, მაგრამ, საავადმყოფოში ანალიზისთვის უამრავი დრო მქონდა და, რას მივხვდი, იცი?

— რას?

— ქართველი კაცი სანას რომ ემსახურები, კაცი არა ყოფილხარ. ყველაზე ღირებული, ნაღდი სიყვარული არ გაქვს და ერთ-ერთი ნაძირალა ხარ. ამქვეყნად ღირსებაზე ფასეული არაფერია. მარტო დარჩენის მეშინია, ჩემი თავი მეზიზღება და ვიცი, რომ არაკაცი ვარ, ვიღაცა ბაღლინჯო ვარ, სხვისი სისხლით გატიკნილი, საკუთარი მეს იქით ვეღარაფერს რომ ვერ ხედავს. დღეს თვალი ამეხილა, მაგრამ ძალიან გვიანია, გავიდა

ცხოვრება და არაფრის შეცვლა აღარ შემიძლია, — მოხუცს ცრემლი გადმოუგორდა, — თითქოს ჩემს გულში იჯექი, მადლობა, მოძღვარი რომ მომიყვანე. კიდევ კარგი, ცხონებულმა ბებიაჩემმა ბავშვობისას ჩუმად მომნათლა და დღეს აღსარების თქმა შემიძლია...

— მოძღვარი გაზიარებთ კიდეც და ლოცვასაც წაგიკითხავთ, — ვაჟმა მოხუცის დამშვიდება სცადა.

— ბედნიერი ვარ, — მურმანი კმაყოფილებას ვერ მალავდა, — ვგრძნობ, ჩემი იმ ქვეყნად წასვლის დრო მოვიდა და ძალიან მინდა, უფალთან მეტ-ნაკლებად განწმენდილი წარვდგე, — ცრემლი ისევ ჩამოუგორდა, — მე ვიცი, რომ შენ რჩეული ხარ, ამიტომ გთხოვ, ამას ყველაფერს მიაფურთხე და მოინათლე, თორემ ცხოვრება ჩიტის ერთი გააფრენაა და ისე ჩაიწუილებს, როგორც ბრმა ტყვია, რამის შეცვლას ვეღარ მოახერხებ...

— რას მთავაზობთ, ყველაფერი დავკარგო და მათხოვრად ვიქცე?

— რასაც ჩვენ ჩავდივართ, უარესი მათხოვრობაა. ღირსების ფასი არაფერია, იმ ქვეყნად სხვა ვერაფერს წაიღებ...

— მურმან! სამოთხეში გინდა მოხვედრა?! — პალატაში სანას ხმა აზრიალდა, ასისინდა.

ქალი მათ უკან თითქოს მიწიდან ამოსულიყო, ფანჯარასთან იდგა და ხარხარებდა. მოხუცმა საწოლის გვერდით მაგიდიდან რინგერის სავსე ფლაკონი აიღო, ძალა მოიკრიბა და ესროლა. ნახევარლიტრიანმა ფლაკონმა სანას სხეულში ისე გაიარა, თითქოს ნისლში მიფრინავდა და ფანჯრის მინას შეასკდა. შუშის მტვრევის ხმაზე ოთახში მურმანის ქალიშვილი და მამა ზენონი შემოცვივდნენ. სანა ბერის დანახვას არ ელოდა, საშინელი წივილის ხმა ამოუშვა და, თითქოს აორთქლდა, ისე გაქრა.

— ვინ ან რა იყო? — პარლამენტარის ქალიშვილმა შეშინებულმა იკითხა.

— არავინ, — მოკლედ მოუჭრა მურმანმა და მთელი ყურადღება ბერისკენ გადაიტანა. — მამაო, გთხოვ, მიშველე, — შეევედრა მოხუცი.

— აღსარებას ხომ ჩამაბარებთ? — ზენონმა მშვიდად იკითხა.

— „რა მაგარი ხარ!” — სიამაყის გრძნობამ გაჰკრა გელას.

— აუცილებლად ჩაგაბარებთ, — მიუგო მურმანმა.

— თქვენ ცოტა ხნით დაგვტოვეთ. გელა, დერეფნიდან ჩემი ჩანთა მომიტანე.

— ახლავე, — მიუგო მეგობარმა და ქალთან ერთად დერეფანში გავიდა, ჩანთა კარებშივე მიაწოდა.

ბერი საწოლთან სკამზე ჩამოჯდა. ხელჩანთა გახსნა და ლოცვების წიგნი ამოიღო:

— ბატონო მურმან, თქვენ აღსარებას პირველად ამბობთ?

— დიახ, მამაო. მე ტაძარში, ისიც მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჩვენმა ქვეყანამ თავისუფლება მოიპოვა, მხოლოდ ტელევიზორში გამოსაჩენად მივდიოდი, მორწმუნეს როლს ვთამაშობდი და მთელი ცხოვრება ბოროტს ვემსახურებოდი, — მოწყლიანებული თვალებით, დიდი სინანულით საუბრობდა მოხუცი.

ზენონმა წიგნი გადაშალა, აღსარების გვერდი მონახა:

— ჯვარი არ გაქვთ?

— არა, — მურმანმა თავი გააქნია.

— კარგი, — ბერმა ჩანთიდან ბზის პატარა ჯვარი ამოიღო, ჩამოსაკიდი ზონარი ყულფში გაატარა, — ბატონო მურმან, — წიგნი გაუწოდა, — სანამ ჯვარს თქვენ სახელზე ვაკურთხებ, იქამდე აღსარების წინა ლოცვები წაიკითხეთ და ჩამონათვალსაც თვალი გადაავლეთ, — თავად წამოდგა, ოლარი და საბუხრეები გაიკეთა, მურმანისთვის განკუთვნილი ჯვარი ფანჯრის რაფაზე დადო და ლოცვას შეუდგა.

მოხუცი მაგიდაზე დადებულ სათვალეს გადასწვდა, სახეზე მოირგო და მთელი ყურადღება წიგნს მიაპყრო.

ბერმა ჯვრის კურთხევის ლოცვა დაამთავრა, ჯვარს ნაკურთხი წყალი აპკურა და სკამს დაუბრუნდა:

— ბატონო მურმან, წამოიწიეთ და ჯვარს დაგკიდებთ, — მოხუცმა შეძლებისდაგვარად თავი ასწია, ბერმა საკიდი კისერზე შეუკრა და ჯვარი გულზე გაუსწორა.

— მამაო, წავიკითხე, — სახეზე ალმურმოდებულმა ამოიჩურჩულა.

— გისმენთ, — ზენონი მოხუცს არ უყურებდა, თვალი კარისკენ ჰქონდა მიპყრობილი.

— ნაძირალა ვარ, მამაო! — მურმანმა სიმწრით ამოიგმინა.

— ყველანი ცოდვილები ვართ. გისმენთ, ბრძანეთ.

თავიდან მოხუცმა მორიდებული ბუტბუტი იწყო, მაგრამ მხნეობა თანდათან ემატებოდა და მისი ხმა აღსარებას გულმხურვალედ აღავლენდა. დაახლოებით ორმოცდახუთი წუთი არ გაჩუმებულა, ეგ კი არადა, სიტყვებს ჟესტიკულაციასაც ახმარდა.

— რაც მახსოვდა, გითხარით, — მორცხვად თავი ჩაკიდა.

ბერმა ჩაახველა:

— ბატონო მურმან, დაგავიწყდათ, გეთქვათ, თქვენი ანონიმური წერილებით რამდენი ადამიანი გაამწარეთ: ზოგი ციხეში მოხვდა, ზოგმა თანამდებობა დაკარგა...

— არაკაცი ვარ, — გააჟრჟოლა მოხუცს, — მამაო, წლოვანებით ასეთმა ახალგაზრდამ ჩემი უკუღმართობის შესახებ საიდან იცი? — გაოცებულმა იკითხა.

— თქვენ მითხარით, ასე იყო თუ არა?

მოხუცი რამდენიმე წამით ჩაფიქრდა, შემდეგ ყველა ანონიმური შეტყობინებების დეტალები მოჰყვა, თან თვალიდან ცრემლს ვერ იშორებდა.

— მოვრჩი, — ბოლოს ამოიგმინასავით.

— არა, — ბერმა თავი გააქნია, — როცა თქვენი სიმამრი გარდაიცვალა, თქვენ წესი იმ მიზეზით, მთელი ცხოვრება ათეისტი იყოო, არ ააგებინეთ...

— მართალი ბრძანდები, მამაო, ფული დამენანა, ის ფული, რომელიც ბუხარში ჩემივე ხელით დავწვი და მე უსინდისო მის ქელეხში თამადა ვიყავი, — მოხუცს სახე უფრო მოეღუშა.

— დახმარებაზე რამდენი ადამიანისთვის გითქვამთ უარი, არ გახსოვთ?

მურმანი ისევ ფიქრმა წაიღო:

— მრცხვენია, მამაო, შენდობის ღირსი არა ვარ...

— ეგ თქვენი გადასაწყვეტი არ არის, ყველაფერს უფალი განაგებს! — ბერი თვალებში შეაცქერდა.

— ძალიან ბევრი ადამიანი, რომლის დახმარებისთვისაც მცირეოდენიც კი საკმარისი იყო, უარით გამისტუმრებია. უბრალოდ, თანაგრძნობის უნარი არასდროს გამაჩნდა. მინდოდა, რომ კეთილდღეობის მწვერვალზე მარტო ვყოფილიყავი, ყველასთვის ზემოდან მეცქირა, ყველაზე კარგად ჩემი ოჯახი ყოფილიყო და თავი სხვა განზომილებაში გვეგრძნო. შვილებს მეგობრებს ვუხარისხებდი, ის ჩვენი დონე არ არის, იმასთან ურთიერთობა არ გვეკადრება-მეთქი და, ვისაც მატერიალურად უჭირდა, იმათთან ურთიერთობას ვუკრძალავდი. ბიჭი ორმოცდახუთი წლის ასაკში კაიფში გამეპარა, მისი სული ვერ გავაპატიოსნე, ეკლესიამ წესის აგებაზე უარი მითხრა და ასე დავკრძალე, ხოლო ქალიშვილი, რომელსაც ქმარი „დონის მიხედვით“ შევურჩიე, დღეს თავის შვილებთან ერთად მარტო დარჩა, სიძემ ფეხი დაჰკრა და ამერიკაში გადაიხვეწა. მამაო, დღევანდელი გადასახედიდან რომ ვუყურებ იცი, რას მივაღწიე?

— ვიცი, მაგრამ მაინც მითხარით, იქნებ, ვცდები.

— ამ უსულო მატერიალიზმში მეც ნივთად ვქცეულვარ. ჩემი ქონების: ბინების, მანქანების, ავეჯისა თუ სხვადასხვა სიმდიდრის მფლობელი ცოცხალი ლეში ვარ, რომელსაც არც ეროვნება, არც სამშობლო, არც სიყვარული და ყველაზე მთავარი, არც ღმერთი არ გამაჩნია. მალე მის წინაშე უნდა წარვსდგე და ამ ნაძირალამ თვალებში როგორ უნდა ჩავხედო?! მამაო, საკუთარი თავი მეზიზღება...

— დამშვიდდით, ბატონო მურმან, უფალი მოწყალეა, თქვენს აღსარებაში ყველაზე მთავარი სინანულია, რომელმაც სული ასე გაგისუფთავათ.

— მართალი ხარ, ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ზურგზე მოკიდებული ცოდვების უზარმაზარი მთა მომხსენი. სასწაულ სიმსუბუქეს განვიცდი, ასე მგონია, ამ წუთას დავიბადე.

— ახლა შვიდგზის ზეთის ცხების ლოცვასაც წაგიკითხავთ და ცოდვები, რომლებიც თქვენ დაგავიწყდათ ან მე ვერ დავინახე, მიგეტევებათ, — ბერი წამოდგა, ავადმყოფს თავზე ოლარი გადააფარა და მიტევების ლოცვა წაუკითხა, შემდეგ პალატაში მურმანის ქალიშვილი და გელა იხმო.

— მამა, რა კარგად გამოიყურები, სახეზე ფერი დაგბრუნებია, გამომეტყველებაც დაგიმშვიდდა, — ქალი აღფრთოვანებას ვერ მალავდა.

— ირმა, ეგ მამა ზენონის დამსახურებაა, — მოხუცმა გაიღიმა.

— მადლობა, მამაო, — ირმამ აღარ იცოდა, სიხარული როგორ გამოეხატა.

— მადლობა უფალს, — ბერმა ჩაიბურდღუნა და ჩანთიდან ორი სანთელი ამოიღო, — გამომართვით, — ირმას და გელას გაუწოდა, ზეთით სავსე ფლაკონი და პატარა ფუნჯი ფანჯრის რაფაზე დადო, წიგნი დაიხელა და შვიდგზის ზეთის ცხების ლოცვის კითხვას შეუდგა. თითოეული სახარების წაკითხვის შემდეგ მოხუცს წვივებზე, მაჯებზე, კისერსა და სახეზე ფუნჯით ზეთს ცხებდა. ზეთის ყოველი ცხებისას მურმანის მკერდზე ამოშანთული გაცისკროვნებული დელტა ფერმკრთალდებოდა და თანდათან ქრებოდა.

— მამა, შენს ახალგაზრდობაში გაკეთებული ტატუ ნელ-ნელა უფერულდება, თითქმის აღარ გემჩნევა, — წამოიძახა ირმამ.

— კარგია, მამიკო, ბედნიერი ვარ, — იღიმოდა მურმანი და ლოცვას მთელი გულისყურით ისმენდა.

ბერმა მოხუცს ზეთი შვიდჯერ აცხო, ლოცვების პატარა წიგნი უსახსოვრა, ოლარი და საბუხრეები სხვა ნივთებთან ერთად ჩანთაში შეინახა, დაემშვიდობა და გელასთან ერთად პალატიდან გამოვიდა. ირმამ დერეფნამდე გამოაცილა:

— მამაო, დიდი მადლობა, — ბერს ხელზე ემთხვია.

— მადლობა უფალს, — მშვიდად მიუგო ზენონმა. — დილის და საღამოს ლოცვები თქვენ წაუკითხეთ, სანთლებიც შეიძინეთ, რათა ლოცვისას დაანთოთ, — ქალს პირჯვარი გარდასახა.

— მამაო, მამაჩემს ეშველება? — შეეკითხა ირმა.

— მე მის სულს შეძლებისდაგვარად ვუმკურნალე, დანარჩენი ღვთის ნებაა, — უთხრა ზენონმა და მეგობართან ერთად გზა განაგრძო.

მეგობრები პირველ სართულზე ჩავიდნენ.

— ცოტა ხნით დავსხდეთ, — ბერმა გელას გადაულაპარაკა.

— კი, ბატონო.

ორივენი სავარძლებში ერთმანეთის პირისპირ განთავსდნენ.

— დღეს ჩემს ცხოვრებაში პირველი აღსარება ჩავიბარე, — ბერი კმაყოფილი იყო.

გელამ საათზე დაიხედა:

— მამაო, სამი ხდება, დაიღლებოდი.

— ჩემი დაღლა არაფერია. ერთი მითხარი, შენ რა გიშველო, ასე უღმერთოდ როდემდე უნდა იცხოვრო?

— რა ვიცი, — ვაჟმა მხრები აიჩეჩა, — ვფიქრობ, როგორ მოვიქცე.

— ხომ ხედავ, ის უწმინდური როგორი გააქტიურებულია, მეშინია, რამე არ მოგწიოს.

— მართალი გითხრა, მაგისი მეც მეშინია, მაგრამ ვიცი, რომ ვჭირდები და ჯერჯერობით არაფერს მავნებს. ჩემი ფუნქცია ხომ შესასრულებელი მაქვს...

— ჰმ, — ზენონმა თავი გაიქნია, — არაფერს გავნებს, არა? ამაზე მეტი რაღა უნდა გიქნას?! ხომ ხედავ, რაღაც საშინელებად გაქცია. მითხარი, როდის მოგნათლო?

— მამაო, — გელა ჩაფიქრდა, — პარლამენტში მოხვედრა დამაცადე და მერე მომნათლე. ამაზე ყოველ დილით, საწოლიდან რომ წამომაგდებ ხოლმე, მაშინ ვფიქრობ. შენ იმდენს მი-

აღწიე, რომ, როცა მარტო ვარ, სანა ველარ აღმიქვამს. ახლაც დარწმუნებული ვარ, ჩამკირკიტებს, მაგრამ შენი მადლიანი ძალის გამო არაფერი გამოსდის.

— აბა, იქ, პალატაში რა იყო?

— პალატაში მურმანის მეშვეობით გამეჩითა.

— საცოდავი მურმანი ამ დღეებში აღესრულება, მაგრამ მისი სული ანკარა წყაროსავით გაკამკამდა...

— ისე, მამაო, ქრისტიანობა მაგარია, — გელამ ჩაიცინა, — მთელი ცხოვრება შეგიძლია იმამაძაღლო, ბოლოს აღსარება თქვა და ყველაფერი ხახვივით შეგრჩება.

— ეგრე არ არის. მურმანმა აღსარება დიდი სინანულის გრძნობით, ატირებულმა ჩამაბარა. თან მისი სული ამქვეყნიდან მალეგამსვლელია და ამიტომაც მიეტევა. ცხოვრების განმავლობაში საცოდავმა უამრავი განსაცდელი გადაიტანა და ეს ყველაფერი საკუთარი ცოდვების გამო მოუვიდა.

— მე რაღა მეშველება, მამაო?

— შეენ? — ბერმა გაიცინა.

— ჰო, მე, ბოზს, ნარკომანს, ქვეყნისა და ხალხის გამაუბედურებელს?

— შენ, ჩემო გელა, ცხოვრებას ნათლობის შემდეგ დაიწყებ, ხოლო იქამდე ჩადენილი სიბინძურეები უთქმელად მიგეტევება. უფლისთვის ისეთივე სუფთა იქნები, როგორც თოთო ბავშვი.

— რას ამბობ, მამაო?! — ვაჟი ყურებს არ უჯერებდა.

— მაგრამ იცოდე, ძალით არავინ მოგნათლავს. ამხელა კაცმა შენი საქმე თავად უნდა გადაწყვიტო და მე იმწამსვე მზად ვარ, გამიგე?! — ზენონმა მეგობარს მუხლზე ხელი ჩამოარტყა.

— მამაო, პარლამენტარი გავხდები თუ არა, იმ დღესვე მზად ვიქნები, რათა სწორ გზაზე დამაყენო, — დაეთანხმა, შემდეგ ფანჯარაში გაიხედა, — ამისთანა რას წვიმს, მთელი დღეა არ გადაუღია.

— კარგი, ახლა წავიდეთ, ტაქსი გამოიძახე.

— მობილი მანქანაში დავტოვე, არ წამომიღია.

— ტელეფონი არც მე მაქვს. რა ვქნათ?

— რეგისტრატურიდან დავრეკავ, — გელა წამოდგა და ტაქსის გამოსაძახებლად გაემართა.

დროის მცირე მონაკვეთში ორივენი ტაქსიში ისხდნენ და გეზი მონასტრისკენ აეღოთ. გაუთავებელი წვიმისგან ქუჩებში ტალახიანი მდინარეები მოედინებოდა, მანქანა წყალს კატერივით, მიაპობდა და შხეფებს აქეთ-იქით ისროდა. ღამის თბილისი ყველასგან მიტოვებულივით გამოიყურებოდა, კაციშვილის ჭაჭანება არ იყო, ეგ კი არადა, მანქანებიც კანტიკუნტად მოჩანდა. წვიმის მინორულ მელოდიას საახალწლო ნაძვისხესავით გაბრდღვიალებული, სირენაჩართული სასწრაფოს მანქანები არღვევდნენ. ქალაქს ჩუმი სევდა გარს მოხვეოდა და ნისლივით თავზე აწვა.

ტაქსიმ კანდელაკის ქუჩიდან ვეძისისკენ შეუხვია და ონკოლოგიურის აღმართს აუყვა. ორივე მეგობარს გონება ფიქრთა აღლუმისთვის დაეთმო და უკანა სავარძელზე გაბუტულებივით ისხდნენ. მონასტრის კარიბჭეს ისე მიადგნენ, ვერც შეამჩნიეს.

— აქ გაგიჩეროთ? — იკითხა მძღოლმა.

— უი, მოვსულვართ, — გელამ თავი ასწია, — მე მოძღვარს მივაცილებ და ახლავე უკან დავბრუნდები, — შოფერს გადაულაპარაკა და ბერთან ერთად მანქანიდან გადავიდა.

— გელა, თუ გინდა, ჩემთან დარჩი, გამოიძინე და დილით გაგიშვებ.

— არა, მამაო, დილიდან იმდენი საქმე მაქვს... მერე კახეთში ვარ ჩასასვლელი, მევენახეებს უნდა შევხვდე, არ შემიძლია, ვერ დავრჩები.

— კარგი, შენი საქმისა შენ იცი, — ზენონმა კარში ფეხი შედგა.

— მამაო, ყველაფრისთვის დიდი მადლობა, — მიაძახა გელამ და ტაქსისთან სირბილით დაბრუნდა, უკანა კარი სწრაფად გამოხსნა და შიგნით შეხტა, — გავილუმპე ეს ოხერი, — უკმაყოფილომ წაიწუწუნა.

მძღოლმა მანქანა საბურავების წუილ-წუილით ადგილს მოწყვიტა, წამებში ცენტრალურ გზაზე გაიყვანა და დიდი სიჩქარით თავდაღმართზე დაეშვა. გზაჯვარედინზე, ვეძისის ჩასახვევთან, არც გაჩერებულა, უბრალოდ ჩაიქროლა და დაკლაკნილ გზაზე სვლა განაგრძო.

— ჩემი ძმა, სადმე გეჩქარება?! — წამოიყვირა გელამ.

მძღოლმა მუხრუჭის სატერფულს ფეხი ჩასცხო და მანქანა სველ ასფალტზე ისე გასრიალდა, როგორც გავარვარებულ ტაფაზე ერბოს ნაჭერი.

— რა იყო, გამოშტერდი, ვიღაცა ხარ?! — ვაჟი მხარში წაეტანა.

შოფერმა საჭეს ხელი გაუშვა და მგზავრისკენ შემობრუნდა:

— მობილური მანქანაში დატოვე, მომსახურების ზონიდან გამიხვედი?! — მარჯვენაში ჩაბღუჯული ტელეფონის აპარატი მთელი ძალით სახეში სთხლიშა და გელა სავარძელზე მიაგდო, თან არაადამიანურად გადაიხარხარა.

— სანა, აქ როგორ გაჩნდი? — დამფრთხალმა ამოისლუკუნა.

— შე ჩათლახო, ჩემი გადაგდება მოინდომე?! — ცალი ხელი კისერში ჩაავლო, მეორეთი ენით აუწერელი ძალით სახეში ურტყამდა, — ამ სიფათს დაგირუმბებ, ისე დაგალილავო, რომ პატრონმა ვერ გიცნოს! თუმცა, ვინ არის შენი პატრონი, შე მათხოვარო, კაცად გაგხადე და სამაგიეროს ასე მიხდი?! — ქალს ძალა არ ელეოდა, გონების დაკარგვამდე ურტყა. როცა შეატყო, რომ ვაჟს სხეული მოემჩვარა, წინააღმდეგობას საერთოდ ვეღარ უწევდა და სავარძელზე გაუნძრევლად ეგდო, შეეშვა.

ხელები საჭეს ჩაავლო, ძრავი გახეთქვამდე ააღმუვლა და მანქანა ხევისკენ მიუშვა. თავად თითქოს აორთქლდა, პირდაპირ იმ ხესთან აღმოჩნდა, რომელსაც ტაქსი უნდა შეჯახებოდა.

— ჩემო მბრძანებელო, ჩაიბარე ჩვენი მოღალატის სული, ცეცხლით მოსული ცეცხლშივე დაბუგე! — ხელები ცისკენ აღემართა, ადგილზე ხტოდა და ცივი სისინა-ხროტინა ხმით ღრიალებდა.

ფიჭვის ხე, რომელსაც ტაქსი შეასკდა, ძირშივე გადატყდა, ძრავიდან ცეცხლის ენები ამოვარდა. სანა ადგილზე ბორგავდა და რაღაც რიტუალურ მოძრაობებს ასრულებდა. გელას სხეული წინა და უკანა სავარძლებს შორის, ქაღალდივით დაკუჭული მანქანის იატაკში იყო ჩაჭედილი. ცეცხლი ძლიერდებოდა. ხევის ფერდობზე ფარებგაბრდღვიალებული მანქანა გადმოეკიდა, ალმოდებულ ტაქსის სწრაფად მიაუახლოვდა და იქიდან შავკაბოსანი ბერები გადმოიშალნენ. სანა, თითქოს მიწამ შეიწოვა, წივილ-კივილით გაუჩინარდა. მამა ზენონი ტაქსის მივარდა და უკანა კარის გახსნა მოინდომა, მაგრამ ლითონი ისე იყო დაღეჭილი, რომ ადამიანის ძალას არ ემორჩილებოდა.

იღუმენმა მიქაელმა თავის ჯიპთან მიირბინა, იქიდან ცეცხლმაქრი და ძალაყინი ამოიღო:

— მამაო, მე ცეცხლს მივხედავ, დანარჩენებმა კარი გააღეთ, დროზე გადმოიყვანეთ, არ აფეთქდეს, — ძალაყინი გაუწოდა და ქაფიანი სითხე ცეცხლისკენ მიმართა.

ბერებმა რის ვაი-ვაგლახით კარები გამოდღლიზეს, ზენონი სალონში შეძვრა, მეგობარს ფეხებში ხელი ჩაავლო, დანარჩენებმა იღლიებიდან გაქაჩეს და გონდაკარგული სხეული მანქანიდან გამოაძვრინეს.

— მამაო, ჯიპი გაწიეთ, შეიძლება აფეთქება მოხდეს! — ზენონმა ცეცხლთან მებრძოლ იღუმენს გასძახა.

ბერებმა გელა გზამდე სირბილით აიყვანეს:

— სასწრაფოში დარეკეთ! — ზენონმა ბერებს გადაულაპარაკა და მეგობრის სხეულთან ჩაიმუხლა, — გელა, გელა, გელა! — მთელი ხმით ჩასძახოდა, უყვიროდა, თან მაჯაზე პულსს უსინჯავდა.

იღუმენმა ჯიპი გზაზე ამოიყვანა და ისე გააჩერა, რომ ფარებით ვაჟის სხეული გაენათებინა. მანქანიდან გადმოვიდა და მათთან მიირბინა:

— პულსი ესინჯება?

— სუსტად ფეთქავს, — ბერმა მიქაელს ახედა, — მამაო, რა ვქნათ? — დაბნეული ჩანდა.

იქ მყოფი საძმოს წევრები გაუნძრევლად იდგნენ და ლოცვას აღავლენდნენ.

— გელა, ძამიკო, შემომხედე, ბიჭო! — ლოყაზე ხელი გაულაწუნა.

— ჰა? — აღმოხდა ვაჟს, თვალები გაახილა და მეგობარს შეაჩერდა, — სად ვარ, მამაო? — ძლივსგასაგონად ამოიჩურჩულა.

— აქ ხარ, ჩემთან ხარ, ნურაფრის გეშინია, — ზენონმა თავი წამოუწია.

მიქაელმა მანქანის წინა სავარძელს თავის მისაყრდნობი ამოაცალა და გელას კეფის ძირში ამოუდო.

— ყველაფერი მტკივა, ასე მგონია, მუცელში ცხელი მდინარე მოედინება და ტიკივით მბერავს, — მიმართა მეგობარს.

— გელა! — ბერი ერთი წამით ჩაფიქრდა, შემდეგ ხმამაღლა იკითხა, — გელა, ძამიკო, მოგნათლო?!

— მომნათლე, მამაო, მომნათლე! — გელამ ძლივს ამოღერღა და ბაგის კუთხიდან სისხლი წამოუვიდა. ხელი გულისკენ წაიღო, გაცისკროვნებული დელტა ჩაბღუჯა და მოგლეჯა მოინდომა, მაგრამ ძალა არ ეყო, — დამეხმარეთ, მომაშორეთ ეს ოხერი!

ბერებმა ძეწკვი გაწყვიტეს, კისრიდან ამოუცურეს:

— რა ვუყოთ? — იკითხა ერთ-ერთმა.

არ გადააგდოთ, ვინმემ არ იპოვნოს და თავი არ დაიღუპოს! მონასტრის ეზოში, სადმე კუთხეში ღრმად ჩავმარხოთ, — უპასუხა ზენონმა და იღუმენს შეაცქერდა, — მამაო, როგორ მოვნათლოთ?

— მანქანაში წყალი მაქვს, მაგრამ ჯვარს რა ვუყოთ?

— მის სახელზე ნაკურთხი ჯვარი მე მაქვს, — სახე გაებადრა ზენონს, საკინძე შეიხსნა და ოქროს ძეწკვი მოიხსნა. იღუმენმა პატარა ბოთლით ნაკურთხი წყალი მანქანიდან ამოიღო და ბერს მიაწოდა, — გელა, ხომ გინდა, გახდე მართლმადიდებელი? — ზენონი დაძაბული შეეკითხა.

— მინდა, მამაო. გემუდარები, დროზე მომნათლე, — ვაჟმა სისხლი ამოახველა.

დღეს „მორწმუნე“ მასხარათა აღლუმია — ცალი ხელით პირჯვარს იწერენ, მეორეთი სატანას ემსახურებიან. მათ იმიტომ უყვართ, რომ სახარებაში წერია ასე, თორემ თამაშობენ სიყვარულს. იციან ყველაფრის ჭეშმარიტი ფასი: სამშობლოსი, ოჯახის, სანათესაოსი, სამეგობროსი, მაგრამ არაფერს აფასებენ, ამიტომაც დღეს მორწმუნე, ოღონდ ბრჭყალებში, ცინიკოსთა ლაშქრად ჩამოყალიბდნენ პატრიოტიზმს, კაცობას, წესიერებასა და სიყვარულს ამოფარებულნი.

978-9941-0-6819-5

9 789941 068195 >

ბესიკ კელელიძე • ჯანუკითხვი

— ინათლება მონა ღვთისა გელა, სახელითა მამისათა, ამინ! — მჭექარედ წარმოთქვა ზენონმა და თავზე წყალი აპკურა, — და ძისათა, ამინ! — ისევ აპკურა, — და სულისა წმიდისათა, ამინ! — ბოთლში დარჩენილი წყალი თხემზე დაასხა.

ბერების დახმარებით ჯვარი გულზე დაკიდა. შორიდან სასწრაფოს სირენის ხმა გაისმა, რომელიც თანდათან ძლიერდებოდა. მანქანა მოუახლოვდა და იქვე გაჩერდა. ექიმებმა მანქანიდან საკაცე გადმოიღეს და ვაჟი ბერების დახმარებით ზედ დააწვინეს.

— ვინმე ხომ არ წამოჰყვებით? — იკითხა ექიმმა.

ზენონი საძმოს წევრებს დაემშვიდობა და მანქანაში მეგობრის საკაცის გვერდით დაიკავა ადგილი...

უფალი სუფევს, მშვენიერება შეიმოსა!